

სამოცვალი
გიგანტები


ჭ. კრისტი



საინგილო



B. E. O. B.



23-01-2007

6 2 0 6 8 0 3 3



ଗୋଟିଏବେ ରାଜ୍ୟକାନ୍ଦିରୀ ମୁଖ୍ୟମନ୍ୟାନ୍ତଙ୍କ
ତଥାକୁଳ 1997

99 (=3531) (479.24) + 396 = 353.1 (479.24)

63.3(2r)
39 + 947.922
3 205

სამხედროი მუზეუმი
2 სამხედროი ვალი ტბილისი

შოთოგრაფია მოიცავს საინგილოს ისტორიულ-ეთნო-
გრაფიულ აღწერის. მისში განხილულია ამ კუთხის ბე-
ნება და აჯალმდებარეობა. ისტორიული წარსული,
ელისეს სასულინი, საინგილოს შეერთება რესერვაცია,
1915 წელს გაუქმდებული ბატონიშვილის ნაშილი — „ქეშე-
ლი“, ხალხის ყოფა-ცხოვრება, საინგილოს სოფლები,
ქალის მდგომარეობა და სხვა. ზ. ედილისული საინგი-
ლოს ეთნოგრაფიული აღწერა იმდენად ფასეულია, რამ
შეს მეცნიერებაში პირველწევაროს მნიშვნელობა ენიჭე-
ბა. წიგნის თბილის კილო მეტად მსატკრული და ვარ.
ზოდებულია.

ნაშრომი განკუთენილია მეცნიერებისათვის, სტუ-
დენტებისა და მეცნიერებლთა ფართო წრისათვისაც.

შეადგინა, რედაქტია ვაჟკეთა,
შენიშვნები, ბიბლიოგრაფია
და საძიებელი დაურთო ასრულ რმარსებრივა.

© თბილისის უნივერსიტეტის გამოშეცვლობა, 1997

05.05000000

3
608(06)-97
ISBN 5-511-00752-8

საქართველოს
პარლამენტის
მოწვევალი
გიგანტი



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
Ազգային Գրադարան



ტ ი რ ა ს ი ტ ყ ვ ა რ ა

მრავალი მოგზაური დაუტყვევებია საინგილოს ტურფა სანახებს. გაუვალ ჭალებში შეკერე თოფის ხმას მრავალჯერ დაუფრთხია ჯავნარებში საგულდაგულოდ მიმაღლული მთვლემარე ტახის მყუდროება. დაბურულ ტყეთა ღამის წყვდიაღში, მოგიზვიზე ცეცხლის აღზე არაერთხელ აწეულა მრავალტანჯული სამშობლოს სადიდებლად თიხის არაწები (ღვინის სასმისი). მყუდროების ტაბუ ადევს მდორედ მოღუღუნე აღაზნის ტალღებს. შირაქიდან მონაბერი სიო ნელად აშრიალებს ცათამდე ატოტილ ვეება წნორის ფოთლებს. საიდანდაც ჩურჩულით ისმის მემატიანის გულმძუღარე სიტყვები. წყვდიაღითაა მოცული მუდამეამს მჩქეფარე ცხოვრებით სავსე პერეთის მიწა. განთიადს ეპრძეს ღამე. მამლის შორეული ფივილი აკრთობს არემარეს და იმედის ნაპერწყალს ამჟარებს ფიფინეთში ამომავალი მზის უკვდავ სხივებზე, რომლებსაც მრავალგზის შექვებებია და ნათელი მომავლის იმედით აღვისილა საინგილოს პატრიოტად მოვლენილი ბრეთელი კაცის ზაქარია ედილის (ედილაშვილის) გული. გოროზად შეუკრავს წარბი მსხვერპლის მოლოდინში გატრუნულ მთა-გამოცანას.

ზაქარია ერთი ჩუმი მოღვაწე იყო, რომელმაც თავისი უანგარი ღვაწლით კეთილსინდისიერად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე და ერთგვარი კვალი დატოვა ქართველ საზოგადოებაში. მან საქართველოს ეს განპირი მხარე შობლიურ კუთხესავით შეიყვარა და სიყვარული იმდენად მძლავრ ძალად იქცა, რომ ხელში კალამი ააღებინა და სიცოცხლის ბოლო წუთებამდე, მოუხედავად მრავალი ქარტეხილისა, თავის საყვარელ პროფესიასთან ერთად კალმისთვისაც არ უდალატნია.

კავკასიონის მთაგრეხილის უმშვენიერესი ქედებიდან გამომდინარე მდინარე ფრონქს თვალწარმტაც ხეობას თავისებურ სილმაშესა და სიმშვენიერეს პმატებს სოფელი ბრეთი (ქარელის რაიონი). ამ სოფლის მღვდლის ოჯახში 1873 წელს დაიბადა ზაქარია ერმალოზის ძე ედილაშვილი ანუ ედილი, როგორც მას იცნობს ფართო საზოგადოება.

ზაქარიამ წერა-კითხვა ოჯახში შეისწავლა. 1884 წელს ივი მანა-
რეს კორის სასულიერო სასაწყლებელში, რომელიც 1890 წელს დაპა-
რულა. სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარისამდე. ზორაც კა-
ვირი ვითარება იყო იმდროინდელ სემინარიაში, ამაზე ტექსტობურა ციტატ
ზაქარიას ჩანაწერი მოვიშველით: „ისეთ დროს შევედი, როცა იქ შე-
დარებით ცოტაოდენი თავისუფლება არსებობდა. ეს იყო წლები, როცა
იოსებ ლადიაშვილმა სემინარიის რექტორი მოჰკლა და დამფრთხალი,
თავგზადა არგული ხელისუფლება საგონებელში ჩავარდა, უფრო უარე-
სი ამბები არ დატრიალდეს სემინარიაში. ცოტაოდენი თავისუფლება
მისცა შოსწავლებს და დროებით რეპრესულ ზომებს თავი მიანება.
სემინარია მაშინ შეზღუდული, კარჩაეტილი აღარ იყო, მისი მოწაფენი
თავისუფლად დაიარებოდნენ ყველგან და მონაწილეობას იღებდნენ
ყველაფერში“. სწორედ ამ დროს უნდა იყოს სემინარიასთან დაარსე-
ბული ყოველთვიური უკრნალი — „საქართველოს საეგზარბოსო სასუ-
ლიერო მოამბე“, რომლის ოფიციალური განყოფილება ქართულადაც
იძევდებოდა. აქ ქვეყნდებოდა სემინარიის ქართული ენისა და საქართ-
ველოს საეკლესიო ისტორიის მასწავლებლის — თედო ეორდანიას სა-
თანადო მეცნიერულ დონეზე დაწერილი მონოგრაფიები რუსულ ენაშე.
თედოს, როგორც პედაგოგს, ზაქარია ასე იკრიბს: „ის სულითა და ვუ-
ლით მუდამ შეგირდებთან იყო, მათი ჭირი და უბედურება საკუთარ ჭი-
რად მიაჩნდა, მაგრამ სემინარიის კედლებში თავი სხვაგვარად ეჭირა,
შეგირდებთან კლასგარეშე გამოლაპარაკებას ერიდებოდა, ეტუობოდა
ძალიან შეშინებული იყო. მაგრამ სამაგისტროდ ისტორიის გაკვეთილებ-
ზე ის შეუდარებელი იყო, ის ამ დროს რაღაც აღტაცებას გრძნობდა,
რაც არაჩვეულებრივ სიმხნევესა და შეერმეტყველობას უმატებდა. მისი
ისტორია უბრალო გაკვეთილი კი არ იყო, ის ლექციების სახით გვიყი-
თხავდა ისტორიას და ბოლოს მოგვიძრუნდებოდა და გვკითხავდა: შეკი-
თხვები ხომ არავის გაქვთო. მახსოვს დიდი მოურავის შესახებ შე-
კითხვები და კამათები მთელი ორი თვეს გაკვეთილების მანძილზე
გრძელდებოდა“.

ზაფხულის არდადაგვებზე საყვარელი პედაგოგის დავალებით სემი-
ნარიელები აგროვებდნენ ძველ წიგნებს, სიგელებს, ხალხური ზეპირ-
სიტყვიერების ნიმუშებს. ზაქარიას ორი სქელი რევული უოლკლირული
მასალებისა გადაუცია მასწავლებლისათვის. თუ რა ბედი ეწია შეკრებილ
მასალებს, დღემდე გურკვევდია.

ასეთივე დიდი სიყვარულით იხსენიებს სემინარიის ღვთისმაცეკვაზე — ბის მასწავლებლის, მიუკარებელი კაცის — ნიკოლას საინტერისტ გვეთილებს. გადმოცემით, პედავორის კრებებზე ის ყოველთქმის უძრავი ნარიელთა ინტერესების დამცველად გამოდიოდა.

შშფოთვარე შეიქნა ახალგაზრდა სემინარიელთა ცხოვრება. ღვდა-ვდა იმდროინდელი მთავრობაც. ეძებდა შექმნილი დაძაბული სიტუაციან გამოსავალს, მაგრამ იგი არ ჩანდა. ორ პოლიტიკურ ჯგუფად გაყოფილ სემინარიელთა შორის უკვე ჭირდა მეფის ბიუროკრატიული წე-სრიგის დაცვა. მთავრობა სემინარიელებისაგან სამღვდლო პირებს ელოდა, მაგრამ მათ მავიცრად ხელში რჩებოდა მახვილამოღებული ათესტები, რომლებსაც ჭირივით ეჯავრებოდათ ეკლესიაც და სარწ-მუნოებაც. შევიწროებულმა მოწავეებმა გაფიცვა მოაწყეს, არ შევიძნენ გაკვეთილებზე, რის გამოც სემინარიის ხელმძღვანელობამ ზემდებობისტებთან შეთანხმებით ერთი წლით სემინარია დაკვეტილად გა-მოაცხადა. მეორე წელს კი გაიხსნა, მაგრამ იგი დახურულ სასწავლებ-ლად გადააკეთეს. მიუხედავად ამისა, დრომ თავისი გაიტანა. მარქსის-ტულმა მოძღვრებამ საქართველოშიც შემოანათა. ახალი მოძღვრების სიო სემინარიელებმაც აიტაცეს. გაჩნდა ფარული წრეები. ერთ-ერთ ჯგუფს, რომელშიც შედიოდა ზაქარია, ხელმძღვანელობდა ეგნატე ნი-ნოშვილი. ედილის მოგონებით: „საბრალოს უკვე ჭლევი ჰქონდა მორე-ული. თვალწინ მიღვას დღესაც მისი მოგრძო ვაცრიაკებული სახე. იმან წყნარი, ნელი ლაპარაკი იცოდა, ყველას ძალიან შეგვიყვარდა ეს იშეი-ათი პიროვნება, მაგრამ მის სახელის ხსენებას სემინარიაში ვერავინა ვძედავდით, რომ მისთვის არავის ევნო“. მიუხედავად დიდი სიფრთხი-ლისა, ჯაშუშების ქსელი ოპერატიულად მოქმედებდა. სემინარიელებიც მედგრად უმკლავდებოდნენ გამცემ-მაბეზღრებს. ერთ-ერთი ინციდენ-ტისას რექტორს წარუდგინეს 12 გასარიცხი მოსწავლე, რომელთა შო-რის იყო ზაქარია ედილიც. საბეჭნიეროდ, ინსპექტორის მიერ წარვე-ნილი მოხსენება იმდენად დაუსაბუთებელი აღმოჩნდა, რომ რექტორმა ისინი არ გარიცხა სასწავლებლიდან.

სემინარიის ედლებში გატარებული წლები მეტად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ზაქარია ედილისათვის. იგი აქ ეზიარა იმ-დროინდელ მოწინავე რუს თუ საზღვარგარეთელ მოაზროვნეთა პროგ-რესულ იდეებს, დაუმევობრდა მარქსიზმით გატაცებულ ახალგაზრდა სემინარიელებს, რომლებიც შემდგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწე-ნი გახდნენ.



სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ედიტორული ცდები რი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: მას ან სასულიეროში დაწესებული საქართველო იყო სწავლის გაგრძელება, მაგრამ უსახსრობის გამო ის იმულებული შეიქნა მუშაობა დაწესება. სამუშაოს გამომებნაში დაეხმარა ცნობილი პედაგოგი და უურნალისტი ლუარსაბ ბოცვაძე — მოაწყო დავით სარაჯიშვილის ქარხანაში კანცელარიის მოხელედ ქ. ჭავავში.

ედილისთვის აუტანელი იყო კანცელარიული მუშაობა, მაგრამ სხვა ვამოსავალი არა ქეონდა და იტანდა — იქნებ ცოტაოდენი ფული შევავროვო და სწავლა განვაგრძოო. ბედმა აქაც გაუღიმა ბრეთელ ჭაბუქს: ერთ დღეს, ქარხნის დათვალიერების შემდეგ, დავით სარაჯიშვილი კანცელარიაში შესულა და, როცა დაუნახავს უცნობი ახალგაზრდა, უკითხავს:

— შენ ვიღა ხარ, ახალგაზრდა, აქ პირველად გხედავ, რას აკეთებ?

ედილმა დაუფარავად მოახსენა გულისნადები.

— ძალიან კარგი, ყოჩაღ, ძალიან კარგი, მომწონს შენი განზრახვა, მაგრამ განა რამდენს იღებ, რომ თავიც ირჩიონ და ფულიც შეინახო?

როდესაც გაიგო, რომ მხოლოდ სამ თუმანს იღებდა, სარაჯიშვილს გაეცინა: — იმდენს კი მოიჩინ, რომ ოთხ წელიწადს გაგყვეს! ხვალი-დან აქ აღარ გნახო. როგორ შეიძლება შენისთანა ახალგაზრდა კანცელარიის ქაღალდებში ჩაკვდეს, ხვალ ჩემთან ამოდი კაბინეტში.

შეორე დღეს ედილი ეახლა სარაჯიშვილს, რომელმაც დაწვრილებით გამოპყოთხა ვინაობა. აწონ-დაწონა და ურჩია სწავლა განეგრძო არა არქეოლოგიურ ინსტიტუტში, როგორც ეს ედილის სურვილი იყო, არაშედ ინგინერ-ქიმიკოსის პროფესიას დაუფლებოდა, რაც ესოდენ საჭირო იყო საქმისათვის. ედილი დიდი მონდომებით შეუდგა მეცადინებას ქიმიასა და მათემატიკაში. მაგრამ ბედმა არ გაუღიმა ცოდნასმოწყურებულ ახალგაზრდას, რიგაში სარაჯიშვილის ნაცნობი პროფესორი არ დახვდა. გამოცდაზე ორი ცუდი ნიშანი მიიღო და უარი უთხრეს. მან სხვა სასწავლებელში ამოყო თავი. შეურიგდა ბედს, მაგრამ ეერც აქ დარჩა დიდხანს. სტუდენტთა აჯანყებამ იფეთქა, რის გამოც იგი იმულებული იყო სამშობლოში დაბრუნებულიყო. აღელვებული დახვდა სარაჯიშვილი:

ჩემი სტიპენდიანტები ყველანი მემბოხენი გამოვიდნენ, აღარავის მოგცემთ სტიპენდიას. აბა დაუიქრდი, რა საქნელია ავეთი საქციელი.

ლარიბ-ლატაკ კაცს სტიპენდია მოგეცი, საშუალება გაქვს სწავლის გადა
რჩელებისა, შენ კი ამბოხებას აწყობ იმის მაგივრად, რომ ჩატარებული
ისწავლო, აღარავის მოგცემთ სტიპენდიასო.

ტროებითი იყო დავითის გაცხარება. მის დიდბუნებოვან გული გადა
ეცულებოდა სიკეთის სითბო. კავკავიდან თბილისისაკენ მომავალი და-
კითი ტებილად საუბრობდა ელილთან სხვადასხვა მნიშვნელოვან თე-
მაზე. აძლევდა საჭირო რჩევა-დარიგებას და ბევრ ცხოვრებისეულ
საკითხში ღრმად ახედებდა. სარაჯიშვილი მეეტლისათვის 30 კაპიქშე
ცეტის მიცემას უკრძალავდა და ეუბნებოდა:

შე თითო თუმნის მიცემაც შემიძლია, მაგრამ რა გამოვა, მეეტლე
უნდა წავიდეს სამიერნოში, სულ იქ გაფლანგვას ნაჩექარ ფულს, ორა-
დღე მთვრალი იქნება, სამსახურსაც მოსცდება და შეიძლება ბევრი რა-
შეც წაახდინოს. შე კი ასე რომ მოვიქცე და ვიყაირაოთ, ბევრი ფული
დამრჩება და ამით რამდენ შენისთანა შავტუხას გამოვზრდი.

არ ტყუოდა დიდი ქველმოქმედი, მას მართლაც ეკონომიკურად უნდა
ეცხოვო, რათა საშუალება პქინოდა ეზრუნა საყვარელი საშობლოს
კეთილდღეობაზე, დახმარების ხელი გაეწოდებინა ყველასათვის, ვისაც
კი უჰირდა. თუ ამ კუთხით თვალს გადავავლებთ, ედილის ჩანაწერები
მრავალ საყურადღებო ფაქტებს წარმოაჩენენ სახელოვანი მამულიშვი-
ლის ცხოვრებიდან. ერთხელ ედილი, დ. სარაჯიშვილი და ნ. ცხვედამე
სათავადაზნაურო გიმნაზიის (ახლანდელი უნივერსიტეტი) მშენებლო-
ბაზე ყოფილან. ცხვედამესთან მისულა გლეხი და შეუჩივლია:

რა ვქნა, კაცი დავიღუპე და დავნელდი, თქვენი ხე-ტყის მასალა
რომ მოქმენდა, ვერის აღმართზე კამეჩი დამივარდა და მომიკვდა. შე-
ნი ჭირიმე, სხვა ვინმე თქვენსავე მეურმეს დაავალეთ იმ მასალის ამო-
ტანა და მე კი ცოცხალსა და მკვდარსაც უნდა მივხედო. დავიღუპე, დავი-
ღუპე, ამომიწყდა ცოლ-შეილი, ისიც ვალითა და ვახშითა მქონდა ნასყი-
დი და ეხლა რაღა წყალში ჩავვარდე, აღარ ვიციო. მართლაც, რაღა
უნდა ექნა, დ. სარაჯიშვილის კუთილი გულით გაღებულ დახმარებას
რომ არ გადაერჩინა ერთვნული ტაძრის მაშენებელი გლეხი.

ერთგული მეპატრონის არც ერთი ნაბიჯი არ დარჩენია ედილს ყუ-
რადღების გარეშე. ასე მაგალითად, საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ
სარაჯიშვილს ქარხნის დირექტორმა ცუდი ამბავი დაახვედრა. ახლად
გაჩენილმა კონკურენტმა სარაჯიშვილის პროდუქციას ზიანი მიაყენა.
ამჯერადაც პატრონის მოფიქრებულმა ნაბიჯმა ნაყოფი გამოილო. და-



ვითმა საგრძნობლად გააიაფა საკუთარი პროდუქტის შეცვლა
კონკურენტი გაკოტრდა და გაშორდა იქაურობას. ციკლუმის ეპ

დ. სარაჯიშვილის 23 წერტილში მიმოფანტულ წარმოებებში ყოვე-
ლთვის არ იყო შეხმატებილებული ცხოვრების ეული რიტმი. იყვნენ მო-
მზივნებიც. ყიზლარიდან შემოსული წერილი იქაური მმართველის თავ-
გასულობას ეხებოდა. ადგილზე გაგზავნილმა კონტროლიორებმა შეა-
მოწმეს ქარხანა, რომლის ზარალიანობა უმნიშვნელო აღმოჩნდა. სარა-
ჯიშვილს შემოწმების შედეგების გაცნობის შემდეგ უთქვამს:

განზრახვა არა მაქვს ახალი სახლი შევიძინო და ვენახი ვუყიდო
მმართველს, იმას უკვე შეძენილი აქვს, ახლა ვინმე რომ დავნიშნო,
ისიც მოინდომებს ახალი სახლის შეძენას და ბალის ყიდვას, მაგას კი
ეხლა ორივე აქვს და მეტს აღარ მოინდომებს. სამავიეროდ ისეთ სასტიკ
წერილს მივაწერინებ, რომ ამის შემდეგ არავითარი ამვერი საქციელი
აღარ ჩაიდინოს.

თუ რას ნიშნავდა სახელვანთქმული ფირმა და რა ავტორიტეტით
სარეებლობდა იყი სხვადასხვა აღვილას, ამაზე მიღვანიშნებს ორიოდე
შტრიხი ედილის მოგონებებიდან. შესტოვის ქარხნის მოსკოველმა წა-
რმომადგენლებმა არ შეიძინეს ქართველი გლეხისაგან ჭაჭის არაყი და

უკან გაბრუნდნენ ხელცარიელნი. მალე სარაჯიშვილის ქარხანამ მიი-
ღო შეკვეთა შესტოვის საწარმოდან არყის შესყიდვაზე. სარაჯიშვილმა
სწორედ ის დაწუნებული ჭაჭის არაყი გაუგზავნა, სოფლელებისაგან შე-
ძნილი, მხოლოდ როგორც სარაჯიშვილის ფირმის ნაწარმი.

სარაჯიშვილს ჩვეულებად პქნია ერევანში მცხოვრები ქართველი
საზოგადოების თავშეყრა, რომელზედაც იმართებოდა საქმიანი სჯა-
ბაასი და საუბარი ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე. ამასთანავე მა-
სპინძელი უცხოური ბოთლებით აწვდიდა საკუთარი ქარხნის კონიაქს,
ხოლო უცხოურს ჩვეულებივ ბოთლში ათავსებდა. საზოგადოება კერ
ხვდებოდა მეპატრონის ეშმაკობას. კონიაკის ავკარგიანობის შეფასები-
სას სტუმრები უპირატესობას უცხოურ ბოთლში მოთავსებულ სასმელს
ანიჭებდნენ, მაგრამ როდესაც დავითი საიდუმლოებას ფარდას ახდა-
და, ისინი მოულოდნელობისაგან ცბებოდნენ, რაზეც დიდი ქველმოქმე-
დი თავისებურად დაატანდა: აბა სხვა ჩვეულებრივი მომხმარებელი რა-
და გავამტყუნო, როცა თქვენ, კონიაკის მუღმივ მომხმარებელს, ვერ
შევიფასებიათ სათანადო კონიაკის ლირსება, სხვაზე რაღა უნდა
ვთქვა.



ედილის მოგონებები ამით არ წყდება დ. სარაჯიშვილი იყო მარტინ გალისანივით მისდევენ ერთმანეთს და ჩვენს თვალწინეთის კუთხით ერთ-ერთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, ქართველი ხალხის მოჭირნახულე შეილის დაუკისფარი სახე.

დ. სარაჯიშვილმა ზაქარია თავის მეგობართან გავზავნა ესტონეთში და პროფესიად სავეტერინარო ინსტიტუტი შეურჩია. უობათ გადაწყდა. სამშობლოს ისტორიული წარსულითა და ლიტერატურით გატაცებული ახალგაზრდა სრულიად სხვა მეცნიერებლი სამყაროს პირისპირ აღმოჩნდა.

მეტად უცნაურ გარემოში მოხვდა ქართველი სტუდენტი. დორპატი ანუ ესტონურად ტარტუ არ იყო დიდი ქალაქი, მაგრამ იქ განლაგებული უმაღლესი სასწავლებლები სტუდენტური თავშეერის ცენტრად აქციებდა მას.

თვალს იტაცებდა ხის ფართო შენობები, შემოლგომობით ეწყობოდა ხალხმრავალი სამეურნეო გამოცენები, რომლებიც სახალხო დღე-სასწაულის ფორმას იღებდა. იკითხებოდა საჯარო ლექციები სხვადასხვა საკითხებზე. თითქმის ყველა სოფელი უკავშირდებოდა ქალაქს ტელე-ფონით. დად სოფლებში გამოდიოდა გაზეთები.

ედილმა მოძებნა ტარტუში მყოფი ქართველი სტუდენტები. მათ მეგობრული ურთიერთობა დაამყარეს ესტონელ სტუდენტებთან. დაარსეს ქართული კორპორაცია. ქართულ პრესაში გაჩნდა ედილის საყურადღებო კორესპონდენცია ტარტუდან.

ზაქარია სტუდენტურ არდადეგებსა და პრაქტიკულ მეცანიკობებს დ. სარაჯიშვილის საპატრიონოში ატარებდა. მისივე მოგონებით, ერთ-ერთ დასწელებულ ჯიხეს მეტი რომ ვეღარ მოუხერხა, ქეცის საწინააღმდეგო შხამქინიკატი იხმარა, რის შედეგადაც ჯიხვი მოკვდა. ამ ამბის შემტყობი დავითი შეწუხდა. ახალგაზრდა პრაქტიკიკანტიც გრძნობდა უხერხელობას და თავს არიდებდა პატრიონთან შეხვედრას, მაგრამ ამაოდ დავითს საყვედურნარევი კილოთი მიუმართავს ედილისათვის: ბიჭო, რატომ მემაღები? ჯერ ვიდრე რამეს ისწავლიდე, ვინ იცის, კიდევ რამდენ მაგისთანებს გამოასალმებ წუთისოფელს, ექიმობა ეგრეადვილი არ არის, პრაქტიკა და დაკვირვება არის ყველაფრის დედაბობი.

ზ. ედილისათვის ბედნიერი გამოდგა სტუდენტური წლები. ტარტუში დაოჯახდა. ცოდად შეირთო ესტონელი გოგო, სახელად ევა, რომისაგანაც ლრი ქალიშვილი შეეძინა — ნიურა და თამარი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, თანაბმად დადებული ჩაღმეუ-
რულებისა, ზაქარია კავკასიაში გამოვზავნეს სამუშალური ცენტრული

სავეტერინარო ინსპექციამ იგი ნახჩევანში გატეჭოფული სულ
ძნელ პირობებში უხდებოდა ედილს მუშაობა. ოჯახს მოწყვეტილი სულ
იმის ფიქრში იყო, როგორმე მოწყო ბინა, რათა ჩამოეყვანა ტარტური
დატოვებული ცოლ-შეილი. საქმე კი არ იცდიდა, ეპილემია მუსრს აკ-
ლებდა მესაქონლეობას. ძალზე ბევრი სამუშაო ჰქონდა ექიმ-ვეტერი-
ნარს. თავისი პროფესიით გატაცებულმა ახალგაზრდა სპეციალისტმა
დაუდალავი შრომით მოიარა ზანგვაზური, ალექსანდრეპოლი (ამჟამად
ლენინაკი), ნახჩევანი, ერმიაძინი, ბაიაშეთი, ელისავეტოპოლი.

ზაქარიას 1905 წელს გარდაცვალა მეუღლე. იგი ორი ქალიშვი-
ლითურთ დაბრუნდა სამშობლოში. ფაზიურად მოტეხებილი დასასვენებ-
ლად წავიდა აბასთუმანში. აქ მან გაიცნო დარიკო ჩარკვიანი, რომელიც
შემდგომში ცოლად შეირთო.

თბილისში დაბრუნებულ ზაქარიას კ. აბაშიძე ატყობინებდა, ჩასუ-
ლიყო ბათუმში ექიმ-ვეტერინარის ვაკინტური ადგილის დასაკავებლად.
ეს ორივე მეცნიერისთვის სასურველი და ხელსაყრელი იქნებოდა.

ედილმა მიმართა შესაბამის თრგანოებს. ისინიც დათანხმდნენ, მავ-
რამ ხანოვკე გამოიგა ზაქარიას სიხარული, ვიღაცამ დააბეჭდა, რომ
ედილოვი იგრევ ედილაშვილია. ქართველს კი ბათუმში არ გზავნიდნენ.
განრისსხებულმა ინსპექტორმა მოთხოვნა გააუქმა და ცივი უარით გაი-
სტუმრა. ზაქარიამ გადაწყვიტა სარაჯიშვილისათვის მიემართა, მაგრამ
ის თბილისში არ დახვდა. ისევ თანასოფლელ გრიგოლ ყიფუშიძეს მიაკი-
თხა, რომელმაც უთანაგრძნო, მაგრამ იღია ჭავჭავაძის ჩარევა ამ სა-
ქმეში არ ცნო მიზანშეწონილად. რედაქციაში მის ბედად შემოსულმა
ზაქარია ჭიჭინაძემ სრულიად შეცვალა ედილის ცხოვრების გეზი. როცა
შეიტყო მოყვასის გასაჭირი, იგი შეწუხდა, ფიქრით მოზომა შესაძლე-
ბლობანი. სავეტერინარო სამსართველოს უფროსი გულდასმით ჩასწი-
ჩინებდა მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს. მეცნიერის წყენა არ უნდოდა.
ჭიჭინაძეც მოუსვენრად აღენებდა თვალყურს ქაღალდების მრიანს.
უფროსმა დაღლილი სახე ცხვირსახოცით შეიმშრადა. სათვალიდან
შწყრალი მზერა ესროლა ზაქარიას. ცენტრიდან მზერა პერიფერიებს ე
გადაიტანა. უეცრად მოღრუბლელი სახე გაეხსნა და გახარებულმა ხმ-
მაღლა წამოიძახა: კანი, კანი. ჭიჭინაძეს გული შეუტოკდა. მიაყრადა.

უნდოდა პასუხი გაეცა, მაგრამ იყუჩა. თავი ისე მოაჩვენა უფროსს,
თითქოს სადღაც შორეულ დასაკარგავში ავზავნიდა ქართველ ვეტ-

ექიმს. უფროსსაც გაეხარდა საქმის იოლად მოგვარება. შასკიმ წერიძი აზრადაც არ მოხელია, რომ გავიღოდა რამდენიმე ათეული წევზუაზურული მიერ საქართველოს შორეულ პროვინციად წოდებულ დაჭყაბულებულ ზავინილი ჯცი, საინკილოს უზადო პატრიოტიად მოევლინებოდა ქართველ საზოგადოებას.

წევნთვის უცნობია, მანამდე იცოდა თუ არა ზაქარია ელილმა საქართველოს ამ განაპირია კუთხის არსებობა. ასე აღმოჩნდა ზაქარია მაღლცებულ ბარაქიან ქართულ მიწაზე, რომლის ხილვამ აღტაცვებაში მოიყვანა იგი. ზაქარია დაბა კაშში დაბინავდა ოჯახითურთ. მან ჩასკლისთანავე მევობრული ურთიერთობა დაამყარა აღვილობრივ მოსახლეობასთან. ახლოს გაეცნო მათ ყოფა-ცხოვრებას. ინკილო გლეხკაცის გაუხარელმა ცხოვრებამ მალე მიიძყო ედილის ყურადღება. გულმა აღვილად შეივრჩნო თანამომშეთა ტკივილი. თბილისიდან ნაკლებად ხდებოდა ინფორმაციის მიწოდება. ჯერ კიდევ ნელა ლდვებოდა კავკასიონის მწვერვალებზე ჩამოწოლილი თეთრი ნაბდები. უჭირდა აღვილობრივ ინტელიგენციას. არ იყო სასწავლო-აღმინისტრაციული დაწესებულებები. თითო-ორთლა თუ მოიძებნებოდა განათლებული ინკილო ოჯახი. გაპარტახებულიყო საინგილოს ოდესადაც მდიდარი ველ-მინდვრები. საღაოს ძილს მისცემოდა ქურმუხის ეკლესიის ოქროს შამალი.

ედილის ცხოველ ინტერესს იწვევდა დაბა კახის ირგვლივ მიმოფანტეული მრავალი ქართული აზეროლოგიური ძეგლი. როგორც კი ოდნავ შესაძლებლობა მოეცემოდა, მათ ირგვლივ ტრიალებდა, რალაც უხილავი ძალა მოუწოდებდა ეზრუნა მათზე, იგი დეტალურად სწავლობდა, აჯერებდა მათ როგორც ხალხურ სიტყვიერებასთან, ისე ისტორიულ წყაროებთან. აკეთებდა საკუთარ დასკვნებს. საინგილოს მდგომარეობამ, მისმა ბუნებრივება სილამაზემ პროფესიონალ ექიმს ძილი და მოსკენება დაუკარგა. საინგილოს ისტორიული წარსულის ჩხრეკასა და ძიებაში დღითიდე ივსებოდა, ღრმავდებოდა ცოლის თვალსაწიერი. ვეტერინარიის საკულტო მუდამ იყო საწერი ქალალდი, რომელსაც თითქმის ყოველდღე ახალ-ახალი ჩანაწერები ემატებოდა. იქმნებოდა მდიდარი და უნიკალური მასალები. იქაურ მევობრებთან ერთად დაიარებოდა მოუვალ მთებსა და ველ-მინდვრებში. ზედმიწევნით იცოდა ყველა ბილიკი და გადასასვლელი დაღესტანში. მისმა პროფესიულმა საქმიანობამაც ხელი შეუწყო იმას, რომ ასე ახლოს გაეცნო ხალხის ადამიწებებს, მათ ყოველდღიურ შრომა-საქმიანობას. არც ჭირსა და ლხინში ყოფილა განზე მდგომი, შორით მაყურებელი. იგი ყოველთვის მათთან

იყო სულიერად და ფიზიკურად. ამიტომაცაა, რომ მის ჩაწერილ მტრი-ქონებს მიღმა ყოველთვის იგრძნობოდა თვალით ნახულის სტრუქტურის განცდილი, ტევილი და მწუხარება, ავტორის სუნთქვულ სტრუქტურის ნუშორებები მუშად დასდევდა ედილს ცხოვრების მანძილზე. ნიჭიერმა ავტორმა არაერთი ფასეული მხატვრული ნამუშევარი დაუტოვა თავის ერს.

ედილი ათიოდე წელს მოღვაწეობდა საინგილოში და ამ დროისათვის დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა არა მარტო ინგილოებს შორის, არამედ იგი უკვარდათ სხვა ეროვნების ხალხებსაც. ისინი მოწიწებით ეპყრობოდნენ მათ სასიკეთოდ შორიდან მოსულ სტუმარს. ეს სიყვარული და პატივისცემა ედილმა უზადო კაცომოვარეობითა და კეთილსინდისიერებით დაიმსახურა. ყოფილა შემთხვევა, რომ ტყეში ავაზაკად გაჭრილ განრისხებულ დეკს სასიკვდილოდ ამოღებული ხმალი ჩაუგია ქარქაშში ედილის პატივისცემით. ედილი არ დაეძებდა საკუთარ სიცოცხლეს, ოღონდაც მოესწრო ჩანაფიქრის ხორცმებსმა, თავისი პირუთვნელი სიტყვა ეთქვა მომავალი თაობისათვის.

ზაქარიას წინაშე უაღრესად რთული ამოცანა იდგა, კურძოდ, იგი მიზნად ისახავდა საინგილოს ყოველმხრივ შესწავლას. ეს არცოუ ისე იოლი საქმე იყო და თანაც ერთი კაცისათვის მცირე დროსა და რთულ პირობებში.

ედილმა თავიდანეე სწორად განჭვრიტა პერიოდული პრესის გრან-ლიოზული მნიშვნელობა, რომლის მეშვეობითაც იგი ახერხებდა საინგილოში მოპოვებული გასაღებისა და ფოტო-ილუსტრაციების ქართველ მკითხველამდე მიტანას. ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმე გახლდათ. საჭირო იყო დიმიტრისა და მოსე ჯანაშვილების დაწყებული საქმის კაღრმავება და გაგრძელება. ზ. ედილს არ დაუშერია ნიჭი და ენერგია ქართული პრესის წინაშე, რათა ქართველ მკითხველამდე მიეტანა საქართველოს ამ შორეული პროექტის იმდროინდელი მრავალი საჭიროობრიტო საკითხები. ედილის ული პუბლიკაციები ხასიათდებიან საკითხის ღრმა წვდომითა და საინგილოსადმი განუზომელი თავდადებით. ეს არის რაღაც საოცარი სიყვარულით აღტკინებული კაცის გულისთქმა, რომელიც ვამიუცნიანი ძალით გაუსხავს, ვატყვევებს და ვიზიდავს. ედილის პუბლიკაციები მრავლადაა იმდროინდელ პრესაში, რომელთა შესწავლა და სათანადო ანალიზი მომავლის ამოცანას შეადგენს.

ომის დაწყებამ ედილს დაძაბულ და საინტერესო მუშაობაში ხელი შეუშალა. იგი 1916 წელს წაიყვანეს შავი ზღვის სანაპირო რკინიგზის

შშენებლობაზე. ედილის ოჯახი დროებით კახში დარჩა. ამ დროს კახში
მხოლოდ ოთხწლიანი დაწყებითი სკოლა არსებობდა. ედილის გადმოვიდა,
შავის გასაგრძელებლად ზაქათალაში გადმოვიდა, მაგრამ უკარის ტერიტორია
დარჩენილა დიდხანს. მეფის რუსეთის ვრცელ იმპერიაში ტოშბაზა
ძერები არყევდა და ნიადაგს აცლიდა დრომოჭმულ მონარქიას. მძიმე
მდგომარეობაში იყო მაშინდელი ზაქათალა. ერთი მხრივ, აქტიური
ოსმალეთი, ხოლო მეორე მხრივ რუსეთი თავისებურ პლაცარმს ქმნიდა
ამ კუთხეში. ამ საერთო არეულობას თან მოჰყვა სომხების დარბევა,
რამაც ძალზე საშიში პირობები შეუქმნა მოსახლეობას. ერთგვარ შეუ-
ღწევად ცენტრად იქცა ზაქათალა. ედილის ოჯახმა ლევა მანაფასა და
ათოლე შეიარაღებული ლევის დახმარებით მოახრხა სამშეიდობოს გა-
სვლა. ზაქარია წნორისწყლიდან გაძუურებდა მის თვალწინ გადაშლილ
ალაზნის ჭალებს, დაბურულ ტყებს და გული უწესდა, თუ როგორ გა-
მოაღწევდა საყვარელი ოჯახი ავაზაკებით გარემოცულ სამკვდრო-სა-
სიცოცხლო ბილიეს.

საინგილობან წამოსული ედილი შამაპაბისეულ კერას, ს. ბრეთს და-
უბრუნდა. იგი აქაც დიდხანს არ დარჩენილა, მალე გამონახა ვეტექიმია
აღვილი გორში და ოჯახითურთ გადაბარევდა იქ. ეს დაემთხვა გორში
მომხდარ მიწისძერას, რომლის შედევებაც თითქმის დაცარიელდა ქა-
ლაქი. მიწისძერით გამოწვეული შიში მაღლ მინელდა. ქალაქი ისევ და-
უბრუნდა თავის ყოველდღიურ ცხოვრებას. ზაქარია გორში დარჩა.
ახალმა კომენდანტმა ზაქარია, უარის მიუხედავად, ლაზარეთის უფრო-
სად დანიშნა. ზაქარიას დახმარებით მოხდა გაქცეული ექიმების უკან
დაბრუნება და, სამსახურში ჩაყენება. მოკლე ღროში ზაქარია მაზრის
უფროს ვეტექიმად დაინიშნა, მან აქაც უნერვიულად იშრომა, იმნად
მძეინვარე საქონლის ჭირს მედგრად დაუპირისისირდა. მან ირგვლივ შე-
მოიკრიბა კარგი სავეტერინარო კადრები, რომელთა შორის იყო ცო-
ბილი შეწრალი შიო დედაბრიშვილი (არავისპირელი). ეპიდემია შეწყ-
და, რის შემდეგაც შ. არავისპირელი თბილისში გადმოვიდა.

ზაქარია ედილის რედაქტორობით 1925—1927 წლებში ქ. გორში
გამოდიოდა გაზეთი „წითელი ქართლი“. იგი სამი წლის განმავლობაში
უსასყიდლოდ ემსახურებოდა საყვარელ საქმეს.

1936 წელს, ახალგაზრდა კადრების გამოჩენისთანავე, ედილი ჩამო-
შორდა აქტიურ მოღვაწეობას და მხოლოდ რკინიგზის ვეტსანიტარული
უბანი დაიტოვა, რომელსაც სიცოცხლის ბოლო წლებამდე უძღვებოდა.

ამან მას საშუალება მისცა მეტი დრო დაეთმო დატერმინირებულ საე-
მიანობისათვის.

ერთვენ უცე-
კრებული

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ზაქარიას საინგილოშეცულყოფის წელი წელი
ქრებული პქონდა ამ კუთხის შესახებ მონოვრაფის დაწერა. საჭარისია
თვალი გადავავლოთ იმდროინდელ პრესის ფურცლებს და ჩვენ დავინა-
ხავთ აურაცხელ კორესპონდენციებს, გამოვზარდილს საინგილოდან.

ედილს უურადღების გარეშე არ დარჩენილა ისტორიული დოკუმე-
ნტები საინგილოს შესახებ. მას კავშირი პქონდა გამოჩენილ ინგილო
მოღვაწეებთან, რომლებიც იმ დროს, მართალია, ცოტანი იყვნენ, ზაგ-
რამ მით უფრო აუცილებელი იყო მათთან კავშირის დამყარება. უკვე
კარგად იყვნენ ცნობილი ჯანაშვილები, თვალნათლივ ჩანდა მათი უან-
გარო ღვაწლი სამშობლოს წინაშე. შეუძლებელია ედილს მათთან არ
პქონოდა ურთიერთობა. მართალია, ულმობელმა დრომ ბევრი რამ მოს-
პო და გაანადგურა, მაგრამ, საბედნიეროდ, დღემდე აქა-იქ შემორჩა თი-
თო-ორთოლა ცნობა ამ მეცნიერობის შესახებ. 1948 წელს ზაქარია წე-
რილობით მიმართავდა სრულიად საქართველოს მწერლების კავშირის
თავმჯდომარეს — ს. ჩიქოვანს, ცნობილი ისტორიკოსის დ. ჯანაშვი-
ლის მიერ სამშობლოს წინაშე გაწეული ამაგის დასაფასებლად მის სა-
ულავწე ძეგლის აღმართვის შესახებ. მგზნებარე პატრიოტი მიმართ-
ვის დასასრულს შენიშნავდა: „ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს დიდი მოღვაწე
საინგილოსი ღირსია მწერალთა კავშირის ყურადღებისა და დაბეჯითე-
ბით მოუწოდებ მათ, რომ მის ობლად დარჩენილ საულავს (გარდაიც-
ვალა 1905 წელს, დასაფლავებულია ს. კახში) ყველასაგან მიტოვებულ
და უპატრიონოს, პატარა ძეგლი მაინც დაუდგათ და მით ერთვნეული ვა-
ლი მაინც მოიხადოთ ამ საინგილოსათვის თავდაღებული კაცის წინაშე.
ეს მით უფრო საჭიროა, რომ საქართველოს დედამუშავს მოწყვეტილი
საინგილოს ერთგვარი პატივისცემა და ყურადღება იქნება“.

საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფი
მუზეუმში მ. ჯანაშვილის ფონდში დაცულია ზაქარია ედილის სამი წე-
რილი, მოწერილი მოსესადმი. წერილები გამოგზავნილია კახიდან. ისი-
ნი უთარილონია, მხოლოდ ერთ-ერთის საუსტო ბეჭდის მიხედვით
დგინდება, რომ კახიდან გამოგზავნილია 20. 11. 09 და მიღებულია თბი-
ლისში 28. 11. 09-ში. ბარათები ედილის საინგილოში მუშაობის დაწყე-
ბის წლებშია დაწერილი და, ამდენად, საინტერესოა ამ კუთხითაც. პირ-
ველ წერილში ზაქარია მაღლობას უთვლის მოსეს გაგზავნილი წიგნები-
სათვის („საქართველოს ისტორია“, „გრამატიკა“) და ამასთანავე აცნო-

ბებს, რომ სჭირდება „საქართველოს ისტორიის“ მეორე გამოცემა
ასევე აღტაცებულია და სთხოვს მას მიაწოდოს დ. ჯანაშვილის წიგნი
„შაპ-აბასის შემოსევა საქართველოში და საინგილო“ და ამატებული წერილი
1891 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებული სტატია „ისტორიუმის მიერ ეს
ხილვა საინგილოსი“, ეფილი ამასთანავე შენიშვნავს: „მე ვანძრახული
მაქვს კოველმხრივ აღწერა საინგილოსი და უმთავრესად იმ მწვავე სა-
კითხებისა, რომელიც ქართველთა საზოგადოების უყურადღებობის
გამო, მაჯლაჯუნასავით თავს დასევიან საინგილოს და გადაგვარებასა
და ამოვარდნობისაკენ მიაქანებენ. ჩემი მოკლე წერილები „ამირანში“
მხოლოდ კონსპექტს წარმოადგენენ. ყველაფერს, რასაკვირველია, შეს-
წავლა უნდა და თუ შეეძლებ ყველა ამას, შედეგი გვიჩენებს. თქეენი
დიდი იმედი მაქვს ამ საქმეში დახმარებით და გზის ჩერენებით. თქვენ შე-
გიძლიათ შრომა გამიადვილოთ“.

როგორც ჩანს, საქმე უკვე დაწყებულია. ეფილი დახმარებასა და
მხარში ამოდგომას სთხოვს საინგილოს დიდ მოჭირნახულებს. მას კარ-
გად ესმის, რომ მხოლოდ მასთან ურთიერთოვაშირი უჩვენებს გზას
და დააძლევინებს ტიტანურ შრომას.

მეორე წერილში არქეოლოგიურ საზოგადოებაში გაწევრიანებას
სთხოვს ჯანაშვილს და თანაც უხსნის, რომ ამის გარეშე უჭირს დაღვეს-
ტანში თუ სხვა მიღამოებში მუშაობა, რაღვანაც ოფიციალური ქაღალ-
დი გადამწყვეტია საქმის მოვარებისათვის. ეფილს აინტერესებს კავ-
კასიელი ბალების ისტორიის შესწავლა. იგი სთხოვს ჯანაშვილს აშვე-
ნიონს ბუტკოვის წიგნები, რათა საფუძვლიანად ჩასწოდეს საკითხის
არსს. სხვა საინტერესო ცნობასთან ერთად ედილი აღნიშნავს, რომ იგი
შეხვედრია და უსაუბრია ცნობილ ლინგვისტთან ბ. დირთან, რომელიც
საინგილოდან დაღესტნისაკენ მიემგზავრებოდა, მაგრამ ის გაოცებულია
ბ. დირთან შეხედულებით, რასაც არ მაღავს კიდეც: „ეს, მე მცონი, იქი-
დან გამომდინარეობს, რომ დირთა იცის მარტო ენები და ისტორია კი
არა, მე მცონი ისტორია და ლინგვისტიკა ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა
მიდიოდეს“. ედილს კარგად აქვს დანახული პუმანიტარული მეცნიერებე-
ბის ურთიერთოვანებირი, ურომლისოდაც მეცნიერების წინსვლა შეუძლე-
ბელია.

სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების შესწავლასთან ერთად, ედილის
ცხოველ ინტერეს იწვევდა 1863 წლის საინგილოს აჯანყების შესწო-
ლა, რაზედაც იგი, როგორც ჩანს, დიდხანს მუშაობდა. მას, ადგილზე
შეკრებილი მასალების გარდა, სურდა გაევო, სადმე თუ იყო წერილობი-

თი დოკუმენტები. მოსეს თხოვდა, ეცნობებინა ამის შესახებ, არის არა აქტებში, თუ არ იქნებოდა, უნდა მოეძებნა ზაქათალის მაწირის განცელარიაში, რაზედაც უკვე შეპირებული პყოლია ოლქის მუნიციპალიტეტის ი

შესამე წერილში კვლავ იმეორებს პირველ წერილში კუთხეში აზრს, მაგრამ უფრო ვრცელ გეგმას სახავს: „პატივცემულო მოსე, მე განძრახული მაქვს ვრცელი წიგნის გამოცემა საინგილოს შესახებ, რომელიც 24 სხვადასხვა წერილებისაგან უნდა შედგეს. ზოგიერთს საფუძვლად უნდა დაეღოს ის პატარა კონსასექტები, რომელიც გაზეთებში იძეჭდებოდა. წიგნში სურათებიც იქნება მოთავსებული. 400—500 კვერდი იქნება და ისეთი ხასიათი უქნება, როგორიც არის მშვენიერი წავნი „ფილანდიაზე“ ან კიდევ ვაღოვოზოვის წიგნები ევროპელების შესახებ“. ედილი თხოვდა მოსეს წიგნის რედაქტორობას და ხაერთოდ აინტერესებდა, რას ფიქრობდა მოსე ამ იდეაზე. სამწუხაროდ, დღემდე უცნობია, მართლაც რას ფიქრობდა იგი აღნიშნული კრებულის მომზადებაზე. იქნებ თავად აპირებდა ამგვარი წიგნის გამოცემას?! ეს ხომ დროის ის მონაცემია, რომელშიაც უნდა შევროვილიყო მოსეს წიგნის „საინგილოს“ მასალები, რომლებიც უკვე 1913 წელს ერთობლივად დაიბეჭდა „ძველი საქართველოს“ II ტომში. იქნებ ეს ასეც იყო, მაგრამ ზაქარიას არ შეუწყვეტია ფიქრი წიგნის მომზადებაზე. ისე კი დიდხანს ელოდა, ელოდა სანამ მრავალი ქარტეხილებით აღსავს დრომ ცის კაბადონზე 1947 წლის აღმობრწყინება არ აუწყა. ამასთანავე უფრო იმატა ქართულ პრესაში ედილის მომხიბლავება და სულისჩამწვდომმა პუბლიკაციებმა, მკითხველის თვალს უკვე უცხოდ აღარ ხედებოდა ჯანაშივალების წერილებთან ერთად უცნაური ვარის კაცის — ედილის პატრიოტული მოწოდებანი. ივი დღემდე „ედილის“ ფსევდონიმით გამოცნობებ პიროვნებად დარჩა საზოგადოებისათვის.

ედილის მდიდარ არქივში, ერთ-ერთ უსათაურო რეეულში წარმოდგენილია ძალზე მნიშვნელოვანი ჩინაწერი, რომელიც დაკავშირებულია წიგნ — „საინგილოსთან“. ნაწერს თარიღი არ აქვს. აქ გადმოცემულია ზოგიერთი იმდროინდელი თანამდებობის პირის უმზგავსო საქციელი, მათი უკიცობა, რომელთა საქმიანობაც ხელს უშლიდა ხალხთა შორის მევობრულ ურთიერთობას. თუმცა უჯობესია ედილის ნაწერი მოვიშეველით: „საინგილოს“ სურათების გადასაღებად და საჭირო ცნობების შესაკრებად გავემგზავრე საინგილში. ს. კაქში დაუიჭირე ეტლი

და უნდა წავსულიყავი ლექეთისა და ყუმის ყოფილი მონასტერ-ეკლესის სიების სურათების გადასაღებად. უცებ მოვიდა მიღიციონერთ და, შეუძლი მომიცხადა საჩიაროდ გამოვტანდებულიყავი ჩევის უფროსისთვის. შეცრა რა საკვირველია მაშინათვე ვეახელი, მაგრამ ჯერ არ შევსულმციქმას შეასრულა, რომ კარებშივე წამართვეს ფოტო-აპარატი, პორტუჯელი და ყოველივე, რაც კი თან მქონდა. შესვლისთანავე უფროსმა გვარად ქათიბმა დამიღრიალა: რა გვარი ხარ და რისთვის მოსულხარ აქა. მე ამოვიღე მივღინების ქაღალდი საქართველოს განათლების კომისარიატისაგან გაცემული და გადავეცი. იმან გადაიყითხა თუ არა, დაიღრიალა: რა უფლება პქონდა თქვენს განათლების კომისარს, რომ აქ მოგავლინა, არ სცნობთ, რომ აქ ადრიბაიჯანია და არა საქართველო. ეხლავე დაგამატიშებო.

მე იმის ღრიალმა ვერ შემაშინა და სრულიად დამშვიდებულად ვუპასუხე: ჩემს დასაპატიმრებლად მომიტანეთ წინასწარ პორტურორის სანქცია, ნუ გავიწყდებათ, რომ მე სტალინის ნამხანაგარი ვარ, ერთ სასწავლებელში ვსწავლობდით. ვთხოვთ იცოდეთ, რომ საქართველოს უმაღლესი საბჭოს მდივანი ჩემი მახლობელი ნაცნობია, რომელთანაც რამდენიმე წელიწადს ერთად რედაქციაში ვმუშაობდით.

უფროსი შეჩერდა და მეორე ოთახში გავიდა, საიდანაც ჩქარა გამოვიდა ჩემი განხეთით ხელში. ეს რადა არის?! — მრისხანედ მომმართა იმან. თქვენ უორდანიას მეგობარი ხართ? ხელში მომაჩეჩა პორტუჯელი-დან ამოღებული ძევლი მენშევიკების ღრონილელი განხეთი, რომელშაც შოთასებული იყო განტხალება ნ. უორდანიას ნაწერზე ხელის მოსაწერათ. ვერც ამით შემაშინა ჩეკისტმა და მე სწრაფად ვუპასუხე: თქვენ ალბათ რედაქციის მუშაობას ნაკლებადა ხართ გაცნობილი. ეგ განცხადება მხოლოდ ჩემს ნაცნობობაზე უორდანიასთან სრულებით არა-უერს ამბობს. ეს ცალი განხეთისა იმიტომა მაქეს, რომ ამაში წერილია ჩემი თქვენი ქვეყნის შესახებ. თუ ქართული იცით, შეგიძლიათ წაიკითხოთ. — რაც გინდათ ბევრი იღაპარა კორო, მე მაინც უნდა დაგამატიშროთ. ამ ღრის შემოვიდა მეორე ჩეკისტი, რომელიც ალბათ გარედან ყუჩს უგდებდა ჩეკეს ლაპარაქს, მხიარულად საღამი მომცა და მითხრა: მე ბოვდანოვი ვარ ბორჯომიდანო, იქიდან გიცნობთ თქვენ. ის თურმე თანაშემწე ყოფილიყო პირველისა. მიუბრუნდა და ასე უთხრა: არა ვრცხვენია, როგორ ელაპარა კებით და ემუქრებით ამ კაცს, წაეა საქართველოში და რას იტყვის ჩეკეზე. ეს ბოვდანოვი რომ არ ყოფილიყო, დაპატიმრება არ ამცდებოდა“.

მაგრამ არც კარგი ბედი ეწერა თანამოძმეთა გათვითცნობიერების — თვის მოვლენილ წიგნს — „საინგილოს“, რომელიც, აზტარულუსტუმანუ ვით რომ ვთქვათ, როგორც კი მოუვიდა „ს. კავის წიგნის მეტყველებულებული ურთიო-ორი ცალი კი გაყიდეს და, რა გაიგეს შინაარსი, საჩქაროდ შეჩემალეს და გასაყიდად აღარ გამოუშვეს“. ასე უკვალოდ გაქრობა და მოსპობა პქინდათ განძრახული „საინგილოსი“, მაგრამ რეპრესირებული ნაშრომი გადარჩა, შთამომავლობას იყი მოევლინა, როგორც ერთ-ერთი ძვირფასი რელიქვია ამ კუთხის შესახებ.

ედილის არქივში დაცულია რამდენიმე სქელტანიანი რეეული, რომელიც მოიცავს წიგნ — „საინგილოს“ მასალებს. წიგნის შედარებაში აღნიშნულ ხელნაწერებთან დაგვანახა, თუ რაოდენ შემცირებული სახით არის წარმოდგვნილი ავტორის დედანი. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ტექნიკური შეზღუდულობის გამო ვერ მოვახსერხეთ წიგნის სრულყოფილი გამოცემა, როგორც ეს ავტორის ნება იყო.

„საინგილო“ პირველად დაიბეჭდა 1941 წელს უკრნალ „მნათობის“ №№ 5—12 ნომრებში. ფაშისტური გერმანიის მიერ დაწყებული ომით გამოწვეულ სიძნელეების გამო მისი გამოქვეყნება არ შეწყვეტილა წლის ბოლომდე, იმდენად დიდი იყო ინტერესი საინგილოს ცხოვრებისა და დამდინარების.

ედილის „საინგილო“ წიგნად 1947 წელს გამოქვეყნდა გერონტი ქიქოძის რედაქტორობით. ქართულ მეცნიერებაში, მ. ჯანაშვილის „საინგილოს“ გარდა, არ მოიძებნება ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, როგორიცაა წინამდებარე კრებული. ხსენებულ ნაშრომს დიდი მისია აკისრია. ის ერთვარი ენციკლოპედიური ხასიათისაა და ღრმა ცოდნით აძლიდრებს მკითხველის ცოდნის თვალსაწირს.

წიგნის ავტორი თხრობას საინგილოს ბუნებისა და ადგილმდებარების აღწერით იწყებს. მხატვრული სურათებით აქვს გადმოცემული საინგილოს მშვენიერი ბუნება და ადგილმდებარეობა. მისხალ-მისხალ არის გაანალიზებული აქაური გზები და ხევნები, ტყეები, ნადირები და ფრინველები. საზამთრო და საზაფხულო საძოვრები, მდინარეები და თევზები, თავშესაფრები და გამოქვაბულებები, სამურნალო წყლები, ჭაობები და ტექნიკური მცენარეები. თხრობა იმდენად მხატვრული და მიმზიდველია, კითხულობ და ისე გვონია ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკევი კი არაა თქვენს წინაშე, არამედ სევდისმომგვრელი, მომხიბლავი რომანის გვერდებს უურცლავთ.

ფაქტობრივი მასალის ღრმა ცოდნით არის დაწერილი მსზორის ნაწილი. ავტორს დიდალი შრომა ჩაუტარებდა, რათა ამ როგორი რეკორნის ისტორიულ დაბირინთებში გარკვეულიყო და სამართლებრივი სტრუქტურის მისულიყო. საყურადღებოა თუნდაც აյ წარმოდგენტემ ტექნიკური კურსები, როგორიცაა სწავლა-განათლება, ლექციები ურთიერიობა, მათი პირველი ახალშენები, შაპ-აბასი და ყარალაჯის ხანები, ჭარ-ბელაქანი და მათი თემობრივი შედეგებილობა, მონობით ვაჭრობა ჭარში და ა. შ. მართებული პოზიციიდან არის გაშუქებული ამ კუთხეში ელისოს სასულთნოს წარმოშობისა და უუნქციონირების უაღრესად როგორი საკითხები. ცალკე თავადაა გამოყოფილი საინგილოს შეერთება რუსეთთან. ისტორიულ ნაწილში განალიზებულია 1915 წლამდე შემორჩენილი ბატონუმობის ნაშთი. ავტორს მოწინებით მოყვავს აქტებში შემონახული გრიგოლ ორბელიანის მოხსენება, რომელშიაც აღწერილია საინგილოს იმდროინდელი საშინელი მდგომარეობა.

ასევე სისრულითა და საქმის ცოდნით არის აღწერილი ხალხის ყოფა-ცხოვრება. ავტორი ისეთ სიყვარულსა და სიმატიას იჩინს ინგილოების მიმართ, რომ მკითხველი უნდა მის ზეგავლენის ქვეშ ექცევა. გამოცდილ პუბლიცისტს არც ერთი უმნიშვნელო წვრილმანიც კი არ გამორჩენია ინგილოთა ცხოვრებიდან. ამ დროს აღნუსხული მასალები იმდენად სანდო და უტყუარია, რომ მათ შეცნიერები ისტორიულ პირველწყაროს მნიშვნელობას ანიჭებენ.

ზ. ედილი დიდი გულისტკივილით დასტირის იქაურ მატერიალური კულტურის ძეგლებს. იძლევა ამ არქეოლოგიური ნაშთების შესახებ შესაშურ აღწერილობას, რაც ესოდენ ფასეულია შეცნიერებისათვის, განხილული აქვს ბელაქნის უძველესი ეკლესიები და მონასტრები, ძველი ფაფანი, ბახთალა და მისი ტაძარი, ლექეთი და მისი მონასტრების ნაგრევები, ყუმის ტაძარი, ქურმუხის წმინდა გიორგი, გენუხი, ვიში და მისი სამოურაო ტაძარი, კონმახი, ნუხა-ვართაშენი და მისი ეკლესია, კავკასიის კედელი.

წიგნის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია ქალის მდგომარეობა და მოხახლეობის შემცირება საინგილოში. ამ წიგნში წარმოდგენილი მასალა განლაგებულია 9 თავში.

ედილისავე არქივში მივაკვლიერ წერილს, რომელშიაც ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას ამ წიგნის („საინგილოს“) ავკარგიანობის შეხახებ. ეს შეხედულება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მასზე ღირს ყურადღების გამახვილება. ავტორის შენიშვნები ძირითადად წიგნის შემ-

დგომი გამოცემის სრულყოფით არის ნაკარნახევი. ძალზე დასახანდა, რომ ჩვენც ვერ ვახერხებთ ავტორის ჩანანიფერს წიგნში სრულყოფილი გამოცემისათვის. ეს ეხება პირველ რიგში საინგილოში მოითხარით შემრავალუეროვანი მეურნეობის აღწერას. წიგნში უნდა შეუსულიყო ზოგ ნამრეწველობის მცირე აღწერა მაინც, რომელიც დროთა ვითარებაში თანდათან ბით მცირდებოდა. არადა ავტორისავე საყურადღებო წერილები იძევდებოდა სამეცნიერ უწინალ „მოსავალში“. ასევე გულისტკი-კილს გამოთქვამს, რომ არ არის შეტანილი დიდმალი ინგილოური ფოლკლორული მასალა, ბევრი ძვირფასი ლეგენდა და ზღაპარი, რომელიც ეჯილის მიერ ერთ დროს მთელი სისრულით იყო წარმოდგენილი უწინალ-გაზეთებში.

წიგნში არ არის ახსნილი რას ნიშნავს ინგილო, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია მკითხველისათვის.

ისტორიულ ნაწილში უნდა განხილულიყო წარსული საუკუნის 60-იან წლებში საინგილოში მომხდარი აჯანყება პაჯი მურთუზის მეთაურობით, რომელსაც საბეჭისწერო მნიშვნელობა ჰქონდა საინგილოსათვის.

წიგნში წარმოდგენილია 8 სურათი, მაგრამ საჭირო იყო მეტი ფოტოილუსტრაციები, განსაკუთრებით არქეოლოგიურ განყოფილებაში. უნდა შესელიყო ძეგლების სურათები, რადგანაც ეს ძეგლები დროთა განმავლობაში იღუპებიან და ქრებიან. ედილი სინაწელს გამოთქვამდა, რომ წიგნს არ დაერთო მის მიერ შედგენილი საინგილოს რუკა. ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის გამოცემას ვერც ახლა ვახერხებთ სხვადასხვა ტექნიკურ მიზეზთა გამო.

ზ. ედილს გამოყენებული აქვს 32-მდე ისტორიული წყარო საინგილოს შესახებ. ესენია ძირითადად რუსული და ქართული წერილობითი წყაროები: თ. ბატონიშვილის „არჩილიანი“; ფურცელამის „ბრძოლა საქართველოს მოსაპოვებლად“; ვახუშტის ვეოვრაფია; თ. უორდანიას „ქრონიკები“; დ. ჯანაშვილის „ისტორიული აღწერა პერეოთისა და სხვ. შეოლოდ ერთგან იბსენიებს მ. ჯანაშვილის უკვე გამოქვეყნებულ „საინგილოს“.

ზ. ედილის „საინგილო“ დღეს ბიბლიოგრაფიულ იშევათობას წარმოადგენს. ამ გამოცემისას წიგნის ტექსტს უცვლელად ვტოვებთ. ნაშრომს ერთვის წინასიტყვაობა, შენიშვნები, ბიბლიოგრაფია და საძიებელი. აღნიშნული წიგნის გამოცემა აუცილებელია. მას დიდი აღფრთოვანებით შეხვდება სტუდენტი ანალგაზრდობა, ქართველი მკითხველი,

რომლებიც დაინტერესებული არიან ამ კუთხის ისტორიული წარსკრინით.

ურუვნეული

ზ. ედილის, როგორც შემოქმედის სფერო, მრავალურიცხვული დროშების არა მარტო კულტურულ-ეთნოგრაფიული თუ ფოლკლორული მასალების შემკრები და აღმნისხველი გახლავთ, არამედ ნაყოფიერი შემოქმედიც. საინგილოს ტურფა სანახებმა, მისმა განუმეორებელმა თავისებურმა კოლორიტმა ვანაპირობა იმდროინდელი ედილის დიტერატურული წიაღსვლები, რომელთაც ლაიტმოტივად უძლვით ამ კუთხის სიყვარული. მისეული მოთხრობა თუ ნარკვევი, ჩანახატი თუ ესკიზი ისევე მიზიანდეველი და სათაყვანებელია, როგორც შინით გაძრწყინებული კავკასიონის თეთრი მწვერვალები, აღაზნის ჭალებში გარეული ტახის დაწანი. ედილის კალამს ეკუთვნის საინგილოს თემატიკაზე დაწერილი ისეთი მოთხრობები, როგორიცაა: „ცრემლების ლელე“ (ამბავი ინვილოთა ცხოვრებიდან), „თხილის ქარხანა“, „წყეული წუთები“, „ჩაღრი“, „ფიფქია და ყინვია“, „ბულბული“, „მაისობა მთაში“, „ჩინებურს გვასწავლიან“, „ქალი მამასახლისი“ (ინგილოური თქმულება), „თავების ციხე“ და სხვა, რომელთა გამომზეურება ერთობ საშური საქმეა. ამასთანავე შემონახულია ბრწყინვალე ჩანაწერები საინგილში არსებულ სხვადასხვა სამეურნეო ჯიშებზე. მაგალითად: პურზე, უეტვზე, ბრინჯზე, თხილზე, კაკალზე, ვაშლზე, მსხალზე. აღწერილი აქვს ინვილოური სამზარეულო.

ედილის ჩანაწერთა შორის მივაგენით გამოუქვეყნებელ შესანიშნავ ლექსს საინგილოზე — „მიყვარს, მიყვარს“.

ცალკე უნდა აღინიშნოს ზ. ედილის მთარგმნელობითი საქმიანობა-მის კალამს ეკუთვნის: ვი-დე მოპასანის „ზეთისხილის ჭალა“, „სასტუმრო თოვლში“; ი. ტურგენევის „წინადღე“; ა. ჩეხოვის „უშემწევონ“; დოროშევიჩის „უალლაოდ“; ა. მურავიოვის მოგზაურობიდან „საქართველო და სომხეთი“ და სხვ.

ზაქარია ბეკრს მუშაობდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემებზე აღსანიშნავია მისი „ერეკლე მეფე და გრაფი ტოტლებინი“, „ვახტანგ მეფე და პეტრე დიდი“, „მეფე თემურაზ I-ის დამოკლებულება რუსეთთან“, „ასპინძის ომი“ და სხვ. ეს უკანასკნელი ჩამოში, ისე როგორც სხვა მნიშვნელოვანი ნაწერები, დღემდე არ გამოქვეყნებულა; 1945 წელს ზაქარიასადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ლევან ასათიანი, რომელიც დიდად აფასებდა ედილის დვაწლს, გულნაკლეულად შენიშნავდა: „თქვენი ნაშრომი, ეგზომ საინტერესო და სასა-

რგებლო, დაწერილი ცოდნითა და ნიჭით რამდენჯერმე გამოუიღე კნ-ჯინიდან იმ განძრახვით, რომ ერთ-ერთ მიმდინარე ნოქტიში შემუშავდა, მაგრამ ჯერჯერობით, როგორც ხედავთ, ვერ მოვახდეს უექტეს მშენებელი მდინარე წლის განმავლობაში მაინც დავდევდო". ბევრს ეცადა ლევან ასათიანი, მაგრამ ვერ მოახერხა. მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, მა-გრამ, სამწუხაროდ, განჯინაში შენახული „ასპინძის ომი" არავის ვახ-სენებია.

ჩვენამდე მოაღწია ზაქარიას მრავალმა წერილმა, გაგზავნილმა სხვადასხვა მისამართზე. კერძო პირების გარდა, აქა მოთხოვნები მწე-რალთა კავშირის სახელზე. ზ. ედილი დახმარებას თხოულობდა წიგნის გამოცემის საყითხში. მის მიერ მომზადებული წიგნების გამოცემა სა-ჭირო და აუცილებელი იყო, როგორც მეცნიერებისათვის, ასევე ფართო მეითხელისათვის. ამის საილუსტრაციოდ მოვიყენოთ ამონაწერს ერთ-ერთი წერილიდან: „მზადა მაქეს გამოსაცემად ინგილოური ზღაპრები და ლეგენდები, რომელებიც მოცულობით ორს ფორმაზე მეტს არ დაი-ჭირს. ეს ლეგენდები და ზღაპრები, რიცხვით 18, დაბეჭდილი იყო სხვა-დასხვა დროზე ქართულს უურნალ-გაზეთებში: „განათლებაში“, თეა-ტრისა და ცხოვრებაში“, „ცნობის ფურცლის დამატებაში“, „სახალხო გაზეთში“, „ამირანში“ და სხვაგან.“ ავტორი იძლევა განმარტებას, თუ რა ხასიათისა არიან ეს ლეგენდები და რატომაა აუცილებელი მათი დროული გამოცემა... რადგანაც: „ამ ლეგენდებში უმთავრესად დასუ-რათებულია ბედშავი მდგომარეობა, რომელიც თავს დაატყდა საინგი-ლოს შაპ-აბასის აქლების შემდეგ და რომელმაც თავგანწირევამდე მიი-ყვანა მისი მოსახლეობა... მათი გამოცემა მით უფრო საჭიროა, რომ ხა-ლხის ხსოვნიდან ისინი ქრებიან და იყარებიან. 1907 წელს ჩაწერილი ჩემი ლეგენდები „თავების ციხე“, „ოურთხი მოღალატეს“, 1940 წელ-ში მოეღლი საინგილოს შემოვლის დროს თითქმის აღარავის ახსოვდა“. ამასთანავე, ურიგო არ იქნება, აქვე მივუთითოთ, თუ რა დიდ შეფასებას აძლევდა ერის გამოჩენილი მოამავე იაკობ გოგებაშვილი აღნიშნულ ხა-ლხურ მარგალიტებს: „შენი ლეგენდები ისე მომწონს და ისე მხატვრუ-ლად გადმოსცემენ ხალხის ჭირ-ვარაშს, რომ ზოგიერთი სამ-სამჯერ წავიჟითხეო“. ეს მართლაც, რომ დიდი შეფასება იყო დედაენის ავტო-რისაგან, რომელსაც საინგილოზე ფიქრი ყოველთვის თან დასდევდა, მოსევნებას არ აძლევდა. თითქოსდა საუკუნეების მიღმა, წინაპართა ძახილში მკვეთრად იკვეთებოდა ქლიავის ხეზე შემართული ინგილო ქალის სახე, რომელიც მზადაა ანაცვალოს ყოველივე უძვირფასესი სა-

შშობლოს კეთილდღეობას. იაკობმა კარგად იცოდა, თუ რა აუცილებელი
იყო ინგილო ტიპის გამოშეურება, ამ მოთხრობას მოპყვებოფაზურული
ბის სიყვარული და პატივისცემა მათოვის უცნობი ინგილო ქართველი მარწიმი
შეწრალი სახელმძღვანელოში პატარებისთვის ამოუცნობ დაღებად
ტოვებს, თუ ვინ არის ეს ინგილო ქალი, ან რისთვის ეწოდა ესეოდენ
თავისებური სახელი. იაკობ გოგებაშვილის „ერეკლე მეფე და ინგილი
ქალი“ იმდენად აზრმდიდარია და შთაბეჭდავია, რომ იგი ქართველი
კაცის განუშორებელი თანამგზავრი ხდება. სწორედ იაკობისეულმა ინ-
გილო ქალმა შეიტანა განუზომელი წელილი ამ კუთხის დედასაქართვე-
ლოსთან დაკავშირების საქმეში. ი. გოგებაშვილის, როგორც შესანიშ-
ნავი მწერლის, უსაზღვრო პატრიოტისა და დიდი ქველმოქმედის ედი-
ლისეული დახასიათება ძალზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მყითხვე-
ლზე. კეთხულობთ ჩანაწერს და ჩვენს თვალწინ წარმოდგება იაკობის
სათხოებით აღსავსე სახე: „იაკობი იყო მეტად წყნარი კაცი, დიდად
შოყვარული სამშობლოსი. დიდი პატრიოტი, ამავდარი და ქველმოქმედი-
თუკი საშუალება ჰქონდა, ყველა გაჭირვებულს ეხმარებოდა, და, კან-
საკუთრებით კი, ლიტერატორებს. დაავალმყოფებულ ნინიკაშვილს გარ-
დაცვალებამდე 25 მანეთს უგზავნიდა ყოველთვიურად. კრთხელ შეც
გამიჭირდა სტუდენტობის დროს... მივმართე წერილით იაკობს, ვაც-
ნობე ჩემი გაჭირვება და ვთხოვე სესხის სახით გამოევზავნა ჩემთვის
30 მანეთი. მოკლე ღროში მივიღე ეს ფული“. ედილმა სამადლობელი
წერილი მისწერა იაკობს და აღუთქა, რომ მალე დაუბრუნებდა სესხს.
სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ზაქარიამ სცადა მწერლის ვალის
გასტურება, რაზედაც იაკობისაკან ცივი უარი მიიღო. ედილის დასამ-
შვილებლად გოგებაშვილმა პრესაში გამოქვეყნებული წერილები მოუ-
წონა და სესხი იმათში გაბარებულად ჩათვალა.

ედილის ჩანაწერებმა შემოევინახეს მნიშვნელოვანი მოგონებები იმ-
დროინდელ გამოჩენილ მოღვაწებზე, რომლებთანაც იგი მეგობრობდა.
გულთბილი სტრიქონებით იხსენიებს გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელს
გიგო (გრიგოლ) ყიფშიძეს, რომელიც რევოლუციის პირველ ხანებში
ქუთაისის ვიცე გუბერნატორი ყოფილა. მას ხარჯოვის უნივერსიტეტის
ისტორიის ფაკულტეტი ჰქონია დამთავრებული. ქართული ენის ღრმა
მცოდნე, იგი მეტად სასტიკი ყოფილა სტილის სწორების დროს. გად-
მოცემით, იგი არვის ინდობდა, თვით ილია ჭავჭავაძესაც კი. ზაქარია
ივონებს: „გ. ყიფშიძე ზედ გამოჭრილი სარედაქციო მუშაკი იყო, დიდი

მცოდნე ქართული ენისა და ლიტერატურისა. გადამეტებით არ იქნება ითქვას, რომ სალიტერატურო ენის ცოდნაში მაშინდენ უფრო უძველესი როში მას ტოლი არ ჰყავდა. უამისოდ არცერთი წერტყმაში უშესული და ვაზეთში გინდა ეს წერილი თვით იღიასი ყოფილიყო. როგორც საადგილმამულო ბანკის დირექტორი, იღია მუდამ გართული იყო ბანკის საქმეებში, იშვიათად შემოიხედავდა ხოლმე რედაქციაში. უფრო კი სავაზეთო წერილებსა გზავნიდა ხოლმე ვაზეთებში დასაბჭდად“. ერთხელ შემოგზავნილი წერილი წინ დაიდო ყიფშიძემ და ამის სწორებას შეუდგა. როდესაც ამ ამბით გაკვირვებულმა ედილმა კითხა გრიგოლს, როგორ თუ იღიას ნაწერსაც შესწორება უნდაო, მან უთხრა: „რა გვონაა, იღია, რომ დიდი მწერალია განა იმას კი არ ექნება შეცდომები? ასევე შეუდგა იაკობ გოგებაშვილის ნაწერის სწორებას, რაზედაც ისევ შეასხნეს, რომ იღიასა და იაკობს ეწყიონებათო ეს ამბავი, გრიგოლმა კვლავ თავისებურად გაიმეორა — რას ამბობ კაცო, ეწყიონება კი არა, ესიამოვნება, იაკობ დიდად შეგნებული კაცია და ქართული მართლწერის დიდი მოტრუიალე... იაკობიც მაღლობელი დამრჩება ამ შესწორებითა“.

გიგო ყიფშიძე არა მარტო მყაცრი იყო სტილის დაცვაში, არამედ ერთგული მსახურთაგანი იყო ქართული ენისა. იგი ზოგიერთი მწერლის შემფასებლად და გზის მასწავლებლადაც გვევლინება. ედილი იხსენებს: „მასსოვს, ეგნატე ნინოშვილმა რომ მიიტანა დასაბჭდად თავისი პირველი ნაწარმოები „სიმონა“, გიგომ დიდი გულმოღვინებით წაიკითხა, მოეწონა შინაარსი, მაგრამ საჭირო იყო ბევრი შეკეთება და შესწორება. მე მკონი, დღიურის სახით იყო დაწერილი თავდაპირველად, თუ არ ვცდები. გიგომ რედაქციაში დაიბარა ნინოშვილი და ურჩია, თუ როგორ შეესწორებინა მოთხრობა. ეგნატეც ასე მოიქცა და შშენიერი მოთხრობა გამოვიდა“. ეს ვრცელი ამონაწერი ერთხელ კადეკ ნათელყოფს გ. ყიფშიძის დაუდალავ ზრუნვას ქართულ მწერლობისადმი. ყოველდღიურად რედაქციაში მოუხსფუსე გიგოს ხშირად აკითხავდა ედილი. აქ მას ხვდებოდა სხვადასხვა უცნობი ადამიანები. აქვე იგი პირველად შეხვდა ვაჟა-ფშაველას: „ერთხელ ქუჩაში შევხვდი გ. ყიფშიძეს, რომელსაც მოსდევდა ერთი დარიბულად ჩატმელი კაცი. თავზე ეხურა უმნი ძეველი ქუდი, ეცვა მოკლე გახუნებული ჩიხა და ძველი დაკერებული ფეხსაცმელი. მეორე დღეს გიგო ყიფშიძეს შევეკითხე: ის პაცი კინ მოგდევდა გუშინ, ახალი მზარეული ხომ არ დაიჭირეო, როგორ გამოგადგაო?“ — რას ამბობ, კაცო, ის ჩეენი თანამშრომელი

ვაკა-ფშაველა იყო. „შემრტხვა, გავშრი, ხმა ვერ ამოვიდე- ვაკას აქამდის პირალაღ არ ციცნობდი“. რედაქტირასთან უაქტრუტულება ედილს არც მისი შინაური ამბები აქვს გამორჩენილურგულური ალწერს რედაქტირაში მომხდარ გაუვეპრობას ვრ. ყიფშიძესა და ილიას შორის, რამაც ძალზე მწვავე ხასიათი მიიღო. საქმე იქამდე მივიდა, რომ გიგო ყიფშიძე იძულებული გახდა წასულიყო რედაქტირდან. მას მიძყვა მისი მხა ალექსანდრეც, რომელიც გაზეთ „ივე-რიის“ ერთ-ერთი მუდმივი თანამშრომელთაგანი გახლდათ. ილიამ კა-რგად ცოცდა ძმები ყიფშიძეების უნარი და შესაძლებლობა. ედილისავე სიტყვებით რომ ვთქვათ: „ილიას არ ესიამოვნა ეს ამბავი და როგორც ცნობილია, თავის ომახიან ოპერეტაში ასეთ მწუხარებას გამოსთქვამს: „ვაიმე, ბედერულს შემომწყნენ მე მმანი ყიფშიძენიო“.

ძალზე დიდი წინააღმდევობის გადალახვა უწევდა ილიას „ივერიას“ სხვა პერიოდულ გამოცემებთან. ედილის შენიშვნით, „ცნობის ფურცელი“ იმდენად გაიაფებული ყოფილა, რომ ხელისმომწერთა ტირაჟს 10 ათას მიუღწევია, მაშინ როცა მანამდე 3—4 ათასი ყოფილა. ასეთი განცხადების წაკითხვის შემდეგ 60-იანებულების ლიდერს ი. ჭავჭავაძეს უთქვამს: „მაგ ოჯახაშენებულებმა ბარემ ხელისმომწერებს კალმე-ბიც გაუგზავნონ“.

აქვეა ედილის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან დაკავშირებული სიი-ცტერნეს მოვლენებით, რაზედაც აქ აღარ შევჩერდებით.

მხედვ და რულუნებით ეწეოდა ზაქარია ცხოვრებისუელ შძიმე ჭა-პანს. ფიქრთა დაუღევარ ორომტრიალში ცოცხლდებოდა წარსული დღენი, სანატრელი საინგილოს სანახები. ღრიას ბორბალი კა განუწყ-ვეტლივ ტრიალებდა. ზამთარს გაზაფხული ცვლიდა და მას უნებლიერ მთა გამოცანა წარმოესახებოდა თვალწინ. კავკასიონის ღრმა ხეობი-ლან შემზარავი სისინით აღწევდა მის ყურთასმენამდე პაზირას საძებნუ-ლად გამოსული ნახევრად შეშლილი დედის — რეპარის გულსაკლავი ძახილი. ცრემლების ღელის მიღმა გორაკზე დარეჯვან ყადის თვალთა შზერაში თანამომშეთა უძლეველობის ცეცხლის ნაპერწკლები კაცო-ბდა. ბობოქარი ქურმუხის ტალღები მდინარე ფიცანის სპეტა ზვა-ბდა. ბობოქარი ქურმუხის ტალღები მდინარე ფიცანის სპეტა ზვა-ბდა. ერწყმოდა, რომელსაც თან მოპქონდა სამშობლოსათვის თავდა-რთებს ერწყმოდა, რომელსაც თან მოპქონდა სამშობლოსათვის თავდა-რთებს ერწყმოდა, დაუკავედა დაუკავედა უკვიტინი. თვალთა-გან არ შორედა ბახთალის ღვთისმშობლის კელების ჩამონგრეულ ქარწიულზე მოჭიქვიე მერცხალი და წითელ ცხენზე ამხედრებული მო-

მღვიმები თნვილო ბიჭუნა. ზაქარია თავისკენ უხმობს, უნდა მაშა— მვი—
ლურად გულში ჩაიკრას, მოეფეროს, მასთან ერთად გაინტერესირდები
სენის ვრცელ ველ—მინდვრებში, მაგრამ, ვაი, რომ ძალუ შემდეგ უშესებე
ვეღარ ახერხებს გაზაფხულზე ამოსული მთა გამოცანის ფერდობზე ის
მოკრევას, ყონალისაკენ გაწვდილი ხელის ჩამორთმევას. ეს იყო 1956
წელი.

ცხარედ დაიტირა გორშა, საინგილოსთან ერთად, ზაქარიას ვარდა—
ცვალება. დაუვიწყარ თარიღად იქცა გორელთათვის ქართველი ხალხის
უანგარო მოღვაწის, საინგილოს მგზნებარე პატრიოტის, ზ. ედილის და—
საფლავება. მრავალრიცხოვან ჰირისუფალთა შორის იყვნენ ჩვენი მწე—
რლები: გოგლა ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ალიო მირცხულავა, ირაკლი
აბაშიძე და სხვ. საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით სიტყვა
წარმოთქვა გოგლა ლეონიძემ. იმ დღეებში დაიბეჭდა ნეკროლოგები
გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოსა“ და „წითელ ქართლში“.

მას შემდეგ განვლო დიდმა ღრომ. მრავალგზის შეიმოსა გამოცანის
მთის ფერდობები ნაირ-ნაირი ყვავილებით. მრავალჯერ იჭექა მებმა
და სეტყვამ ფიფინეთის ხეობაში. ათასნაირად გადაიუწურდლა საინგილოს
ისტორიული ფურცლები, მაგრამ ვერავითარმა ვამთა სვლამ ვერ ავნო
რა მგზნებარებით დაწერილ ზ. ედილის „საინგილოს“, რომელიც გაუ—
ხუნარ მემატიანედ დარჩება შთამომავლობისათვის.

თემის დამუშავებისას ვაწევდ დახმარებისათვის დიდ მადლობას
მოვაწენებ ზ. ედილის შვილს — შალვა ედილაშვილს.

I

გურაბა და აღგილადებარება

ზოგადი მიმოხილვა. — გზები და ხეივნები. — ტერიტორიის სხვადასხვაობა. — ტკუბი, ნადირები, ფრინველები. — საზამთრო და საზაფხულო საძოვრები. — მდინარეები და ტევზები. — დაღუსტნის გზები და მათი შდვომარები. — თავშესაფრები და გამოქვებულები. — მაღალები. — სამეურნალო წყლები. — პარა. — ზაფხულის ხიცავები. — ჭაობები. ტექნიკური მცნარეები.

მდიდარია და თვალწარმტაცი ბუნება საინგილოსი. მთის კალთებიდან დაქანებულ, ქაუად ქცეულ მდინარეებს, კაკლის, წაბლის, ლეღვის ატეხილ ჭალებს, რომელთა შორის საც ტურფად გამოიცემირებიან წითელი კრამიტით გადახურული, მთლად მწვანეში ჩაფლული სოფლები, ზღაპრულ წალკოტად გადაუქცევიათ აქაურობა. ამას დაუმატეთ სახტად აღმართული მთაგრეხილი კავკასიონისა თავისი უღრანი ტყებით, რომელთაც ზევიდან შედიდურად გადმოსცემირიან თოვლით გასპეტაკებული მწვერფალები, ნელად მოდუდუნე, გველივით დახლაკნილი აღაზანი თავისი ასწლოვანი უზარმაშარი ვერხვებით და ატეხილი ჭალებით, და თვალწინ წარმოგიდვებათ საინგილო მთელი თავისი სიტურულე-სიდიადით, ეს სწორულოვარი თვალმარგალიტი ამიერკავკასიისა.

ეს მხარე, რომელსაც სილამაზით ვერც ერთი კუთხე საქართველოს ვერ სჭარბობს, წწყება იქ, სადაც დღევანდელი კახეთი თავდება და საზღვრად მას უძევს პატარა მდინარე მაზიმჩაი (ისტორიული მაჭისწყალი). აქედან მისდევს კავკასიონის მთაგრეხილს ყოფილი შექის, ანუ ნუხის მიჯნამდის, იქამდის, სადაც პატარა მდინარე კანი-კობის (სისხლის დელე) ჩამოწანწყარებს და ერთვის უფრო დიდ საკვირველად მახლაკნილ-მოხლაკნილ მდინარე ეგრიჩაის. მთელი ეს სიგრძე, დაწყებული მაჭისწყლილან ზანიკ-ობ-ეგრიჩაიმდის, 80 კილომეტრს არ აღმატება. ესვე კავკასიონის მთაგრეხილი საზღვრავს მას თავისი ბრწყინვალე მწვერვალებით ჩრდილოეთით, ხოლო სამხრეთით — აღაზანი, რომელიც

აქ ზანტად მიიზღაუნება. მთელი სიგანე მთაგრეხილიდან ალაზანიში 25—30 კილომეტრამდე აღწევს. მთელი ფართობი საინგილოს ჭდევაზღელი ტერიტორიისა 3.497,5 კვ. კილომეტრს უდრის უკარის უკარის უკარის.

ამ ფარგლებშია მოთავსებული ისტორიული კაკ-ტრიტკლუპროცენტული საც დღეს ქართველები საინგილოს ვეძახით; მეფის რევიმის დროს ის საქართველოს ერთ-ერთ ოლქს შეადგენდა, ხოლო ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შედის და სამ რაიონად არის გაყოფილი — ბელაქის, კაკისა და ზაქათლის.

საინგილო დასერილია მშვენიერი გზატკეცილებით. ასეთია არა მარტო მთავარი გზა, რომელიც ლავოდებიდან პირდაპირ ნუხაში მაღის და საინგილოს შუაზე სჭრის, არამედ სოფლიდან სოფელში მიმავალი მოკლე გზებიც. ამ გზატკეცილებს ორივე მხრივ ჩამწევრივებული აქვს კაკლის დიდორონი ხეები და კაკლის ერთიან ხეივანს წარმოადგენს აქაურობა. ეს ლამაზი ხეივანი იწყება გასცილდებით თუ არა კახეთის უკანასკნელ სოფელს, ლაგოდეხს, და მიდის ქალაქ შექის მიჯნამდის, ე. ი. გაჭიმულია 120 კილომეტრის მანძილზე; ეს ოდესლაც მწყობრად ჩარიგვებული პატარა კაკლის ხეები ახლა უზარმაზარ ხეებად გადაქცეულან და ორთავ მხრით დაუბურავთ, დაუჩრდილავთ აქაურობა, ისე რომ ზაფხულის პაპანაქება-სიცხეშიაც სიგრილეში გიხდებათ მგზავრობა.

შეტად მომხიბლავია ეს ხეივანი, შეტადრე გაზაფხულზე, როცა ბუნება ზამთრის ღრმა ძილისაგან იღვიძებს და კაკლის ნორჩი ყლორტების მძღვანელი სუნით გაედენთილია მთელი ეს გზა.

ამ გზებს თან მოსდევენ აქა-იქ პატარა საჩაიები (აზერბაიჯანურად ჩაიჩი), სადაც შეგიძლიათ ეტლიდან ჩამოხვიდეთ, ცოტა შეისვენოთ და გემრიელი ჩაი მიირთვათ. ჩაიჩი ჩრდილში გამართულ გრძელ ფარდულს წარმოადგენს, შიგ უბრალო გრძელი მაგიდა დგას, იქვე გვერდით გრძელი სკამებია ჩამწევრებული, მაგიდის ბოლოს დიდი სამოვარია.

ჩაის იქ წყაროს წყლით ამზადებენ, რომელიც იქვე ახლოს საღმე გამოჩხრიალებს. ამ საჩაიებს, გარდა გამვლელ-გამომვლელთა, ესტუმრება ხოლმე მინდორში მომუშავე ხალხიც. ზაფხულის პაპანაქება სიცხეში გულს აქ იგრილებს ივი და წყურვილს აქ იყლავს. აქაურთა რწმენით, ჩაისავით არაფერი უკლავს ადამიანს წყურვილს. ამასთანავე უნდა ვთქვათ, რომ ჩაის არაჩეკულებრივად ბევრს სვამენ.

მთელი საინგილოს ტერიტორია ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ნაწილისაგან შესდგება, რომელიც ძალზე განირჩევიან ჰავით, ბუნებით და ადგილმდებარეობით. პირველი მათგანი მთიანია, კავკასიის

მთაგრეხილის ნაწილს წარმოადგენს, რომლის მწვერვალებზე ფერ
ჩადრ-წამოსხმულნი, ზევიდან გაღმოსცეკრიან მიღამოს. ეს მწვერვალე-
ბი არიან: გუდურდალი (3. 400 ფ. სიმაღლით), დინდიდა (3 მეტრის სი-
ტანი (3. 668), ჩურუქი, ბეშლამიში, ბოლვალდალი, გუბაშვი შეჯრული შეკე-
დალი, დინგლია. დგანან უძრავად ეს მწვერვალი კავკასიონისა და მე-
დიდურად გაღმოსცეკრიან მათ ფეხთქვეშ ფიანდაზად გადაშლილ, ბა-
რის მწვანედ აფერადებულ ვეღ-მინდორს და ალაზნის გაღმა ჩამწყი-
ცებულ შირაქის მჭლე, ხრიოვ და უნაყოფო გორაკებს.

მეორე უდიდესი ნაწილი საინგილოსი ბარია — თაიგული მთელი
მხარისა, მისი სიმდიდრე და დოვლათი. აღვილი აქ მთის უერდობიდან
დაწყებული ვაკეა და სწორი, მცირედის დაქანებით სამხრეთისაკენ. ეს
დაქანება, რაც უფრო შორებული მთის კალთებს, მით უფრო მატუ-
ლობს, იზრდება და უაღრეს წერტილს აღწევს ალაზნის სანაპიროებ-
თან, საქართველოს დღევანდელ საზღვრამდე.

მთიანი საინგილოს ნიადაგი მწირია, ღარიბი, მთიან-კლდიანი, ბარია
საინგილოსი კი — ნაყოფიერ, მძლავრ და ზღვა მოსავლის მომცემი.

მთა მდიდარია ტყებით. თუმცა საინგილოში ყველგან მოიძებნება
საკმარისი ტყები, მაგრამ მთა განსაკუთრებით მდიდარია საუცხოო,
პირველხარისხოვანი ტყებით. აქ ვერ ნახავთ ვერც ერთ მთას, ვერც
ერთ მცირე გორაქსაც-კი ტიტევლს და ტყის მწვანე ხავერდს მოკლე-
ბულს. მთის მიუვალი უფსკრული ნაპრალებიც, სადაც ფეხმარდ ჯიბვ-
საც კი ვერ გაუვლია, სავსეა ძეირფასი ტყებით. უღრანი ტყები, რო-
მელთაც კაცის თვალი ჯერ ვერ მისწვდომია და მისი ულმობელი ხელი
ჯერ არ შეხებია, მრავალზე მრავალია. მერე რა შშვენიერია და მრა-
ვალფეროვანი აქაური ტყები! აქ ნახავთ კავკასიის ფლორის ყველა წა-
რმომადგენელს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყველა უზომოდ მსხვი-
ლია და ძალზე გაღაღებული.

აქაურ ტყეში ბლომად არის წიფელი, მუხა, ცაცხვი, ნეკერჩალი,
თეთრი არყის ხე, არჩანი, კევის ხე, ხურმა, წაბლი, ლელვი. ბევრია ი-
რეთვე ბროწეული, მსხალი, თხილი, შინდი, მაჟალო, პანტა და სხვ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ აქაური ხალხის შშვენიერი ჩვეულება: ტყე-
ში არა იშვიათად შეხვდებით ნამყენ თუთას, ვამლს, მსხალს და სხვა
ხეხილს. ასევე ნახავთ მთელ საინგილოში ცემენტით ამოცვანილ, გაკე-
თებულ წყაროებს ან ცემენტისავე ბოვირებს მდინარეებზე და არხებზე.

აქაურ ტყეებში გამონაკლისს შეაღვენენ წიწვიანი ხეები. იმოგზაუ-
რებთ აქ მთასა და ბაზში, მაგრამ მთის განუყრელ შვილს — წიწვიან

ხეებს ვერსად შეხვდებით; მთელი საინგილო ტყის ღიღი ტერიტორია-ზე მხოლოდ ერთ ადგილს შეხვდებით მას, სახელდობრ ბალნურის ხე-ობაში, ისიც მარტოდ-მარტო ნაძვს. ნაძვი აქ ძალზე პატარის, წარმატების, უშინო და ულამაზო.

მთასთან ერთად ბარიც მდიდარია ტყეებით. აქ თითქმის ყოველ სო-ფელს აქვს ტყე. ბარის ტყეები უმთავრესად ნოტიო ადგილებშია. ხე, რომელიც მთაში ერთი ბეწვაა, აქ უშეველებელ ხედ არის გადაქცეული. ტყე ბარად ხშირია და გაუვალი.

აუარებელი ხებილი დიდძალ ნოყიერ საკვებს იძლევა გარეული ცხო-ველებისათვის და აკი ისინი ძალზე გამრავლებული არიან აქაურ ტყე-ში. გარეული ღორი, მელა, ტურა, ჯიხვი, ფისტი, შეველი, დათვი, მელი მრავლად მოიპოვებიან აქაურ ტყეში. ჩვენ გვინდა მივაქციოთ მკაფე-ლის ყურადღება მხოლოდ ზოვიერთ იშვიათ ნაფირს, რომელიც საქარ-თველოში უფრო ნაკლებადა გვხვდება.

ასეთია, მაგალითად, შავი მელა. ეს ძალზე იშვიათი ცხოველია სა-ქართველოში. ის კუნაპეტივით შავია და მხოლოდ კუდის ბოლო აქეს თეთრი. ამგვარი მელა მეტად ძვირად ფასობს. იყო შემთხვევები, რომ ამერიკაში ასეთი დედალ-მამალი მელა 2.000 დოლარად გაიყიდა. ეს მელები ძვირფას საქაქსპორტო საქონელს წარმოდგენენ. შავ მელასთან ერთად არა იშვიათად შეხვდებით ვერცხლისფერ მელასაც. ამ იშვიათი და ძვირფასი ცხოველების ხოცვა ამჟამად სრულიად აკრძალულია მათი გამრავლების მიზნით. საინგილოში საბჭოთა ხელისუფლების დროს დაარსებული ნაკრძალი დიდ ყურადღებას აქცევს ამ საქმეს და დიდი ჯარიმა არის დაწესებული მათზე ნადირობისათვის.

ასეთივე ძვირფასი ცხოველია კვერნა. მთის უღრანსა და მივარდინდ ხეობებში კიდევ მოიძენება ეს ცხოველი. მონადირე ამ უღრან ადგი-ლებშიც შესძგომია მათ განადგურებას. კვერნას, როგორც ცნობილია, არ უყვარს წყალში გასვლა და წყლის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადა-სასვლელად ხიდს ან წყალზე წამოქცეულ ხეს ეძებს. აი სწორედ კვე-რნის ამ ჩვეულებით სარგებლობენ აქაური მონადირეები: ისინი ხელოე-ნურ საცალფეხო ხიდებს აკეთებენ, იქვე მიუღვამენ ხაფანგებს და იჭე-რენ. ასე უწყალოდ ნადგურდებოდა ეს ძვირფასი ცხოველი და სრული-ადაც ამოვარდებოდა, რომ დროზე არ მოესწრო საბჭოთა ხელისუფლე-ბას და სასტიკად არ აკრძალა მათზე ნადირობა.

ავაზა დღეს იშვიათი ცხოველია აქ, ერთ დროს კი, თურმე, ბლომა-ლ მოიპოვებოდა. ძეელად ცნობილი მილიონერი დემიდოვი, რომელსაც

იჯარით პქონდა აღებული სანადიროდ აქაური ტყეები, ფრედრიკ
5—8 ცალ ავაზას მაინც ჰკლავდა. უკანასკნელად ეს ცხოველი მოჰკვდეს /
1912 წელს და მას შემდეგ თითქმის აღარავის შეხვედრია ჩერტიშვილის წერილი
ნადირენი დაბეჭითებით ამბობენ, რომ ახლაც არის ავტომატური ტყეების
ტყეებშიო, რადგან მის ნაფეხურებს დღესაც ხვდებიან მონადირეები
თოვლზე. მონადირეების სიტყვა მართალი გამოიდგა: კატეხის ტყეში
1920 წელს მოჰკვდეს ერთი ავაზა, რომლის ტყავიც საჩერებლად გამო-
კიდუბული იყო ზაქათალის სასტუმროსთან; ამ ცხოველს, როგორც მო-
ნადირეები ამბობენ, დიდად აქვს განვითარებული ყნოსვა და მეტის-
მეტად ფრთხილია, ამიტომ ადამიანისათვის ძნელია მისი პოვნა.

წავი წინათ დიდად ყოფილა გავრცელებული მთელ საინგილოს ტყე-
ებში. მთის პაწია, წმინდა მდინარეები სავსე ყოფილა ამ საუცხოო ცხო-
ველით. ცნობილია, რომ წავს უთევზოდ არ შეუძლია ცხოვრება. მთის
ანკარა წყლები კიდევ თავის მშვენიერი და გვერდის კალმახით ხელსა-
ყრელ პირობებს უქმნის მის გამრავლებას. მაგრამ, რადგან მათი ტყავი
ძვირად იყიდება, ძალიან შემცირებულა მათი რიცხვი. ამავად მათი უმ-
ნიშვნელო რაოდენობა გადარჩენილა მდინარე კატეხიას სათავეში, ყა-
ბიზდარას ზემოთ. მათზე ნადირობაც სასტიკად აკრძალა საბჭოთა ხე-
ლისულებამ.

გაწყდა, მაგრამ ჯერ კიდევ მოიპოვება საინგილოს ტყეებში უოცხ-
ვერი. სამავიეროდ, ძალზე ბევრია საინგილოში თხილისა და კაკლის მო-
ყვარელი ციყვი, რომელიც ისე შესჩევია ადამიანს, რომ არც-კი ერი-
დება მას.

მოიპოვება აგრეთვე პიტალო კლდის შეილი — ჯიხვი. მივარდნილ-
სა და უშიშარ ადგილებში ჯიხვები ჯოგებად დაიარებიან, 30—40 ცალი
ერთად. ჯოგს ხელმძღვანელობს გამოცდილი ხნიერი ჯიხვი. ზოგ ადვი-
ლას ბევრი იცის ჯიხვი. სარუბაშსა და დინდიდას მთებში მცხოვრები
ხშირად იმდენსა ხოცავენ, რომ ზამთრისათვისაც კი ინახავენ ხორცს
მარილ-წყალში გამოსულსა და გამშრალს. ძეველ დროში აქ ჯიხვებში
სანადიროდ შორეული კუთხეებიდანაც კი მოღიოდნენ — ბაქოდან,
როსტოკიდან, მოსკოვიდან. მათ არა იშვიათად უცხოელებიც მოჰკვე-
სოდნენ.

ირემიც მოიძებნება საინგილოს მთაში. ამ ბოლო დროს ირმის რი-
ცხვების საგრძნობლად იმატა ნაკრძალის დაარსებით. გამოან-
გარიშებით, მარტო ნაკრძალში მათი რიცხვი 300-ს აღემატება.

საინგილოში ირმის ბუნაგად და მუდმივ სამყოფელ ადგილად ითვ-
ლება ერტიკალის მთების მიდამოები, პატარა მდინარე ჟალაჩიშიდას,
და ჩარიგელის ხეობები.

ჯეირანის სამშობლოდ და საცხოვრებელ ადგილზე კანკელიონი
აღიაზლოს, სარიჯასა და აჯინაურის ველ-მინდვრების მცირე გორავე-
ბი ითვლება. ეს უწყინარი, მშვიდი ცხოველი მოსალოდნელი საშიშრო-
ების დროსაც არ დაფრთხება და ბაწარალებით მისდევს ერთი მეორეს,
თითქოს განებ უცდის მონადირის ტყეიას.

1921 წლის ზამთარში, როცა დიდი თოვლიანობა იყო და მთელი
ველ-მინდორი თოვლა-ყინულით ვაიცსო, ჯეირანი საკვებს ვეღარ შოუ-
ლობდა, დამშეული, ლასლასით მიაღვებოდა ხოლმე სოფლებს და
მცხოვრები იჭერდნენ. მას შემდეგ ძალიან შემცირდა მათი რიცხვი.

საინგილო მდიდარია გარეული ღორით. ბლომად მოიპოვება იგი
როგორც მთაში, ისე ბარში. მაგრამ განსაკუთრებით უყვარს მას ჯავ-
ნარი და ალაზნის ჭალები. მუსულმანობა გაურბის ღორის ხორცს და ეს
ხელს უწყობს მის გამრავლებას.

აქაური ღორი მეტად ავია და დაუნდობელი. ბოლო ღროს, გახშირე-
ბული ნადირობის გამო, მათმა რიცხვმა შესამჩნევად იკლო. ხალხი
ებრძება მას იმიტომაც, რომ ის არ ინდობს საჭმელად არა მარტო
ბრინჯის ნათესს, არამედ საინგილოში ახლად შემოსულ კულტურასაც
— არახისა და სიმინდს.

ტყეები და ჭალები სავსეა გარეული ფრინველებით, რომელთა შო-
რისისაც არ შეიძლება არ აღენიშნოთ ზოგიერთი იშვიათი ფრინველი,
რომელიც საქართველოში ან სრულიად არ არის, ან ძალიან შემცირე-
ბულა. ამჟამად მათზე გახშირებული ნადირობისა და ტყეების შემცი-
რების გამო ცოტალა დარჩნილა გარეული ინდოური ანუ შერთხი. იგი
დიდი ფრინველია, მთის მწვერვალების პირმშო შეიძლი, იქ დაბადებუ-
ლი და გაზრდილი. მისი ხორცი უკემრიელესი რამ არის და სხვა არა-
ვითარი გარეულ ფრინველის ან ნადირის ხორცი მას ვერ შეედრება.
საუბედუროდ, ძალიან ძნელად მრავლდება, მისი მოკველა ან დაჭერა
ძნელია, ისინი ყნოსეა-განვითარებული არიან და ძალზე ფრთხილნი.
დიდს მანძილზე ივრძნობს ხოლმე ადამიანის მიახლოვებას, ხმამაღლა
დაუსტვენს, მას ბანს მისცემენ სხვა ინდოურებიც და ერთი თვალის
დახამხამებაზე ისე გაპქრებიან, რომ მონადირე მათ კვალს ვეღარ მია-
გნებს.

ხოხობის სამშობლო კავკასია და ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ საინგილოში ჯერაც კიდევ ბლომად მოიპოვება ისინა. ხოხობი საქართველოდან გავრცელებულა საბერძნეთში, რომსა და შეფერხუნული კაში. თუთ მისი ღათინური სახელი — *phasianus* მიუწოდებული მყრელი ფაზისზე (რიონზე), იმ ქვეყანაზე, სადაც ხოხობი წარმოშობილა. ხოხობის საყვარელი მაყვლით საინგილო სავსეა და ამიტომ ხოხობი მრავლად ბუღობს საინგილოში.

ლაკლაკის (*Coconik-ciconia*) ქართლში ღამიტობის ებახიან, აღბათ, იმიტომ, რომ უფრო ჭაობიანსა და წყლიან აღვილებში ხვდება ადამიანს. ეს უშნო ფრინველი საინგილოში წმინდა ფრინველად არის აღიარებული. ინგილო მესულმანთა სიტყვით, ივი მექადან არის მოსული, სადაც ყოველ შემოღვმაზე დაიარება სალოცავადო. ინგილოები მოკრძალებით ექცევიან და ყოველ მხრივ ხელს უწყობენ მათ გამრავლებას. მათ ბუდეს ხელს არავინ ახლებს, პირიქით, მცხოვრებნი პირველ გაზაფხულზე, თბილი ქვეყნებიდან დაბრუნებისას, მიუშიდავენ ხორმე თივას და ჩინჩხვარს ბუდის შესაკვთებლად.

საინგილოს სოფლები სავსეა ყოველგვარი ქეწარმავალით. მათ ჭაშს და ანადგურებს ფრინველი ლაკლაკი და ამიტომ ივი მახლობელი მეგობარია გლეხკაცისა; თუ შხამიანმა გველმა მიასწრო და უკბინა, ლაკლაკი იავადშოთებს 3—4 დღეს და შემდევ თავისითავად მორჩება.

აქაურ ლაკლაკის კიდევ ერთი კარგი ჩვეულება აქვს — დედალ-მამალი ერთმანეთს არა შორდებიან, არ უღალატებენ ერთმანეთს და სხვას არ მიეკედლებიან. თუ რომელიმე მათგანი მოკვდა ან მოჰკლა ვინშემ, მაშინაც-კი ცალად დარჩენილი ლაკლაკი არავის მიეკედლება.

საინგილო უზომოდ მდიდარია საძოვრებით, განსაკუთრებით განთქმულია მისი საზამთრო საძოვრები: სარიჯა, აჯინაური, აღიაზლო.

თვალუწვდენელი საძოვრები დასერილია პატარ-პატარა ერთმანეთის მიმდევნო გორაკებით, რომელიც ადგილ-ადგილ წყდებიან და იყირჩებიან, მაგრამ ცოტა დაშორებით ისევ ჩნდებიან და ასე დაუსრულებლივ...

ამ მინდვრებს ერთი დიდი ნაკლი აქვს — არსად, ამ უზარმაზარ ფართობზე, წყალი არ მოიძებნება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პატარა ტბებს, რომელიც სიცხეებისა და გვალვის ღროს სრულიად შრებიან. ასე ყოფილა, თურმე, ძველადაც, როგორც ეს ჩანს ბერძენი გეოგრაფიის, სტრაბონის, ალწერიდან; ამის გამო მცხოვრებნი იძულებული არიან დღის სავალზე ატარონ ცხვარი წყლის დასალევად.

ამ აღვილებში ქარი არ იცის, ფარეხები მყუდრო აჯგილებში აქეთ
გავეთებული და ცხვარს ზარალი არსაიდან არ მოელის! ზამთრის აკ
თითქმის სრულიად არ იცის, წამოსთოვს ცოტას და იმავე კარგი და კარგი
ამითომ ცხვარი არც ერთ დღეს შშიერი არა რჩება ჭირულად წლისას
შოულობს საკვებს მთელი ზამთრის განმავლობაში. მაგრამ იცის ხოლ-
მე, თუმცა ძალიან იშვიათად, ყინვაზი და თოვლიანი ზამთრებიც. ასეთ
ზამთარს თითქმის სრულიად მოუმზადებელი ხედებიან ხოლმე მეცხვა-
რები, ცხვარს მთელი კვირაობით შიმშილი უზდება და უწყალოდ იქ-
ლიტება. ამისთანა ზარალის თავიდან ასაცილებლად წინანდელი მეცხ-
ვარე სრულიად არა ზრუნავდა და იმ თვალეწვერები საძოვრებში,
საღაც თავშე საყრელია ბალახი, ერთ ბეჭვა თივასაც არ იმარაგებდა
შავი დღისათვის.

ზაფხულობით აქაური მინდვრები პირწმინდად უდაბნოს მოვაკო-
ნებენ. ყველგან გადახრუულ-გადამწვარი მინდვრებია.

მაგრამ, აი, შორს რაღაცამ გაინავარდა და უცებ სადღაც გაპქრა.
ეს ჯეირანია, პირწმი შვილი ამ უდაბნოებისა, რომელიც ზამთარ-ზაფ-
ხულ არ შორდება აქაურობას. ის ფეხაურეფით მირბის წყლისაერ, ან
ნამიანი ბალახის საძებნელად მივარდნილ-მიყრუებულ აღილებში ის
მხოლოდ ახლა გრძნობს თავისუფლად თავს აბეზარ მონადირეთავან,
რომელიც მთელი შემოღობა-ზამთარი მოსვენებას არ აძლევენ.

ორი ცხოველი, ჯეირანი და კურდლელი, მუდმივი მობინალრეა ამ
უდაბნოებისა. მაგრამ მთავარი მობინალრე აქაურობისა მაინც ნაცრის-
უერი გულყვითელა შხამიანი გველია. ხალხში გადმოცემაა დარჩენილი,
რომ ძეველ, უხსოეარ დროში აქაურობა ისე იყო სავსე შხამიანი გველე-
ბით, რომ აღამიანს გავლა არ შეეძლო. მცხოვრებლებშა შემდევ ხერსს
მიმართესო: უცხო ქვეყნიდან მრავალი გველხოკერა მოიყვანეს და გა-
უშვეს ამ საძოვრებშიო. გველხოკერა, როგორც ცნობილია, ჭამს გველს,
უფრო მეტს წილსაც კი კლავს და ყრის. ამ ხერხმა ნაყოფი მოიტანა —
გველების რიცხვმა შესამჩნევად იქლო. თუმცა უნდა ვთქვათ, რომ შე-
ცხვარებისათვის გველს არავითარი ზარალი არ მოაქვს, რადგან ცხვა-
რი აქ ზამთრის განმავლობაში არის, როცა გველს არხეინად სძინავს
თავის სამყოფელში.

ამ საძოვრების ნაწილს, მცხოვრებნი სახნავ-სათესად ხმარობენ. აქ
ნიადაგი ძალიან ნოყიერია და არაჩეულებრივი მოსავალი იცის, თუ ვა-
ზაფხული წვიმიანი შეხვდა და სიცხემ არ მოტრუსა და არ წაახდინა ნა-
თესი. ხალხი ასე ამბობს, გინდა ერთ-ორ წელიწადს არაფერი მოსავა-

ლი მოგვივიდეს, მესამე-მეოთხე წელიწადს ვაზაფხული აუცილებელად წვიმიანი იქნება და მაშინ ისეთი უხვი მოსავალი მოგვიფრენტული წლების ხარჯს დაფარავს და დიდი მოგებაც დაგვრჩებაოუკიპლიკორის

ასეთია ეს საძოვარი ზაფხულობით, მაგრამ, დადგება თუ არა შემოღვიმა, სურათი სრულიად იცვლება, უდაბნო ცოცხლდება, იწყებს ცხოვრებას. მთაში აცივდება, თუ არა და წვიმებს დაიწყებს, ცხვრის ფარები აიყრებიან და ზამთრის საძოვრებისაკენ გაეშურებიან.

მაგრამ განა მარტო ცხვარი ესტუმრება ხოლმე აქაურობას ამ დროს? ფრინველებიც დაიძრებიან და აქეთევენ მოეშურებიან. ალაზნის შორეული სანაპიროები და დაჭაობებული ადგილები ფრინველებით იკსება. ზოგჯერ იძღვნი ფრინველი გაჩნდება ხოლმე აქაურიბაში, რომ სავსებით იფარება მიდამო.

ცხვარი საძოვრად აქ მოპყავთ წახურელებს (დაღესტნელი ლეები არიან), აზერბაიჯანელ თაორებს და, უმთავრესად, ჩვენ თუშებს. ყველა ამათ აერთებს ეს საძოვრები, მთელი ზამთრის ვანმავლობაში მევობრულად ცხოვრობენ და კეთილ მეზობლურ დახმარებას უწევენ ერთმანეთს. ბალას აქ არავინ თიბავს, ამიტომ აუარებელი ბალახი რჩება გამოუყენებელი, ხმება, ლპება და ოხრდება.

გაზაფხულზე აქ დაინახავთ უშველებელ ცეცხლის კოცონებს — ცეცხლი მინდვრის გამოუსადევარ ბალას უკიდია. მომხიბლავია ეს არა-ჩვეულებრივი სურათი, მეტადრე ღამ-ღამობით, როცა შავ ფონზე უფრო მკვეთრად გამოკრთის ცეცხლის ალები.

კავკასიონის მაღალი ქედები თავიანთი ალპიური ზონით საუკეთესო საზაფხულო საძოვრებს წარმოადგენენ. ათასნაირად აფერადებულა სურნელოვანი ბალახი ისეთ შემრგო, ნოყიერ საკვებს იძლევა, როგორ-საც ბარში ვერა ნახავთ. ამგვარ ბალას თავისი გავლენა აქვს. აქაური საქონლისა და ცხვრის ხორცი ძალზე გემრიელია, ხოლო რძე — მეტის-მეტად ცხიმიანი.

საინგილოს საძოვრები მეტად ხელსაყრელია მექსაქონლეობისათვის და განსაკუთრებით, მეცხვარეობისათვის. მთელი წლის განმავლობაში საქონელი გარეთ შოულობს საკვებს და წინასწარ საკვების მომარავება-დამზადება საჭირო არ არის. ამით დიდად სარგებლობენ, განსაკუთრებით, ლეები. გასაბჭოების შემდეგ უკელვან, ამ ადგილებში, მოწყვო მესაქონლეობის მძლავრი ფერმები, საღაც მშვენიერი პიგიენური მოწყობილი ბინებია გამართული.

საინგილოს უხვ მოსავლიანობას ხელს უწყობს მდინარეთა სიმრავლე. ეს მდინარეზე კავკასიონის ქედის პირშორ შვილებურიანული ხეობას, ყოველ მთას თავისი მდინარე აქვს, რომლის წილი მოჰკი სათავიდან დაწყებული აღაზნამდის, 25—30 კილომეტრს არ აღემატება. ეს მდინარეებია: მაზიმჩაი, მუხაბჩაი, ბელაქანჩაი, კატებჩაი, მაწებჩაი. თაღაჩაი და ქურმუხი. ესენი არიან მთავარი მდინარეები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საინგილოს ყოფა-ცხოვრებაში. გარდა ამ მთავარი მდინარეებისა, მრავალი პატარა, უმნიშვნელო მდინარეც არის, რომელიც მთის პატარა ხეობებიდან მოჩხრიალებენ და მთავარ მდინარეებს უკრთდებიან. გარდა ამისა, ბარში ბევრია ფშანებიდან გამომდინარე წყალი და დიდი ნაკადი.

ამ მდინარეებიდან ყველგან არის გაყვანილი უამრავი არხი და პატარა რუ. არც ერთი სოფელი, არც ერთი ბინა და უკეთსდასადგმელი მიწაც კი მოურწყავი არა რჩება, ყველგან ხშირი ქსელია გაყვანილი არხებისა.

ამ არხების წყალზე აგებულია წისქვილები და ბრინჯის საცეხვი დონები. საინგილო ბრინჯის ქვეყანაა და არსად მთელს საქართველოში, იმდენ ბრინჯს არა ჩხარობენ, რამდენსაც საინგილოში.

ამ მდინარეებს დიდი ზარალიც მოაქვთ მცხოვრებთათვის. ყველა ისინი, გამოვლენ თუ არა მთის ვიწრო, შეხუთული ხეობიდან, დიდი და-ჯანებით გარბიან აღაზნისაკენ, ეს პატარა მდინარეები პირველ გაზაფხულზე, როცა თოვლი დნობას იწყებს, ან როცა მთაში თქეში მოდის, საშინელებად გადაიქცევიან ხოლმე, უდიდესი სისწრაფით მიექანებიან ბარისაკენ, თან მიაქვთ კლდე და ღრე, უმთავრესად კი რიყის სიპი ქვა. უბედურება უფრო ის არის, რომ ეს მდინარეები ხშირად იცილიან ხოლმე კალაპოტს. როცა ერთ ადგილას იმდენ კლდე-ღრეს მიაყრიან, რომ იქაურობას გაავსებენ, პირს იძრუნებენ და სულ სხვა მხარეზე გადავარდებიან, სწორედ იქითკენ, საითკენაც სრულიად არ მოელოდება ადამიანი. აზეირთებული მდინარეები იტაცებენ ყველაფერს: ბაღს, ვენახს, სახნავ-სათესს, სახლ-კარს, ყოველივე ქონებას. მარტი საწყალ კავკლებს რამდენი ასეთი აწიოკება ახსოვთ მდინარე ქურმუხისაგან. 1934 წელს მდინარე თაღაჩაი ისე საშინლად მოვარდა, ისეთ სტიქიად გადაიქცა, რომ მთლად წალევავდა და ამოაგდებდა დიდ სოფელ თაღას, ხელისუფლებას დროზე რომ არ მიეღო სასწრაფო ზომები. მდინარეთავან გავერანებული ეს ადგილები უკვე რიყებად გადაიქცნენ (ინგილოურად ჩეილალები). ხშირად ერთი კილომეტრის სიგანეზეც და უცრი მეტადაც

იფანტებიან ხოლმე. ჩეითლადები დიდ უბედურებას წარმოადგენინ მა ხოვრებთათვის, ხშირად მშვენიერად მოვლილი ბალ-ვენაზი რამდენიმე საათის განმავლობაში რიყედ ქცეულა. მოგზაურობთ საინვენტორების წესი კავკირვებთ ამ რიყების სიმრავლე და სიფართოვე. მსგავს მისრეის სისტემა ვითარდ შეხვდება ადამიანი სხვაგან საღმე.

რამდენადაც მოუსვენარნი, დაუდევარნი, შფოთიანნი არიან ეს მთის კალთებიდან გამოვარდნილი მდინარენი, იმდენად მშვიდია და წყნარი ალაზანი, რომლის შენაკადებიც ისინი არიან. ალაზანი, რომელიც სამხრეთით საზღვრავს საინგილოს და შირაქს და მის შუა გაწოლილა, ისე წყნარი და უჩინარია საინგილოში, რომ შეტბორებული წყალი გეგონებათ. მას აქ არც კი ეტყობა, თუ საით აქვს პირი მიცემული და საით მიემართება. წყნარად, აუჩქარებლად მიიზღაზნება თავის რბილ კალაპოტში, სადაც არც ერთი კლდე არ უშლის, არ აფერხებს მის მოძრაობას. შიდის ეს წყნარი მდინარე და ორთავ მხრივ აღმართული უზარმაზარი კერძვები და ჭალები წყნარად უკრავენ ტაშს, როცა კი პატარა სიო წამოუხერავს ამ უქარო ქვეყანას; მაშინ ხომ თვით ალაზანიც იშმუშნება, მისი ზედაპირი ცოტათი შეირყევა, გაიღიმება და საერთო ფერხულში ჩაებმება. სხვა დროს კი ეს დარაჯად აყუდებული ვერძვები ყოველ შეის ამოსვლისას ალაზანში იჰყიტებიან. ალაზანი ნაკლებ გამოსალევია საინგილოსათვის, ერთი მტკაველი მიწაც კი არ ნოყიერდება მისგან.

საინგილოს მდინარეებში ძალიან ნაკლებად არის თევზი. ამ ქვეყანაში არის ისეთი მდინარეებიც, სადაც თევზის ხსენებაც კი არ არის. ასეთებს ეკუთვნიან ქურმუხი, მუხაჩაი, სუვაგილჩაი და სხვანი. იქნება ეს იმითაც აისხნებოდეს, რომ ეს მდინარეები მეტისმეტი სისწრავით მიპქებ-მიშხუიან მთებიდან და თვალის სისწრავით მიექანებიან ალაზნისაკენ, რის გამოც თევზს ბინა ვერ დაუდვია. სხვა მდინარეებში კი თუმცა ნაკლებ, მაგრამ მაინც მოიძებნება კალმაზი, ქაშაპა, მურწა და ლოქო.

‘იდეიყეადებსაც ‘იდეიყეადებს მარტივნება იდეება’ კატეხჩაიში და კემტიკელჩაიში.

მურწა გვხვდება უმთავრესად საინგილოს იმ პატარა მდინარეებში, რომელიც უშანებიდან გამომდინარეობენ. მურწა საინგილოში ხშირად 80 სანტიმეტრამდის აღწევს. ქაშაპა ბევრია სოფელ კავახიოლის ფრანებში. იქ განსაკუთრებით მარტო ეს თევზი ბინადრობს. მცხოვრებინი მისგან შვენიერ საჭმელს ამზადებენ. თევზს ჯერ ფუფქავენ, მერე წყალს

ვადასხურებენ, ზედ ბროწეულის მაშარაფს მოასხამენ და ხელის უად მუშავენ. ასე დამზადებული ქაშაპა ძალზე გემრიელია და წერტიტკული

ლოქო ბუღობს მარტო ალაზანში. იქ მისი ნამდვიურ სტერტენ მეტე ცეკვი ალაზანში იშვიათად მოიპოვება. ლოქო იქ ძალიან მსუქანი იცის, ისეთი მსუქანი რომ კაცს სიმსუქნით ზოგჯერ გული მოუმსუყდება. ლოქოს სიმრავლე უფრო იმით აიხსნება, რომ აქ ალაზანი ძალზე წყნარად მიდის და მისი კალაპოტი ლამით, ქვიშით არის სავსე. მთელი შემოდგომა და ზამთარი ლოქო ამ რბილ ლამზეა გაწოლილი და ნებივრობს. ლოქო უმთავრესად ბაყაყებით და წვრილი თევზით იკვებება და, ალბათ ამიტომ თუ არის ალაზანში სხვა თევზების სიმცირე. გაზაფხულზე, როცა წყალი იმღვრევა, ლოქო მხოლოდ მაშინ დაიძერის თავისი ბუნავიდან წმინდა წყლის საძებნელად. მისდევს წყალს ზევით და, აი, სწორედ მაშინ მოედებიან ხოლმე მეთევზები ალაზანს ლოქოს დასაჭერად.

მდინარეებს შესდევს დაღისტანში მიმავალი საცალფეხო ვზები, რომლებიც ზამთრობით დიდი თოვლის გამო გაუვალნი ხდებიან და იკეტებიან. ეს გზებია: ბელაქნისა, კატეხისა, ქალიალისა, ჭარისა, სარუბაშისა და სუვაკილისა.

მრავალმხრივ შესანიშნავი და საყურადღებოა ეს გზები საქართველოსათვის ხომ მათ საძედისწერო მნიშვნელობა პქონდა. მრავალი მწარე მოვონებაა დაკავშირებული საქართველოს ისტორიაში ამ გზებთან; ეს ის ვიწრო თერმოპოლები იყო, საიდანაც ლეკთა უამრავი ბრძო შემოდიოდა დაღესტნიდან საქართველოს ასაკედებად და ასაწიოკებლად.

გათამამებული და თავგასული ლეკები რუსეთის დამკვიდრების შემდეგაც კი არ ისვენებდნენ. შემოიჭრებოდნენ საქართველოში, განსაკუთრებით საინგილომი, და იკლებდნენ იქაურობას. საინგილოს მაშინდელი შმართველი, პოეტი, გრ. ორბელიანი, იძულებული იყო ბრძოლა ეწარმოებინა მათ წინააღმდეგ. 1853 წ. მუხაბის ხეობაში შემოჭრილი ლეკები სასტიკად დამარცხა ორბელიანმა, რის შემდეგაც ალარ გაუჭაჭანებიათ დაღესტნის ლეკებს საინგილოში.

ამავე გზით მისყავდათ გატაცებული ტყეე ქართველები, მისქონდათ ნადავლი ქონება, საქონელი და სხვა. ამავე გზით გაიტაცეს პოეტი დავით გურამიშვილი. ბედმავ ქართველებს, ვისაც კი გამოსყიდვა არ შეეძლო, ყმებად იყენებდნენ და მთელ ახალშენებს აარსებდნენ მათვან. ასეთი ახალშენები იყო დაღესტანში მარტო გუნიბის ყოფილ ოლქში სოფული დათუნა, მაღარო, ჩოხა და სხვა.

მაგრამ დაუუბრუნდეთ ისევ ჩვენს საგანს.

გზები მისდევენ მთის მწვერვალებში შეჭრილ მდინარეებს, ადრინ უღელტეხილზე და დაღესტანში გადიან. მეტად მიმზიდველი მარაჩიული უღებრივი სილამაზისაა ასეთი საცალფეხო ვიწრო გზა, ჭრის უკუნისეს ფარგლებს გასცილდება. ასწლოვანი წილის ხეები. უღრანი ტყეების შვილი, აპულებიან ამ ბილიკებს და დაუბრავთ იგი. კლდე-ლრით სა- ესე ხეობაში მიძქრიან მთლად დაპართქაფად ქცეული მთის ჩანჩქერები. მეტად ლამაზია ზოგიერთი ასეთი ვარდნილი. მდინარე კატების ერთი პატარა შენაკადი 20 მეტრის სიმაღლიდან გადმოჰქმდება, მთლად წინწე- ლებად ქცეული იუანტება პაერში და, მზის სხივებით გაბრწყინებული, ცისარტყელის ფერად ელვარებს.

მეორე ასეთი თვალწარმტაცი წყალვარდნილი არის მდინარე ქილი- საჩაიზე. ეს პატარა მდინარე ვარგა დიდი სიმაღლიდან გადმოსრიალებს ძალზე ვიწრო კლდის მაღალ ნაპრალებიდან ხევში; მთლად ქაფად ქცე- ული, სპეტაკი თოვლის ზოლივით მიძქრის გვერდით აყედებულ პიტა- ლო კლდეთა შორის; მის თავზე გადმოკიდებულ დიდრონ ხეებს ჩარდა- ხსავით გადაუხურავთ იგი და მზის სხივებისაგან დაუფარავთ.

მიღიხართ ზევით-ზევით, მთის მწვერვალებისავენ მიპყევხართ ამ საცალფეხო გზებს. ხეობა უფრო ვიწროვდება, მდინარეები უფრო მრი- სხანე ხდებიან, ჩანჩქერები მრავლდებიან, ხან სულ პქრებიან, ქვიშასა და ქვებში ძვრებიან, ქვესქნელში იკარგებიან, მერე კი ცოტა მოშორე- ბით ხელახლა ჩნდებიან და თავპირის მტკრევით მიექანებიან ბარისავენ.

თავდება ტყე, მწვანე და ფერიადებული მთის ფერდობები, და სურათი მთლად იცვლება. აქ უკვე შიშეველი მთებია, მთები, მთები, საითაც კი გაიხედავთ და სადამდისაც თვალი მიგიწვდებათ. ირგვლივ პირლია უფ- სკრულებია, ნაპრალები, ფრიალო კლდეები და ღრეები. ამ კლდეთა და მაუვალ მთათა წიაღმი საცოდავად მიიკლავნება საცალფეხო გზა, რო- მელიც ჩემირად ისეთ ციცაბო მთის მწვერვალს მისდევს, რომლის ორ- თავ შერიც თვალუწვდენელი, პირლია უფსკრულებია. მარტო ჩახედვაც კი ამ უძირო ნაპრალებში დიდ საშიშროებას წარმოადგენს. ამ გზების ორთავ მბრივ, მარჯვნივ და მარცხნივ, საშინელი უფსკრულებია, ვერც აქეთ, ვერც იქით ვერ გადაიხედავთ. საქმარისია ერთი ფეხის დაცდენა, ერთი წაბორძიკება, რომ უსფკრულში გადაიჩეხოთ, სამუდამოდ დაიღუ- პოთ. უფრო ხშირად კი ასეთი სურათი გვედებათ: ბილიკი უმაღლეს ფერდობს გვერდით მისდევს, ეს ფერდობი ხელოვნურად გამოჭრილია, გამოთხრილია ისეთნაირად, რომ გზას ზევიდან უზარმაზარი კლდის

ლოდები გაღმოპკიდებიან და ჩამოქცევა-ჩამონგრევას წაიტებენ, გრძელ შეორე ნაპირას კიდევ თვალუწვდენელი უფსკრულია, რომლის უჩინააზ ძირშიაც გველივით მიიკლაკნება პატარა ანცი მდინარეს ჟეჭებულშე ჭუჭჭები, რომელიც ყოველ გაზაფხულზე უფდებიან თოვდების ჭავჭავაში ჭუჭჭების სავან, ასე რომ ხელახალ შეკეთებას საჭიროებენ.

სახიფათოა ამ ვიწრო საცალფეხო გზით მოგზაურობა, მით უმეტეს, რომ მათ სიახლოვეს არავითარი მოსახლეობა არ მოიძებნება. მაგრამ ღამის გასათევი აღვიღები, სადაც შეგიძლიათ დაისვენოთ და უზრუნველი იყოთ წვიმა-თოვლისაგან, ყველგან მოიპოვება. ბევრგან ეს დასასვენებელი აღვიღები მეტის-მეტად ღამაზნი და თვალწარმტაცნი არიან, ბუნებრივ სასტუმროებს წარმოადგენენ და, ეჭვი არ არის, პირველყოფილი ადამიანის საცხოვრებელი აღვიღები უნდა ყოფილიყვნენ. ასეთია პიჩიგლის გამოქვაბული მდინარე ქილისაჩიაზე, რომლის წინ-წამოწეული უზარმაზარი კლდის ქიმი ნახევრად გადმოპკიდებია მორაკიაკე მდინარეს. წინიდან კიდევ (მდინარის მხრიდან) ამ კლდეს სქლად ჩანამოპკიდებია სურო და ფათალო, თითქოს განვებას ხელთუქმნელი ფარდა ჩამოუფარებია დიდებული დარბაზის ღია ფანჯრისა ან შუშაპანდისათვის. ზევიდან ამ კლდეს ამშვენებს საქმელა ხეების დიდი ტყე, რომლის საუცხოო სუნი მთელ არემარეს მოსდებია და სურნელოვან თაიგულად გადაუქცევია აქაურობა. გამოქვაბული ისეთ დიდ ფართობს წარმოადგენს, რომ აქ თავისუფლად მოთავსდება ასიოდე კაცი, ან ცხერის პატარა ფარა. მდინარე პიჩიგელთან კიდევ ასეთ თავშესაფარს წარმოადგენს უცეველს დროიდან დარჩენილი პატარა ეკლესია, რომელსაც თაღი ნახევრად აქვს ჩამონგრეული და ბოლო დროშე შშვენიერ თავშესაფარს წარმოადგენდა თუმ მონადირეთათვის, რომელიც აქ შემოდგომით იყრიდნენ თავს სანადიროდ. ეს ეკლესია საქართველოს მეუეთაგან ან დიდებულთაგან იქნებოდა ავებული და ახლა დიდ სტუმართმოყვარეობას უწევს როგორც მონადირეებს ისე ყოველ მგზავრს. ჩამდენიმე გამოქვაბული თავშესაფარი მოიპოვება მდინარე კატეხჩიასა და ვერტიკელჩას ხეობაშიც. ერთ მათგანს სახელად თავისქალა (ლეკურად ბუგუ ნუნო) პქვია, ალბათ, იმისაგან, რომ მის მახლობლად ოდესლაც მგზავრი დაღუპულა, თურმე, და მისი თავისქალა და ჩინჩის დიღხანს ამ გამოქვაბულის სიახლოვეს ყოფილა გაფანტული. ასეთსავე გამოქვაბულებს ვხედავთ ქალიალსა და ქურმუხის ხეობაში, რომელთაც ხალხი დაცინვით გულხადრების (დაღესტნის დარიბი მოსახლეობა მცელად) სასტუმროს ეძახის. ასეთ გამოქვაბულში მგზავრს შეუძლია დაისვენოს,

ცეცხლი დაანთოს, გათბეს და ტანისამოსი შეიმშრალოს, თუ გზაზე
წყიმამ და ოველშა დასველდა.

საინგილო, ეს ყოველმხრივ უმდიდრესი ქვეყანა, მეტისმუშავის ჩატარების
ბია მაღნეულით. მისი უღრანი მოები და მიუვალი მწვერფლების ქადაგის
კურობით არავის გამოკვლევია და იქნებ ამიტომაც დაუვარდა სიღა-
რიბის სახელი. შეუძლებელია, რომ ამდენ მთათა და კლდეთა შორის
არაფერი მაღნეული არ მოიძებნებოდეს. საბჭოთა ხელისუფლების დამ-
ყარებამდე საინგილოს მაღნეულის გამოკვლევა-შესწავლას სრულიად
არავინ აქცევდა ყურადღებას და ისე ბედის ანაპრად იყო მიგდებული
ეს მდიდარი ქვეყანა. ერთადერთი მაღნეული, რომელიც ფართოდაა
ცნობილი საინგილოში, არის ბელაქნის სპილენძის მაღანი, რომელიც
უძველეს ღროშოც იქცევდა მოსახლეობის ყურადღებას. მაღანი მაღალ
მოებში მდებარეობს, კავკასიონის უდელტეხილზე. ბელაქანს იგი დამო-
რებულია 30 კილომეტრით. ძეველ ღროშოც უწარმოებიათ იქ მუშაობა,
რასაც მოწმობს ის პრიმიტიული ღუმელები, რომელიც ღლემდეა დარ-
ჩენილი.

1900-იან წლებში ექსპლუატაციის მიზნით ამ საბადოების კვლევა-
ძიება აწარმოა ვინმე კონდუროვმა, მავრამ ჩქარა მიატოვა, რაღაც ხე-
ლსაყრელად ვერა სცნო მათი დამუშავება. 1911 წელს ფართო მასშტა-
ბით შეუდგა მის შესწავლა-გამოკვლევას ცნობილი მილიონერი ვო-
გაუ. მას უნდოდა საფუძვლიანად შეესწავლა ეს ძველიძანვე ცნობალი
მაღნეული და შესდგომოდა მის ექსპლუატაციას. მთელი წელი სამთო
ინჟინერებისა სამი წლის განმავლობაში დაწვრილებით სწავლობდა და
იკვლევდა საბადოებს, ბევრგან მთელს მიღამოში აწარმოეს გათხრა-
გამოკვლევა, მავრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. მათი გამოკვლე-
ვით, ბელაქნის სპილენძის საბადოები წარმოადგენენ არა ერთიან მასივს,
არამედ პატარ-პატარა საბადოებს, ხშირად დიდი მანძილით ერთმანე-
თისავან დაშორებულს, მივარდნილ უგზო-უკვლო ადგილებში, რის გა-
მოც ერთიანი მძლავრი ღუმელის მოწყობა მის დასამუშავებლად ვერ
მოხერხდა.

კვლევა-ძიება მაღნეულისა დღესაც არ შეწყვეტილა, 1927 წლიდან
აზერბაიჯანის მთავრობამ ხელახლა მოპყიდა ხელი და ყოველ ზაფხუ-
ლობით განავრმობს კვლევა-ძიებას, რაზედაც მუშაობს კარგა ბლობად
ხალხი გამოცდილი ინიცინრების ხელმძღვანელობით.

ამ მაღნეულის დამუშავებას და წესიერ ექსპლოატაციას ბევრი ხელ-
შეშმლელი გარემოება უცარავს ხელს. მაღანი მეტის-მეტად უხერხელ

ადგილას არის, კავკასიონის მთაგრეხილზე, 3000 უტრის სიმაღლეზე,
სადაც მთელი მიდამო ისეა დასერილ-დაღარული ვიშურუქულუბული
რომ ერთი ბეწვა სწორე ადგილიც კი არ მოიძებნება შენობებიც კულტურულ
საძ. მცაცრი ზამთარი იცის, ისეთი, როვორც კავკასიონის მთაგრეხი-
ლის უმაღლეს ადგილებს სჩვევიათ, როდესაც ვარეთ მუშაობა შეუძლე-
ბელია დიდი ყინვებისა და ქარბუქის გამო. დიდი უგზოობაა — მაღალეუ-
ლობამდის მხოლოდ ერთადერთი საცალფეხო გზა მიდის, ხევ-ხუკებით
დასერილი, რომელიც ძნელი სავალია ზაფხულშიც კი, ზამთარში ხომ
ისე ივება თოვლ-ყინულით, რომ სრულიად გაუვალი ხდება. ძნელია
არა თუ კვალიფიციური, არამედ უბრალი შავი მუშის შოვნაც კი.

სოფ. კუმის (კავის რაიონია) მთებშიც მოიძებნება სპილენძის სა-
ბადოები, მაგრამ ისინი უფრო უვარვის პირობებში არიან, ვიღრე ბელა-
ქანისა. საბადოები აქაც მიუვალ ადგილებშია, რომლებსაც უბრალი
საცალფეხო გზაც კი არ უდგება, ამიტომ მის გამოკვლევა-შესწავლაზე
ჯერჯერობით არავინა ზრუნავს. ამბობენ კი მცოდნე პირები, რომ კუ-
მის მაღალეულობა ღირსებით ბევრად უფრო მაღლა დგას, ვიდრე ბელაქ-
ნისა.

ერთ დროს სოფ. ელისუს ხეობაშიაც აღმოაჩინეს ოქროს მაღნის
ნიშნები. დიდ იმედებს აშყარებდნენ მასზე. მაგრამ ისეთი უმნიშვნელო
რაოდენობა აღმოჩნდა, რომ მისი დამუშავება არა ღირდა, რის გამოც
კვლევა-ძიება სრულიად მიტოვებულ იქნა.

საინგილოში ბევრი სამკურნალო წყალია. ყველაზე განთქმული თა-
ვისი სამკურნალო თვისებებით არის შესანიშნავი აბანო ჰამამდარად
წოდებული. გაივლით თუ არა სარაიონო ცენტრს, კას და ქურმუხის
ხეობას შექვებით, ხ კილომეტრის სიშორეზე შეხვდებით სოფ. ელი-
სუს — სულთანების ყოფილ რეზიდენციას. აი ამ სოფელის სამხრეთ-
აღმოსავლეთით რომ წახვალთ, ძალზე ვიწრო ხეობის ჩიხში დაგხვდე-
ბათ ეს შესანიშნავი აბანო, იქ ორ ადგილას პირდაპირ კლდის ნაპრალა-
დან გაღმოპქუხს ცხელი წყალი, რომლის სითბოც 40 გრადუსს აღწევს.
ერთი მათგანი 8 მეტრის სიმაღლიდან გაღმოპქუხს, ხოლო მეორე 1/2
მეტრის სიმაღლიდან. ორივე სამკურნალო წყარო დღედამეში 1/2 ზი-
ლიონ ვეღროზე მეტ წყალს იძლევა. უმთავრესად წყლები ნაცარტუტა-
სა და გოგირდს შეიცავენ.

მომხმარებელთათვის მოწყობილია საში აბაზანი, რომელთაგან ერთი
ლამითა და ქვიშით არის ამოვსებული, ორით სარგებლობა კი შვევივ-
რად შეიძლება. აბანო რეგბს რევმატიზმით დაავადებულებს და კანის

კოველგვარ ავადმყოფობას. ამ წყლებიდან პირველს პქვია ოლიან ჩა-
მაშ, ხოლო მეორეს — ყიზ პაშაშ. ხალხის გადმოცემით თუ ქალაქი ჰქო-
ველში იძანავა ვაჟიშვილი ეყოლება, თუ მეორეში — ქალიშვილი. ცნულ-
კამამდარა მეტის-მეტად მიუვალ აღაგას მდებარეობს.

სუდან შეიდი კილომეტრის მანძილზე. სულ ხევ-ხუ და წყალწყალ
უნდა იაროთ ცხენით. აბანოსთან არავითარი შენობა არ მოიპოვება და
არც ადგილ-მდებარეობა უწყობს ხელს, რომ იქ რაიმე შენობა აიგოს.
ამიტომ არა ერთხელ აღიძრა საკითხი, რომ წყალი მილებით ჩამოუკე-
ნაო სოფელში, მაგრამ ამის განხორციელებას მუდამ აბრკოლებდა ის
მოსაზრება, რომ წყალი გზაში გაცივდება და თავის სამკურნალო თვი-
სებას დაპკარგავსო. არ ვიცი, რამდენად სწორია ეს მოსაზრება, ვინაი-
დან, თუ რამდენად დაპკარგავს სამკურნალო თვისებას, ეს დღემდე არა-
ვის გამოუკვლევია.

კარგი სანახავია ეს აბანო ზამთარში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ
აბანოთი ხალხი სარგებლობს მარტო ზაფხულობით, ვიდრე თბილა, და
პატარა, სახელდახელოდ გამართულ ქოხებში ნაბანავებს გაციება არ
მოელის. აბანო შედარებით მაღალ ადგილას მდებარეობს, ამიტომ ცივი,
თოვლ-ყინულიანი ზამთარი იცის მის ირგვლივ, მით უმეტეს, რომ მის
თავზე წამომდგარ მოებს აღრე ჩამოსთოვს ხოლმე. ირგვლივ სიცივე,
თოვლის თეთრი სუდარა გადაპკერია მიღამოს, ბუნებას კრიჭა შეპკვ-
რია, პამამდარა კი ბუნების სიმკაცრეს გამოპჲარვა. იგი ჩვეულებრივად
ჩქერს და გადმოპქებს. მისი მძლავრი ოშმივარი, როგორც დიდი ქარხ-
ნის ბრძმელის ბოლი, ცას სვეტივით ებჯინება, ნელ-ნელა ზევით-ზევით
მიიწევს და პაერში იფანტება.

პამამდარში ზაფხულობით სამკურნალოდ დიდმალი ხალხი იყრის
ო. ას. აქ ნახავთ როგორც ნუხა-ევლახიდან, ისე შორეული ბაქოდან,
დარუბანდიდან, განჯიდან და აზერბაიჯანის სხვადასხვა ადგილიდან მო-
სულებსაც.

ყიმურლეს აბანო სოფ. კაკის მახლობლად მდებარეობს, ყიმურლეს
ბინებთან. აბანო გოვირდოვანია, ცივია. აქ ბანაობა ნაეებში ხდება. სა-
მკურნალო წყალს ჯერ ნავებში ასხამენ, შემდეგ შიგ გახურებულ ქვებს
ყრიან, რის გამოც დიდი აორთქლება ხდება. ავადმყოფი ნავშა ზის,
ზედ წამოსმული აქვს ნაბადი. ქვებს თანდათან უმატებენ. ავადმყოფი
იმდენხანს ზის ნაეში, ვიდრე შესძლებდეს, შემდეგ ამოდის და ლოგიში
წვება. ავადმყოფ ზევიდან თბილად პხურავენ, რომ ოფლი მოუვიდეს.

აშას იმეორებენ ორჯერ-სამჯერ დღის განმავლობაში. ბაწაობა შეტის-შეტაც უხერხულ პირობებში ხდება. არსად სახლი ან ქოტეფარტულებული ნება, რომ იქ შეაფაროს თავი ავადმყოფმა. ამ აბანოულებულებები შეოლოდ ისინი, ვინც უილაჯობისა და მოუცლელობის გამო ელისეს აბანოს ვერ მისწვდომია. ეს აბანო რგებს ქარიანებს და დახუთულებს.

ნაცარტუტიანი სამკურნალო წყალია ყაინათმაც. იგი მდებარეობს სოფ. ალიძეგლოსა³ და ყორადანის მიჯნაზე. წყალი ცივია და გათბობას საჭიროებს. მკურნალობა აქაც ნავების საშუალებით ხდება, ისევე როგორც ყიმურლუს აბანოში. ეს აბანო უხდება კანის ავადმყოფობით დაავადებულებს.

ხაეანადარას აბანო ყველაზე უფრო შორს არის მოსახლეობიდან. მდებარეობს იგი ქალალ-ჯიმჯიმახის ხეობაში, სადაც პატარა მორაკრაკე მდინარე ხავანას მართდა რომ ხავილი გაუდის. თუმცა ეს აბანო დაშორებულია მოსახლეობას, მაგრამ ძალიან ხელსაყრელ აღვილას მდებარეობს. იგი მოფარებულ, მყუდრო აღვილას არის, პავა შშვენიერია, შემა კიდევ გამოულეველი, ჩადგან აბანო შივ ტყეშია მოთაქსებული და მისი ცივი სამკურნალო წყლის გასათბობად შორს არ უხდება ადამიანს შეშისათვის სიარული. აბანო ძალზე გოგირდოვანია. შეხვალთ თუ არა იმ ვიწრო ხეობაში, სადაც აბანოა, უკვე ორი ვერსის სიშორიდან შოგდით მისი სუნი. ლირსებით იგი ბევრად სჯობია ორ ზემოსხენებულ აბანოს. სამკურნალოდ უმთავრესად ჭარ-მჟახახის ხალხი დაირება, როგორც მახლობელ აბანოში. ბანაობა იმავე წესით ხდება, როგორც წინა აბანოში, ვ. ი. გევებში ჩასხმულ წყალში გახურებულ ქვებს ყრიან. ეს აბანო არჩენს კანის ყოველგვარ ავადმყოფობას და რევმატიზმს. ზაფხულობით დიდი ხალხი ეტანება.

ბელაქნის მოებშიაც ბევრ აღვილას შეხვდება კაცი მინერალურ წყლებს. მდინარე ჩარიგელასა და ქილასაჩაის⁴ შესართავთან მდებარეობს გოგირდის წყარო მცირედი დებეტით. თვით ბელაქნის წყლის სათავეშიაც, იქ, სადაც ტყები თავდება და ალპიური ზონა იწყება, მშვინიერი მჟავე წყლებია. ბელაქნაჩაისთან კიდევ ორ აღვილას გამოდის გოგირდის წყარო. ასეთივე წყაროები გამოდის კატეხჩაისა და ქალაჩაის⁵ შესართავის სიახლოეს.

ბელაქნის ეს მინერალური წყლები ჯერჯერობით ვერ არის სათანალოდ გამოყენებული. ხალხი ან სრულიად არ სარგებლობს ამ სამკურნალო წყლებით მათი სიშორისა და მიუვალ აღვილებში მდებარეობის გამო, ან ძალიან მცირედ. სამავიროდ, დიდად სარგებლობენ ამ მინე-

რაღური წყლებით, მონადირეების გადმოცემით, ირმები, შველები, კუკები. ისინი მთელი ზაფხულის განმავლობაში ამ წყლების ირგვლივ /ტრიალებულ/ ხარბად სვამენ მას.

ტრიალებული

როგორც ზემოთ აღნინშეთ, საინგილოს მთელი ტერტიული კურტიუსი ერთმანეთისაგან განსხვავებული ნაწილისაგან შესდგება — მთისა და ბარისაგან. მათი პავაც და ბუნებაც სხვადასხვანაირია და ერთმანეთს არაფრით წააგვანან, გარდა ამისა, მთაში მოსახლეობაც კი სხვანაირია. მთა ნაკლებად არის დასახლებული, სულ ათიოდე სოფელი შეჰკედებია მის კალთებს და ისიც სულ წახურიდან გადმოსახლებული ლეკები არიან. კალალი, ჯიმჯიმახი, აზგილოუ, კასი, კარკაი, სუვაგილი, ახჩარ, სარუბაში, ელისუ — ამ ეს არის მთის მოსახლეობა. საინგილოს ამ სოფლებში და, საზოგადოდ, მთაში მშევნიერი ზაფხული იცავს, როცა თოვლი ჩამოდნება და ზამთრის ძილისაგან გამოვისწლდება. მისი გრილი, ვამაცოცხლებელი სიო, ანკარა წყაროები, ისიურად აუერადებული ფერდობები დიდაღ ხალხს იზიდავს ბარიდან. ბარი სიცხით იწვის, აქეც მთის ლელებში ჩაზვავებული თოვლი ჯერ კიდევ არ გამქრალა — გამარტინულია, გაქვავებული, ნელ-ნელა დნება, მთლად ცრემლად ქცეული; მისი ძირიდანვე გამოპქუს ბროლიეთი ანკარა ნაკადი. ბუნება ზეიძობს და ისეთი საამური პაერით ავსებს მიდამოს, რომ გარინდებული დგეხართ და გინდათ დაუსრულებულად სუნთქავდეთ. ყველგან სიცოცხლეა, სიცოცხლე განსახლებული და გაბრწყინებული. „მთის კურმი კეთილ-აგარაქნი და მშვენიერნი“ ამბობს ბატონიშვილი ვახუშტი საინგილოს ამ ნაწილზე.

აქეური ზაფხულის სიმშვენიერე მთელ ბარს აქეთენ იზიდავს. ცხვრის ფარები ერთი-ერთმანეთს გზას ვერ უქცევენ, მეჯორები გაფაციცებით იმზადებენ ბინებს. აქეთენვე მოისწრაფვიან ნალარითა და ჭლევით დაავადებულნი. აქეთენვე გამორბოლნენ ძველად ბარში სიცხლე შეწუსეული, განებივრებული ბევები. მთაშივე გადააქვს თავასი სკები გამოცდილ მეფეტქრეს, რათა უფრო მეტი ღალა აიღოს.

ყველა ამათ ფეხდაფეხ მისდევდა გულხადარი. ეს ხალხი ძეველად მთელი ოჯახობით ჩამოდიოდა შემოდგომობით საინგილოში და აქ ეწყობოდა სამუშაოზე. ზოგი მათვანი მწყემსად დგებოდა, ზოგი სახლში ყობოდა სამუშაოზე. ზოგი მათვანი მუშად და ასე ვაინაჩრობით ატახელზე მოსამსახურედ, ზოგი დღიურ მუშად და ასე ვაინაჩრობით ატარებდნენ მთელ ზამთარს. ქალები ვისიმე გომურში ბინავდებოდნენ, მცხოვრებლებს ეხმარებოდნენ საშინაო საქმეებში — უკრიდნენ და მცხოვრებლებს ეხმარებოდნენ საშინაო საქმეებში — უკრიდნენ და უკერავდნენ ტანისამოსს, უცხვავდნენ ჩალთუს (ბრინჯს), ურჩევდ-

ნენ კაკალსა, თხილსა და სხვ. საინგილოს ეკონომიური ცხოვრებისათვის
შათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, რადგან ისინი კარგ დატვირთვის მაღას
წარმოადგენდნენ ინგილოთა მეურნეობისა და შინამრეწვენაზე უფლების
რა საქმის გაყიდვასაც ინგილო ვერ ასწრებდა, იმას კოცლიარეფიც ეცეს
დახმარებით შემოღვომა-ზამთრობით ამთავრებდა.

ამ ხალხის მთელ სიმდიდრეს ვირი ან ბებერი ცხენი შეაღენდა, რო-
მელსაც აპარებდნენ თავიანთ მწირ ქონებას და გაზაფხულზე, გაისსნე-
ბოდა თუ არა დაღესტნისაც მიმავალი გზები, მყისვე იქითკან იზამდ-
ნენ პირს. მოვალეობა თუ არა გულხადარს გაზაფხულის სუნი, ბარად
ვერავითარი ძალა, ვერავითარი სასყიდელი ვერ დაიჭერდა. ბაჯაღლო
ოქრო რომ დაგვეკალათ და ჯაფეითაც დავებათ, იმას საინგილოში ვერ
გააწერებდით ზაფხულობით. ის მაღალი მთების შვილი იყო, ძველად
ეკონომიურად ძალზე შევიწროებული. დაღესტნის ტიტველა, ხრიონი
მთები მას ვერ აძლობდნენ, პრიმიტიულად დამუშავებული მიწის მოსა-
ვალი ორ თვესაც ვერ ჰყოფნიდა და ამიტომ მორბოდა ბარში.

ასეა მთაში ზაფხულობით, მაგრამ ბარად სულ სხვა სურათია. „გარ-
ნა პავა ცხელი, შხამიანი ზაფხულის,“ — ამბობს ვახუშტი საინგილოს
ამ ნაწილის შესახებ. ვახუშტის ეს სიტყვები უაღრეს ჭეშმარიტებას შე-
ადგენენ. დაღვება თუ არა თიბათვე, ისეთ უზომო, ვაუთავებელ სიცხე-
ებს დაიჭერს ხოლმე, რომ საშინელებაა. მიწა სედება ურწყავ აღვილე-
ბში.

უკელაზე უფრო კარგი და მომხიბლავი დრო საინგილოში შემოდ-
გომაა. თუ საინგილოს ნახვა გინდათ და მისი სიდიადით დატებობა, შე-
მოღვომით უნდა ნახოთ. ისეთი კაშეაშა მზიანი დღეები იცის შემოღვო-
მიბით, რომ მსგავსს სხვაგან იშვიათად შეცვდება ადამიანი. ვერავან
სიმშრალეა, მთიდან მსუბუქი ნიავი მოქრის, ირგვლივ მოფანტული გა-
ყვითლებული ფოთლები შრიალებენ. გრილა, სულის ჩამდგმელი, სასი-
ამოვნო ამინდია. გზების პირად ჩამწერივებულ კაკლის ხეებზე დარწე-
ნილი ნიგოზი გზებზე ცვივა. ბაღები სავსეა თხილის ნარჩენით. ალაზნის
ჭალებში ბროწეული მეტის სიმწიფისაგან სედება და იფანტება. ზაფხუ-
ლის სიცხით შეწუხებული ხალხი მინდერად იშლება, მთებში შეხიზნუ-
ლი მოაგარავენ ბარად ჩამოდიან და ბაწარაღებით მისდევენ ერთმა-
ნეთს. ყველვან გაისმის მთიდან მოზღვავებული ცხერის ბლავილი. ში-
რაქი, აღიაზლო, აჯინაური ცოცხლდებიან. მონადირე თოფს იღებს ხე-
ლში, მთიდან ჩამოვარდნილი ღორი ჭალებს მოსდებია, ხოხობი ღლესა-
სწაულობს, შამბში აღარ იმაღება; ჯეირანი, ტრიალი მინდვრების გა-

ნუყრელი შეიღო, ფეხაკრეფით მირბის ახმაურებული მინდვრობამ
მიყრუებულ აღვიღებს ეფარება.

ზაფხულობით მოდუნებული მაჯა ბარისა ახლა მეტ, ძირის მიმდევა
იჩინს. გლეხკაცი გამალებული მუშაობს, რომ წლის მინდვრები მის მიერ
სახლში შეიტანოს, გარეთ არ დარჩეს, არ წაუხდეს. ბრინჯის მინდვრე-
ბში გახურებული მუშაობაა, რიგი სჭრის ბრინჯის, რიგი უკე გამხმარს
ქორუებით კალოზე ლეწავს. დიდი და პატარა არახისს დახვევია. იღე-
ბენ მიწიდან მშვენივრად მსხმოიარე ამ მიწის თხილს, აშრობენ, არჩე-
ვენ. თამბაქოზე მუშახელი არა პყოფნით — ახლაა სწორედ გახურებუ-
ლი მუშაობა.

ზამთარი საინგილოში საზოგადოდ, როგორც ზემოთ ვთქვით, თბი-
ლი იცის. თოვლს ძალიან იშვიათად დასდებს და, თუ დასდო, მეორე
დღესვე აიღებს. „ზამთარი კეთილ ჰაეროვანი, თბილი, უთოვლო, უყი-
ნულო“, ამობს ვახუშტი საინგილოს შესახებ. მართლაც, ზამთარი ისე-
თა წყარის, უთოვლო და უქარო იცის, რომ ადამიანი არც კი გრძელობს,
რომ ზამთარია. თავისუფლად შეგიძლიათ მთელი ზამთარი მსუბუქ სა-
უბრიდვომო ტანისამოსში იაროთ. ამ თბილ ზამთარში ხშირად ნახავთ
შუდრო აღვილას, ბუჩქის ძირის, მშვენივრად გაფურჩქვნილ იას.

ინგილო ასეთი მსუბუქი ზამთრით ხარბად სარგებლობს. ის გულ-
ხელდაკრეფილი არა ზის: ახლა ამზადებს ფიჩის, შეშას, ჭივის, ცეცხავს
ჩალთიქს (ქერქიან ბრინჯის) და ათას სხვა სამუშაოს ასრულებს ვენახსა
და ბალში. ახლა იხდის ქორწილს, დაიარება ნათესავებსა და ნაცნობე-
ბში სტუმრად, სოფლიდან სოფელში. ზამთარი ის დროა, როცა მინდვ-
რის მძიმე სამუშაოსაგან თავისუფალი ინგილო ლალობს და მხიარუ-
ლობას ეძლევა. ახლა მიდის სანადიროდაც, განსაკუთრებით ღორქებზე.
მოგეხსენებათ, რომ ალაზნის ჭალებში ბლომად ბუდობს ზამთრობით
გარეული ღორი. ამ ღორებს ემატებიან ზამთრის სიცივისავან შეწუხე-
ბული მთადან ჩამოვარდნილებიც. სწორედ ამ გარეულ ღორებზე სანა-
დიროდ იცლის ხოლმე ახლა ინგილო. შეიყრებიან მონადირეები რამდე-
ნიმე კაცი, წაიყვანენ თან ძალებს და წავლენ სურაქში. სურაქს აქ ღო-
რზე ნადირობას ეძახიან. ძალიან ხელსაყრელია ეს ნადირობა. იშვიათად
დაბრუნდებიან ხოლმე ხელცარიელი ნადირობიდან. ღორს გარდა, სხვა
ცხოველებზედაც ნადირობენ ზამთრობით, განსაკუთრებით კი ჯეირნე-
ბზე და კურდლებზე. მაგრამ ინგილო უფრო მეტად მაინც ღორის მტე-
რია.

ასეთი ამბავია ზამთრობით ბარში, მთა კი ამ დროს უფლ სხვა სურათს წარმოადგენს. ის რამდენიმე სოფელი, რომელიც მთას შექმნდებია, სრულიად იცლება ამ დროს მამაკაცთაგან, ყველა ქართველი წერტყმა სახლში ზამთრობით მამაკაცთაგან არავინ რჩება, რუსთაველი წრმიულები შეიცნიეთ, ეს სოფელები მიწის დიდ სივიწროვეს განიცდიან, ბარს კი, ნადაც ბევრი ადგილ-მამულია დასამუშავებელი, ვერ ეგუებიან როგორც მთის პავას შეჩვეულინი.

ამიტომ ისინი უძველეს დროიდანვე ხელობას მისდევენ და ამით ირჩენენ თავს. ყველა აქაური კალატოზია ან დურგალი, მექვაბე, მკალავი. ზაფხულს ეს ხალხი სახლში ატარებს, თავის ოჯახსა და ცოლ-შვალში. მაგრამ მოვა თუ არა შემოდგომა, ერთ კაცს ვეღარ ნახავთ სოფელში, ყველა იყრება და სამუშაოდ მიღის, სოფელი მარტო ქალების ამარა რჩება. სოფელი თითქოს კვდება, სიცოცხლე ეკარგება, ის ახლა მითაური ამორმალების სოფელს ემსგაესება, სადაც ყოველგვარ საქმეს, შინდა და გარეთ, ქალები აკეთებენ, მომსვლელის მიმღები და პასუხის გამცემი ისინი არიან. აი ასეთი ამორმალების სოფელს მოგვავონებს მამაკაცთაგან მიტოვებული ეს სოფელი მთელი 7—8 თვეს განმავლობაში. საითაც გაიხედავთ ამ სოფელებში, ყველგან ქალები და ქალები... არსაც კაცები, გარდა პატარა ბიჭებისა.

როცა ჩამოსთოვს, ყველანი სახლებში ჩაიკეტებიან და გარეთ ფეხს აღარა სდგამენ. ამ მთის ფერდობზე შეფენილ სოფლებში დიდი თოვლი და ყინვები იცის. ამიტომ გარეთ არავინ გადის. სხედან ქალები ბუხრებთან და შორს სამუშაოდ წასულ ქმარ-შეილზე ფიქრობენ, ან კადევ საჩიხე და საჯეჯიმე მატყლს სჩეჩავენ და ართავენ და საზაფხულოდ სამუშაოს იმზადებენ. ზოგნი კიდევ, უმთავრესად სოფელ ელისუში, დაზვაში ჩასმულ ხალიჩებსა და ფარდაგებსა ქსოვს; ასე უფერულად მიმდინარეობს მთელი ზამთარი სოფელში, ვიდრე მამაკაცები სამუშობიდან არ დაბრუნდებიან და ჩვეულებრივ სიცოცხლესა და მხიარულებას არ შეიტანენ სოფლის ცხოვრებაში.

თუ, საზოგადოდ, გაზაფხული ტურქაა და ჰყალაცი, მაში, რაღა უნდა იყოს გაზაფხული საინგილოში, სადაც უამისოდაც ბუნება მდიდარია და მომხიბლავი! გაზაფხული საინგილოში მეტად თვალწარმტაცია. მთა და ბარი აზურმუხტებულ სამოსელს ისხამს, სურნელოვანი ყვაველებითა და ათასხაირად აჭრელებული ხეხილის თაივულებით იმსისხა. ამას დავუმატოთ მთიდან გამოქცეული მოჩეხჩეხე ნაკადები, ყველგან გაუ-

თავებელი სტენა-ჭახჭახი ბულბულისა, რითაც სავსეა საინგილო, ადვილად წარმოიდგენთ, რა წარმტაცა ეს კუთხე.

სოფლად ყველგან გაცხარებული მუშაობაა, მამაკაცების ჩატარებული ებას მოსდებიან, ბავშვები და ქალები ნაფუზრებში თავიაზვის ჭრების საზაფხულო საჭმელს — ღანძილს დაეძებენ .გემრიელი ღანძილი იცის საინგილოში, თუმცა მას არასასიამოვნო სუნი აქვს, მაგრამ საინგილოში მას ისე ამზადებენ, რომ სუნი მთლად ეკარგება. გაფუფუქულ ღანძილს თუშეფალანგზე წამოპყრიან და, როცა დაიწყრება, რამდენჯერმე ცივ წყალს გადავლებენ. ღანძილს სუნი ეკარგება, შემდეგ ერბო-კერცხში ხრავენ, ისევე, როგორც სატაცურს.

აქაური ღანძილის სახელი შორს არის გავარდნილი, ას ფოსტით აუარებელი იგზავნება ისეთ შორს ადგილებშაც კი, როგორც ბაქოა, ცრევანი, ნახიჩევანი, ლენინაკანი და ორდუბათი. აბა, შედით გაზაფხულზე ზაქათალის ან კაკის ფოსტის კანტორაში, თუ ღანძილის სუნმა არ ჯაგბიდათ. კანტორა ამ დროს ღანძილის ამანათებათ არის სავსე. ღანძილი უმთავრესად კაკის რაიონიდან იგზავნება.

იმ დროს, როცა საინგილოს ერთ განაპირა რაიონში ღაცხარებული კრეფაა, მეორე რაიონში, ბელაქანში, სხვაგვარი საგაზაფხულო სამუშაო სწარმოებს. ეს გახლავთ ჯონჯოლის კრეფა. ბელაქანის მახლობლად ტყეები სავსეა ჯონჯოლით. აქ ჯონჯოლის უამრავი ბუჩქია. ადგილობრივი მცხოვრებნი, ლეკები, მას ვერ ეწყობიან. ძველად თბილისის ბაყლების სათარეშოდ იყო გადაჭრეთი აქაურობა.

ამ დროს აღაზანიც ცოცხლდება, მის სანაპიროებზე მეოვეზეები ჩნდებიან. სხვა დროს მიყრუებული აღაზანი, თითქოს ზამთრის ძილი-საგან იღებიძებს, მოჭარებებულ წყალდიდობისაგან თითქოს ზღვად გადაქცეული, თევზით იცხება. აქ თევზაობა მარტოდ-მარტო გაზაფხულობით არის მიღებული, სხვა დროს აღაზანს სათვაზაოდ კაცა ვერ ეკარება. თევზს უმთავრესად ჩანგლით იჭერენ.

გაზაფხულზე აქ ზოგჯერ ხშირი წვიმები იცის, ხანდახან ისე ატყდება, რომ მთელი კვირაობით არ გადაიღებს. მაშინ ამინდი იცვლება, საინგილოს თავზე წამოყუდებული კავკასიონის უზარმაზარი მწვერვალები ნისლში ეხვევიან და მოულოდნელად დათოვს და მოყინავს სწორედ ისეთ დროს, როცა ხეხილია აყვავებული, ვაზი და კაკალი ახალ ყლორტებ-ამოყრილი. ხედავ, მშვენივრად აყვავებულ ბუნებას უკრიად ყრინულის სარტყელი გადაკრა, შებოჭა, შეხუთა იგი, საღლესასწაულოდ

გამზადებული სასიკვდილოდ გასწირა. გაყინულ-გათოშოლი ყველილი და ყლორტი სცვივა ხეებს, და იმ წელს მოსავალზე ხელი უნდა აიღის შცხოვრებმა, არც კურძნი, არც ხეხილი იმ წელიწადუაჭ შეტყუფული.

სამავიროდ, სეტყვის მხრივ საინგილო იშვიათულ გამოყიდვის შესაბამის სრულებით არ იცის სეტყვა. არ ვიცი, როთ აიხსნება ეს ბედიტორი მოვლენა, მაგრამ ეს კია, როცა დაიძრება მთებიდან სეტყვის მომყვანი შავი ლეგა ღრუბელი და ბუნება აირევა, ის საინგილოს მშედობით გადაუვლის, ასცდება მის ვიწრო და მოკლე ტერიტორიას და აღაზნის გაღმა საძოვარ შინდვრებს დასცემს თავზარს. აღიაზლო, აჯინაური, სარიჯა — აი, ესენი წარმოადგენეს მის სამეფოს, იქ მინდვრებში დასცემს ხოლმე სეტყვა თვის ბანაკს. ამ საძოვარ მინდვრებში ის იმ დროს ყასახლები არაფერია, ვენახები და ხეხილის ბაღები იქ არ არის და არც ცხვრის ფარებია იმ დროს საძოვრებშე. ასე რომ, სეტყვას საინგილოსათვის არა-ვითარი ზარალი არ მოაქვს, ბეღნიერია ამ მხრივ კაინგილო თუ აქაურ მცხოვრებს ამ საძოვარ მინდვრებში არ უვლია და იქ არ უნახავს სეტყვა, თვით საინგილოში, სადაც მოსახლეობაა, ვერასდროს ვერა ნახავს.

არც ქარი იცის საინგილოში, იგი უქარო ქვეყანაა. ქარიან აღვილებში შეჩერებულ ადამიანს აქ მოენატრება ქარი. ხანდახან ისე გაივლის წელიწადი, რომ ქარი არსაიდან არ დაიძრის. ამიტომ მეეღად კალოებს უმთავრესად მდინარეების ნაპირებთან მართავდნენ, რომ გაინაცების დროს მდინარის ნიავს მაინც გაეტანა ბზე და ბრინჯის ბუჩო. ნიავი ისევ ხეობებში თუ ჩამოიქროლებს ათასში ერთხელ, ან კიდევ აღაზინის პირზე ხამუშ-ხამუშ თუ შეათამაშებს მოწყენილ ჭალებს და ვერხვებს, თორებ სხვაგან ძალზე იშვიათია. საინგილოს ჩრდილო-აღმოსავლეთი-დან კავკასიონის მთაგრეხილი აქვს აფარებული თავის გრძელი ქიმებით და, ალბათ, ეს გარემოება ქმნის აქ უქარობას. ეს უქარობა, სხვა ხელისშემწყობ პირობებთან, იმის ერთი მიზეზთაგანია, რომ ხეები აქ უზარმაზარი სიმაღლისა და სიმსხოსი იზრდება. აქაური ცატვი, მავალითად, უზარმაზარი კაკლის სიმსხო იზრდება და ვებერთელა ფართობი უჭირავს მას. მაგრამ ამ უქარო ქვეყანაში, თუ ბუნება განრისხდა და საიდანმე ქარი შემოიჭრა, იგი მთელ გრიგალად გადაიცცევა და საშინელებას და დატრიალებს. სახლებს სახურავებსა ვლეჯს, თივის ნამჯებს იტაცებს და უზარმაზარ ხეებსაც ძირიანულესვიანად ამოავდებს ხოლმე. მაგრამ ასეთი მოვლენა ძალიან იშვიათად, შეიძლება 15—29 წელიწადში ერთხელ მოხდეს.

საინგილოს ჭაობები და პატარა ტბები სავსეა ქვეწარმავლებით. ას-
ინგილო, საზოგადოდ, მდიდარია ქვეწარმავალით, განსაკუთრებით კი
გველებით. ბარში და აჯინაურ-სარიჯის ვეღ-მინდვრებში რექტი უწყლესი
გადაადგამთ, რომ ადგილ-ადგილ გველები არ შეგვეცირები სტატუსის
ბევრი არიან, რომ შარა-გზაზედაც კი მოსვენებას არ აძლევენ აღამიანს
და ხან აქ, ხან იქ გადაურბენენ ხოლმე ორ-ორი ერთად.

საინგილოს მდიდარ ბუნებას ბევრი ნაკლიცა აქვს. ასეთ ნაკლად
უნდა ჩაითვალოს პატარა ტბები და ჭაობები, რომელიც უმეტესად
ალაზნის სიახლოვეს მდებარეობენ. ეს ჭაობები სავსეა ქვეწარმავლით
— გველებით და კუებით; მაგრამ ეს კიდევ არაფერი — ისინი ზაფხულო-
ბით სავსენი არიან კოლოებით და ქინქლებით. ისე მრავალია აქ კოლო,
რომ შორიდანვე ისმის მათი ზუზუნი, რის გამოც ეს ადგილები მაღარი-
ის ბუდეებად ითვლებიან. აქაური კოლო მეტად მწვავედ იყბინება და
ტრიპიკულს მაღარის ავრცელებს. საინგილოში არა ერთი და ორი
სოფელი ამოვარდნილა მცელად მაღარის წყალობით.

ამ ჭაობიან ადგილების ამოშრობა ადვილად შეიძლება, ამისათვის
საჭიროა არხის გათხრა და აშმორებული წყლის ალაზანში ჩაშვება.

საინგილოს დიდ ნაკლს ძეგვიანი ადგილებიც შეაღევენენ. ნახავთ
დიდ ფართობს, რომელიც მთლად ძეგვს უჭირავს და ხენა-თესეისათვის
და, საზოგადოდ, რაიმე კულტურისთვის გამოუსაღებარია. ასეთი ადგი-
ლები ბევრგან არის საინგილოში.

ზოგჯერ ისე ხშირია ეს ძეგვი, ისეა გადაბმული, რომ კაცს გაედა-
გაუჭირდება. ჯერჯერობით ამას ყურადღებას არავინ აქცევს და არა-
ვინა სწმენდს ამ გამოუსაღებარ და მავნე ჩირგვებისაგან ნიადაგს.

ალაზნის სანაპიროზე ლამიან ადგილებში გაზაფხულზე მთელი ტყე
ჩნდება სატაცურისა. დაჯექით და ჰკრიფეთ, რამდენიც გინდათ! აქაუ-
რები ისე უცქერიან სატაცურს, როგორც სარეველა ბალას და ახლო-
საც კი არ ეკარგიან — ჩირგვებიაო, გაიძახიან.

სოკოც დიდძალი მოდის საინგილოში. ტყეებსა თუ ჭალებში ყველ-
გან ნახავთ მშვენიერ საჭმელ სოკოს. ბარში, ნოტიო ადგილებში, ბში-
რად მთელი ტყეა ხოლმე სოკოებისა.

ადგილობრივი მცხოვრებნი ამ ძვირფას სოკოებს არავითარ ყურა-
დღებას არ აქცევენ, არც ახმობენ, არც სხვაგვარად იყენებენ. მათი მო-
მხარებელი მხოლოდ მოსული ხალხია, უმთავრესად რუსობა. ისინი
კიდევაც ახმობენ და კარგ წნილსაც ამზადებენ მისგან.

საინგილოში მოიძებნება ტექნიკური მინდვრის მცუნარეფ. დღეს-დღეობით ისინი გამოყენებული არ არიან. ასეთია ძირისადან ქართველი, თრიმლი, თუთუბო. ბლომად არის საინგილოს ზოგიჭრის ტუში, ქართველ კუთრებით კი ათაღარის ტყვეში, თრიმლი. მისი გამშმარი და დაბეგვილი ფოთოლი და ნორჩი ყლორტები ბოლო დრომდე იხმარებოდა ტყავის წარმოებაში.

საინგილოში იზრდება გარეული კანაფა-ბალახი, რომელიც თავის-თავად ამოღის ალაზნის ქვიშიან ადგილებში. მისი სიმაღლე ზოგჯერ სამ მეტრს აღემატება. მდიდარ ბუნებას და ნოკიერ ნიადაგს ის ძალზე გაუ-ვიყებია. ამასთან არც მოვლას საჭიროებს და არც პატრონობას. მისგან მზადდება ტილოები, ტომრები, თოვი. საუბედუროდ, ამ მდიდარ ქვეყანაში კანაფის მოხმარა სრულიად არ იციან, ტყუილად მიდის და იღუპება ეს ძვირფასი სიმდიდრე; მას არც საქონელი სჭამს და არც ნაღირი ეკარება.

II

ისტორიული თარსული

პატარა წინასიტყვაობა. — სწავლა-განათლება ძველად. ქართველთა და ლეკა ურთიერთობა ძველად — ლეკა პირველი ახალშენება — ლეკაბის თანამდებობა საინგილოში. — შე-აძასი და ყარაღაშის ბანები. — ჟარ-ბელაქანი და შათო თემები. — თემების შინაგანი მოწყობილობა. — საქართველოს აკადემიურება ლეკაბისაგან. — აზერბაიჯანის დარბევა. — რას უშერქმოდნენ ლეკა ტკვეებს? — მონებით ვაჭრობა ჰარში.

მთელ იმ ტერიტორიას, რომელიც დღეს საინგილოს უკირავს, და მის გაგრძელებას ხალხალიმდის უძველეს დროიდანვე პერეთი ერ-ქვა. მის საზღვარს აღმოსავლეთით ხალხალი* შეაღვენდა, ხოლო სამხრეთით — ქალაქი პერა, რომელიც მდ. ალაზნისა და ივრის შე-სართავთან მდებარეობდა.

შემდეგში, როცა აქ ქართველთა მოსახლეობა და ძალა-უფლება შესუსტდა და პერეთი დღევანდველ საინგილოს ფარგლებში მოექ-ია, მისი სახელწოდებაც შეიცვალა, სახელწოდება პერეთი ისტო-

* ხალხალი მდებარეობს უდინების დავანდელი სოფ. კართაშის მახლობლად.

რიას ჩაბარდა და დარჩენილ ტერიტორიას გაღმამხარი ანუ კელისენი ეწოდა. შეართველად ამ ქვეყნისა შოურავი ინიშნებოდა, რომელსაც რეზიდენცია ხშირად დღევანდელ აღიაბაზნი წაჭმული აღიაბათს მაშინ ელისენი ერქვა). გაღმამხარი შაშინ ჰქონდა სუმურა მეფოს ფარგლებში შედიოდა და კახეთს ემორჩილებოდა. საინგილო შაშინ მჭიდროდ იყო დასახლებული. ეს მოსახლეობა მხნე დარაჯად ედგა საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრებს. მაგრამ XVII საუკუნის დასაწყისში. საშინელმა გრიგალმა და ქარტეხილმა გაღმოუქროლა კახეთს, განსაკუთრებით საინგილოს, რასაც მოჰყვა საქართველოს ძალა-უფლების ძალზე შესუსტება გაღმამხარში და დალესტნელი ლეკების საბოლოო ჩამოსახლება.

ამ ლეკებმა გაღმამხარეში ორი პოლიტიკური ერთეული ჩამოაყალიბეს. ეს ერთეულები იყვნენ: ჭარ-ბელაქან-ავარელ ლეკეთა ოემების კავშირი, რომელთაც ხელთ იგდეს საინგილოს ტერიტორიის ორი-მესამედი (დღევანდელი ზაქათალისა და ბელაქნის რაიონები), და ელისუს სასულთნო — წახურელ ლეკეთა პოლიტიკური ერთეული (დღევანდელი კახის რაიონი).

ამრიგად, საინგილოს სურათი შეიცვალა და მისი ეროვნული შემაღენლობაც ძალზე აჭრელდა. საინგილო გაღეცდა, მასში ქართველების მცირე რაოდენობა-და დარჩა, ისიც მარტო კახისა და ზაქათალის რაიონებში.

სწავლა-განათლების საქმე უძველეს დროს საინგილოში მკიდრს ნიადაგზე ყოფილა დაყენებული. თუმცა ძეელი ისტორიული მწერლობა ძალიან ძუნწ ცნობებს იძლევა საინგილოს და, განსაკუთრებით, მისი სწავლა-განათლების შესახებ. მაგრამ ის ორიოდე ცნობა, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია, აშკარადა ჰყოფს ამ გარემოებას. საინგილოს ორ დიდ ცენტრში, ბელაქანსა და კაჯში სწავლა-განათლების საქმე კარგადა ყოფილა დაყენებული. ბელაქანში დიდი სასწავლებელი ყოფილა, რომლის ხელმძღვანელად საქართველო გზავნიდა გამოჩენილსა და დახელოვნებულ პირებს. ესეთი პიროვნებანი ყოფილან, მაგალითად, მღვდელ-მონაზონი პიმენ სალოსი და ანტონ ნაოხრებლიძე. 1292 წელს პიმენ სალოსი გარეჯით წავიდა და დაემკვიდრა ბელაქანს მონასტერში და ლეკენი წარმართობისაგან ქრისტეს საჩრმუნოებაზე მოაქცევინა. * მასთანვე მოღვა-

* იბ. ჯანაშევილი, საინგილო. „მცენ საქართველო“, ტ. II, გვ. 78.

წეობდა ნაოხრებლიდე, რომელიც ყურანის თაყვანისშეტემელთ
პოლემიკას უწევდა და მძღვრი სიტყვით და ქადაგშემჩნევის უწლესები
და მათ დავით გარეჯის მონასტერი როგორც ცნობილია სწორი კულტურული
უელის ისტორიაში სწავლა-განათლებით იყო განთქმული და იქ
სწავლა-მიღებული დიდად ფასდებოდნენ. მეორე მოღვაწე — ანტონ
ნაოხრებლიდე მესხეთიდან ყოფილა. მესხეთი კიდევ ძველ დროს
სწავლა-განათლებით და კულტურული ცხოვრებით იყო განთქმუ-
ლი მთელ საქართველოში ამჟარაა, რომ თუ ასეთი აღიაღებიდან გზა-
ვნიდა საქართველო საინგილოში სამოღვაწოდ და ხელმძღვა-
ნელად დახელოენებულ პირებს, იგი დიდ ყურადღებას აქცევდა
ამ კუთხეს, რომლის მოსაზღვრედაც მდებარეობდა დაღესტანი.
დაღესტანსაც, როგორც საქართველოს მომიჯნავეს, დიდ ყურად-
ღებას აქცევდა საქართველო.

გარდა ამ მცირეოდენი ცნობებისა, რომელსაც საქართველოს
ისტორიული მატიანე იძლევა, ჩვენ ვხვდებით საინგილოს სწავლა-
განათლების შესახებ ცნობებს ისეთი დიდი ისტორიკოსის თხზულე-
ბაში, რომელიც იყო კალანკატეაწი. თავის შესანიშნავ თხზულე-
ბაში „ალბანელთა ისტორია“, კალანკატეაწი რამდენიმე აღიაღას
იხსენიებს ბელაქნის სკოლებს და ამბობს, რომ იქ სწავლა-განათ-
ლება თვალსაჩინოდ არის დაყენებული.

არა ნაკლებ საურადღებოა მეორე ცნობა საინგილოში სწავლა-
განათლების შესახებ, რომელიც ე. წ. მაღალაანთ სახარების მინა-
წერში შენახულა და რომელიც მოგვითხოობს სოფ. კაკში გადამ-
წერთა სკოლის არსებობის შესახებ. 1310 წელს მცხეთის კათალი-
კოსმა ეკვთიმებ ინახულა საქართველოს განაპირა ეპარქიები და
ეკლესიები, მოიარა დაღესტანი, ეპარქია ანწესისა, ეკლესიები წახურ-
ისაკენ, ხუნდახისაკენ, ნახჩიახისაკენ და სხვაგან და, რა ნახა ეკლესიების
სიღარიბე წიგნებითა, მაშინევ უბრძანა გიშ-ქურმუხის მთავარ-ეპის-
კობოსს, კირილე დონაურს, გადაეწერებინა სახარება და სხვა წიგნები
და წარეგზავნა დაღესტანს. მეცაო, ამბობს კირილე დონაური, გა-
დავაწერინე კაკის წმ. ბარბარეს მღვდელს იასე ქიტიაშვილს და
ათონირმეტთა მოწაფეთა მისთა, წარეგზავნე საყდართა, მონასტერ-
თა და შეიღთა სასწავლებელთა თავიდღომთადმი და უბრძანე
სწავლებად სჯელი ჭეშმარიტი და ფილოსოფოსები, მამათა ცხოვ-
რება, ქართლის ცხოვრება და ცხოვრება ალვანიისა (ალბანიისა).

„შეიძთა სასწავლებელთა თავსმდგომთანი“, იმას ნიშნავს, რომ
კათალიკოსის მოგზაურობის დროს დაღესტანში შეიძი სკოლა
ყოფილა თავსმდგომი კიდევ, რომელთაც ეგზავნებოდათ წმინდაში შეი-
სკოლის მასწავლებელს ეწოდებოდა.

გიგანტები

ეს დიდად საყურადღებო ცნობა, რომელიც მაღალაპინ სახა-
რების მინაწერში შენახულა, აშკარად გვეუბნება, რომ ქართული
სკოლები, სადაც ფილოსოფიას, საღმრთო წერილს და ქართ-
ლისა და ალბანიის ისტორიას ასწავლიდნენ, არამეც თუ საქართვე-
ლოში, არამედ საქართველოს ისეთ განაპირია აღვილებშიაც, რო-
გორიც დაღესტნის ზოგიერთი აღვილებია (ანწუხი, ხუნძახი და
სხვანი) არსებულან. ამ შორეულ აღვილებში ნაკლოვნობა ყოფი-
ლა წიგნებისა, რის გამოც კათალიკოსს, უბრძანებია ვიშ-ქურმუხის
ეპისკოპოსისათვის წიგნებით მომარავება დაღესტანის სკოლებისა-
მღვდელს ქიტამვილს, რომლის მოგვარენი დღესაც არიან სოფ.
კაკი, მთელი სკოლა პერნია გადამწერლებისა. აქედან აშკარაა,
რომ თუ დაღესტანში არსებობდა სასწავლებლები, რომელსაც ქიტა-
შვილის სკოლა ვადამწერლებით ამარავებდა, დაპარაკი არ უნდა,
თვით საინგილო მოჟარბებით იქნებოდა სავსე სასწავლებლებით*.

გარდა ამისა სოფ. ლოქართში (დღევანდელი ლეკების ლექეთი)
არსებობდა დედათა დიდი მონასტერი, რომლის დიდძალი ნანგრე-
ვები და სენაკები დღესაც დიდ მანძილზე არიან გაფანტულნი ამ
სოფლის დამორჩებით ორი კილომეტრის მანძილზე. აქ არსებობდა
დედათა დიდი სასწავლებელი, მონასტრის მზრუნველობის ქვეშ
შეოფი. ინგილოებში და აღვილობრივ ლეკებში (ამ სოფელში დღეს
მარტოდ-მარტო ლეკები მოსახლეობენ) შენახულია გაღმოცემა, რომ
საინგილოში ყველაზე დიდი დედათა სასწავლებელი აქ არსებობდა.

ქართველებსა და დაღესტანელებს, განსაუკრებით კი ავარე-
ლებს. უძევეს დროიდანვე პერნდათ ურთიერთობა, მეგობრობა
და ნათესაური კავშირი. ამავე დროიდან იწყება წარჩინებულ ავა-
რელთა გაღმოსახლება საქართველოში. ისტორიული გაღმოცემის
თანახმად, ჯერ ისევ გურამ მეფის დროს საქართველოში გადმო-
სახლდა დაღესტნიდან სამი მმა წილოსანი, როსტომი და ბაბილა,
მათ თან მოიყვანეს 70 კმა და ქსნის ხეობაში დასახლდნენ, ისინი

* მღვდ. ქიტამვილის სკოლის ნანგრევებს დღესაც უწევებენ საინგილოში,
დღეს იქაურობა დიდი ხელვაჭლებელი ხევით არის სავსე და ინგილოები მას საყ-
დარს ეძახიან.

შეიქმნენ ქსნის ერისთავების წინაპრებად მათ მოჰყვნენ შეზღუდულ დალესტნილან სხვა წარჩინებული პირნი*. მათ ჩურჩურულულა ტივი და ყურადღება დაიმსახურეს, რომ ქართველთუ ჩიტაუში გაფიცერ დიშვილის ხარისხი მისცეს.

ნათესაური კავშირიც არა იშეიათი იყო ქართველებსა და დალესტნელებს შორის. ცნობილია, რომ კახეთის მეფეს, ლევანს, ცოლად პყავდა დალესტნის შამხალის ქალიშვილი.

ქართველთა და ლეკთა ურთიერთ პატივისცემა იმდენად ძლიერი იყო, რომ ავარელთა სახანოში დადგენილებაც კი იყო: თუ ვინიცობაა ოდესმე ავარიის ხანთა ჩამომავლობა ამოწყდებოდა, ხანად წარჩინებული ქართველთავანი უნდა ამოერჩიათ.**

საქართველოს აღორძინების ხანაში, დაწყებული დავით აღმაშენებლიდან, დალესტანი საქართველოს სამღლობელოს ნაწილს შეადგენდა და ქართველთა ძლიერ კულტურულ გავლენას განიცლიდა. განათლება, მწიგნობრობა და ქრისტიანობა ქართველებმა შეიტანეს დალესტანში. ქართველმა სამღლელობამ მოელი ეპარქიები დააარსა და ეკლესიები ააშენა. ეს ეკლესიები ზოგან დღესაც ხელუხლებლად დგანან და უტყუარი მოწმენი არიან ქართველთა გავლენისა დალესტანზე.

ასეთი გაძლიერებული მისვლა-მოსვლა და ურთიერთობა იყო ქართველებსა და ლეკებს შორის. ამ ურთიერთობისა და მისვლა-მოსვლის დროს ლეკები აშკარად ხედავდნენ საქართველოს ბუნების სიმდიდრეს. იქ, დალესტანში, ხრიონი, ტიტველა მთები, სადაც ხშირად ხეირიანად ბალახიც კი არ მოდის, აქ კი ირგვლივ მწვანით შემოსილი მიდამო, უღრანი ტყები და ხეხილითა და ბაღ-ენახით სავსე სოფლები. იქ წვიმით და თქეშით ჩამორეცხილი მთის კალთები, რომელნიც იმდენ მოსავალსაც კი არ იძლეოდა, რომ კაცს ცოლ-შვილი ნახევარი წლის განმავლობაში გამოეკვებნა, აქ კი ნოყიერი, ლონიერი ადგილები, რომლებიც ზღვა მოსავალს იძლევა. ამასა დაუმატეთ მიწის სივიწროვე დალესტანში, რომელზედაც ვეღარ დატეულიყო ძალზე მომრავლებული მოსახლეობა; ბუნებრივი იყო, თუ ის მდიდარ საინგილოსაკენ გამოიცქირებოდა. ძველად მარტო წარჩინებული ლეკები მოიწევდნენ საქართველოსაკენ და აქ ესახლებოდნენ, ახლა გლეხობა, ღარიბი

* იბ. კურნ. „ივერა“, 1884 წ., № 4.

** იბ. «Сборник о кавказских горцах: Сказания очевидца о Шамиле».

მოსახლეობაც მოიწევს აქეთკენ. ლეკები ჩამოდიან საინგილოში მუშაოდ: ხელზე მოსამსახურებად, მკალავებად, ღურგლებად; ხალხს ინგილოები გულხადრებს ეძახიან, ე. ი. გულგარებულის, დარიძ-დატაკებს, და სხვადასხვა სამუშაოში იხმარიებენ. აქეთკენ შირაქესა და ადაზლოში, მოქავთ ლეკებს თავიანთი ცხვრის ფარები და საზამთრო საძოვრებს იმართავენ. ზოგნი მათგანნი სულაც რჩებიან საინგილოში, აქა-იქ ეკედლებიან ქართველ სოფლებს. პირველი ახალშენი ლეკებისა, რომლის შესახებაც ისტორიას ცნობა შემოუნახავს, ჭარი იყო აი ამის შესახებ რას ამბობს ბატონის-შვილი ვახუშტი: „მთის ძირას არს ფიფინეთი, სად დაასხნა მეფე-გან ლევან ლეკნი, რათა უზიდონ ზაფხულს კავკასიიდამ ყინული და იყო არჩილამდე ეგრეთ. შემდეგ იწოდა ჭარი და პყვეს სიმაგრეზე და იქმნენ სახელოვან ბრძოლათა შინა“.* ასეთსავე ცნობას ვკითხულობთ — „ქართლის ცხოვრებაში“.

ეს გადმოცემა შემდეგი შესწორებით უნდა მივიღოთ: თვით ფიფინეთი მაშინ შეიძროდ ყოფილა დასახლებული ქართველებით, რის დამამტკიცებელიც არის დღესაც დაცული ამ ადგილებში სამი უკლესია და დიდ მანძილზე მოფანტული მრავალი ნასახლარი. სოფელს გვერდით ჩამოუდის მდინარე თალაჩია, კავკასიის მთებიდან გამომდინარე, რომლის მარჯვენა მხარეს მდებარეობს ჭარი. ლეკები სწორედ ამ ადგილებში (სადაც დღევანდელი ჭარი არსებობს) დაუსახლებია ლევან მეუეს და არა ფიფინეთში, ე. ი. მდინარის მეორე მხარეს, საიდანაც პირდაპირი ვზა მიდის დაღესტნისაკენ და უფრო ადგილიც იქნებოდა ყინულის ჩამოტანა. თვით სახელი — ჭარი ლეკურად ნიშნავს გზა-კვალს, რითაც ლეკები დაღესტნისაკენ გახვავს აღნიშნავდნენ.

ამ პირველ ახალშენს, რასაკვირველია, სხვა ახალშენებიც მოკუვებოდა. ბელაქნის ზემოთ, კარგა მოშორებით, მეორე წყება ლეკებმა ტყე გასჩეხს და ჩასახლდნენ და, როცა შემდეგ ლეკები მომაგრდნენ საინგილოში, ძირს ჩამოვიდნენ და სოფელი კავახიოლი დააარსეს.** მათ მოჰყვნენ სხვა ახალშენებიც. ქართული სოფლების წყებას ნელნელა ლეკთა სოფლების წყებაც მისდევდა. იგივე ვახუშტი ამბობს, რომ XVI საუკუნის დასასრულს გაღმამხარში

* ვახუშტი — „აღწერა სამეულისა ხაქართველობისა“, თბილ. 1941, გვ. 96.

** ასე გაჯომცეს თვით კავახიოლის ლეკება, რომლებიც ამბობენ, რომ ჯურნენი სოფელი ტყეში იყო და შემდეგ ჩამოვედით აქაო.

ლეკები უკვე შესამჩნევ მოსახლეობას წარმოადგენდნენ. მისი აქტ-
ჯერობით წნარად იყვნენ, კახეთის მეფეებს ემორჩილებოდნენ და
ყოველ გადასახადსა და ხარჯს ისევე იხდიდნენ, როგორც მარტინ
ხეთის მოსახლეობათ.

დადგა 1616 წელი, როდესაც ისტორიაში არ გაერნილი ქარ-
ტებილი და საშინელება დატყდა კახეთს, განსაკუთრებით მის აღ-
მოსავლეთ ნაწილს, გალმა მხარეს — საინგილოს. ამ წელს შემოესია
კახეთს ირანის მმრბანებელი შაპ-აბასი. ეს შემოსვა და აწიოკება
უმავალითო იყო ისტორიაში. მარტო დღევანდელ საინგილო-
დან, — ამბობს ისტორიის დიმ. ჯანაშვილი, — შაპ-აბასმა გადა-
ასახლა ირანში 1000.000 სული, გარდა იმისა, რაც ადგილობრივ
იყო გაწყვეტილი. ამ ქვეყნის ამოწყვეტასა და აკლება-აწიოკება-
ში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდნენ ავარელი ლეკები.
შაპ-აბასმა, შემოესია თუ არა კახეთს, მაშინვე მოწოდება გაუგზავ-
ნა ლეკებს, სოხოვდა — გზები შეეკრათ ქართველთათვის, მოებში
არ ვაშვათ გასახიზნად, ამოწყვიტათ მცხოვრები და გადაეცე-
გათ მოელი კახეთი. სამაგიეროდ პეირებოდა დიდი წყალობას და
განთავისუფლებულ ადგილების ჩუქებას. წაქეზებული შაპ-აბასის
ამ დაპირებით, ლეკები მხნედ შეუდგნენ ბრძანების ასრულებას.
კალამი ვერ ასწერს იმ საშინელებას, რასაც ლეკები სჩადიოდნენ
სსარსელებმა არ იცოდნენ მოებში გზა-კვალი, სადაც ქართველები
იხიშნებოდნენ, ლეკები მიუძღვოდნენ წინ, გზებს უჩენებდნენ სსარ-
სელებს და მათთან ერთად ანადგურებდნენ გახიზნულ ქართველებს.
მოელი დაღესტანი მოსდგომოდა კახეთს და გაღმამხარს და რაც
სსარსთა მახვილს ვადარჩა, იმას ისინი უდებდნენ ბოლოს. „მოე-
ლი კახეთი, — ამბობს შაპაბასის თანამედროვე მწერალი ისკანდერ
მენში, — ისეთ დღეში ჩინარდა, რომლის მსგავსიც არ ახსოვს
ქრისტიანობას მას შემდეგ, რაც მუსულმანობა ვაჩნდა ქვეყანაზე“.

დიალ, გაწყდა, დაცარიელდა მარგალიტი საქართველოსი — გაღ-
მამხარი, ნაცრად იქცა სწავლა-განათლების კერა ბელაქანი, ამო-
ვარდნენ და განადგურდნენ ისეთი დიდი სოფლები, როგორიცაა კა-
ტეხი, ჯინიხი, ფიფინეთი, ლოქართი და სხვა მრავალი. აოხრე-
ბულ და გაპარტახებულ სოფლებში დიდი ხნის შემდეგ ძლივს გა-
მოჩნდა აქა-იქ დანდადეცუელი თითო-ოროლა ქართველი, მთის
უღრან ტყეში გადარჩენილი. ტურფა გაღმამხარი — საინგილო გაქრა,
ამოვარდა.

ლეკები ამის შემდეგ დაუბრკოლებლად ჩამოდიოდნენ საინვენტოში და აქცებდნენ დაცარიელებულ სოფლებს; მათ ყუვეჭისტული დახმარებას უწევდნენ სპარსელების მიერ დაყენებული ხაზზე კურთხული მელთაც რეზიდენცია ყარალაჯში პქონდათ, საინვილოსა და ქინი-კის საზღვარზე. ჯერ ისევ შაპ-აბასშა, საინვილოდან გასვლის დროს ყარალაჯში ხანად დაყენებულ ფეიქარ-ხანს უბრძანა — ტკბილი სიტყვით ჩამოეწყუილებინა მოებიდან გახიზნელი ქართველები და შემდეგ ისინიც ამოწყვეტია და მოესპო.

შაპ-აბასის ამ ანდერძს გულმოდვინედ ასრულებდნენ ფეიქარ-ხანის შემდეგი ხანებიც, რომელიც ვანგებ საქართველოს ამოსაგვე-ბად იყვნენ განწირულნი. მათ თავგასულობას საზღვარი არა პქონდა, ისინი დღემუდამ უსევდნენ ლეკებს ქართველებს. მათი სა-მართალით, ლეკი, თუ იყო ქართველს მოჰკლავდა, საჩიქრისა და ქების ღირსი იყო, თუ, პირიქით, ქართველი მოჰკლავდა ლეკეს, მას თავს მოჰკვეთდნენ.

ამგვარმა პოლიტიკამ თავისი გაიტანა, გაღმამხარი ლეკებით გაიცსო და უკვე ორგანიზებულად შეუდგნენ ამ ქვეყნის ამოწყვეტიას.

აյ საჭიროა ცოტა შევჩირდეთ და ორიოდე სიტყვით დავასურათოთ შინაური წესწყობილება ლეკეთა ამ თემებისა.

შართვა-გამგეობის სისტემა ლეკებმა უცელელად გაღმოიტანეს თავიანთი სამშობლო დაღესტნიდან. იქ კიდევ, როგორც საქართველოს მთიან აღვილებში ძველად, თემური წყობილება იყო გამეფებული. ეს დრომოქმედი სახე წესწყობილებისა გამეფეს ახლად დაჭერილ ქვეყანაშიც. საინვილოში ახლად დასახლებული ლეკეთა სოფლები ექვს თემად გაიყო: ბელაქნისა, — სოფლებით: წინუბანი, ჭანდრისხევი და ბელაქნი თავისი ბინებით; ჭარისა, — სოფლებით: გოგამი, გარები, სუმაილო, ყაბიზდარია, ყარალაჯლო, დარდოკაზი, ჭარი; კატეხისა, — სოფლებით: გუდარები, თვითკატები, დონლუშბურუნ, ყამულალა; თალისა, — სოფლებით: კარვები, თვით თალა აუარებელი ბინებით (ეს ბინები იწყება თვით სოფელთან, რომელიც კავკასიის მთების ძირში მდებარეობს, და გრძელდება ალაზნამდის); ჯინისა, — სოფლებით: ჯინისი, გოზბარახი, ჯიმჯიმახი, აღასეკარი, მამბებიზ; მუხახისა, — სოფლებით: ზემო-მუხახი, ქვემო-მუხახი, საფუნჩი.⁹

შინაგანი ცხოვრება სოფლებისა ამგვარი იყო: ყოველი სოფელი დაყოფილი იყო გვარებად ანუ, ლეკერად, თოხუმებად. ყველა საგ-

ვარეულოს პყავდა თავისი მამასახლისი — ქეთხუდა თოხუმის ყველა წევრი თანასწორი უფლებებით სარგებლობდა. უზიტოში კვების შეეძლო არჩეულიყო გვარეულობის წარმომადგენლობაზე რაუმიზეს მაგრამ შემდევში ეს თანამდებობა, ქეთხუდობა, გვარეულობის გამდიდრებულმა წარმომადგენლებმა ჩაიგდეს ხელში და მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე. გვარეულობას ქეთხუდა თავმჯდომარეობდა საგვარეო საქმეების გარჩევის დროს ჯამაათის ყრილობაზე და წარმომადგენლად იგზავნებოდა როგორც სხვა საგვარეულოებთან, ისე სხვა თემებთან საჭირო სათემო საქმეების მოსაგვარებლად და გადასაწყვეტად.

საგვარეულო ქეთხუდების გარდა, ყოველ სოფელს პყავდა: სასოფლო ქეთხუდა, იმამი, ყოველგვარი სარწმუნოებრივი საკითხის გასარჩევად და მოსაგვარებლად, ტაბუნბაში, რომელსაც სისრულეში მოჰყავდა ქეთხუდებისა და ჯამაათის გადაწყვეტილებანი და ჩოუში ანუ გზირი, გასაგზავნად.

თემის სათავეში ჯამაათი იდგა. ყოველი საკითხი ჯამაათის ყრილობაზე უნდა გარჩეულიყო და მისგან მიეღო დასტური და ნებართვა. თემს თავისი მთავარი სამმართველოცა პქონდა, რომელიც შესდგებოდა სოფლისა და დიდი საგვარეულოების ქეთხუდებისა და ყაზისაგან. მთავარ სამმართველოს ფუნქციაში შედიოდა ურთიერთობის გაბმა კავშირის სხვა თემებთან, საქმისწარმოება და კავშირი ამიერ-კავკასიის სხვა პოლიტიკურ ერთეულებთან (ხანებთან, ბეგებთან, მეუკებთან და თავადებთან), ომისა და ზავის საკითხები, მამულების სადაო საქმეების გარჩევა, ხარჯების აკრეფა და სხვა. ამასთან ეს სამმართველო უზენაესი სასამართლო იყო თემისა, არჩევდა საგვარეულოსა და თემებში მომხდარ საქმეებს, თანამდებობის პირთავან ჩადენილ ბოროტმოქმედებას და სხვა. იყიდე სამმართველო მზრუნველობა-დახმარებას უწევდა ქვრივ-ობლებს, უმწეო მოხუცებს და გაჭირებულ-დავრდომილებს.

თუმცა ომისა და ზავის პირობებს სამმართველო იმუშავებდა, მაგრამ მისი ეს გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა ყოფილიყო ჯამაათის ყრილობაზე და მისი დასტური და თანხმობა უნდა მიეღო.

ამგვარად იყო მოწყობილი ექვსივე თემი. შინაურ ცხოვრებაში ისინი დამოუკიდებელნი იყვნენ. ამ საკითხებს კი, რომელიც ყველა თემს ეხებოდა, საერთო ძალ-ღონით იმუშავებდნენ. თუმცა ეს

თემები თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ, მაგრამ სინამდვიუმდებარები ჰარის კარი იდგა კავშირის სათავეში, იგი განაგებდა და მბრძანდებოდა უკელაფერში, ის იყო დედაბობი მთელი კავშირისთვის. ნებლობდა უკელაფერში, ის იყო დედაბობი მთელი კავშირისთვის. მის, როგორც უხუცესი თემის, ხელში იყო მაღა-უფლება უკანასკნელი შე კავშირისა. ჭარს პრესტიჯი და გავლენა დიდი პრესტიჯი მისმა გორც კავშირში, ისე უცხო ერქებთან დამოკიდებულებაში. ამასთან იგი ყველაზე უფრო მდიდარი და შეძლებული იყო — ისეთი დიდი მამულები არც ერთ თემს არ მოექცნებოდა. ბელაქანი და კატეხი თავიდანვე მისი მაჩანჩალები იყვნენ, ჭარის თემის ყოველი გადაწყვეტილებას და სურვილს ისინი უსიტყვოდ იღებდნენ. ლიკე გადაწყვეტილებას და სურვილს ისინი უსიტყვოდ იღებდნენ. შემდეგში ასეთისავე ყოფაში ჩავარდნენ სხვა თემებიც. ერთი სიტყვით, ჭარი მბრძანებლობდა, დანარჩენი თემები მის სიტყვა-განკარვით, ჭარი მბრძანებლობდა, დანარჩენი თემები მის სიტყვა-განკარვით, გულებას ასრულებდნენ. თეთი კავშირი მთელ ამიერ-კავკასიაში ცნობილი იყო ჭარ-ბელაქანად ან მარტო ჭარად.

ის საქმეები, რომელთაც საერთო მნიშვნელობა პქონდათ ყველა თემისათვის, საერთო კრებაზე ირჩეოდა. ამ კრებაზე დასწრება მონაწილეობის მიღება, გარდა ქეთხედებისა, ყველას შეეძლოდა ერთხელვე არჩეულ ადგილას ხდებოდა. ეს ადგილი მუკრილობა ერთხელვე არჩეულ ადგილას ხდებოდა. ეს ადგილი მუხახას ხეობაში მდებარეობდა, ავდამის მინდორზე. იქ გამოტანილი დაღვენილება და გადაწყვეტილება სავალდებულო იყო თემის ყველა წევრისათვის.

თემი ავარელი ლეკებისაგან შესდგებოდა. მათში ერთია თითო-ოროლა ქართველებიც, უკავ გალეკებული. ახალი წევრების მიღება თემში უჯამაათოდ არა ხდებოდა. ჯამაათს ის პირი, ვისაც მასში შესკლა სურდა, უნდა ეშვილა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა ბით, — და მხოლოდ ამის შემდეგ გახდებოდა იგი სრულუფლებიანი წევრი ჯამაათისა.

ასეთი იყო მინაგანი ცხოვრება ჭარ-ბელაქანისა, გარეგნობით კი იგი ნამდვილ სამხედრო ბანაქს წარმოადგენდა. ჭარი ის ადგილი უმოსული ლეკები, უერთდებოდნენ ადგილობრივ ლეკებს და გამოჩენილი ბელადების ხელმძღვანელობით სადაც მიღიოდნენ. მოჩენილი ბელადების პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებდნენ, თუმცა უმთავრესად პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებდნენ, თუმცა არა იშვიათი იყო დიდი ბრძოლებიც დიდი გაწვრთნილი ჯარით.

დღიდან მათი საბოლოო დამკვიდრებისა გაღმამხრის ტერიტორიაზე და ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა, იწყება გაუთავებელი

და დაუსრულებელი ბრძოლა და თავდასხმა საქართველოს და აზერბაიჯანშე, უმთავრესად პირკედზე მთელი საუკუნე-ნახევრის მანძილზე სწარმოებდა ეს გაუთავებელი ბრძოლა, რომელიც უკავშირ სრული და ბოლო არ უჩანდა და რომელიც ძალიაში შეითანხმულ მქონე მწვავე ხასიათს ღებულობდა.

სავალალო და სამწუხარო ამ ბრძოლებში ხშირად ის იყო, რომ ზოგჯერ თვით ქართველები ემსრობოდნენ ღევებს, რითაც საქმე უფრო რთულდებოდა და საფრთხეში ვარდებოდა მთელი ქვეყანა. „გალევანენ ქიზიყელნი და გაღმამხარელნი და მისცეს პირი ღეკ-თა“, ამბობს ერთ ადგილას „ქართლის ცხოვრება“. „გლეხები ხომ გულუბრუყილონი არიან და ადგილად იჯერებენ ყველაფერს: ისინი მიიმხრენ ღევებს და მათთან ერთად მოქმედებდენ ჩვენს წინა-აღმდეგ“, — სწერს იმამ ყული-ხანი, კახეთის ბრძანებელი.*

დღესაც ბევრს ახსოვს შიშის მომვრელი ღევთა ბელადების სახელები; ესენი იყვნენ: მალაჩი, ჩანჩელ მუსა, ნურმამედი, კოხტა-ისე გათამამდნენ ისინი და ისეთი დიდი გავლენა, პქონდათ ხალხ-ზე, განსაკუთრებით ამ უკანასკნელს, რომ შემდეგში, როცა რუსეთი დამკვიდრდა საქართველოში, ისიც ვერას გახდა ამ ქვეყნის ამომვდებ კოხტა-ბელადთან. ბოლოს, რათა მოემაღლიერებინა და ქვეყნის აკლებაზე ხელი აედებინებინა კოხტასათვის, რუსეთის მთავრობამ მას პენსია დაუნიშნა — 300 მანეთი წელიწადში.**

ადვილად წარმოსადგენია, რა ხეირი დაეყრებოდა საქართველოს ღევთა მუდმივი თარეშისაგან. მთელი საუკუნე-ნახევრის მანძილზე გაჭიმულია ეს გაუთავებელი და დაუსრულებელი ბრძოლა.

მაგრამ უმჯობესია თვით „ქართლის ცხოვრება“ ავალაპარაკოთ: „აოხრებენ ღევები ქართლ-კახეთს, რომელ აღარ იპოვება შენობა ქართლსა შინა თვინიერ ციხეთა და სიმაგრეთა“. „ხოლო 1645 წელსა კვალად ატყდნენ ჭარელნი და დაბევსტნელი რბევად გაღმამხარისა (საინგილოსი), ქართლისა და კახეთისა. ორასობით და სამასობით დადიოდნენ. მრავლად მრავალთა ადგილთა და დიდიათ შეიმჭირნეს ქვეყანა“. „ქართლი ღეკებით სავსე იყო, ადგილი აღარ იყო, რომ ღევე არ ყოფილიყო“.*** აი რას სწერს იმამ-

* იხ. „ქართლის ცხოვრება“, II ტ., გვ. 459. ჩებინიშვილის გამოც. 1854 წ.

** იხ. A. K. A. K., ტ. IV.

*** „ქართლის ცხოვრება“ ტ. II, გვ. 476, 487, 401. ჩებინიშვილის გამ. 1854.

უკლი-ხანი (დავით II), კახეთის მეფე, სპარსეთში მაშინ მოავარე-
ს სასალარად მყოფ ბატონიშვილ ვახტანგს: „მტრისა მახეობი მრ-
ს კვენებას არ გვაძლევს, ლექი თანდათან უფრო იკრეფერს მას უნდა და
ნეს და მრავლდებიან. ისეთი კუთხი არ არის, საჭიშ უწყვეტესები ეს ე
სისხლი არ იღვრებოდეს. თუ შენმა შუამდგომლობამ დახმარება
არაფერი აღმოგვიჩინა, მაშინ ჩვენი საქმე წასულია, ჩვენი ქვეყანა
დაიღუპება საუკუნოდ აქამდის ჩვენ გვებრძოლნენ ბელაქნელი
ლეკები, ესლა მათ მიემატნენ გულხადრები (დაღესტნის ღარიბ-ღა-
ტაკი ლეკები). ლეკებმა ხელთ იგდეს აგრეთვე რამდენიმე თავადი.
ისწრაფეთ ფიცხლავ მოგვეშველოთ, თორემ ცუდი დღე დაგვად-
გება“.*

ამგვარი ცნობებით სავსე როგორც „ქართლის ცხოვრება“,
ისე იმ დროის ყველა ქრონიკა და ისტორიული წყარო. ასეთი
საზარელი ამბები ტრიალებდა დღე-მუდამ არა თუ საინკილოში
და ქართლ-კახეთში, არამედ იმერეთსა და ახალციხეშიც. აი რას
კვითხულობთ იმავე ქართლის ცხოვრებაში”: — დაღესტნის ჯარი
გადავიდა იმერეთს, რაჭის სოფლები მოარბიეს, სამასამდის ტყვა
ქრისტიანი იშოვეს და წამოვიდნენ. ახალციხის ფაშა კიდევ ერეკლე
მეფესა სწერს: „ჩემი ქვეყანა ლეკმა გააოხრა და მრავალი საქონე-
ლი წარიტაცა“***

ზოგჯერ საქართველოს მმართველნი უკულით ცდილობდნენ ლე-
კების დამშვიდებას. 1714 წლიდან კახეთის მეფე, ზემოხსენებული
იმპერიული ხანი ას თუმანს აძლევდა ლეკებს ყოველწლივ. 1722
წელს ლეკები თბილისს დაეცნენ და 60.000 მანეთი გადაახდევინეს
მცხოვრებთ. 1734 წელს ნადირ-შაპმა სპარსელთა და კახელთა შე-
ერთებული ჯარი გაგზავნა მათ წინააღმდეგ, მაგრამ ლეკებმა სძლი-
ეს და უკუაქციეს. განმეორებით გაგზავნა კიდევ ნადირ-შაპმა უფ-
რო ძლიერი ჯარით მათ წინააღმდეგ, მაგრამ მაინც ვერ გასტეხა
ლეკები.

ქართლ-კახეთის გარდა, ლეკებისაგან მოსვენება არა ჰქონდა
აზერბაიჯანსაც. ნუხის ხანი და ელისუს სულთანი სულ ფეხქვეშ
პყავდათ გათელილი. ტახტზე ვერც ერთი ვერ ავიდოდა, თუ ჭარ-
ბალაქნისაგან ლოცვა-კურთხევას არ აიღებდნენ. თუ უიმათოდ
ავიდოდნენ ტახტზე, მყისვე უკანვე გადმოაგდებდნენ. შორეულ

* იხ. ბრონქს Historie de Géorgie, ტ. 11.

** „ქართლის ცხოვრება“, ტ. 11, გვ. 435, 457. ჩეგინიშვილის გამოც. 1854 წ.

განჯასა და შემახასაც არა ერთი მწარე დღე ასკონს შეაფინდა 1710 წელს შემახას მიუკეინდნენ, აიღეს იგი და დიდი ხარჯი გადაახდევინეს. მთელი შირვანი გაძარცვეს და მტერალუ ჩუქუმუნი უკუნი

მთელი XVIII საუკუნის მანძილზე ჭარი თავისტმისტურუმის უკუმ მებით თავშარსა სცემდა არა მარტო საქართველოს და აშერბაიჯანს, — მორეულ ქვეყნებსაც. მისი სახელი შორს იყო გავარდნილი, კავკასიის იქითაც. ოსმალეთი და სპარსეთი აღარ აცდიდნენ ერთ-მანეთ, რომ თავისკენ გადაბირებინათ ჭარელნი და თავის მომხრედ გაეხადათ. 1742 წელს ოსმალეთის დიდი კეზირი წერილობით მიმართავს ჭარელებს, ქება-დიდებას შეასხამს მათ და სთხოვს სპარსელებთან ბრძოლის დროს მხარი მისცენ და დახმარება აღმორებინონ ოსმალეთს. მათვე მიმართა ინგლისელმა პოლკოვნიკმა მარტერსონმა, რომელმაც პირადად ინახულა ჭარელები და სთხოვა, დახმარება აღმორებინათ სპარსეთისათვის რუსებთან ბრძოლის ღროს.

მთავარ ობიექტს დეკების მტაცებლობისას ხალხი შეაღვენდა. ლეკები აშერად ნადირობდნენ ხალხზე; იტაცებლნენ ყველას — დიდსა და პატარას, ქალსა თუ კაცს. მთელ ქართლ-კახეთში ისეთი მდგომარეობა იყო შექმნილი, რომ მინდორში კაცი ვერ გასულიყო, თუ თავით ფეხებამდის შეიარაღებული არ იქნებოდა.

რას უშვრებოდა ჭარ-ბელაქანი მოტაცებულ ხალხს, ტყვეებს? საწარმოები და პლანტაციები მას არ ვააჩნდა, რომ იქ ემუშავებინა და მოეხმარა ამდენი მუშა ხალხი. მაშ, სად მიპყავდათ, რას უშვრებოდნენ ამოდენა ხალხს? იმ დროს, როგორც ცნობილია, ბევრ ქვეყანაში არსებობდა სამარცხვინო აღებმიცემობა, რომელსაც ტყვეებით უაჭრობა ერქვა. თვით დასაცლეთ საქართველოშიაც, შავი ზღვის სანაპიროზე, გაჩაღებული იყო ასეთი ვაჭრობა და არა ერთი და ორი ქართველი იყიდებოდა ოსმალეთის ბაზრებში. ასეთივე ამბავი იყო დაღესტანში. მოტაცებული ხალხი, რომლის უმრავლესობასაც ქართველები შეაღვენდნენ, კარგ სავაჭრო მასალას წარმოადგენდა ჭარმა უართოდ გახსნა ეს სავაჭრო ბაზარი და ჩქარა ისეთი სახელი გაითქვა ტყვეებით ვაჭრობაში, რომ პირეელი ადგილი დაიჭირა მთელს კავკასიაში. აქ მოდიოდნენ სავაჭროდ ოსმალეთსა და სპარსეთის შორეულ ადგილებიდანაც კი. ჭარი გულუხვ მასპინძლობას უწევდა მათ. მაგრამ თუ ტყვეების ფასი დაცუციმოდა ადგილობრივ

გაშინ ლექს თვითონ მიპყავდა ტყვეები გასაყიდად ოსმალეთის დად
საკაჭრო ბაზრებში. ახალციხე, რომელიც იმ დროს ოსმალეთის
სამფლობელოს წარმოადგენდა, ხშირად სავსე იყო ხორმისუფლების კართველებით. მაგრამ ლექს თუ ტყვედ წარჩინებულებით იყენდა — თავადი ან სხვა ვინმე ჩაუვარდებოდა, ის მაშინვე არ გაპ-
ყავდა გასაყიდად, — უცდიდა პატრონებს და, თუ კარგ გამოსასყიდ
ფასს მისცემდნენ, ათავისუფლებდა. ასე იტანჯებოდა მთელი აღ-
მოსავლეთი საქართველო.

ამგვარი საქციელით ლექები ორ საქმეს აკეთებდნენ: ჯერ ერთი,
ქართლ-კახეთის მოსახლეობას ძალზე ამცირებდნენ, რომ შემდეგ
მათ ნაოხარზე თითონ მოეკალათათ, და მეორე — კარგა ფულს
შოულობდნენ. თავზეხელადებული ლექების საქციელს ბოლოს რუ-
სეთმაც მიაქცია ყურადღება. მაგრამ მაშინ რუსეთს საქმიო ძალა
არ გააჩნდა. ის მხოლოდ ეგრეთ წოდებულ „კავკასიის ლინიაზე“
იყო გამაგრებული. ამიტომ მან მხოლოდ გნკარგულება გასცა,
გამოესყიდათ ლექთავან მოტაცემული ქართველები, სომხები, ბერძ-
ნები და მიეცათ თითო კაცში 15—30 მანეთამდე, განთავისუფლე-
ბული დაქსახლებინათ ასტრახანში ან ყიზლიარში და, თუ ქართ-
ველები და სომხები ამას არ მოისურვებდნენ, ნება მიეცათ სამშობ-
ლოში დაბრუნებულიყვნენ.*

კერაფერს გახდა ლექებთან თვით სახელგანთქმული მეცე ერეკ-
ლეც, ის ერეკლე, რომელმაც არა ერთი და ორი დიდი ბრძოლა
მოიკო არა თუ საქართველოში, არამედ სპარსეთშიაც.

ძალიან მნელი იყო ლექებთან ბრძოლა. ლექები უმთავრესად
პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდნენ, რომლისათვისაც დაუღე-
ველი რეზერვები ჰყავდათ. ამ რეზერვებს იძლეოდა მთელი დაღეს-
ტანი. ბევრჯერ აჯობა ერეკლემ, ბევრჯერ მიუხტა ჭარ-ბელაქანს
და იკლო ივი, მაგრამ დაღესტნიდან ახალ-ახალი რეზერვები მოდი-
ოდნენ და ხელახლა ესეოდნენ საქართველოს.

* И. Бутков — «Материалы для новой истории Кавказа».

ელისას სახლთო



რას წარმოადგენდა ელისას სასულთნო და მისი შეართებული უძრავი კულტურული მუზეუმის ფაპის ფრენმანები. — წახური და მისი ხეობა ძევლად. — წახურები დაქვემდინარების ნაფა-საობა ქართველებთან და მათი გადმოსახლება საინგილოში. — ელისას სულთნები და მათი რეზიდენცია. — როგორ ეყრდნობოდნენ სულთნები ინგილოვებს. — უკანასკნელი სულთნი დანიელ ბატონი.., მისი ოინგი და შემილთან გაცემა — სასულთნოს გაუქმება.

მეორე პოლიტიკური ერთეული, რომელმაც გაღმამხრის აღმოსავლეთი ნაწილი დაიჭირა და რომელიც მისი ტერიტორიის მესამედა შეადგენდა ელისას სასულთნო იყო.* ეს სასულთნო იწყებოდა კავკა-სიის მთების გადაღმა, წახურის ხეობაში (მდ. სამურის სათავეში, ქურინის სახანოს მიჯნიდან), იქიდან სამხრეთისაკენ გადმოდიოდა და სარუბაშ-ელისას გზით ქურმუხის ხეობაში ჩამოდიოდა, შემდეგ გაივლიდა დაბა კახს, დღევანდელი კახის რაიონის ცენტრს, გარდა გარდმო გადასჭრიდა საინგილოს და მდინარე ალაზნის მიჯნამდე მიდიოდა. დასავლეთით საზღვრავდა მას მდინარე მუხახჩაი და ყაპიჩაი, აღმოსავლეთით შექის სახანო, მდინარეებით ყანიყობით და ეგრიჩათ. სიგრძე ამ სასულთნოსი 80 კილომეტრს არ აღემატებოდა, სიგანე — 10—15 კილომეტრს; ფართობი 2,100 კვ. კილო-მეტრს უდრიდა. რესერვის დამკვიდრების დროს აქ 21.000 სული მოსახლეობდა.

უძველეს დროში ეს მხარე (განსაკუთრებით მისი ჩრდილოეთი ნაწილი) წუქეთის საერისთაოს წარმოადგენდა და საქართველოს ფარგლებში შედიოდა. საქართველოსთვის მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მასზე გადმოდიოდა დაღესტნილან დიდი გზა, რომელიც საინგილო-გაღმამხარისთვის ივივე დარიალის კარი იყო. ამ გზით შემოდიოდნენ უმთავრესად ჩრდილოეთ-კავკასიაში მოხეტიალე ურდოები საინგილოს ასაკებელად. ამ კარების ჩაკეტვა, მისი დაცვა, მტრის არ შემოშევა შეაგულ საქართველოში კაკელებსა და წახურელებსა ჰქონდათ დავალებული. წახურში ამისთვის დიდი ციხე-სიმაგრე იყო აგებული, რომელსაც არაბთა გეოგრაფიი ყალატ-

* სიტყვა სულთნი აქ ნიშნავს ხანსა და ბეგს შეა წოდება-თანამდებობას.

სიარს ეძახდნენ და თან დასძენდნენ, ამგვარი ციხე-სიმაგრე აბ-ლო-მახლო არსად მოიძებნებათ. საქართველოს ასაკლებად წამო-სული მტერი ჯერ წახურსა და მის ციხეს უნდა დასტურობული იყო ის ვერ გაუძლებდა, მაშინ ციხე-კოშებით გამაგრებული ჰაშჩი ეკუჭრმუხის ვიწრო ხეობაში შეეგებებოდა მტერს ქართველობა. ორივე ეს სოფელი მხნე დარაჯად უდგა ამ თავისებურ დარიალის კარს და აქედან იცავდა დანარჩენ საქართველოს.

მაგრამ მარტო დაღესტნიდან არ მოელოდა შიში საინგილოს-უფრო მეტად საშიში იყო მისი აღმოსავლეთი მხარე, საიდანაც შემოდიოდა დიდი შარაგზა აზერბაიჯან-შირვანიდან. სწორედ იქ იყო საჭირო დიდი სიცერთხილე, რომ მტერს არ გადოელახა ივი, გზა არ გაეკაფა საქართველოსაკენ. საქართველოს მატიანე სავსეა აქე-დან შემოსული მტრის ამბებით. თურქესტანის მიღამოებში მოხე-ტიალე მონალოდთა ურდოებს არა ერთხელ აუწიოკებიათ აქედან საქართველო. მათი წინამდლოლების — ლალა-ფაშას, ალათემურის და ემურჯანლოს ხსოვნა დღესაც არის დარჩენილი საინგილოში, და იმ აღვილებს, სადაც ურდოებს დაუბანავიათ, დღესაც მათი სახელი ეწოდება.

ეს ის გზა-ხიდი იყო ურდოებისათვის, რომელიც აუცილებლად უნდა გაევლოთ, თუ სურდათ საქართველოში შეჭრა და მისი მიწა-წყლის ხელში ჩაგდება. ამიტომ შემოჭრილ მტერს პირველად სა-ქართველოს ეს სანაპირო კუთხე უნდა ჩაევდო ხელში და ისე გა-ეკაფა გზა დანარჩენ საქართველოსაკენ. პირველად საინგილოს ანუ, ძველი ტერმინით, გაღმამხარს უნდა დასტაებოდოდა და თუ ამას ვერ შესძლებდა, ვერც გზას გაიკვლევდა შეაგულ საქართველოსა-კენ. ამ განაპირო მხარეს უაღრესი მნიშვნელობა პქონდა საქართ-ველოს თავდაცვაში გარეშე მტრებთან ბრძოლის დროს; ეს ის პლაც-დარმი იყო, რომლის დამპყრობსაც შეეძლო მუდამ შიშა და მორ-ნილებაში პყოლოდა მთელი კახეთი და აღმოსავლეთი საქართველო. ასეთი დიდი მნიშვნელობა ამ მხარისა კარგად ესმოდათ ქართველ მეფეებს, ამიტომ ისინი მზრუნველობას არ აკლებდნენ მის გამაგ-რებას. მცხოვრებთ მუდამ ანებივრებდნენ, საჩუქრებით ავსებდნენ და აზატინი იყვნენ, ე. ი. ყოველივე სახელმწიფო გადასახადისაგან თა-ვისუფალნი.

ჩენი ქვეყნის მტრებსაც კარგად ესმოდათ ამ აღვილის დიდი მნიშვნელობა და ყოველთვის ცდილობდნენ მის ხელში ჩაგდებას.

მეგვარი ცდა არა ერთი და ორი იყო. მავრამ რაც ლალა-ფანიშ და
ალთემურმა ვერ მოახერხეს, ის შესძლო ცბიერი შაპ-აბასის მოღვა-
ტიკამ. ამ მტარვალმა მოახერხა ამ პროვინციის წაზღვულ უცხურო
ცელოსაგან. აი რას ამბობს ამის შესახებ „ქართველ უცხურებულ“¹ „
1602 წელს მოუდო კაკი კახეთის მეფე ალექსანდრე მეორეს და
მის წილ მისცა შვიდასი თუმანი უკველ წელს“. ეს ლაკონური
ცნობა „ქართლის ცხოვრებისა“ არაფერს ამბობს იმაზე, თუ რამ
აიძლეა მეცე ალექსანდრე ასეთი საბედისწერო ნაბიჯი გადაედგა,
მაგრამ ყოველ ჰქვეს გარეშეა, რომ ეს ძალმომრეობის აქტის შედე-
ვია. მეცე ალექსანდრეს იძულებულს გახდიდა შეპი ასეთ კომპ-
რომისზე წახულიყო.

როგორც ბატონიშვილი ვახუშტი გადმოგვცემს, ვახახიშვილი
წამდგარა შაპ-აბასის წინაშე 1595 წელს, მუსულმანობა მიუღია და
სულთანის სახელწოდება. მაგრამ გამამადიანებულ ვახახიშვილს
ბოლომდის როდი უპარპაშნია. 1620 წელს შაპ-აბასმა ვახახიშვილს
ჩამოართვა სულთონბა და გადასცა იგი გურამიშვილს. არც „ქართ-
ლის ცხოვრება“ და არც ვახუშტი არ იხსენიებენ, თუ რად გადასდგა
ასეთი ნაბიჯი შაპ-აბასმა და რად წართვა სულთონბა ვახახიშვილს.
შესაძლებელია გურამიშვილმა თავდაპირველად არ გამოიჩინა სულ-
მდაბლობა და არ უდალატა თავის ქვეყანას, მაგრამ შემდეგში,
როცა დაინახა, რომ მის კუთვნილ სამფლობელოში სხვა გაბატონ-
და, სჯული გამოიცვალა და შაპ-აბასმაც მას გადასცა სულთონბა;
ან, შეიძლება, ვახახიშვილი არ გამოდგა შეპის პოლიტიკის მუჟაითი
აღმსრულებელი და ამან აიძულა შეპი ჩამოერთმია მისთვის სულთ-
ონბა. აი ეს ფირმანიც, გურამიშვილის სახელობაზე გაცემული:
„კაკის სამფლობელოს მიწებს, რომელიც ქართველი მეფების სამ-
ფლობელოს შეადგენდა, უმოწყალესად ვებოძებთ გურამიშვილს
(სპარსულად გურამ-ოლი) და ამასავე ვნიშნავთ სამფლობელოს
ვამცე-მთავრად“.*

სპარსეთს დიდი ხნის სურვილი შეუსრულდა, საქართველოს
პლაცდარმი ხელთ იგდო და შიგ თავისი კაცი ჩააყენა. შემდეგი
შეძები სიამოვნებით აღასტურებდნენ შაპ-აბასისაგან გაცემულ ამ
ფირმანს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კიდევ ორ ფირმანს. ერთი
მათვანი ნაბომებია 1624 წელს, ხოლო მეორე 1631 წელს შაპ-სე-
ჭისაგან. პირველი მათვანი შემდეგს ამბობს: „სამფლობელოს

* უკრცელაძე — «Грузинские дворянские грамоты».

კავისას, რომელიც უკუთვნოდათ და განაგებდნენ ქართველი გურამიშვილები, ვუმტკიცებთ მათ ჩამომავლობას შეატყობინებთ და კასუმ-ბეგსა. ყმანი და ქვეშევრდომნი ამა სამფლობელოს წესი დაბრუნდნენ თავთავიანთს ადგილას, ასევე ემსახურონ ზალ-ბეგსა და კასუმ-ბეგს, როგორც მათ მამას გურამ-ოღლის“.

შეორე ფირმანში ნათქვამია „გეობეგმა გურამ-ოღლიმ (გურამიშვილმა), ჩამომავლობით ქართველმა, წარმოგვიდგინა ფირმანი ჩვენის წინამოადგილისა, რომელთაც მას ნაბოძები აქვს უმაღლესად სამფლობელო (სამთავრო) კავისა, და უქვეშევრდომილესად გვთხოვეს. ჩვენც დავადასტუროთ იგი. ვუსრულებთ რა ამ თხოვნას გეობეგს, ვუბრძანებთ, იყვეს მუდამ ჩვენი ერთგული და დამსახუროს ყურადღება ჩვენის ძმის როსტომ ხანისა“.*

ეს როსტომ-ხანი, ანუ ხოსრო მირზა, ცნობილი მთავარსარდალი იყო სპარსეთისა და შაპ-სეფიმ ჯერ ქართლში გაამეფა, ხოლო შემდეგ კახეთში, თეიმურაზ მეფის ადგილას. გეობეგი კიდევ ის გეობეგია, რომელიც თავის ძმასთან, თოროლასთან ერთად ამ პროვინციას განაგებდა. გეობეგი, როგორც თვით ფირმანიდან ჩანს, ქართველი ყოფილა, გვარად ისიც გურამიშვილი. ეს გურამიშვილები ყოფილან ბატონ-პატრონი ამ პროვინციისა მას შემდეგ, რაც შაპ-აბაშმა ჩამოაშორა იგი კახეთს.

ერთი სიტყვით, საქართველოს აღმოსავლეთ მხარეში სპარსეთშა შექმნა ცალკე სამფლობელო-სამთავრო, რომელსაც სასულთნო უწოდა და რომელიც მრისხანე მოწინააღმდეგედ ჩაუსახლა კახეთს. თუმცა მისი გამგენი ჩამომავლობით ქართველები იყვნენ, მაგრამ სულით და გულით ისინი სპარსეთის პოლიტიკას ანხორციელებდნენ.

საჭიროდ მიმაჩნია აქ ცოტახანს შევჩერდეთ და მოკლედ მაინც გავეცნოთ წახურის ავკარგს, იმ წახურისას, რომელიც საუკუნეების მანძილზე საქართველოს ფარგლებში იყო მოქცეული და, წუქეთის საერისთაოს სახელწოდებით, ქართველებთან და, განსაკუთრებით, ინგილონებთან ჭირსა და ლხინში ერთ ჭაპანსა წევდა. ქართველებმა შეიტანეს წახურში სწავლა-განათლება. მწიგნობრობა და, ბოლოს, ქრისტიანობაც. ამიტომ მათ ყოფა-ცხოვრებას აშკარა ბეჭედი აზის საქართველოს ზეგავლენისა. თვით წახურელები დღესაც ამბობენ: ჩვენი და კაკელები (ინგილოები) ძმები ვართ, ერთად ვიყა-



ეით ყოველ ჭირ-ვარამში და ერთად ვცემდით შემოქმედებულება სუხსო. არც სტყუიან წახურელები: კაცს პირწავარზრდით; წრფეფურები ეგონება ისინი, დიდი მსგავსებაა მათ შორის, როგორც სახის გამოშეტყველებაში, აგრეთვე ზნესა, ხასიათსა და ჩვეულება-აღათში. ყველაზე დიდი გავლენა და ნათესაობა კი წახურელების ენას ეტყობა.

ცნობილი ლინგვისტი უსლარი, რომელმაც მრავალი დაღესტნური ენა გამოიყელია, წახურელთა ენის შესახებ ამბობს: „ამ სოფლიდან (კ. ი. ქურიდან) წახურისაკენ რომ შეპყვეტ, აგრეთვე კავკასიის მთაგრეხილის გადაღმა, ელისუსკენ, არსებობს ცალკე ენა, წახურულად წოდებული, რომლის შესახებაც ჯერ-ჯერობით არა გვაქვს დაბეჯითებითი ცნობები“.

წახურულ ენაზე ლაპარაკობს მარტოდ-მარტო წახურის ხეობის მოსახლეობა, ათამდის სოფელი, მას არავითარი ნათესაობა არა აქვს დაღესტნის სხვა ენებთან. უსლარი რომ კარგად დაპკირვებოდა, აშკარად შეატყობდა ამ ენის მახლობელ ნათესაობას ქართულ ენასთან; გარდა ამისა, მრავალი სიტყვა პირდაპირ ქართულიდან არის აღებული და იგივე მნიშვნელობა აქვს ქართულში: ხელ ნიშნავს ხელს, წაბლ—წაბლს, ბალახ—ბალახს, ყელ—ყელს, ხონჩა — ხონჩას, ხანჯალ — ხანჯალს, სკამ — სკამს, საათ — საათს, თუნგ — თუნგს, ღამ — ღამეს, წითელ—წითელს, მუხ — მუხსა, ვარდ — ვარდს, ჭალ — ჭალას ან ტყეს, ჩექმა — ჩექმის და კიდევ სხვა მრავალი, რომელნიც პირდაპირ ქართულიდან არიან აღებულნი და რომელთაც ბოლო ხმოვანი აქვთ მოკვეცილი.

მრავალია ისეთი სიტყვაც, რომელიც ცოტად თუ ბევრად შეცვლილა: კნინ, მაგალითად, ნიშნავს პატარას (ქართული დაწინინება), კოკ — კოვზს, ბარკ — ძვალს (ბარკალი), სივა — ცივას, წა — წვას, ღაფანჩა — ღამბაჩას, ადამ — ადამიანს, კეთხე — ხეთქეს, კატამ — ქათამს, ქუილ — ქვას და სხვა მრავალი. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სიტყვების უმრავლესობა წახურულში ბოლო ხმოვან ასოს ჟარგავს და უხმოდ თავდება. მსგავსი დაბოლოება აქვთ ინგილოურ სიტყვებსაც (განსაუთრებით კავისას). ინგილოები ხმოვანი ასოთი არასოდეს არ ათავებენ სიტყვებს, მაგალითად, თეთრის მავიერ ამბობენ თეთრ, არას მავიერად არ, კაცის მავიერად კაც და სხვა. მეტად საინტერესო და საჭიროა, რომ ჩექმა ლინგვისტებმა ყურადღება მიაქციონ წახურულ ენას, შეისწავლონ იგი და გამოარკვიონ მისი დამოკიდებულება ქართულთან.

ქართული სახელები პეტრი მთებს, მდინარეებს, სოფლებს წა-
ზურის ხეობაში. ასეთია მთების სახელები: გამოცანა, წარმოშობის
დინდიდა (დიდი მთა), გურჯიდაღ (ქართველების მთების უკანი სახელების სახელებიც მეტწილად ქართულია: კირმიწა, რომელსაც
ახლანდელი წაზურები კირმიწას ეძახიან, ე. ი. ბოლო ხმოვან ასოს
აკლებენ, პირდაპირ ქართულია. ასეთი სახელწოდება იქიდან დარქ-
შევაა სოფელს, რომ მის სიახლოეს მრავალი კირის მინაგვარი
მიწა მოიპოვება, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი სახლების
გასაღესად და გასათეთრებლად ხმარობენ. მეორე სოფელს ყინა
ეწოდება, ეს სახელი ქართული სიტყვის—ყინვისაგან წარმოსდგება.
ეს სოფელი ძალზე ცივ ადგილის მდებარეობს; ზამთარში მზე სრუ-
ლიად არა ხვდება. მესამე სოფელს ქურდულა პეტრი. საინგილო-
დან დაღესტანში მიმავალს პირველად ეს სოფელი ხვდება მთის
გაღალა. ეს სოფელი ისე ქურდულად არის შეჭრილი კავკასიონის
მთების ქიმში, რომ ვიღრე ზედ არ წააღებით, ვერ დაინახავთ.

წაზურში, ამ უძეველეს სოფელში, ძალიან ბევრი ქრისტიანული
კულტის ნაშთი ყოფილა დარჩენილი. წაზურელები ქრისტიანები
ყოფილან 1550 წლამდის მანიც. ამის უტყუარ საბუთს მცხეთის
კათალიკოსის მოგზაურობა ვვაძლევს. ამ კათალიკოსმა მოინახელა
საქართველოს განაპირა ეპარქიები და ეკლესიები და მათ შორის
წაზურის ეკლესიაც, სადაც ჰპოვა საეკლესიო წიგნების სიმცირე
და უბრაანა გიშ-ქურმუხის მთავარ ეპისკოპოსს, გადაეწერინებინა
ახალი წიგნები და წარეგზავნა წაზურისა და სხვათა ეკლესიებისათ-
ვის. როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანული კულტურის ნაშთი წა-
ზურში ბევრი ყოფილა ძველად. ის დიდი მიზგათი, რომელიც შეა-
სოფელშია, ძველად ეკლესია ყოფილა, რომელსაც ბევრი ქართული
წარწერა პეტრია ქვებზე ამოჭრილი. მაგრამ, როცა შემდეგში მიზ-
გითად გადააკეთეს, ზოგი წარწერიანი ქვა საძირკველში დაუტანე-
ბიათ. 1915 წელს ვნახეთ მხოლოდ ერთ კედელში ჩატანებული ქვა, რომელიც
ნატეხი უნდა იყვეს დიდი ქვისა და რომელზედაც ჯერ კი-
დევ კარგად გაირჩევა ორი ასომთავრული ასო და ექვსი დანარჩენ
ასოს გარჩევა შეუძლებელია. ამ ასოებს ორ-ორი წერტილი
უზით წინ. გარდა ამისა, ქართული წარწერები ყოფილა სასაფლაოს
ქვებზედაც. ეს სასაფლაო მდინარე სამურის ნაპირას ყოფილა,
წყალი თხრიდა მას თურმე, მცხოვრებნი ბეჭდებს, სამაჯურებს
და სხვა სამკაულებს პოულობრენ, მაგრამ მდინარე სამურმა თან-

დათან წალეკა და წაიღო სასაფლაო. ამჟამად წახურის მიღამო-
ებში აღარაფერი მოიძებნება ქართული წარწერებით, მაგრავსაური
არაბულით არის შეცვლილი.

მთელ წახურის ხეობაში უდიდესი სოფელი თვით წახურია,
რომელიც უძველეს დროში დიდი ქალაქი იყო თურმე, მას „ცრი“-ს
სახელწოდებით იხსენიებენ სომეხთა მწერალნი. სომეხთა მეისტო-
რიე კალანკატვაწი¹⁰ თავის „ავლანთა ისტორიაში“ ამბობს, რომ ამ
ქალაქში უქადავნია ვინმე გრიგოლს, რომელიც, თურმე, უწამებიათ
დალესტანში. იქვე ყოფილა ვინმე მღვდელი, რომელსაც მოწაფეები
პყოლია, ესენი დაუხოცნიათ ქალაქ ცრიში ანუ წახურში. მათი გვა-
მები ვიღაც სირიელ მამებს მოუტანიათ გაქს (კაქს), დაუსაფლავე-
ბიათ და იქვე აუშენებიათ მონასტერი. არაბთა გეოგრაფიი მოიხ-
სენებენ ამავე ქალაქის ციხე-სიმაგრეს, რომელსაც ყალატსიარს
უწოდებენ. ამ ქალაქის სიახლოეს, — ამბობს არაბთა გეოგრაფი
მასუდი, — ყალატსიარაზე უკეთესი არსად მოიპოვებაო. თვით წახუ-
რი ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენს და აღვილად შეუძლია მტრის
ყოველივე იერიშის მოგერიებაო. ეს ციხე ირგვლივ შემორტყმული
პქნია მთელ წახურს, მაგრამ დღეს აქ აღარაფერი დარჩენილა
მისი მოსავონებელი ნაშთი.

წახური გამრავლდა. მის მცირემოსავლიან ფერდობებს შეედ-
ლებული მოსახლეობა გამოსავალს ეძებს და ნელ-ნელა იძერის
საინგილოსაკენ. მაპ-აბასის შემოსვეის შემდეგ ემიგრაციამ მასობ-
რივი ხასიათი მიიღო. დაცარიელებული სოფლები გაიცსო წახურე-
ლი ლექებით. ერთი სიტყვით, მთელი აღმოსავლეთი საინგილო
გაიცსო ამ ემიგრანტებით და ეს პროცესი ემიგრაციისა თითქმის
დღესაც არ შეწყვეტილა. მოიფინა საინგილოს აღმოსავლეთი ნა-
წილი წახურელი ლექებით, ახლა აქ 26 სოფელია წახურელებისა.

საფიქრებელი იყო, რომ წახურელი ლექები, რომელნიც ენით,
ზნე-ხასიათით, ჩვეულება-აღათით უფრო ახლოს იდგნენ ინგილო-
ებთან, დაუმევობრდებოდნენ მათ, დაუახლოვდებოდნენ და მათ ენას
შეითვისებდნენ. მაგრამ ასე არ მომხდარა, ისინი სრულიად განზე გა-
უდგნენ ქართველებს და აზერბაიჯანული ენა და ზნე-ჩვეულება
შეითვისეს: დროთა განმავლობაში სრულიად დაივიწყეს საკუ-
თარი ენა და გადაგვარდნენ. რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ
მათსა და ქართველებს შორის მაღალი, გარდუვალი კედელი იყო

აღმართული და ამ კედელმა ხომ თვით ინგილოთა სოფლებზე
იმსხვერპლა. ეს გარდუვალი კედელი სარწმუნოება იყო. ურარცხული

წახურელების საინგილოში გადასახლების შემდეგ სასულონო ტრიქიერება
ზიდუნციას აღარა ვხედავთ წახურში და, მით უმეტეს, კაკში. სულთ-
ნის რეზიდენცია ახლა სოფ. ელისუშია, რის გამოც თვით სასულო-
ნოს ელისუს სასულონო დაერქვა. შესაძლებელია, რეზიდენცია იმიტომ
გადატანეს ელისუში, რომ იგი ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენს,
მოხერხებულ ადგილას არის, სამი მხრიდან მაღალი მთებით არის
შემორტყმული და მტრისაგან მიუდგომელია. გარდა ამისა, პარიკ
გრილია, მრავალი საუცხო წყაროებით არის შეკული და მშვე-
ნიერ სააგარაკო ადგილად ითვლება.

პირველი სულთანი, რომელმაც ელისუში დაიწყო ცხოვრება,
აზერბაიჯანული წყაროების გადმოცემით, იყო აღიურებულე სულთ-
ნობა მემკვიდრეობით არ გადადიოდა, სულთანს ირჩევდნენ მხო-
ლოდ სულთნის გვარეულობიდან, ვისაც ხალხის ყრილობა აირ-
ჩევდა, ის იყო სასულონოს მმართველად. პირველად ასეთი პირის
არჩევა ირანის შაპის ფირმანით დასტურდებოდა, შემდეგში ეს
როლი ჭარ-ბელაქანმა აიღო.

საინტერესოა, რა დამოკიდებულებაში იყვნენ სულთანთან მისი
ქვეშვერდომნი. ეს დამოკიდებულება სამგვარი იყო, იმისდამიხედ-
ვით, თუ რომელს ეროვნებას ეკუთვნოდით. წახურელი ლეკები,
რომელნიც ოთხ თემად იყვნენ გაერთიანებულნი, არაფერს არ იხ-
დიდნენ, გარდა სამხედრო ბეგარისა, ე. ი. ომის დროს აძლევდნენ
საჭირო რაოდენობის მხედრობას. სოფელი ელისუ, სადაც სულთ-
ნის რეზიდენცია იყო, გამუდმებით აძლევდა 24 ნუკერს სულთნის
სამოსამსახუროდ. სხვა არაეითარ გადასახადს ლეკები არ იხდიდ-
ნენ. შინაურ საქმეებსაც ლეკეთა საზოგადოებები თითონვე აწარ-
მოებდნენ და ელისუს სულთანი მათს საქმეებში არ ერეოდა.

მეორე კატეგორიის ხალხს ეკუთვნოდნენ ინგილოები, რომელ-
ნიც ყეველაზე უფრო მეტად იყვნენ დაბეგრილნი და სასულონოს
შემოსავლის მთავარ წყაროსაც ინგილოთა შემოსავალი შეად-
გენდა. გადასახადები ერთნაირი არ იყო ინგილოთა სოფლებისა-
თვის. კაკელი იხდიდა სამ თაღარ ხორბალს, სამ თაღარ ქერს,
აბრეშუმს და ერთი ცხენის საპალნე ყურძენს. გარდა ამისა, ინგი-
ლოს უნდა მიეტანა სულთნისთვის ერთი ცხენის საპალნე ბზე და
ხუთი ჩანახი ხორბალი მისი დაღაქისათვის. ინგილოების მეორე



სოფელი — ალიბეგლი იხდიდა თითო თაღარ პურს, გრინჯს ან უეტვს, რომელიც თითონვე თავისივე ურმით უზის მიუკარა სულთნისათვის სოფ. ელისუში. შემდეგში სულთნებში ალიბეგლი ელებს მიუმატეს აბრეშუმის გადასახადიც (ლიტრა თითო მოსახლეზე) და კიდევ ყურძენი, რომლის რაოდენობაც განსაზღვრული არ იყო და დამოკიდებული იყო მის მოსავლიანობაზე. ინგილოების მესამე სოფელს, მეშაბაშს, უნდა მიერთმია სულთნისათვის ყოველ დად დღესასწაულზე ძლვნად გადაწყვეტილი რაოდენობა არა-ყისა, მშრისა და ნივეზისა, გარდა ამისა, უნდა გადაეხადა თითო თაღარი პური, ქერი, ბრინჯი, ფეტეი და ერთი ლიტრა აბრეშუმი იმ ბეგისათვის რომელთანაც მიტანას თვით დააკისრებდა. ეს ბეგები გადმოსული იყვნენ წახურიდან და ჯამავირის სახით აძლევდა მათ სულთანი ამ გადასახადს.

რაც შეეხება მუღალებს ანუ თათრებს, რომელნიც უმთავრესად ბარში მოსახლეობდნენ, მათი გადასახადი ინგილოების მესამედს შეადგენდა. მაგალითად, თვით სოფ. კაჯში, რომლის თავსა და ბოლოს თათრები არიან ჩასახლებული, ისინი იხდიდნენ კომლზე თითო თაღარ ხორბალს და ერთ ლიტრა აბრეშუმს.

აქედან აშკარად სჩანს, რომ ყველაზე დიდად და უზომოდ ინგილოები იყვნენ დაბეგრილნი და მთელი სასულთნოს შემნახველები და მარჩენალნი ისინი იყვნენ.

პირველი სულთანი, რომელმაც ბინა დაიდო ელისუში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო ადიკურკულე, შემდეგ ალი-ბეგი, მეხმედხანი, ალი-სულთანი. ამ უკანასკნელის დროს მოხდა ელისუს სასულთნოს შეერთება რუსეთთან.

როცა რუსეთის მთავარსარდალმა ჭარ-ბელაქანი დაიპყრო, რუსეთის ძლიერებით შეშინებული ალისულთანი მოწიწებით მიეკება რუსეთის მხედრებს და ქვეშევრდომობაზე თანხმობა გამოუცხადა. ამრიგად, ელისუს სასულთნო ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს და სრულიად ჩამოშორდა როგორც სპარსეთს, ისე ჭარ-ბელაქანს. ამით ალისულთანს, რასაკვირველია, საკუთარი მთავრობის შენარჩუნება უნდოდა. 1803 წლის 17 აპრილს მისმა წარმომადგენლებმა თბილისში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. ნიშნად ქვეშევრდომობისა, სულთანმა ციციანოვს, კავკასიის მაშინდელ მთავარსარდალს, საუცხოო ცხენი მიართა, რის სამავიეროდაც ციციანოვმა ძვირფასი ბეჭედი გაუგზავნა.

ხელშეკრულების ძალით სულთანი უნდა ეხადნა როგორც ფა-
ლადი, აგრეთვე ნატურალური გადასახადი (აბრეშუმის ჩატვირტული
წლიურად). სულთანი რჩებოდა თავის ძალა-უფლებაში, ისტურ ჭყაფის ცის
ხელშეკრულებაშე იყო.

შემდეგი სულთანი ახმედი, თვით ეახლა მთავარმართებელ გუ-
რივის ქვეშევრდომობის გამოსაცხადებლად და თან ჩაიყვანა 13
წლის ვაჟიშვილი დანიელი (შემდეგში გასულთნებული), ღაუტოვა
მძევლად და სთხოვა, აღზარდათ კეთილშობილთა სასწავლებელში.
სულთან ახმედ-ხანს, გურივის შუამავლობით, დაენიშნა 1200 მა-
ნეთი პენიია წლიურად.

13 წლის დანიელი აღიზარდა იმ კეთილშობილთა სასწავლე-
ბელში, სადაც მრავალი ქართველი თავად-აზნაურის შვილი იზრ-
დებოდა, ხოლო შემდევ სამხედრო სასწავლებელში შევიდა. მისი
ოცნება იყო გამხდარიყო ელისეს სულთნად და გარდაიცვალა თუ
არა მისი მამა ახმედ-ხანი, მაშინვე იქ გაჩნდა; თავი სულთნად გა-
შოაცხადა და რადგან წინააღმდევობის თქმა ვერავინ გაბედა, კავ-
კასიის მთავარმართებელმაც ის დაამტკიცა სულთნად.

დანიელ-სულთანი, ანუ დანიელ ბატონი, როგორც მას ინგი-
ლოები ეძახდნენ, მეტად თავმოყვარე, მრისხანე და შეუპოვარი
კაცი იყო, რუსეთის მთავრობისაგან ძალზე გათამაშებული და გენე-
რალ-მაიორის ჩინით დაჯილდოებული.

ხალხის გადმოცემით, დანიელ ბატონის სამართალში შებრა-
ლება და პატიება არ ეწერა, ყველაფერში წარმოუდგენელ სისას-
ტიკეს იჩინდა, რითაც თავზარსა სცემდა მცხოვრებთ. ასე გასინ-
ჯეთ, უბრალო ქურდობისთვისაც კი ცხვირსა და ყურსა სჭრიდა
ადამიანს, ტყეუილის მთქმელსა და ცბიერს — ენას, კაცის მკვლელს —
ხელებს, მეძავ დედაკაცს ტომარაში ჩასვამდა, შიგ კატებს ჩაუს-
ვამდა და ისე სტანჯავდა და აწამებდა. ასეთი ბარბაროსული სას-
ჯელი იცოდა თურმე დანიელმა ირგვლივ მისი შიშით ყველანი
ძრწოდნენ. ქალის გათხოვნება, ცოლის შერთვა დანიელის დაუკითხა-
ვად არავის შეეძლო.

ყველა ამისთვის საჭირო იყო დანიელ ბატონის ლოცვა-კურთხევა,
რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ დანიელისათვის კარგი დიდი
სასყიდელი უნდა მიერთმიათ ფულად ან ხორავეულით. მისცემდით

ყველა ამას, მაგრამ ადამიანი დარწმუნებული არ იყო, რომ ხვალ
იმ ქალს იმავე დანიელის ბრძანებით არ წაგარომევდა, კრისტეფოს
საქმარისი იყო მისულიყო, ვინმე და საჭირო ძღვენის მინტოშემა დასტურ
ელისათვის, რომ ბრძანება ვაეცა — ქალი ახლა ამას მიათხოვეთ.

დანიელმა, სხვათა შორის, კაჯის შუაბაზარში ჩამოახრიობინა
ორი წარჩინებული ინგილო — ხუციშვილი და ოთარაშვილი. ხალხი
მეტის-მეტად ღელავდა და, რაც დრო ვადიოდა, მისი ბოლმა იზრ-
დებოდა. ამას ხელს უწყობდნენ დანიელის მმებიც, რომელნიც იმთა-
ვითვე მტრულად უცქეროდნენ დანიელს, როგორც უკანონოდ ტახ-
ტის დამჭერს. დანიელი არც უფროსი შეიღი იყო მამისა, არც
ხალხის მიერ არჩეული. ვამოდიოდა, რომ ძალმომრეობით ჩაეგდო
ხელში მემკვიდრეობა. დანიელიც ამრეზილი იყო მმებზე. იმის
ყურს ესმოდა მმების დრტვინვა, ამიტომ მოინდომა ორივე უფროსი
მმის გაქრობა.

ერთი, მემედ-ხანი, სოფ. კაჯის თავში მოჰკვდა ქეიფის დროს,
გადმოცემა ამბობს, დანიელმა განვებ მოიწვია მმა საქეიფოდ და
როცა შეზარხოშდნენ, უთხრა: შენ არ იცი, როგორ უნდა ღვინის
სმა, უნდა უცებ ასწიო ყანწი, კისერი ვადაიგდო და თვალის დახამ-
ხამებაზე გადაყლაპოო. ახმედმაც ასე ჰქნა, მაგრამ, ვადაიღო თუ
არა კისერი, დანიელმა იშიშვლა ხმალი, დაპკრა კისერში და იქვე
სული გააფრითხობინა. მეორე მმა, ნაელი-ბეგი, კიდევ ბაიდარლოში
მოაკვლევინა თავის ნუკრებს, ისიც ქეიფის დროს.

იმავე ხანებში რეორგანიზაცია მოხდა მთელ საინგილოში
დანიელის სამულობელო ჭარ-ბელაქნის ოლქს შეუერთეს და დანიელი
ოლქის უფროსისაგან დამოკიდებული გახდა, თითქმის უბრალო
ბოქაულის ხარისხით დანიელმა ეს იუკადრისა და საჩივარი გაუგ-
ზავნა იმპერატორს, მინისტრს და მთავარმართებელს. მაგრამ ვე-
რაფერს გახდა. ელისუს სასულთნოს დღეები დათვლილი იყო.
დანიელმა განიზრახა აჯანყების მოწყობა, რაც თავის დროზე შე-
იტყო ოლქის უფროსმა და მიუხტა დანიელს ელისუში, ცხარე
ბრძოლის შემდეგ დანიელი დამარცხდა, დაღესტანში გაიქცა და შამილს
შეუერთდა.

რესეთის მხედრებმა მიწასთან გაასწორა ელისუ და სულთნობა
1844 წლიდან გაუქმებული იქნა. მის მავნეო ორი საბოქაულო
დაარსდა — კაჯისა და ყარასუსი ზაქათალის ოლქთან შეერთებით.

ასე დასრულდა ამ პატარა სამთავროს, ანუ სასულთნოს დღეები.

საინილოს გარემოსა რესატიან



შპილე დრო იყო რუსეთის დამკვიდრების პირველი ხანა საქართველოში. რუსეთის მხედრობის გადმოსვლამ კავკასიონის ქედზე ყალყზე დააყენა ლეკები: ვაი თუ ჩვენც საქართველოს ბედი გვეწვიოსო. საინგილოს ლეკები, რომელთა ხელშიც იყო მაშინ საინგილოს ქართველების ბედ-ილბალი, შექმა, განჯა, შირვანი და სხვა სახანოები, ყოველ ღონეს ღონობდნენ, რომ გაერეათ რუსები საქართველოდან.

სწორედ ამ დროს ამოქმედდა ბატონიშვილი ალექსანდრე — ეს უკანასკნელი მოძიებანი საქართველოს დამოუკიდებლობისა და დაუძინებელი მტერი რუსეთისა, რომელთანაც ვერ გასჭრა ვერც მუქარამ, ვერც დაყვავებამ. ისე ჩავიდა საფლავში, რომ სამშობლოს ღრუბელიც კი ვეღარ დაინახა. ამოქმედდა თუ არა ეს ვაჟაცობითა და მხენობით განთქმული ადამიანი, რომელსაც დიდი გავლენა და პატივი ჰქონდა საქართველოს ყველა მეზობელ ერში, მღელვარებამ ერთი-ორად იმატა მეზობელ სახანოებში, დაღესტნის ბატონმა ომარ-ხანმა, გული მოიცა და საინგილოს ლეკებიანად, რომელიც ღაუძინებელი მტრები იყვნენ საქართველოსი, დაიძრა კახეთისაკენ. მაგრამ არც საქართველოში ახლად დაბანაკებულ რუსებს ეძინათ, ვიორგი მეუე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ვენერალ ლაზარევს, რომელიც მაშინ, მინისტრ კოვალენსკის წასკლის შემდეგ, მთავარი გამგე იყო საქართველოსი, ჯეროვან დახმარებას უწევდა. ლაზარევმა და ბატონიშვილმა იოანემ ხელდახელ შეჟყარეს ქართველებისა და რუსებისაგან შემდგარი ჯარი და სასტიკად დაამარცხეს ლეკები იორზე, ნიახურასთან, სადაც, ლაზარევის მოხსენების თანახმად, 2.000 კაცი მოკვდა ლეკების მხრივ და დაიჭრა თვით ომარხანი. ეს მოხდა 1800 წლის ნოემბერში.

ეს სასტიკი დამარცხება იყო ლეკებისა, მაგრამ ამ დამარცხების შემდეგ ლეკებმა თოფ-იარალი არ დაპყარეს. ჭარ-ბელაქანი მუდმივ სამხედრო ბანაქს ჭარმოადგენდა და ყოველთვის მზად იყო საქართველოზე დასაცემად. რუსეთის მხედრობაც კარგად გრძნობდა მათ ძლიერებას და ჯერ კიდევ ხეირიანად ფეხი არ შემოედგა საქართველოში, რომ გენერალი კნორინგი წინადადებით მიმართ

თავს მათ, ზავი ჩამოვაგდოთ და მტრობას თავი დავაწყებოთო. დაკუნძული ასეთ ორჭოფ პასუხს აძლევდნენ: „მშვიდობიანობის ჩამოვაგდება ორ მოსაზღვრე ერს შორის, დიახ რომ სასურველო ჟაფარ რი, ჩვენ წინათაც ჩამოვაგდია ასეთი ზავი ერეალუ ქუთაფინუ მუსკარ ლე მეუჯესთან). თქვენთან, მით უმეტეს სასურველია ასეთი ზავი, მაგრამ გვეშინია, იქნება პირობა ვერ შევასრულოთ და მაშინ ხომ პირშავნი გამოვალოთ თქვენს წინაშე. თქვენ მსგავსნი არა ხართ ერეალუები და სხვა ხანებისა. თქვენ წარმომადგენელი ხართ დიდი ფადიშაპისა. ჩვენ არ გვეკადრება თქვენთან პირის გატეხა, ზავს ჩამოაგდებენ ხოლმე ჩვეულებრივ ერთმანეთში თანატოლნი, ფალი-შაპის ტოლნი ფადიშაპთან. აი, ჩვენი პასუხი.“*

ლეკები არაფრად აგდებდნენ არც კნორინგის პასუხს, არც დიდ დამარტებას იორჩე და ჩვეულებრივად განაგრძობდნენ თარეშს და საქართველოს მიწა-წყლის აკლებას. 1804 წელს ლეკებმა ააოხტეს თბილისის გვერდით მტკერის მარცხენა მხარეზე მდებარე ქართველთა მრავალი სოფელი და ტყველ წაიყვანეს ასზე მეტი ქალი და კაცი და 310 სული მსხვილუება საქონელი. იმავე წელს დაეცნენ და გაირეკეს კაზაკთა ცხენების ჯოვი, ცოტა ხნის შემდეგ ველისციხიდან გაიტაცეს მუშკეტერების პოლკის ცხენები.**

მაგრამ არც ახალციხის ფაშას შხრიდან აყრიდნენ ლეკები ხეირს საქართველოს. ახალციხის ფაშას პყავდა მათგან შემდგარი დაქირავებული ჯარი და აი, სწორედ აქედან ესხმოდნენ საქართველოს. ახალციხის ფაშას საქართველოს მაშინდელი გამგე ლაზარევი თხოვდა აქვრძალა ლეკებისათვის საქართველოს აკლება-აწიოკება. ფაშა სიტყვით პირდებოდა, საქმით კი თავისას არ იშლიდა. ლეკები თან მფარველობას და ქვეშევრდომად მიღებას თხოვდნენ რუსებს, თან ქვეყნის აწიოკება-აკლებას არ იშლიდნენ იმავ წელს, როცა ლაზარევმა კახეთის საზღვრები დაათვალიერა ჭარ-ბელაქნელებმა დეკუტაცია მიუვზავნეს და ქვეშევრდომად მიღება თხოვეს. გენ. ლაზარევმა მათ თხოვნას ეჭვით შეხედა და შემდეგი პირობა დაუდევა: „ნიშნად ერთგულებისა, ვითხოვ მძევლად მურთაზ ალი-აბდულის გვარისაგან მის სიძეს, მაპამედას, და გურჯარას ანანიანთა გვარისაგან, რომელთაც შევინახავთ ისე, როგორც მათ შექვერით, და

* A. K. A. K., t. ტ. I.

** Дубровин — «Закавказье, 1803-1806 г.»

რომელიც პასუხისმგებელნი იქნებიან, თუ თქვენი სოფლები შემო-
ესვიან საქართველოს, ან კიდევ გზას მისცემენ ყაჩაღთა ბრძო-
ებს, საქართველოს ასაკლებად წამოსულებს".* ლაზარუსი ცისული ი-
ლებს თან გააყოლა ადამ ბებუთოვი, რათა თვალუტრი ბაჟიშემწერ კა-
მათვის, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ლეკებზე ლაზარევის წერილი.

ლაზარევის წერილმა ყალყზე დააყენა ლეკები: მათ არც აცივეს,
არც აცხელეს, ბრაზმორეულებმა მიურიშ-მოფრიშეს ლაზარევის
წერილი, მერე მისცვივდნენ მოციქულებს, სახლ-კარი გადაუბუგეს,
ერთი მათგანი სიცოცხლეს გამოასალმეს და ლაზარევს, რასაკვირვე-
ლია, ცივი უარი შემოუთვალეს.**

მოტყუებულმა ლაზარევმა აღარ იცოდა, როგორ მოედრიკა
აღვირას ნილ ჭარ-ბელაქნელები, განიზრახა ფიცხლავ დასცემო-
და მათ და მიწასთან გაესწორებინა მათი ბუდე — ჭარ-ბელა-
ქანი. შაგრამ ქორინგმა ნება არ მისცა და შემოუთვალა, საჭირო
არ არის მათზე ამხედრება და ქვეშევრდომებად მოწვევა, რად-
გან უპირული არიან და თუნდაც რომ დაგვთანხმდნენ შენს პი-
რობებზე, ხვალვე უარს იტყვიან და ჩვეულებრივ შემოესვიან სა-
ქართველოსო. სამაგიეროდ, თვით ქორინგმა მისწერა წერილი ლე-
კებს: „მას შემდეგ, რაც გამოცხადდა თბილისში და სხვა ქალა-
ქებში უმაღლესი მანიფესტი. საქართველოს რუსეთის ძლიერ სა-
ხელმწიფოსთან შეერთებისა, ჩემს მოვალეობად დავისახე, დავამ-
ყარო სიწყნარე და შშეიღობიანობა ამ ახლადშემოერთებულ ქვე-
ყანაში და მის საზღვრებზე. რადგან საინვილოს სოფლები საქართ-
ველოს საზღვრავენ, მრავალი თავზეხელალებული და თავქარი-
ანი თავისას არ იშლის და საზღვარზე აწიოკებს მრავალ ქართ-
ველს, ან კიდევ გზას აძლევს დაღესტნიდან ჩამოსულ ურდოებს
საქართველოს ასაკლებად. ამიტომ, ვივიწყებ რა ყველა აკაციობას,
გიწვევთ საზღვრების უზრუნველსაყოფად და წინადაღებას გაძლევთ,
მოსალაპარაკებლად და პირობის შესამუშავებლად გამომიგზავნოთ
პატიოცემული და სიყვარულით აღჭურვილი არჩეული პირნი და
მამასახლისები, რომელნიც ამ წერილის მიღებისთანავე შვიდი დღის
განმავლობაში უნდა გამოცხადდნენ ქალ თბილისში. მათი აქ
ყოფნა და მშეიღობით დაბრუნება უზრუნველყოფილი იქნება. შე-

* A. K. A. K., ტომ I, გვ. 652.

** Дубровин — «Георгий XII».

კომუშავებთ თუ არა ზავის პირობებს, მაშინვე პატრიტურობის გა-
მოვისუტურებთ უკან".*

მაგრამ საინილოს ლეკებმა, არა თუ რჩეული მატები მატებები უკარი-
ზავნეს, პირიქით, საწინააღმდეგო მოქმედებაც დაიწყება: აშკარად
შეელოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს და უფრო უმეტეს ქართლ-
კახეთის ძარცვა-გლეჯას. კნორინგის ამ წერილის შემდეგ კალია-
სავით მოედნენ მთელ საქართველოს და მოსვენებას არ აძლევდნენ.
რუსი ჯარი მათ დევნას ვერ ადიოდა. ჭარ-ბელაქნის ლეკები მცი-
რე რაზმებითაც კი თავს ესხმოდნენ რუსეთის მხედრობას და მოს-
ვენებას არ აძლევდნენ თბილისის ცხეირწინ, ნავთლულში, დაც-
ნენ რუსის ჯარს, გაძარცვეს და ცხენებიც თან ვაირეეს. გარდა
ამისა, დაცნენ თვით თბილისის შეაღამისას, მცხოვრები ააწიოკეს
და კინაღამ თბილისის ხიდს წაუკიდეს ცეცხლი.**

მათ თავხედობას ხელს უწყობდა ახალციხის გამგე შერიფ ფა-
შა, რომელმაც მიმართა დაღესტნელებს და განსაკუთრებით ჭარ-
ბელაქნელებს — შეერთებულიყვნენ და საერთო ძალით განედევნათ
რუსები საქართველოდან. მოწოდება ვითომ თვით სულთანისაგან
ყოფილიყოს გამოგზავნილი, მას ყალბი ბეჭედი ესვა სულთნისა. ამ
მოწოდებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ლეკები ყველგან
აირიცნენ და საჭირო იყო ვინმე გავლენიან პირს დაერწმუნებინა
მოწოდების სინამდვილეში და გასძლოლოდა, რომ საერთო იერიში
მიეტანათ რუსებზე. ჭარ-ბელაქნელებმა დაიწყეს ჯარის შეერთება-
განჯაში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილს კაცები გაუგზავნეს;
სიხოვდნენ, მისულიყო, მეთაურობა და სარდლობა გაეწია ჯარი-
სათვის. ალექსანდრე, რასაკირველია, სიხარულით დათანხმდა.

იგი გავაზ-ყვარლის გზით პირებდა კახეთზე თავდასხმას. მა-
შინდელმა საქართველოს სამხედრო საქმეთა გამგემ, ჯაშუშების
შემწეობით, კარგახანია იცოდა ლეკების მზადება, ამიტომ მაიორი
სებასტიანი ზარბაზნებითა და ბომბებით სიღნალისაკენ გაისტუმრა,
მაიორი ცეკუშა კარდანახში გაამაგრა, კრიკონოსოვი — ანაგაში და
სხვა.

1803 წელს საქართველოს მთავარსარდლად დაინიშნა უშიშარი
თავადი პავლე ციციანოვი. მან თავის პირველ მოვალეობად და-

* ab. «Письмо Кноринг». 1802 №., აქტება.

** Рапорт «Лазарева Кнорингу». А, К, А, К, Л.

ისახა ჭარ-ბელაქნელების აღვირახსნილი თარეშის საშუალოდ
აღაგმვა; აი, რას სწერს იგი ნუხის ხანს, რომელსაც სურდა მოკ-
რივებინა და ციცანოვი ჭარ-ბელაქანთან: „მოგეხსენებამ, რომელიც გა-
გრწყინვალებავ, რომ ჭარი და ბელაქანი, რომელნებიც სურველი მოკ-
რივებინე საქართველოს კუთხისილებას შეადგენდნენ, 80 წლის
განვალობაში გამუდმებით არბევდნენ და აწიოკებდნენ მცხოვრებთ.
ჩემს უპირველეს მოვალეობად დავიხახე ჭარი და ბელაქანი ან და-
გაწყნარო და რბევა-თარეშზე ხელი ავალებინო, ან სრულიად აღ-
ვვავო დედამიწის ზურგიდან“.

ეს სარდალი, რომელსაც უკან დახევა არ უყვარდა, რომლის
გამშედაობამ და მარჯვე ქცევამ განამტკიცა რუსთის ხელისუფ-
ლება ამიერკავკასიაში, ბელაქნელებისადმი მუქარას აუსრულებელს
არ დატოვებდა. ამიტომ ციციანოვმა ყოველივე მოღაპარაკებას
თავი დაანება და ქართველთა და რუსთა შეერთებული ჯარი ვე-
ნერალ გულიაკოვის ხელმძღვანელობით ბელაქნისაკენ გაგზავნა ამ
ღროს ბელაქანში უკვე მისული იყო ბატონიშვილი ალექსანდრე,
რომელსაც შეუერთდა ქიზიყის მოურავი იოსებ ანდრონიკაშვილი
და მასთან ერთად წასული 40 თავად-აზნაური, რომელთა შორისაც
ერთა ორი შემა ბებურიშვილი. 25 თებერვალს თბილისიდან გაიქცა ბა-
ტონიშვილი თეიმურაზ გიორგის-ძე.

ორივე მხარე მარჯვედ ემზადებოდა. ალექსანდრე ბატონიშვილს
სრული გამარჯვების იმედი ჰქონდა. მაგრამ რუსთის გაწვრთნილ
მხედრობასთან და მის ზარბაზნებთან რას გააწყობდნენ ლეკები?
ბრძოლა მოხდა 1803 წლის მარტში. ლეკები საშინლად დამარცხ-
დნენ, ჯარმა ისე მოსწვა და მოაოხრა მთელი ბელაქანი, რომ ქვა
ქვაზე აღარ დარჩენილა.*

ამ დიდი მარცხის შემდეგ ჭარელებმა რუსთის მხედრობას მამა-
სახლისები გამოუგზავნეს და მათი პირით შემოუთვალეს, რომ
ჭარ-ბელაქნის საზოგადოება მზად არის ზავის ყოველვერ პირო-
ბაზე, რასაც კი ივი წარმოგვიდგენსო. ჭარ-ბელაქნის მაგალითს მი-
ნაბეს სხვებმაც.

მოკლე ხანში ცხრა ქეთხუდა წარუდგა გულიაკოვის მაგივრად
დანიშნულ გენერალ ორბელიანს, რომელმაც ისინი თბილისს გაგ-
ზავნა ციციანოვთან პირობის დასადებად. პირობა, რომელიც ცი-

* დაკით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თბილისი, 1941, გვ. 83.

ციანოვმა დაუღო ჭარ ბელაქნელებს, ასეთი იყო: 1) ჩრენ და შოუ-ლი ხალხი ჭარ-ბელაქნის თავისუფალ საზოგადოებათა, დღეს შემდეგ საუკუნოდ ვაუერთდებით რუსეთის ძლიერებულებულებით ქვეშვერდომნი მისი უდიდებელებობის, პრეზიდენტის უწყებას სეთის ბელმწიფისა. 2) ამიერიდან მოვალენი ვართ, ყოველწლიურად ვიხადოთ 1.000 ლიტრა აბრეშუმი, რომელიც ორ წევბად უნდა წარმოვადგინოთ — აგვისტოსა და ნოემბერში. 3) რუსეთის მხედრობას შეუძლია იქონიოს ბინადრობა, საღაც და რომელ სოფელშიც მოესურვება. 4) მოვალენი ვართ, მივცეთ მძევლები შემდევი სოფლებიდან: ბელაქნიდან, კატეხიდან, ჭარიდან, თალიდან, მუხახიდან, ჯინიბიდან 5) მოვალენი ვართ, რუსების წინააღმდეგ არ ვიმოქმედოთ, არც მივცეთ ჩვენს საზოგადოებაში ადგილი აღექსანდრე ბატონიშვილს და დაღესტნიდან ჩამოსულ ლექთა ურდოებს. 6) ალიაბათის და სხვა სოფლების ინგილოები ისევ ჩვენგან დამოუკიდებელი უნდა იყვნენ, ჩვენ კიდევ მოვალენი ვართ, ხელი არ შევუშალოთ ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებაში.*

ყველა ამას უნდა დამორჩილებოდა ელისუს სულთანიც თავის მხრივ, ციციანოვი პირობას აძლევდა მათ თემთა — ანუ საზოგადოებათა შინაურ საქმეში არ ჩარეცლიყო.

თავის უქვეშევრდომილებს მოხსენებაში ციციანოვი წერდა: ჭარ-ბელაქნის შემოერთებას ორნაირი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ერთის მხრივ, საქართველოს საზღვრები გავამავრეთ, ლექთა მთავარი ბუნავში რუსთა მხედრობის დამკვიდრებით და, მეორეს მხრივ, მდიდარი მოხარეე ვიშოვეთ, რომელსაც არ გაუჭირდება ვაწერილი ხარჯის ძლევათ.

ციციანოვს ეგონა, ორი კურდღელი დავიჭირეთ, მაგრამ ჩქარა არც ერთი შერჩა, არც მეორე.

პირველ წელს ჭარ-ბელაქნელებმა ნახევარი ხარჯი ძლივს გადას, მეორე წელს არა თუ ხარჯი არ გაიღეს, დაღესტნელებს გზა მისცეს და იმათთან ერთად შეუდგნენ საქართველოს ძარცვა-გლეჯას. ამაოდ წერდა ციციანოვი, ხარჯი გადაიხადეთო, — ჭარ-ბელაქანი ხან რას იმიზეზებდა, ხან რას და ხარჯის გადახდაზე ყურსაც არ იძერტყდა. მოთმინებიდან გამოსული ციციანოვი აი როგორი სიტყვებით ამკობდა ჭარ-ბელაქნელებს: „უსვინდისო არამზადებო, გინვებით ამკობდა ჭარ-ბელაქნელებს: „უსვინდისო არამზადებო, გინ-

* A. K. A. K. ტ. II, გვ. 886.

ბედავთ აგრე უსვინდისოდ წერას! ალბათ, გვონიათ, რომ ქირი
კელი ვარ და აშიტომ მწერთ აგრე. მე დავიძადე რუსეთში, იქ რე-
ვიზარდე და რუსის სული მიდგია. მოესწრებით ჩემს მოსულის მისა-
მაშინ თქვენს სახლ-კარს კი არ გადაესწვამ, არამედ თუ მცირებულის მისა-
დაგწვამთ, თქვენს ცოლშეიღს კიდევ გულ-მკერდს დავულაღრავ. თქვენ
გვონიათ, რომ პურის შემოსვლამდის დამშვიდებული იქ-
ნებით, მავრამ მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ვერ იგემებთ ჭარის
პურს, ვიდრე არ შემოიტანთ თქვენზედ გაწერილს გადასახადს! ეს
არის ჩემი უკანასკნელი სიტყვა, უპირულებო!“

ამ წერილის შემდეგ ჭარ-ბელაქნელები შიშმა შეიძყრო. გამოც-
დილებით იცოდნენ, რომ ციციანოვის მუქარა ხემრობა არ იყო,
აშიტომ საჩქაროდ გადაიხადეს ქეთხედების ხელით ნაწილი გადა-
სახადისა და ციციანოვს მოახსენეს, ელისუს სულთანს თავისი გა-
დასახადი ჯერ არ შემოუტანია და როცა მოგვცემს, მაშინვე მო-
გართმევთო. ელისუს სულთანი კი, არა თუ ხარჯს იხდიდა, პირ-
იქით, დალესტნის ყაჩაღებს ბინას აძლევდა, რის გამოც ციციანო-
ვი იძულებული იყო, ამვერარი წერილი მიეწერა:

„უსირცხვილო, ყიზელბაშური გულის სულთანო, შენ კიდევ ბე-
დავ ჩემდა წერილის მოწერას? მოვიცლი შენთვისაც და ვეწვევი
სტუმრად იმიტომ, რომ ხარჯს არ იძლევი მთელი ორი წელიწა-
დია; ბინას აძლევ რუსეთის იმპერიის მტრებს — დალესტნის ყაჩა-
ღებს და სპარსეთის შაპსაც, ბაბახანს, 300 მეომარი გაუგზავნე.
შენ ძალის სული და ვირის ჭკუა გაქვს* და შეგიძლიან განა შე-
ნის ცბიერებით და მიზეზ-მიზეზებით მომატყუო? იცოდე, თუ შენი
კაცი კიდევ უაბრეშუმოდ მოვიდა ჩემთან, ციმბირის გზა აქეთ
დარჩება. ხოლო მე, ვიდრე ერთგული მოხარეე შეიქნებოდე ჩემის
დიდის ხელმწიფე იმპერატორისა, მოწადინებული ვიქნები შენის
სისხლით გავრეცხო ჩემი ფეხსაცმელი.**

ციციანოვის მრისხანე წერილებს ბევრი არაფერი გავლენა
შეინდა ჭარ-ბელაქნელებზე, რადგან, თუ ერთი ციციანოვი ემუქრე-
ბოდა, ათი სხვა ამხნევებდა და ეუბნებოდა, ურჩიობა გაუწიოთ
და ხარჯებს ნუ გადაუხდით რუსებსო. სხვების წაქეზებით ჭარე-
ლებმა უფრო უმატეს საქართველოს დარბევას. იქამდის მივიღნენ,

* ღეღანში ასეა: Ах ты, собачья душа и ослиный ум!.

** A. K. A. K.

რომ ცხენები დასტაცის კაზაკებს. ბოლოს ისე გრიგორიულზენ,
რომ ავარიის შფლობელი ახმედ-ხანი მთელი ჯარით მურმაშვილი
3.000 მეომრისგან შესდგებოდა, საზამთროდ დააბრუნებული კუთხით
მიწა-წყალზე. მოთმინებიდან გამოსულმა ახალმა მთავარმართე-
ბელმა გუდოვიჩმა უბრძანა თავ. ორბელიანს, რომელიც ალია-
ბათში იყო დაბინავებული, შესეოდა ჭარ-ბელაქანს. ორბელიანმა
დიდი ჯარით გაიღამქრა ჭარისაკენ. ჭარ-ბელაქანი და ახმედ-ხანი
ზაქათალის ციხეში იყვნენ გამაგრებულნი. მაგრამ საქმე ბრძოლამ-
დის არ მისულა: ლეჯები შეშინდნენ და ახმედ-ხანი მცირე მოლა-
პარაგების შემდეგ აიყარა ზაქათალიდან. ჭარ-ბელაქანის ქეთხუდებ-
მა მორჩილება გამოუცხადეს ორბელიანს, რომელმაც ახალი ხელ-
შეკრულება მოთხოვა მათ. ჭარ-ბელაქანელი მოვალენი იყვნენ
შეკრულები მიეცათ წარჩინებული გვარებიდან, ეზლოთ კაზაკების
ცხენების ლირებულება, გაენთავისუფლებინათ ტყვედ წაყვანილი
ქართველები და რუსები, ხოლო თუ მათ არ გამოაჩენდნენ, 1.500
მანეთი ჯარიმა გადაეხადათ თითო სულზე; თავიანთ ადგილ-მა-
მულზე გამოვლის ნება არ მიეცათ საქართველოს ასახორებლად
წამოსული ურდოებისათვის. ვინც არ აასრულებდა ამას, უნდა
დასჯილიყო რუსეთის კანონების ძალით.*

ასეთი იყო ხელმეორედ დადებული პირობა. მაგრამ ამის შემ-
დეგაც არ მოისვენეს ლეკებმა. მა პირობის დადების შემდეგაც არა
ერთხელ შეეცადნენ მოეშორებინათ რუსეთის გამგეობა უკელაზე
დიდი აჯანყება 1830 წელს მოხდა, რასაც მოჰყა ჭარ-ბელაქანის
სრული ოკუპაცია, მათი წესწყობილების გაუქმება და რუსეთის მმარ-
თველობის საბოლოოდ დამკვიდრება.

აი, როგორ მოხდა ეს: 1830 წლის დასაწყისში, როცა კავკა-
სიის მთები ჯერ კიდევ თოვლით იყო შემოსილი და ჭარ-ბელაქანს
დახმარებას ვერავინ გაუწევდა, გადაწყდა, სისრულეში მოეყვანათ
მთაერობის დადგენილება — მოეხდინათ ჭარ-ბელაქანის საბოლოო
ოკუპაცია. 17 თებერვალს დაიძრა პასკევიჩი და დიდი ჯარით გა-
ვიდა ალიაბათში, სადაც დაუხვდნენ მას ლეკების ქეთხუდები მო-
საბლაპარაკებლად. მათ წინასწარ გაეგოთ რუსების მოთხოვნები.
პასკევიჩმა მათთან მოლაპარაკება არ ისურვა. მოლაპარაკების ნაცვ-
ლად გადასცა წინასწარ შედგენილი პროკლამაცია, თაორულ ენაზე
დაწერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ დღეიდან პოლიტიკური

* იბ. «Рапорт Орбелиани», 1807, აქტ., ტ. II.

დამოუკიდებლობა ჭარ-ბელაქანისა ისპობა და იყო რუსეთის წევზ
ლებრივ პროვინციად გადაიცევა, რომელსაც სათავეში რუსეთის
მოხელენი ჩაუდგებიანო. პროკლამაცია უნდა წაეკითხათ ყველა წევზის უძლე
გო

24 თებერვლიდან დაწყებული ყველა თემში ცხარები შეასრულდა რუსეთის
სჯა-კამათი იყო ამ აქტის შესახებ. ხალხი ორად გაიყო, ერთ მხა-
რეს იდგა შეძლებული კლასი — დიდი გვარეულობის წარმომადგე-
ნელი და მემამულენი, მეორე მხარეს — ღარიბი და საშუალო შეძ-
ლების მოსახლეობა. პირველს სასარგებლოდ მიაჩნდა თავისთვის
რუსეთის წინადადების მიღება, რადგან დარწმუნებული იყო, რომ
რუსები მათ ქონებასა და ადგილ-მამულს ხელს არ ახლებდნენ,
ხოლო მეორენი დაეინგენით უარყოფნენ რუსეთის წინადადებას
და მოითხოვდნენ ბრძოლას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ცხარე
კამათის შემდეგ პირველებმა გაიმარჯვეს და პასკევის 27 თებერ-
ვალს თანხმობა გამოუტარეს მის წინადადებაზე.

პასკევის გაუხარდა ასე უომრად და სისხლის დაუღვრედად
ქვეყნის ხელში ჩაგდება. დაიჭირა ჭარი, ამოიჩინა ციხე-სიმაგრის
ასაშენებლად ადგილი, დატოვა იქ ორი პოლე ჯარი და ფიცხ-
ლავ აცნობა პეტერბურგს ეს სასიხარულო ამბავი. ამასთან ით-
ხოვდა, ნება მიეცათ, გაეგზავნა სამი წარჩინებული კაცი შეფისთ-
ვის წარსადგენად და 12 ახალგაზრდა მიეღოთ რუსეთის სხვადა-
სხვა სასწავლებელში აღსაზრდელად.

ასე ადვილად ჩაუვარდა პასკევის ჭარ-ბელაქანი, მაგრამ არ
იცოდა, რომ ამგვარ გამარჯვებას ხშირად არასასურველი შედეგი
როსდევს. ჭარ-ბელაქანში ჯერ კიდევ ბევრი ასაფეოქებელი მასალა
იყო, რომელიც მხოლოდ დროს და შემთხვევას ელოდა. ის ხალხი,
რომელიც მუდამ სხვათა დარბევა-აწიოკებას და ნაღავლით ცხოვ-
რებას იყო დაჩვეული, ასე ადვილად არ დაყრიდა ფარხმალს.
შემთხვევამაც არ დაიგვიანა. დაღუსტანში უკვე კარგა ხანია ჩამო-
ყალიბდა მიურიდიზმი. პირველად რუსები ვერ ამჩნევდნენ ამ ძლიერ
ძალას, რომელიც მათ წინააღმდეგ გროვდებოდა. ახლა იყო უკვე
საინგილოს პორიზონტზე გამოჩნდა. ეჭვი არ იყო, რომ აქაც პო-
ვებდა საჭირო გამოძახილს და ნაყოფიერ ნიადაგს. ბრძოლა
რუსებთან და მათ მომხრე ხანებთან და მემამულებთან, — ეს იყო
მთავარი ღოზუნვი მიურიდიზმისა, რომელმაც სარწმუნოება და
პოლიტიკა ერთმანეთში გათქვიუა და წინ წაიმძლვარა. ჯერ ისევ
27 თებერვალს, სათემო ყრილობებზე, როცა პასკევის წინადადე-

ბა ირჩეოდა, დარიბმა მოსახლეობამ წინააღმდევობა ვაუწირ მდიდარ მემაშულეებს და ბრძოლა მოითხოვა სისხლის წესრიცხვები წევთამდე, ახლა ისინი მიურიდიზმის ქადაგებამ მშენებად მექანიზმების ვანა და ფეხზე დააყენა. უბრალო ნაპერწყალიდა იყო საჭირო, რომ უზარმაზარ კოცონად გადაქცეულიყო.

მაისის დასაწყისშივე შეის შაბანის მოწოდება ფართოდ მოეფინა ჭარ-ბელაქანს და დედა-ბუღიანად შეძრა იქაურობა. შეიხი მოუწოდებდა ხალხს საღმრთო ბრძოლისაენ რუსების წინააღმდევ წყვევა-კრულვას უგზავნიდა ინგილოებს და ყველა იმას, ვინც რუსებს მხარს უჭერდა. დიდ მემაშულეებს და ქეთხულებს, რასაკვირ-ველია, არ ესიამოვნათ ასეთი ქცევა.

ერთი ასეთი მოწოდება ხელში ჩატარდა ჭარის ყაზის (სასულიერო პირი). მან საჯაროდ წაიყითხა, მიხი-მოხია და აქეთიქით ისროლა ყაზის საქციელმა და პროკლამაციის მასხრად ავდებამ თავის მიზანს ვერ მიაღწია: ხალხი აღფრთოვანებული იყო მიურიდიზმის ლოზუნგებით. ოვით შეის შაბანმაც არ დავვიანა: 12 ივლისს გადმოლახა კავკასიონის მთავრებილი და საქმაოჯარით შეებრძოლა რუსებს. ბრძოლა ბელაქანსა და კატებს შეამოხდა. მიურიდები თავისანწირულად იბრძოდნენ. მიუხედავად ამისა, მაინც დამარცხდნენ.

რუსებმა გამარჯვეს, მაგრამ სრულ გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შირს იყო. მიურიდები აგრე ჩქარა არ დაპყრიდნენ ფარ-ხმალს. დაღესტანში მიურიდიზმა ფართოდ გაშალა ფრთხები და ბევრი ცვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვა. ამან გამხნევა და ძალა მისცა ჭარ-ბელაქნელებს და იმედი გაუცხოველა. ისინი მალულად იკრიბებოდნენ, ჩუმად აწყობდნენ საქმეებს. წერილებს უგზავნიდნენ დაღესტანში ჯურმუხელებს ან კრატელებს, კანადალელებს და მოუწოდებლენენ, საერთო ძალონით გამოსულიყვნენ რუსების წინააღმდევი. 12 სექტემბრისათვის ჭარში უკვე იყო 2.000 მხედარი გამოცდილი ჰამზად-ბეგის წინამძღოლობით, იმ ჰამზად-ბეგისა, რომელიც იმამის მოადგილედ ითვლებოდა. შეიხის მმამ კატები დაიჭირა და ამრიგად მოსწყვიტა რუსი მხედრობა ბელაქანს. ჭარმა სცადა ინგილოებიც ჩაება ბრძოლაში და რაღაც შეღავათებს დაპირდა. ერთის სიტყვით, აჯანყება ფართო ხასიათს დებულობდა და რუს მხედრობას ადვილი საქმე არ ედგა წინ ზაქათალის ციხე, რომლის მშენებლობაც ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, თითქმის ყოველმხრივ გზა-მოჭრილი აღმოჩნდა.

მავრამ არც რუსები ხუმრობდნენ. მათ ახალი ჯარი მოუკიდათ გენერალ სტრეკალოვის უფროსობით. ამ ჯარში 1.500 კაცე ზრდაც მოუკიდათ ბოლა. 15 ოქტომბერს შეტევაზე პაირებდნენ გადასვლას და მოწოდება გაუდგინა: გაანთვისუფლებდა მონობისაგან და ქემქელს სრულიად მოხსნიდა, თუ მის მხარეს დაიჭერდნენ და რაზმებს შეაღენდნენ ლეკებთან საბრძოლველად.

15 ოქტომბერს სტრეკალოვი და სერგეევი ჯარით ციხიდან გავიდნენ და ორი კილომეტრის მანძილზე ტყის გაჩეხვას შეუდგნენ. იქ უნდა გამაგრებულიყვნენ და იერიში მიეტანათ პტრის პოზიციებზე. მავრამ ვიღრე ისინი ამას მოახერხებდნენ, ისე სწრაფად და მოუღოდნელად მიიტანეს ლეკებმა იერიში, რომ რუსები დიდი ზარალით უკაქცეულ იქნენ. ისე ელვისებური იყო ეს თავდასხმა, რომ რუსებმა ვერც მოასწრეს ხელის განძრევა და უგზო-უკალოდ ციხისაეკნ გაიქცნენ. ლეკებს დიდი ნადავლი დარჩათ — რუსების მძიმე იარაღი და ბევრი სხვა რამე გარდა ამისა, ბრძოლის ველზე მოკლული დარჩა 6 ოფიცერი და 243 ჯარისკაცი. 10 ოფიცერი და 141 ჯარისკაცი დაჭრილი იყო.

მავრამ ამ გამარჯვებით ვერ ისარგებლეს ლეკებმა: დაღესტნიდან ახალ ჯარს ელოდნენ და იმ დროისათვის გადასდეს უფრო ძლიერი თავდასხმა რუსებზე. ამით ისარგებლეს რუსებმა, მიცვეანეს ახალი ჯარი — 4.500 კაცი და 8 ნოემბერს ხელახლა გადავიდნენ შეტევაზე. ლეკებს კი იმ დროისთვის საგრძნობლად შეუთხედლათ ჯარი — ბევრმა მიატოვა ლაშქარი და სახლისაეკნ გაეშურა. ამან შეის შაბაზზე იმოქმედა, ის იძულებული გახდა, მოლაპარაკება გაემართა პასკევიჩთან. ამ მოლაპარაკების შედეგად შაბანს ნება მიეცა დაუბრკოლებლივ დაებრუნებია ჯარი დაღესტანში, თვითონ კი ჯერჯერობით ჭარში დარჩა, კითომ პენსიის გამოსათხოვნად. მალე პაზარ-ბევრიც გაჩნდა. შაბანის ჯარის დაშლამ მის ჯარზედაც იმოქმედა. იმანაც გამართა მოლაპარაკება პასკევიჩთან, მოითხოვდა ამნისტიას არა მარტო თავის ჯარისთვის, არამედ ჭარბელაქნისთვისაც. პასკევიჩი მასაც დაპაირდა თხოვნის შესრულებას, მავრამ ჩქარა ორივენი თბილისში გაგზავნა, როგორც სამხედრო ტყველი.

14 ნოემბერს რუსების ჯარი სამი მხრიდან შემოერტყა ჭარს, სადაც მომწყვდეული პყავდა დაღესტნელების და ჭარ-ბელაქნელების მებრძოლნი, და სეტყვასავით დაუშინა ტყვია. ციცხლის აღმი

გახვიეს ჭარი და ქვა-ქვაზე აღარ დასტოვეს, ისე ამოავალის იქ-
ურობა. თავს უშველა მხოლოდ იმან, ვისაც ძალ-უზრუნველყოფილ
და შეეძლო თოვლიან მთებზე გადასვლა და დაფიქტნისათვის თა-
ვის შეფარება; ასევე გადაწვეს ბელაქანი, წინაუბაბათ.

სოფლები გაანადგურეს და მოსახლეობა უზომოდ დაბეგრეს.
უბრძანეს, გადაეხადათ სამხედრო ხარჯები გაენთავისუფლებიათ
ტყვევები, რომელიც დაღესტანში ჰყავდათ წაყვანილი, აენაზღაურე-
ბინათ ძველი დავალიანებაც მათ წარერთვათ იარაღის ტარების უფ-
ლება. მოვალედ გახადეს, წარედგინათ 36 ახალგაზრდა ამანათად,
რომელიც თავიანთი ხარჯით უნდა შეენახათ.

80 კაცი, აჯანყების მოთავე, პასუხისევებაში მისცეს და დედოფ-
ლის წყაროსა და კახეთში გაასამართლეს.

ლევების თავისუფალი, დამოუკიდებელი თემები ჭარ-ბელაქნისა
სრულიად გააუქმის. ისინი პოლიტიკურ უფლებას მოკლებულ სოფ-
ლებად გადაიქცნენ, ხოლო მათი სრულუფლებიანი ჯამაათი — უბ-
რალო სოფლის საზოგადოებად, რომელსაც სათავეში ჩვეულებრივი
ბოქაული ანუ, ლევერად, ნაირი ჩაუდგა.

ასე გამოეთხოვნენ თავისუფლებას და ლაღობას ის ჭარ- ბელაქ-
ნელნი, რომელიც ერთ დროს შიშის ზარსა სცემდნენ მთელ ამი-
ერ-კავკასიას.

V

1915 წელს გაუმარავი გატონიაობის თათი, ანუ ჩავალი

რა არის ქეშექლი. — შებატონე გლეხები და უმა გლეხები. — რას იხდიდა ინგილო-
გლები ლევთა სასარგებლოდ. ქეშექლით ვაჭრობა. გლეხთა რეფორმა ინგილოებს
არ შექო. — შიწაომოქმედების კომისიები. — ქეშექლის შობსნა.

1915 წლამდე საინგილოში არსებობდა ერთგვარი დამოკიდებუ-
ლება ინგილოებსა და ლევებს შორის — „ქეშექლად“ წოდებული,
რომლის ძალითაც ინგილოები სრულ ყმობას განიცდიდნენ, ხოლო
ლევები ბატონურ განცხრომაში იყვნენ.

მთელი საინგილოს გლეხობა ორ ბანაკად იყო გაყოფილი: ერთ
მხარეს იყვნენ მებატონე გლეხები, მეორე მხარეს — უმა გლეხები.
პირველი იყვნენ განსაკუთრებით ლევები, ხოლო მეორენი — ინგი-

ეს გადასახადი უფრო მძიმე იყო და სასტიკი, ვიღრე ქართლ-კახეთში არსებული დალა. ქეშქელის სისასტიკე იმაში მდგომარეობდა, რომ მოსავლიანობას და მოუსავლიანობას მისთვის არავიდა, რომ მოსავლიანობას და მოუსავლიანობას მისთვის არარიცხოდა მნიშვნელობა არა პქონდა. ინგილოს რომ მოსავალიც არ

* ଲାଲାଟୀର 7 କାନ୍ଦୁଆର କ୍ଷେତ୍ରରେ ଉପରେ।

მოსვლოდა, ბატონ ლეკისათვის მაინც სისრულით უნდა შეგრწყო
ჭირნახული, უნდა ეყიდნა საღმე, ვინდა შორეულ აჟარდუშვილუსი
თავისივე ურმით მიეტანა ლეკისთვის. თუ სასყიდლად კაჭი უნდა შეეფასებინა ქემ-
ქელის ღირებულება იმ წლის ჭირნახულის მაზანდის მიხედვით და
ულად გადაეხადნა ინგილოს ქეშელის ღირებულება.

გარდა ამ ხორბლეულის გადასახადისა, თითო ქეშელზე უნდა
მიეცათ შინ ნაქსოვი ბამბის ფერადი ტილო (შეღებილი). ზოგან
ამ ტილოს ერთ ცალს აძლევდნენ მებატონე ლეკს, ზოგან სამსა
და მეტსაც. სოფ. ჯინიშვი სამ ცალს აძლევდნენ, ალიაბათსა და
თასმალოში — ხუთს. შემდეგში, როცა რუსები შევიდნენ საინგი-
ლოში, ბამბის ტილოს გადახდევინება მოსსეს ლეკებმა და მის მა-
გიერ აპრეშემს ახდევინებდნენ, ალბათ, იმიტომ, რომ რუსები
გადასახადს ნატურით (აპრეშემით) სთხოვდნენ მებატონე ლეკებს.

გარდა ამ ვალდებულებისა, ყმა ინგილოები სხვა წერილ ვალდებუ-
ლებასაც უსრულებდნენ ლეკებს. ყმა გლეხებს თავიანთი ურმით
უნდა მიეზიდნათ ლეკებისათვის საკმარისი შეშა, ფიჩი და
ხე-ტყის მასალა, თუ ლეკი სახლის ან სხვა შენობის დადგმას დაა-
პირებდა; ზაფხულობით კი ბატონი ლეკი მთელი ოჯახობით
და ბარგით გადაეცვანათ თავიანთი ურმებით საღმე აგარაკში და
უკანვე ჩაეცვანათ შემოღვომაზე.

თუ მებატონე ლეკი ქალს ითხოვდა, ან შეიღს დააქორწინებდა,
ქეშელის მძლეველი ინგილო მოვალე იყო ბატონისთვის მიერთმია
კარგად გასუქებული ცხვარი და თან მიეყოლებინა სხვა რამ სა-
ჩიუქარიც, თუ, პირიქით, ინგილო ქორწინდებოდა, ან ათხოვებდა
ვისმეს, მაშინაც ლეკისათვის უნდა მიერთმია უფრო ძეირფასი რამ
ძღვენი, ეს ძღვენი უნდა ყოფილიყო ცხენი, მსხვილუება საქონელი,
ხოლო თუ ამას არ მოისურვებდა ინგილო, 30 მანეთი უულად.

გარდა ამისა, თუ დასჭირდებოდა ლეკს, სამუშაოზედაც მოიხმა-
რებდა ინგილოს ხვნაში, თესვაში, მკაში. საზოგადოდ, ლეკი ნაკლე-
ბად მისდევდა ხენა-თესვას და ამ მხრივ ინგილოს ხშირად არ აწუ-
ხებდა.

ამ მთელი ის ვალდებულება, რასაც ინგილო იხდიდა ბატონი ლე-
კის სასარგებლოდ. განსხვავებას ჩენებური ბატონყმობისაგან ის
თვალსაჩინო გარემოება შეადგენდა, რომ მიწა, თვით მამული, რომ-
ლის მოსავლისაგანაც ლეკს ქეშელი მისქონდა, მას არ ეკუთვნოდა

და მისი გაყიდვა არ შეეძლო. თუ რომელიმე ყმა გლეხი სრულია
ამოწყდებოდა, არავინ დარჩებოდა ოჯახში, ამოწყვეტილი უკავშირის
გამუღს სოფლის ჯამაათი ეპატრონებოდა და ვისაც მოუმოგებოდა.
იმას გადასცემდა დასამუშავებლად, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამო-
წყვეტილი ოჯახის მაგივრად იმას უნდა ექისრა ქეშქელის გადახდა.

მართალია, ლექს მამუღლის გაყიდვა არ შეეძლო, არც მისი სხვაზე
გადაცემა, რადგან იგი მის საკუთრებას არ შეაღენდა, მაგრამ თვით
ქეშქელის, ე. ი. ვალდებულების გაყიდვა კი შეეძლო. ქეშქელი ხომ
გადასახადი იყო, რომელსაც ინგილო ლექსის სასარგებლოდ იხდიდა
და აი ამ გადასახადის ანუ შემოსავლის გაყიდვას ახერხებდა ივი.
1830—1870 წლებში ამ ყიდვა-გაყიდვას ქეშქელისას დიდი ადგილი
ჰქონდა. ხელისუფლებამ 1870 წელს სრულიად აკრძალა ქეშქელით
კაჭრობა.

როგორც ცნობილია, რუსეთში და საქართველოშიც ყმების ყი-
დვა-გაყიდვას ფართო ადგილი ჰქონდა. საინგილოში ასეთ ყიდვა-
გაყიდვას არა ჰქონია ადგილი და არც შეიძლებოდა, რომ ჰქონდა.
ინგილოები ლეკების მარჩენლები იყვნენ, რადგან მათ მოსდიოდათ
ყოველივე ჭირნახული და სხვა სურსათი, და განა ასეთს გაიმეტებდა
გასაყიდად ლეკე? თვითონ ლეკები ნაკლებად მისღევდნენ ხენა-თესვას,
იმავე დროს კი დაღესტნიდან გაღმოსულ ურდოებს და ხშირად მთელ
ჯარებს შენახვა უნდოდა. ტყეულად კი არ ამბობს გენ. ორბელიანი
პასკევიჩისადმი მიწერილ ერთ თავის წერილში: — ჩამოვართვათ
ლეკებს ინგილოები, რომელთაგანაც მუქთად მოსდით სურსათ-სანო-
ვაკე. და იმათ საშუალება აღარ ექნებათ შეინახონ დაღესტნიდან ვა-
ღმოსული დაჩალთა ურდოები და თავს გაანებებენ ხალხის რბევასო.

რუსების საინგილოში შესვლის შემდეგ მხოლოდ ორი შემთხვევა
ყოფილა ასეთი გაყიდვისა. ისიც გაუყიდიათ არა ინგილოები, არამედ
მუღალები — თათრები.

თვით ინგილოებიც ამბობდნენ, რომ ლეკოაგან ინგილოების გაყი-
დვას ადგილი არ ჰქონია, თორემ ასეთი ამბავი ეხსომებოდა ვისმესო.

როგორც ხედავთ, ეს დამოკიდებულება ლეკებსა და ინგილოებს
შორის თითქმის ივივე ბატონყმური იყო, ცოტას რამის გამოკლებით.
ის უფრო პირვანდელ სახეს მოვავონებს ბატონყმობისას, სადაც ჯერ
უეოდალური დამოკიდებულება სისრულით არ იყო ჩამოყალიბებული.
ის ნახევარ გზაზე იყო შეჩერებული ანუ, უკეთ ვთქვათ, გაყინული.

როცა რუსები შევიდნენ საინგილოში, ის არც იურიდიულად ფურ გაფურმებული. ლეკებს არავითარი ისტორიულ-წერილობითი, გაბუთი არ მოეპოვებოდათ და არც პქონიათ ოდესმე, თორეშეჭრის ვრცელები სააღვილმამელო კომისიას წარუდგენდნენ.

ასეთი ბატონიყმური დამოკიდებულება არსებობდა ლეკებსა და ინგილოებს შორის. ეს იყო ნამდვილი ძალმომრეობის აქტი. ინგილო ამ უღილესები გმინავდა და კვნესოდა. შეეძლო თუ არა ინგილოს ამ უძელურებისაგან არამენაირად თავი დაეღწია, ანუ, უკეთ რომ ეთქვათ, გამოიხსინდნა? შეეძლო, და ამის თუიციალურ დასტურსაც ქვემოთ დავინახავთ, პასკევიჩის პროკლამაციაში. მაგრამ ინგილო, როგორც ვიცით, ისე გაძვალტყავებული იყო ლეკითა გადასახადებისაგან, რომ ამაზე ოცნებაც კი არ შეეძლო და, გინდაც შესძლებოდა, აქედან არაფერი გამოვიდოდა: ლეკი, რომლის ხელშიაც იყო ინგილოს ბედილბალი, აღვილად უმტკუნებდა და დანაპირებს არ შეასრულებდა. ამისთანა მაგალითი არაიშეიათი იყო.

საინტერესოა, როგორ პქონდათ განაწილებული ლეკებს ერთმანეთში საქეშქელე სოფელები და სად ვის რა ეკუთვნოდა. ყველაზე მეტი საქეშქელე სოფელი ლეკითა უძველეს ახალშენს — კარსა ჟყველა. მას ეკუთვნოდა საინგილოში 22 სოფელი. აი ეს სოფელები: ალიაბათი, მოსული, ძაგამი, შოთავარი, ყორადანი, თასმალო, ვერხიანი, ენგიანი, ალმალო, ბაბალო, ლელალო, პატარა და დიდი ლაიჯი, ჩიბანკოლი, ბაიმათლო, ქურდამირი, ყიშურლუ, ყარაბარდული, ფადარი, კინდირგალო, კაპანაჯჩი, მეშლით.¹¹ ეს სოფელები გაფანტული არიან საინგილოს მთელ ტერიტორიაზე და მის მცხოვრებთა თითქმის მეოთხედს შეადგნენ.

ჯინიხის თემს ეკუთვნოდა მხოლოდ სამი სოფელი: მარსაანი, ლალაფაშა, ჩუდულუ.

მუხახის თემს — ბაზარი, ენგიანი, ყალალო, ქოსური.

თალისას თემს — მუღანლო, ფადარლო,¹² კაპანაჩი.¹³

ბელაქანის თემს მთლიანი სოფელი არც ერთი არ ეკუთვნოდა, იმას მხოლოდ გაბნეულად ეკუთვნოდა სხვადასხვა სოფელში თითო-ოროლა მექომური.

კატეხის თემსაც არა პქონდა მთლიანი სოფელი და, როგორც ბელაქანს, მასაც სხვადასხვა სოფელში ეკუთვნოდა თითო-ოროლა მექომური.

თვით სოფელებს შორისაც სხვადასხვააირად იყო ქეშქელი განა-

წილებული. მავალითად, ჭარელ პაჯი ახმედ ღურსუნ-ოლლობს მარტი
ერთ სოფელ პენგიანში 8 ქეშეელი პერნდა, რომლისგანაც 600 ფუთი
ხორბალი შემოსდიოდა. გარდა ამისა, მასვე პერნდა ქეშეელი კუთხი-
პათში, ჩობანეოლში, ლალაფაშაში და სხვაგან. მთელ მდინარეზე
მდიდარ მებატონე-მეტეშეელედ ითვლებოდა ჭარელი მავედ კულ-
ოლლი და მოლა ციტოვი, რომელთაც რამდენიმე ათასი ფუთი ხორბა-
ლი შემოსდიოდათ. მაგრამ, როგორც სხვაგან აქაც მებატონები სჭა-
რობდნენ, ისეთები, რომელთაც სულ ორიოდე ქეშეელი გააჩნდათ.

საიდან წარმოიშვა და განვითარდა ქეშქელი? ამის შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს, მაგრამ ყველას ჩამოთვლით მკითხველს მოვაწყენ.

კველაზე სწორად მიგვაჩინია ცნობილი რუსი მეცნიერის მ. კოვალევსკის აზრი, რომლის მიხედვით ქეშქელი დაპყრობის შედეგია; ის წერს: „დაღესტნიდან ჩასულმა ლეკებმა, დაიძყრეს რა ინგილოები და თათრები, გაიყვეს ერთმანეთში საინგილოს მიწა-წყალი და როგორც ყმებს, ისე დაუწყეს მათ ქეშქელად წოდებული გადასახადის დადგა*.

ინგილოებს რომ უკავილებება არ გამოეცხადებინათ და აურჩა-
ური არ ატეხეათ, თავდაპირველად ლეპებმა სულ მცირეოდენი გადა-
სახადი შემოიღეს; ეს გადასახადი მცირეოდენი ჰირნახულისაგან და თა-
ოო ნაჭერი ნარმისაგან შედგებოდა.

შემდეგში ლეკაბმა, როცა საბოლოოდ განმტკიცდნენ საინვილში, ეს მცირე გადასახადი ძალზე გააღიდეს. საინვილოს რესეთთან შეერთების დროს ის კომლზე უკვე 3-5 თაღარს უდრიდა, რაც მეტად საგრძნობი იყო მაშინდელი გლეხისათვის.

რუსებმა ამ გადასახადის მოსპობა არ მოისურვეს, ალბათ, იმიტომ, რომ მოუსვენარი ლეკებისათვის საბაბი არ მიეცათ ახალი აჯანყების მოწყობისათვის, ან კიდევ საკითხის გაურკვევლობის გამო: ზოგნი ლეკებს მემამულებად თვლიდნენ და, როგორც ასეთებს, ბატონყმურ რუსეთში ხელი არავინ ახლო.

რუსეთის დამკვიდრების შემდეგ საინგილში ამ მხრივ მდგომარეობა უფრო გაუარესდა, — იმ გადასახადს, რომელსაც ინგილო ლეკის სასარგებლოდ იხდიდა, სხვა გადასახადიც მიემატა. ეს ახალი გადასახადი ჩვეულებრივი სახელმწიფო გადასახადი იყო და ამნაირად ინგილოს ორი ტყავი სძვრებოდა. ინგილოს ერთის გადახდაც ექნელებოდა, იმის

* М. Ковалевский, «Закон и обычай на Кавказе.»

მოხსნას თხოულობდა და ახლა ახალი გადასახადი დაუდისტრიქტ, შეს
მდგომარეობა ერთი-ორად უფრო გაუარესდა.

თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო მაშინ ინგილიური კულტუ-
რულესტრაციონ ავალაპარაკოთ გენ. დიმიტრი ორბელიანი ჩიტროვის
რესეტთან საინვილოს შეერთებისას ბანაკად იღვა ბიუტი. ასეთი მო-
და თავისი თვალით პხედავდა იმათ სიღებგირესა და ბეჯშავ ცხოვ-
რებას. მასზე ისეთი მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია ინგილოთა ცხო-
ვრებას, რომ აღშფუთებული სწერს პასკევიჩს, მაშინდელ მთავარმარ-
თებელს:

„უსირცხვილო, თავზეხელადებული ლეკების თარეშს და დაუსრუ-
ლებელ თავდასხმას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ისინი სურსათ-
სანოვავით სრულიად უზრუნველყოფილი არიან. მთელი რიგი ისეთი
სოფლებისაგან, როგორიც არის ალიაბათი, მოსული, კანდახი, თასმა-
ლო, პენგიანი, ძაგამი და ლალაფაშა. სრულიად უსასყიდლოდ მის-
დით ლეკებს სანოვავე. მათზე ძალაუფლება ჭარელ ლეკებს ძალმომ-
რებით მიუთვისებიათ. ამ სოფლების მცხოვრებნი ქართველები არი-
ან, თავიანთ მამაპაპეულ მიწა-წყალზე ცხოვრობენ და ძველადგანვე
ქართველ მეფეებს ეკუთვნოდნენ. ჭარელ ლეკებს ისინი ყმებად გაუხ-
დიათ და იმ ზომამდე შეუვიწროებიათ და დაუბეჩავებიათ, რომ სრულ
სიბრულეში იმყოფებიან, უკიდურეს მონობას განიცდიან და ადამიანის
სახე და მსგავსებაც კი დაუკარგავთ. ლეკებისაგან მათ ძარცვა-გლე-
ჯას, დაუსრულებელ მტარვალობასა და ყოველგვარ ძალმომრების
საზღვარი არა აქვს. ეხლა იმ ბეჩავ, დამონებულ ხალხის წარმომად-
გენლებს — მამასახლისებს ვგზავნი თქვენთან, ვშეუძლეობობ, მიი-
ღოთ ისინი თქვენი მფარველობის ქვეშ და გაანთავისუფლოთ ლეკეთა
მონობისაგან. როცა ეს მოხდება, მაშინ ლეკებს საშუალება მოაკლე-
ბათ შეცნახონ დაღესტნიდან გადმოსული ბრბოები და იძულებული აქ-
ნებიან საქართველოს ძარცვა-გლეჯას თავი დაანებონ“.*

ორბელიანის ნათქვაშის უფრო ნათელსაყოფად დავუმატებთ თვით
ინგილოთა ნამშებობს: „მობრძანდებოდა თუ არა ჩვენთან მებატონე
ლეკე, პატივი უნდა გვეცა არა მარტო მისთვის, არამედ მისი ცხენის-
თვისიაც, შემოვიდოდა თუ არა ჩვენს ეზოში და ჩამოხტებოდა ცხენიდან,
მისი ცხენის ქვეშ ჯეჯიმი ან ფარდავი უნდა გაგვეშალა და ზედ უნდა
მდგარიყო ცხენით. აქედან დაინახავთ, რა მდგომარეობაშიც უნდა ვყო-

* იხ. A. K. A. ტ. III, გვ. 416.

უილიამით, ჩვენი რაც კი მოეწონებოდა ლექს სახლ-კარში, მაშინეუ
ხელს დააღვებდა და თან წაიღებდა“.

არ ვიცით, რა შედეგი მოიტანა ორბელიანის შეამდგომულობის ჩემი და
დგან არც არქეოლოგიური კომისიის საქმეებში და არც მისამართის მულო
კომისიების შრომებში არაფერი არა ჩანს. მის შეამდგომლობას
რომ ნაყოფი გამოეღო, ეს აღნიშნული იქნებოდა აქტებში.

ინგილოთა ცხოვრება და მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა.
ქეშელის რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. სოფ. ალიაბათში საქე-
შელე გდასახადი 20 ჩანახიდან 5 თაღარამდის გაიზარდა. ჩობანკოლ-
ში 10 ჩანახიდან 3 თაღარამდის, ღალაფაშაში 3 თაღარიდან 8 თაღა-
რამდის და ასე სხვა სოფლებშიც. ამ ზრდამ იქამდის მიაღწია, რომ
მთელი მოსავლის 40 % და ზოგჯერ მეტიც მებატონე ლექს მიპქონდა.
ქეშელის ზრდას უფრო იმ გარემოებამ შეუწყო ხელი, რომ რუსის
მხედრობა, რომელიც დიდი რაოდენობით იდგა საინგილოში, საჭი-
როებდა სურსათს და შორიდან შის მოტანას იმ უგზოობის დროს, რა-
საკიდებულია, ადგილობრივ ყიდვა სჯობდა. აი ამიტომაც გააღილეს
ქეშელის რაოდენობა, რომ საშუალება ჰქონდათ რუსებისთვის მიე-
ყიდნათ სურსათი.

თავდაპირველად (რუსების შემოსელამდის) ქეშელის გადიდების
ნებართვას ჯამაათი იძლეოდა, შემდეგ კი რუსების სამხედრო ნაწილე-
ბი, რომელიც თითქმის ყოველთვის მოქეშეელეთა მხარეზე იყვნენ.
მაგრამ ხშირად არავითარი სანქცია არ იყო საჭირო: ეს ლექთა თვით-
ნებობაზე იყო დამოკიდებული. ამ თვითნებობას ბევრი უსიამოვნება
და ხშირად კაცის კვლაც მოსდევდა. თასმალოსა და ენგიანში მითხრეს,
როცა გავუძალებოდით და არ ვაძლევდით ზედმეტ ქეშელს, მაშინ
დავკიშერდნენ და თავდაყირა ჩამოგვეკიდებდნენ ხეზე, მერე აყარზე
(სახურავზე) აიჭრებოდნენ, სადაც ჭირნახული გვაქვს ხოლმე შენახუ-
ლი. სულ მთლად ჩამოიტანდნენ და წაიღებდნენ. ამ ნიადაგზე ბრძო-
ლაში განთქმული იყო ვინმე ინგილო აჯიბეგი. რომელიც წამსვე იქ გა-
ჩნდებოდა, სადაც ბატონები ძალმომრეობდნენ და ისეთ ჩსუბსა და აუ-
რზაურს აუტეხდა მათ, რომ ისინი იძულებული იყვნენ გასცლოდნენ,
ან კიდევ ძველის გადასახადით დაქმაყოფილებულიყვნენ. აჯიბეებს ამ
ნიადაგზე ორი ლექი შემოაკვდა. გააციმბირეს, მაგრამ მან თავისი მაინც
არ დაიშალა და როცა ციმბირიდან დაბრუნდა, უფრო გამხნევებული
შეუდგა დაჩაგრულ ინგილოთა შეეღას.

ქეშელს არაფერი ეშველა. ინგილო და თათარი ამ გადასახადი-

საგან კვნესოდა, თვალცრუმლიანი შესტიროდა ყველას, გვიშვილურ, წელში გაცწყდითო, მაგრამ მათი მშველელი არავინ იყო. რუსეთი მწნებელი უკან უკან ცირუებდა, რადგან, როგორც ზემოთა ვთქვით; ასე ცხალას რამე საბაბი მიეცა ლექებისათვის ახალი აჯანყების მისრწყობის. მაგრა რამდენიმე მწერე რამ, მიუხედავად ასეთი ღოღიაობისა, ლექებია მაინც მოაწყეს დიდი აჯანყება, რომელიც მოელი ექვსი თვე გაგრძელდა.

აი საქმე რაში იყო. 1830 წელს, როგორც უკვე ვიცით, გადაწყდა ჭარ-ბელაქნის ოკუპაცია, შემდეგ მისი ჩევეულებრივ პროვინციად გადაქცევა და შიგ რუსეთის ხელისუფლებისა და წყობილების შეტანა. ამ მისით გაემართა პასკევიჩი 17 ოქბერვალს ჭარ-ბელაქნისაკენ და მოლაპარაკების მაგიერ მზამზარეული პროკლამაცია გადასცა ლექებს თემთა ყრილობაზე განსახილებელად. აი ამ პროკლამაციის მეშვიდე მუხლში რა ეწერა ინგილობის შესახებ: „ჭარის პროვინცია, დღევანდელი თავისი მდგომარეობის მიხედვით, განიყოფება ორ კლასად, გაბატონებულ მფლობელებად, რომელიც განსაკუთრებით ლექები არიან და რომელიც ჩევნთან ყოველთვის ცუდ განწყობილებაში იყვნენ, და მათგან დამონაბულ ქართველებად. რომელთათვისაც სხვადასხვა უკვიროებით მაპმადიანობა მიუღებინებიათ. ჩევნი მიზანია — ამ დაბენიებულ ხალხს ყოველ მხრივ ხელი შეუწყოთ და მათის დახმარებით შევასუსტოთ ჩევნთან ცუდ განწყობილებაში მყოფი ლეკითა ძაღლუფლება. ჩევნ ცნობაში უნდა მოვიყვანოთ, თუ რაში ვამოიხატება ამ ბერავ ხალხის ვალდებულება ლექებისადმი, რათა აღილი აღარ ჰქონდეს მათგან ძალმომრეობას. ეს გადასახადი ამიერიდან ინგილობის უნდა შეპქონდეთ სოფლის უფროსთან და ამაში სათანადო ქვითარი უნდა მიიღონ. თუ ვადასახადი დროზე არ იქნება შეტანილი, არავის უფლება არა აქვს ძალით ვადაახდევინოს, ყოველ ასეთს შემთხვევაში უნდა ეცნობოს ოდექის მმართველს.

ინგილობის შემდევი უფლებები ეძღვევათ: 1) პირადი თავისუფლება, — თუ მოინდომა ვინმემ ვადასახალება, შეუძლიან წავიდეს და თან წაიღოს მოელი თავისი მოძრავი ქონება, ხოლო სახლი, ბალი, ადგილმასული რჩება სოფლის მფლობელობაში; 2) ინგილობის უფლება აქვთ ვამოისყიდონ თავიანთი თავი მებატონე ლექებისაგან, მამულის, ბალის და სახლ-კარის ათვეცი შემოსავლის ვადახდით; 3) ამის შემდეგ თავასუფალი იქნება თავისი მებატონისაგან და არავითარ ვალდებულებაში არ იქნება მათთან“.

ეს იყო ვითომ დიდი წყალობა პასკევიჩისა. სინამდვილეში კი პას-

კუვინი მარტო იმას ადასტურებდა, რაც ფაქტიურად არსებობდა ახლა შას შხოლოდ იურიდიული სანქცია ეძღვოდა. ამგვარად დაზი რიხით გამოცემული პროკლამაცია, მცირე შედავათსაც ჰქონდებოდა ინგილოებს. ასე იძუნწა პასკევიჩმა, მაგრამ, მოუხედავად მტკრიუმში შემარტინობისა გაბატონებული ლეკებისადმი, მაისის დასაწყისში მათ მაინც დადი აჯანყება მოუწყვეს, სძლიერ და შეჭირუებულ მდგომარეობაში ჩაავდეს რუსის ჯარი. მაშინ ჯარის სარდალმა სტრეკალოვმა ასეთი მოწოდებით მიმართა ინგილოებს: „მონობის უღელს სამუდამოდ მოგაშორებთ, ქეშქელს მოვსპობთ, ოღონდ რაზმები შეაღვინეთ, ლეკების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეთ“.

ინგილოებმა გამოცდილებით იცოდნენ, რომ რუსეთის მხედრობა ყოველთვის ასეთი აღთქმებით კვებავდა მათ. ამიტომ ისინიც შხოლოდ დაპირდნენ დახმარებას. მართლაც, როცა რუსეთის მხედრობამ ექვსი თვეის ბრძოლის შემდეგ აჯობა ლეკებს, 1830 წლის 25 დეკემბერს გამოცემულ პროკლამაციიში აი რა ეწერა ინგილოების შესახებ: „ყველა ლეკეს, რომელსაც რაიმე ძალა-უფლება ჰქონდა ინგილოებზე და ენისელზე, ერთმევა ეს უფლება. ამ მოსახლეობამ, ე. ი. ინგილოებმა და თათრებმა ყოველივე გადასახადი, რომელსაც ლეკების სასარგებლოდ იხდიდნენ, ხაზინას უნდა ჩააბარონ“.

ინგილოს ახლა თავისი გადასახადი მთავრობისათვის უნდა ჩაებარებინა. ეს იყო მთელი განსხვავება ძველსა და ახალში. იქნება მათთვის უფრო უკეთესი იყო საქმის ასეთი ცვლილება, რაღაც მთავრობა იმდენ ძალმომრეობას არ გამოიჩინდა, რასაც შებატონე ლეკები იჩენდნენ. მაგრამ, საუბედუროდ, ეს გადავდებული ნამცეციი უღლეური გამოდგა. ქეშქელის უფლება ლეკებს ერთმეოდათ, მაგრამ ერთმეოდათ მხოლოდ იმათ, ვინც მონაწილეობას იღებდა აჯანყებაში, დანარჩენთათვის კი ქეშქელის მაგივრად პენსია უნდა მიეცა მთავრობას. ვიზრე პენსიის საქმე მოგვარდებოდა. ქეშქელი ისევ უნდა ეხადათ ინგილოებს. ჩეარა ესეც უარცყო პასკევიჩმა და 1838 წელს ქეშქელი გაქცეულებსაც დაუბრუნდა და ნება მისცა თავიანთ სახლ-კარს დაბრუნებონენ და საკუთარი კერისათვის მიეხედნათ.

ასე სამარცხეინო გათავდა ეს თვალთმაქცეური ვითომ რეფორმა, რომელმაც ხანმოკლე სიხარული გამოიწვია ინგილოებში.

ამის შემდეგ უფრო გათამამდნენ და ქეშქელს თანდათან უმატეს-შაშინდელი რუსეთი ხომ საერთოდ ხელს უწყობდა მემამულებს და რაღაც მებატონე ლეკებიც ერთგვარ მემამულებად ჰყავდათ წარმოდ-

გენილი, ხმას ვინ გასცემდა მათ. ინგილოთა მდგომარეობა არის ვაჭა
პოლიტიკის წყალობით უფრო და უფრო გაუარესდეს, ხელი მარტინ
ფარ-ხმალს არა პყრიდა, თხოვნას თხოვნაზე პგზანიდეს შესრულებულ
ლობას შეამდგომლობაშე.

ბოლოს, 1861 წელს, გამოცხადდა ბატონი მობის გადავარდნა. მო-
სალოდნელი იყო, რომ ეს რეფორმა საინგილოშიც განხორციელდებო-
და და საუკუნობით შეწეხებული ხალხი თავისუფლად ამოისუნთქავ-
და. მაგრამ ბედმა ახლაც უმუხლოა ინგილოებს. ის, რაც მთელ რუსე-
თში მოისპო, აქ ძველ პირობებში დარჩა. რეფორმამ გვერდი აუცილა
საინგილოს.

მთავრობამ აქ რაღაც ხრივებს მიმართა და ასეთი ახსნა-განმარტე-
ბა გამოიგონა: ლევებსა და ინგილოებს შორის ბატონი მური დამოკი-
დებულება არ არის, ინგილოები მხოლოდ იჯარადრები არიან და, რო-
გორც ასეთებმა, რასაკვირველია, უნდა იხადონ იჯარაო. მაგრამ ეს
ხომ აშეარა სიცრუე იყო და მეტი არაფერი. მექეშელე ლევებმა ხში-
რაც არც კი იცოდნენ, სად იყო მათი მიწა-წყალი, რომლის ქაშელ-
საც უხდიდნენ, და ვინდაც რომ სცოდნოდათ, იმ მამულზე არავითარი
უფლება არ ჰქონდათ, ვერც გადასცემდნენ ვისმეს და ვერ გაყიდნენ.
მაში, რანაირი იჯარადარი იყო ინგილო? არავითარი, ეს იყო შიში მო-
უსვენარი ლევების აჯანყების წინაშე. იმ ხანებში იმამი შამილი ჯერ
კიდევ ჰექედა დაღესტანში და ერთი პატარა ნაპერწყალი იყო საკმაო,
რომ ხელახლა წამოეყო თავი ჭარ-ბელაქანს და მთელ აჯანყებად გა-
დაქცეულიყო. ამიტომ მთავრობამ არც აცივა, არც აცხელა და, რომ
ინგილოებს შეოთვა და მდელვარება არ დაეწყოთ, მათ მოსატყუებ-
ლად რაღაც კომისიები შექმნა, რომელთაც საადგილმამულო და საუ-
წყებო კომისიები უწოდეს. ამ კომისიებს უნდა გამოერკვიათ და გადაე-
წყვიტათ ინგილოთა და ლევეთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხი; ეს
იყო და ეს. ამის მეტი არაფერი გამოიმუტა მაშინდელმა მთავრობამ
ამ რეფორმიდან საინგილოსთვის.

მთელი ორშოუაში წელიწადი იმუშავა ამ კომისიამ, მრავალი ძვირ-
ფასი საისტორიო და საარქეოლოგიო მასალა დააგროვა, რომელსაც
დიდი მნიშვნელობა აქვს. იკვლიერ ამ საკითხის ასავალ-დასავალი, მა-
გრამ საქმე ვერ დასძრეს ადგილიდან, ალბათ, იმიტომ, რომ ასე სურ-
დათ ზემდგომ ორგანოებს. კომისიების მუშაობას გათავება და დასას-
რული არ ეღირსა. საქმე ისე გაჭიანურდა, რომ სახელმწიფო სათათ-
ბირომაც კი მოუსწრო. სწორედ ამ სახელმწიფო სათათბიროს მიმარ-

თეს ახლა ინგლიოებმა და შისი საშუალებით მთელი რუსეთის სამხ-
ჯავროზე გამოიტანეს თავიანთი ამბავი. სათათბიროს დეპუტატს, გა-
დაროვს, თხოვნით მიმართეს ინგილოებმა. ეს თხოვნა მანქანიკურული
როს კრებაზე წაიკითხა:

„რუსების შემოსელამდის კავკასიაში, ზაქათლის ოლქის ლევა-
სოფლებმა: ჭარბა, ბელაქანმა, კატეხმა, თალამ და სხვათ ძალომრე-
ობით დაგვაისარეს ხარკი, რომელსაც ჩვენ, მაშინ უღონონი და უპა-
ტრონონი, იძულებული ვიყავით დავმორჩილებოდით. რუსეთის მთავ-
რობამ არ გაგვანთავისუფლა ლევთა ამ ხარჯისაგან, იმიტომ, რომ
ლევებს ჯერ კიდევ მხარს უმაგრებდა თავისიუფალი დაღესტანი, შემ-
დევ კიდევ იმიტომ, რომ ეს ჩვენი საქმე გადაეცა განსახილველად ხა-
ადგილმამულო კომისიას. ამ კომისიამ კიდევ ისე გააჭიანურა ეს საქმე,
რომ, აგრე, ორმოცი წელია ეს კომისია მუშაობს, მაგრამ საკითხი დღე-
საც გადაუწყეტელია. რუსეთის შეედრებისაგან ზაქათლის ოლქის და-
პყრობამდე დღემუდამ ვუთითებდით მთავრობას ამ უმწვერვალეს უსა-
მართლობაზე, რომლის ძალითაც ერთნი მცხოვრები იღებისა, სახელ-
მწიფო ხარჯებს გარდა, დაბეგრილი არიან უზომო გადასახადებით
ოლქის მეორე ნაწილის სასარგებლოდ, რომელიც ისეთივე გლეხები
არიან, როგორც ჩვენ, და არავითარი უბირატესობით არ სარგებლო-
ბენ. ამრიგად, ჩვენ ორმაგი გადასახადი ვეხვდება. დიდს გაჭირვება-
სიღარიბეს განვიცდით შემდეგი სოფლების მცხოვრები: ალაბა-
თისა, ვერხიანისა, კინდირგალისა, ზაგანისა, თასმალოსა და სხვათა.
ამ სოფლების მოსახლეობა, რიცხვით 6.000 კომლზე მეტი, ვიხდით
ლევთა სოფლების ჭარისა, მაწეხისა, თალისა და სხვათა სასარგებლოდ
6.028 თაღარ ჭირნახულს, რომლის ღირებულებაც დღევანდელ ფასე-
ბი — 36.138 მანეთს აღმატება. გარდა ამისა, მთავრობასაც ხომ ყო-
ველ ხარჯსა და ხარჯს ვუხდით. სოფ. ალაბათი, იხდის სახელმწიფო
ხარჯებს 9.000 მანეთს, ლევებისას კი 9088 მან. ვერხიანი სახელმწი-
ფოს — 4,340 მან. ლევებისა 3,618 მან.: ენგიანი — სახელმწიფოს —
1.523 მან.; ლევებისას — 924 მან.; ძაგანი სახელმწიფოს — 2.071 მან.;
ლევებისას — 1.536 მან. ასე და ამგვარად არიან დაბეგრილი ი-
სხვა სოფლებიც, ზოგან მთავრობას მეტ გადასახადს აძლევენ
ლევების გადასახადთან შედარებით, ზოგან კი ნაკლებს. ჩვენს მუდმივ
გაჭირვებას და სიღუბჭირეს დასასრული არა აქვს. წინათ სახელმწი-
ფო გადასახადი ლევების გადასახადის მეოთხედს შეადგენდა. ახლა კი,
არა თუ გაუთანასწორდა, გადააჭარბა კიდეც. ჩვენი მდგომარეობა

მონების მდგომარეობაა, უაღრესად შეუსაბამო და უკამართლო. ჩე-
თუ მთავრობას არ შეუძლიან გამონახოს რაიმე საშუალება ჟაზუზუნებ-
და სამუდამოდ მოვაჭოროს თავიდან ეს სამარცხურუ უფლებელი ტექსტ
მრავალტანჯული ქვეშევრდომნი რუსეთისა, ჩვენთვის გაუგებარის მა-
ზეზით გავმხდარვართ რუსეთის სხვა ქვეშევრდომებზე უღირსნი და
მედმიერი მოხარეე ვართ დღემდე ისეთივე გლეხებისა, როგორნიც ჩვენ
თითონა ვართ".

სახელმწიფო სათათბიროს კათედრიდან საჯაროდ წარმოთქმულმა,
ინგილოთა საჩივარმა ბოლოს მიზანს მიაღწია. ახალი საადგილმამული
კომისია იქნა დანიშნული; როგორც იქნა, ყინული გადნა და 1915 წელს
მოეხსნა საინგილოს მონბის ეს უღელი, რომელიც ბიუროებატიულმა
რუსეთმა თითქმის ოქტომბრის რევოლუციის კარამდე მიიტანა.

VI

ხალხის ყოფა-ცხოვრება

ინგილოური ტიპი. — ზე და ხასიათი. — ღროს ვატარება. — ნათება. — კატ-
ლი და ულისესი ინგილი. — სტუმარობის კოუფარება. — დიდი იჯახები. — ვაკრა-
— ფართობა. — ქურდობა და ყანაბობა. — ენა. — უნდაბობის დღე. — კოტ-
ტობა. — ხინკალხანობა. ქურმუხის ღლებასწაული. — მისი მისმენეულიბა იჯა-
ლოთა ცხოვრებაში. — ცრუმორწმუნება. ჩატა-დახურვა შამაკაცია. — ქალების
უკავლდაური ტანისამოსი, — იმარათი ან სადღესასწაულო მირულობა. —
ნიშნობა. — ქორწილი, — პატარძალი იჯახში. — მშობლარის საშინელი პირ-
ბება. — მიცვალებულის დასაულავების წესები.

ახალი წელი საინგილოში.

ინგილო გარეგნული შეხედულებით
ივივე ქართლელი ან კახელი გლეხეცაცია.

ინგილონი საზოგადოდ ფერმერთალები არიან, იშვიათად შეხედე-
ბით წითელსა და ღაუღაუ-ღოყებიანებს. მზისვან სპილენძის ფერად
ჩაშავებულ ტიპებს აქაც, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ხშა-
რად შეხვდებით; სახის გამომეტყველაბასა, მიხერა-მოხერაში სიმკვირ-
ცხლე, სიჩქარე არ ეტყობათ, — ივივე აუჩქარებელი, დარბაისელი ქა-
რთლელი წარმოვიდგებათ თვალწინ.

ინგილოს სახის გამომეტყველება მუდაშ სევდიანი და მოქუშული
აქვს. ამისი მიზეზი რა თქმა უნდა ინგილოთა წარსულშია, რომელიც
მრავალი საუკუნის გამავლობაში მონბის უდელს განიცდიდა.

ხ ასიათი. ინგილო მეტად მშვიდი, წყნარი და ზრდილობიანია. წეული აყალ-მაყალი, უსიამოვნობა და აურზაური იმას არ უყვარს. წეული ხავთ სასოფლო ყრილობას, სადაც საერთო რამ საქმე ირჩევისა და წერილი წყნარად, მშვიდობიანათ მიმდინარეობს მსჯელობა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომ ერთ ხმამაღალ სიტყვასაც უერ გაიგონებთ. ან კიდევ დღეობას, ბაზრობას, სადაც ყოველივე ისე წყნარად და მშვიდობითა წარმოებს, რომ ადამიანი გაოცდება.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ქურმუხის წმ. გიორგის დღესასწაულს, სადაც იკრიბებოდა წინათ როგორც ქრისტიანი, ისე მუსულმანი მოსახლეობა საინილოსი. აյ მხიარულობაც დიდი იცოდა, დროს გატარებაც, ცეკვა-თამაშიც. მაგრამ ვერსად წეუბსა და აყალ-მაყალს ვერ შეხვდებოდით. მშვიდათ, წყნარად შეიკრიბება ხალხი, მშვიდათვე გატარებს დროებას და ისე წყნარად, დაიშლებიან და წავლენ-წამოვლენ თავ-თავიანთ სახლებში, რომ ერთი ბეწვა უსიამოვნებასაც კი არავის მიაყენებენ.

მეღდამ ზრდილსა და თავაზიან ინგილოს გინება და ლანძღვა ადამიანისა საშინლად ეჯავრება და ეზიზდება. გინებას, ლანძღვას, უწმინდურ სიტყვა-პასუხს ინგილოსაგან ვერ გაიგონებთ. სახლში, ვარეთ, წეუბში თუ ხუმრიობაში ინგილო არასოდეს ცუდ სიტყვას არა ხმარობს. დედ-მამის ვინება ინგილოთათვის ხომ სულ უცხო სიტყვაა და დიდ უსიამოვნობის დროსაც კი მოსისხლე მტერთან არ მიმართავს ხოლმე მას. ინგილოთა ლექსიკონში „ყურუმსალისა“ და „ახმახის“ მეტი სხვა სალანძღვავი სიტყვები არ მოიძებნება თუ ვინმემ გააბრაზა და გული მოაყვანინა ინგილოს, მხოლოდ მაშინ აიმაღლებს ხმას, ყვირილს დაიწყებს, მაგრამ თავის თავს ნებას არ მისცემს, რომ ვინება დაუწყოს ვინმეს.

წყნარადვე სწარმოებს ყოველივე წვეულება და დროსტარება საინგილოში. პურის ჭამის დროს გრძელ შოთებს ერთმანეთს გაუწიოდებენ. ერთი ორივე ხელს ერთ ბოლოში მოჰკიდებს, მეორე მეორეში. გაიწევენ და გაგლეჯავენ შოთს და თან იტყვიან „დმერთო შენ“, ესე იგი, ღმერთო შენ გვწყალობდეო. ღვინის სმაში კიდევ წყნარადვე ეტყვებიან ერთმანეთს: „დაგლოცოს ღმერთმა, დაგლოცოს“. ლოთობა ღიდ სირცხვილად ითვლება და, რაც ვინდა ღიდი წვეულება იყოს, მთვრალს ვერავისა ნახავთ. სუფრაზე ყველას წინ უდგია ერთგვარი თიხის ჭურჭელი, რომელსაც ინგილოები არაწს ეძახიან და რომელიც პირობილი საქსეა ღვინით. ტოლუმბაში, ანუ თამადა, არავის ძალას არ

ატანს სმაში და არავის ერთ სიტყვასაც არ ეტყვის: ჩუღ გამოსცალა ჭიქა და დალიეო; — ასეთი ძალდატანება აქ შეურაცხურა უფლება. ვისაც რამდენი მოესურება და ესიამოვნება, იმდენზე ჭიშმირუსტებ მდგომარე არაწისაგან.

თამადის მთავარი მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ ფხიზლად თვალყური ადეკვიტო მთელს სუფრას, რომ არავინ დაითროს და თუ ასეთი შეამჩნია, მაშინვე მოურიდებლად უნდა გადასძახოს: „შენ თავზი გეყო“, ე. ი. შენ ღვინომ ჟავე გაწყინაო და შეზარხოშებულიც მოვალეა დაუყოვნებლივ, ხმაამოუღებლივ ადგეს და გავიდეს სახლიდან, თორემ ძალით გაიყვანენ.

ინგილოთა შეხედულებით სუფრასე მთვრალ კაცს აღგიღი არ უნდა ჰქონდეს, ეს მასპინძლისა და სუფრის შეურაცხყოფაა. სუფრაზე უნდა სასიამოვნოდ იმასლაათონ, იხუმრონ, მოსწრებული სიტყვები იქვან, საღლევრძელოები და შესანდობარი წარმოთქვან, მაგრამ მთვრალისა და გაღეშილ კაცს ეს არ შეუძლია და ამიტომ სუფრას უნდა მოშორდეს.

ეს შვეენიერი ჩვეულება ისე მტკიცედ არის დაცული, რომ შეუძლებელია ვინმემ წინააღმდეგობა გაუწიოს. ქუჩაში მთვრალ კაცს ხომ ვერა ნახავთ და თუ ასეთი უძედურება შეემთხვა ვისმე, ის თავს ვარეთ ვეღარ გამოყოფს და მუდამ დარცხულებილი უნდა იყოს.

ღვინოს საინგილოში ყველანი სვამენ — ქალებიც და კაცებიც, დაიდნიც და პატარანიც. ხშირად წყლის მაგივრადაც კი. მაგრამ, უკარიავად, იმდენი უნდა დალიო, რომ არ დაითრო, ღვინომ არ დაგძალოს.

მხიარულებისა და ქეიცის დროს სამდერა არ იციან. მთელი საინგილო რომ შემოიაროთ, ვერ პპოვებთ ვერც ერთ ხალხურ სიმღერას. ამ მხრივ საინგილო დიდ გამონაკლისს შეადგენს მხიარულისა და მუდამ მომღერალ საქართველოსაგან. ამიტომ აქაური ქორწილია თუ სხვა რამ დღესასწაული, უსიცოცხლოდ მიმდინარეობს, წყნარად შემოუსხდებიან სუფრას და წყნარად დაიშლებიან. ლექთა და თათართა დიდი ხნის მონობას თავისი დაღი დაუსკამს მუდამ მხიარული ქართველისათვის. ან კი რა ემღერებოდა ინგილოს! იმდენი ჭირი და ვარაში გამოუვლია ულმობელ მტრის ხელში, რომ ისიც გასაკვირველია, — სული სულად როგორ შერჩა და ხორცი ხორცად.

ჩან თება. ასეთი წყნარი ხასიათისანი არიან ინგილოები, მაგრამ თუ ძალიან აწყენინეთ და მიუტევებელი შეურაცხყოფა მიაყენეთ,

აღრე თუ გვიან სამაგიეროს გადავიხდით. შერისძიებად ითვლება — თავრესად სახლ-კარის გადაწყვა. ბნელ დამეში შერისძიებელი მარ-კარება მტრის. სახლ-კარს და ცეცხლს მისცემს შეუმჩნევად უფრო უფრო და შეი არაიშვიათად ბზესა და თივას ინახავენ. აქედან ადვილი წარ-მოსადგენია, თუ რა ადვილია აქაური სახლისათვის ცეცხლის წაკალე-ბა. ამ შერისძიებას ინგილოები „ჩაუნთეს“ ეძახიან: „ჩაუნთეს, ჩაუნ-თეს“, რომ დაიძახებენ ინგილოები, ეს იმას ნიშნავს, რომ ამა და ამ კაცის სახლს შერისძიებით ცეცხლი წაუკიდესო. ასეთ ჩანთებას ღრიას, რასაკვირველია, იწვის და ნადგურდება მთელი ქონება მოსახ-ლისა და არა იშვიათად ცოცხალი საქონელიც. ასეთ შემთხვევაში შე-ზობლებიც და მთელი სოფლის მოსახლეობა მოეხმარება ხოლმე და-ზარალებულს და შეველის ხანძრის ჩაქრობაში, თუ ეს კერძო ნიადაგ-ზე; მაგრამ თუ პიროვნებამ შეურაცხყოფა და ზარალი მიაყენა მთელ სოფელს და ამ ნიადაგზე ჩაუნთეს, ერთი კაციც არ მიეკარება მისა-შეეღებლად, ისე დაიწვის და ჩაიფეროვლება მთელი ქონება.

საინგილოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ასეთ შემთხვევას ვეღარ შეხვდებით.

კაკელი და ელის ელი ინგილო. მოგეხსნებათ, რომ ინგილოები ორი დიდი სოფლის, კაჯისა და ალიაბათის ირგველიც იყ-რიან თავს. ორივე ისინი დიდათ განსხვავდებიან ერთომეორისაგან. კა-კელი ინგილო ამპარტავანია, დიდგულა და თავისუფლებისმოყვარე. დღევანდელი კაჯის რაიონის ინგილოები ყველანი სოფ. კაჯიდან წარ-მომდგარან, აქედან გამოყოფილან და ცალკე სოფლები დაუარსებიათ; სოფ. კავი კიდევ ძველად თავისუფალი ყოფილა, ყოველივე ხარჯისა და გადასახადისაგან განთავისუფლებული, რადგან მისი მცხოვრები ყი-წრო ხეობაშია შეჭრილი, საიდანაც გზა დაღესტანში გადადის. ამიტომ კაკელი დარაჯად იღვნენ, რომ არ ჩამოშვათ. გზა არ მიეცათ საქართველოს ასაკედათ წამოსულ ლექთა ურდოებისათვის. საქართველოს მეფენი დიდ პატივს სცემდნენ მათ, ანებივრებდნენ და ასაჩუქრებდნენ, რათა კარგად და მუჟაითად აესრულებინათ თავიანთი მოვალეობა. ამ განებივრებისაგან წარმოსდგა მათი სიამაყე, თავისუფლებისმოყვარე-ობა და შეუპოვრობა. იმდენად ამაყია კაკელი ინგილო, რომ რაც გინ-და უჭირდეს, სათხოვნელად, შესახვეწნად არავისთან მივა; მათხოვა-რი ინგილო ხომ წარმოუდგენელია.

სრულიად წინააღმდეგს წარმოადგენენ ელისენის (ალიაშვილი) ჩატურულები, ყველაფერში ეტყობათ, რომ წინათ ლეკთა ბატონობის მათზე თავისი დაღი დაუსვამს.

კაკელი ინგილო უფრო შეგნებულია, გონებაგახსნალი ბრძანიშვილის მოყვარული. თუ ძეველ დროში (საბჭოთა ხელისუფლებამდე) უსწავლია ვინჩე ინგილოს, ყველა ესეზი კაკელები არიან. ელისელი ინგილოები სწავლასა და საზოგადოდ სკოლას გაურბოდნენ და მარტო თითო-ოროლა სწავლობდა, ისიც მარტო თათრეულ წერა-კითხეას.

ინგილო იშეიათი შრომისმოყვარეა. ზამთარია თუ ზაფხული, ზისი ხელი არ დადგება, ერთ წუთს არ ჩაიფერხებს. უყურებთ მისსავე მეზო-ბელ ლექს ან თათარს, რომელიც ხშირად ქოშებში გამოწყობილი უსა-ქმოდ დაიარება და გიკვირთ, რომ არ წაბაძა მან ინგილოს. წინათ იშ-ვიათი იყო, რომ თათარს სარჩიო წლის ბოლომდის გაჰყოლოდა და იძულებული იყო ინგილოსათვის სესხი ეთხოვნა. ინგილო რომ არ იყოსო, ანდაზად პქონდათ წინათ ლეკებსა და თათრებს, ჩეენ სიმში-ლით დავისოცებითო, ინგილო არის ჩვენი პურის ბეღელი და კიდო-ბანიო.

ინგილო ძალზე სტუმართმოყვარეა. რაც გინდა ლარიბი იყვეს ინ-გილო, თუ სტუმრად მივიდა ვინჩე მასთან, უსათუოდ სახლში უნდა მიიწვიოს, „მო, ჩინსა ყონალად (სტუმრად) კეთდებოდე (იქნებოდე)“, გეტყვის ინგილო და თუ მისი თხოვნა არ შეიწყნარე, შეურაცხოფი-ლად ჩასთვლის თავის თავს. თუ გაუმაღლით და არ ინებეთ დადგო-მა სახელდახელოდ, ზეზეულად არაწით დეინო მაინც უნდა დალიოთ, თუ გინდათ, რომ არ აწყენინოთ სახლის პატრონს. ყონალობა (სტუმ-რიანობა) ძალიან არის გაურცელებული შემოღომობით, როცა ხალხი უფრო მოცლილია, ხშირად მოელი ოჯახი იყრება, სტუმრად მაღის სხვა ოჯახში ან სოფელში ნათესავ-მეგობრებთან მოელი დღეობით და თან მცირე რამ ძლვენიც მიაქვს.

დიდი ოჯახები. საინგილოში ბოლო დრომდის კიდევ არ-სებობდა აქა-იქ თითო-ოროლა დადი პატრიარქალური ოჯახი. ამგვა-რი იჯახები, რომლებშიაც ურთად ცხოვრილნენ მმები, მათი შვილე-ბი და შეილიშვილები, ხშირად 40—60 წევრისაგან შესდგებოდა. ასეთ დიდ ოჯახს სათავეში უდგა იჯახის რომელიმე ხანშიშესული წევრა; ოჯახის პატივითა და ნდობით აღჭურვილი ეს პიროვნება ახდენდა გა-ნკარგულებას, ანაწილებდა სამუშაოს. თადარიგს იჭერდა ყოველივე საქმისას და პასუხს აძლევდა მომსვლელსა და წამსვლელს. მისი სიტკ-

ვისა და განკარგულების ასრულება სავალდებულო იყო ოჯახის ყველა
წევრისათვის.

ასეთ ოჯახში სამუშაოები ასეთნაირად იყო ხოლმე განტენდენტურული
ოჯახის რამდენიმე წევრს მინდობილი პჟონდა მარტოოდზე მჭუდებული
ობა ან მესაქონლეობა; მათ უნდა ემზევესათ და ესატრონათ ზამთარ-
ზაფხულს ცხვრისათვის, მიეტანათ სახლში ყველი, მატყლი და საკლა-
ვი, მარტო ეს ებარათ მათ, ოჯახის სხვა საჭიროება და მოვალეობა
მათ არ ეკითხებოდათ. რამდენიმე წევრს ოჯახისას მინდობილი პჟო-
ნდა ბრინჯისა და სხვა ხორბლეულის მოყვანა, მოვლა-პატრონობა,
მოცელვა, გალერვა და შინ მიტანა. სხვებს კი ვენახისა და ხეხილის
პატრონობა, ღვინის დაყენება და მისი რეალიზაცია. ასევე იყო შრომა
განაწილებული ქალებს შორის.

მავრამ ახლა ასეთი პატრიარქალური ოჯახები აღარ არსებობენ.
ოჯახის დაშლა მამის ან ოჯახის უფროსის სიცოცხლეში დიდ სირცე-
ვილად ითვლებოდა, მავრამ კარგა ხანია იგი ჩვეულებრივ მოვლენად
გადაიქცა. გაყრის მსურველი იწვევენ სოფლიდან რამდენიმე დარბა-
სელ აღამიანს და ისინი უყოფენ და უნაწილებენ მათ ყოველივე ქო-
ნებას: შამულს, საქონელს და სპილენძის ჰურჭელს მარტო მამაკაცებს
აკუთხნებენ და მათ უყოფენ. ქალებს შამულს არ აძლევენ. დედ-მამა-
საც ხშირად უძრავიდან არაფერს უტოვებენ, ის რომელიმე შვილთან
უნდა დასახლდეს. დიდი საოჯახო საცხოვრებელი სახლი, რომელშიაც
მოედი ოჯახი იყო მოთავსებული, უმტროს შმას რჩება საკუთრებად.
სხვა ძმებს ან უნდა აუშენონ ახალი სახლი, ან ფეხულად გადაუხავონ.
ლოგინი არ იყოფა, რადგან თითოეულმა იცის, რომელია მისი ლოგი-
ნი. თუ რომელიმე რძალს საჩუქრად აქვს მოყოლილი დედ-მამისაგან
ძროხა ან სხვა რამ საქონელი, ის მის საკუთრებას შეადგენს და თან
უნდა წაიყვანოს.

გარ თობა. გართობა, დროს გატარება საზოგადოდ ინგილოებს
არ უყვართ. დღეობასა და ქორწილში ერთადერთი ამათი გასართობი
ზურნაა. მავრამ აქაური ზურნა რაღაც არაჩვეულებრივია, ისეთი არა-
სასიმოვნო ხმა აქვს და ისეთი ზართი გაუდის, რომ შისვან ყურთა-
სმენა აღარ არის. უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ერთი
დაუის მაგივრად, როგორც ჩვეულებრივ არის მიღებული, აქ თრი და-
უი არის მიღებული — ერთი პატარა, ხოლო მეორე ძალზე დიდი, რო-
მელსაც სქელი, უმსგავსი ტყავი აქვს გადაკრული და შემზარავი ხმა

აქვს. მედაუე ერთგვარად უშნოდ ურახუნებს ამ დაფს და მთელ პატ-
მონიას ზურნა-დაფისას არღვევს. აი ეს არის უმთავრესი, განსაკუთრები-
ინგილობისა. ამ ზურნაზედა აქვთ აწყობილი ცეკვაც, რამეობიც ჩემ-
ულებრივ ლეკურს წარმოადგენს. ქალი კაცს არ გაჟირაშემა, ცალკე
თამაშობენ ქალები, ცალკე ცეკვავენ კაცები. აი ფეხთ გაიხადა ინგი-
ლო ქალმა და წინდების ამარა დინჯად, აუჩქარებლივ ჩამოუარა ლე-
კური, ნელად მოხდენილად ათამაშებს ხელებს. მეორე მხრიდან გამოვა
ცერიალა პატარა გოგო და მოხდენილად გამოეთამაშა პირეველს. მა-
ყურებლები ტაშს უკრავენ, ზურნის ხმა ხალხს აყრევებს. კარვ მოთა-
მაშეს ხალხი ყურადღების ნიშნად თუმნიან და სამთუმნიან ჩერვონ-
ცებს აწვდის. მოცეკვავეებს თავი მოაქვთ ამით, დაიჭერენ ამ ქალა-
დის ფულებს აქეთ-იქით ხელებში და აფრიალებენ. მაგრამ არ გვიო-
ნოთ, რომ ეს ფულები აჩუქეს მოცეკვავეებს, არა, იმათ მხოლოდ შეის
მისაცემად და გასამნევებლად მისცეს ფულები და ცეკვის გათავების
შემდეგ მოვალენი არიან ისევ პატრონებს დაუბრუნონ.

გარდა ზურნისა, აქა-იქ ფანდურსაც შეხვდებით საინგილოში. ამ
ფანდურზე დაამდერებენ ხოლმე ლექსებს, მაგრამ არ გვიონოთ, რომ
ქართული სიტყვებით. როგორც ზევითაც მოვიხსენით, მთელი საინ-
გილო რომ დაიაროთ, ერთ ქართულ ხალხურ ლექსს ვერ გაივინებთ,
ერთ ქართულ სიმღერას ვერ მოისმენთ. ამიტომ აქ ფანდურზე დაამ-
დერებენ არა ქართულ ლექსებს, არამედ თათრულს.

ყველაზე დიდ გართობად და დღესასწაულად საინგილოში ქურმუ-
ხობა ითვლება. ე. ი. ქურმუხის წმინდა გიორგის დღესასწაული, ეს ერ-
თადერთი დღესასწაულილა არის მთელ საინგილოში დარჩენილი უძ-
ველესი დროიდან. ინგილოსა სწამს, რომ ქურმუხის წმინდა გიორგი
არის მისი მფარველი. მწყალობელი და მამა-პაპათა სალოცავი. ქურ-
მუხისათვის ინგილო მთელი წლის განმავლობაში ემზადება, ყოჩის ან
მსხვილფეხა საქონელს საგანგებოდ ამ დღისთვის ასუქებს, საკუთე-
სო ღვინოს ცალკე ქოცოში ინახავს და ძველი დაგლევილი ტანისამო-
სით მის კარზე არ გამოჩნდება. ყველა ცდილობს დღესასწაულზე თავი
გამოიჩინოს, ყველას კარგად გამოწყობილი და მხიარული ეჩვენოს,
დიდი და პატარა, ქალი და კაცი ცდილობს ერთმანეთს არ ჩამორჩეს
და ქვეყანას თავი ღამაზი, კოტა და ქმაყოფილი აჩვენოს.

თვით ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია მშვენიერს, მიმზიდველ
ადგილს მდებარეობს. ეს ეკლესია მთის მაღალ ფერდობს აშვენებს,
გარემოცულს მშვენიერი ტყით. აქედან ხელისგულივით მოსჩანს საი-

ნეირო და ყოფილი შექის (ნუხის) მაზრის თითქმის ნახევარი, შორს დევ აღაზანი და შირაქი თავისი თვალუწვდენი ველ-შინდურებით დღესასწაული 10 ნოემბრს იცის, გრილა, მთის სიო ხეობისას მომდევნობის, გაცრეცილ ხეებს გაყვითლებული ფოთლები სცვიტი, მდინარეების დან გამოყვანილი არხები და ნაკადები საყვარლად დაიღიავდენ.

ქურმუხზე სალოცავად კველანი დაიარებოდნენ, როვორც ქრისტიანი, ისე მუსულმანი ინგილოები, თათრები, სომხებიც შექიდან და ზაქათალიდან. ქურმუხის წმ. გოორგი საერთო სიწმინდედ ითვლებოდა და საინგილოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელი თავის მოვალეობად სთვლიდა იქ მისულიყო და იმ დიდი ლოდისთვის, რომელიც ეკლესიის გვერდით არის აღმართული, თაყვანი ეცა.

ხალხი წინადღითვე მიდის და იქრიბება ქურმუხის კვლესის ირგვლივ, ურემი ურემს მისდევს, ცხენოსანი ცხენოსანს და ეტლი ეტლს შექიდანა და ზაქათალიდან. მისულნი ძირს სწორ ადგილზე თავსდებიან და დამეს ათევენ. წმ. გოორგის კვლესიასთან ასელა და იქ დამისიერა შეუძლებელია, რაღაც დიდი აღმართი არის ასასელელი და არც საურმე გზა არის, შარაგზიდან მასთან მხოლოდ ვიწრო, საცალფეხო გზა მისდევს. მეტად მშეენიერი სანახავია ეს დამისმთეველთა ბანაკი, კველვან ცეცხლია გაჩაღებული, ჩარდახიანი ურმების ირგვლივ ხორავით სავსე სუფრას იქვე მთელი ოჯახი შემოსხდომია და მხიარულ შექცევასა და სჯა-ბაასში დროს ატარებენ. აქა-იქ მეტანდურე კვნესის, ზედ თათრულ ლექსებს ამღერებენ, ივონებს იმ წყეულსა და პირქეშ დღეებს, როცა ასეთ დროსგატარებას მოკლებულნი იყვნენ ინგილონი. ამ დამეს მხიარულად და სიამოვნებით ატარებენ. აქ ხვდებიან თავიანთ შორეულ ნათესავებს, მეგობრებს, დიდის ხნის უნახავ ძველ ნაცნობებს და მათთან ერთად დროს ატარებენ.

მეორე დღეს, ინათებდა თუ არა, პირჯვარს გადაიწერდნენ და ეკლესიისკენ გაეშურებოდნენ, თან მიპყავდათ თავიანთი ზვარაკიც. მღვდელი იმას აკურთხებდა, სანთლით ბალანს შეუტრუსავდა, შემდეგ პატრიონს მიპყავდა და ჰქონდავდა. წირვის შემდეგ იწყებოდა ნამდვილი დღესასწაული.

ამ დღესასაწულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინგილოსათვის. ხალხი აქ არაჩეულებრივ განცხრომას და თავისუფლებას გრძნობს, დიდ ბუნებასთან ერთად ისიც ლაღობს, სიამოვნებით ივსება. ამ დღეს ყოველივე განვლილ ჭირვარამს, ცხოვრების სიღებჭირეს და ისე აქვს გული და გონება გახარებული. თითქოს მასზე უდარდელი

და ბეჭნიერი ქვეყანაზე არავინ იყოს. ეს იშვიათი ბეჭნიერი დღე მოს ცხოვრებაში და ისიც მხიარულობს, ლალობს და თავისუფრთხოების უკან დევა. ქურმუხის ირგვლივ ჩველგან გაშლილი სუფრავ ყველაზე მისურ სრულებელი მხიარულება, ზურნა გრიალებს, ღუდუჭი კუნების. მათ ირგვლივ ახალგაზრდობას წრე შემოუელია და გაუთავებლივ შეშპრობენ (ცაკვავენ).

აი გამოვიდა კოხტად ხელგაშლილი ახალგაზრდა პატარძალი, ხავერდის ლაბადაში გამოწყობილი. უღრიალა იმარათით შემჯელი, უეხებს ასრიალებს, თითქო დედამიწას არც კი აკარებს, ხელებს მოხდენილად კვანწავს, ციბრუტივით ტრიალებს, მავრამ მას შუშპარობას აღარ ათავებინებენ; უცებ გვერდიდან შურდულივით გამოხტება ახალგაზრდა ვასათხოვარი ქალიშვილი, მორცხვად შლის ხელებს, თვალებს ღუდავს და შუშპრობას ეცილება პირველს. ხალხში მხიარული სიცილი გაისმის, ტაშის გრიალი მიდამოს აყრუებს.

დღესასწაულზე ჰიდაობა, ცხენით ჯირითი და სხვა რამ გართობა არ იციან. წყნარად შეიყრება ხალხი დროსგასატარებლად და წყნარადვე დაიშლება ხოლმე.

ქრისტიან ინგილოებში ერთგვარ გართობას, დროს გატარებას წარმოადგენდა აღდგომაც. ამ დღესასწაულს აქ თავისებური, ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა.

მთელი ოჯახი აღრიანად, თითქმის მამლის ყიფილობას იღვიძებდა და პირს იბსინილებდა ღორის ხორცით. ინგილოებში საბჭოთა ხელისულების დაშარებამდის ღორი სახლში არავისა ჲყავდა თაორების მორიდების გამო, რომელთაც რჯული უკრძალავდა ღორის ხორცის ჭამას. ამიტომ ინგილოები სხვაფრივ იქმაყოფილებდნენ ამ მოთხოვნილებას. აღდგომის წინაღლებში მიდიოდნენ სურაქში (სანადირო), მოედებოდნენ მთა-ღრეს, უმთავრესად კი აღაზნის ჭალებს, ხოცავდნენ ვარეულ ღორებს, ერთმანეთში ინაწილებდნენ და ამით იბსინილებდნენ. ეს ჩეველება, კ. ი. ღორის ხორცით გახსნილება, მტკიცედ იყო დაცული ბოლო დრომდე. მოხარშულ ღორის ხორცს პირველად ცოტას გაღეჭავდნენ, გამოაფურთხებდნენ და იტყოდნენ: „ღვევ დაგჩებ“. ამ სიტყვებსავე იმეორებდნენ ღევის დანახვაზე აღდგომის პირველ ღღეს.

შემდეგ მთელი ოჯახი სადღესასწაულო ტანისამოსში გამოწყობილი, სანოვავით სავსე ხონჩით მიდიოდა საგვარეულო საყდარში. ამ

დღისთვის ყოველი ოჯახი კლავდა ცხეარს, ბატქანს ან კუჭუკ საკუ-
ვებოდ გასუქებულ ფრინველს და ასეთი ძლვენით მიღიოდა საყიდრში/
ინგილოური საყდარი ხეების ჯგუფს, ანუ ჰალას წარმომაზებულ წყლის
ერთ დროს მართლა პატარა საგვარეულო საყდარი ყრტის მასში ქარ-
ან სულ არაფერია ამ საყდრისა, ან მცირეოდენი კედლები და საძირკ-
ველიაა დარჩენილი. ამ ნასაყდრალის კედლებშე ანთებდნენ სანთელს,
საკმეველს აკმევდნენ და ლოცვა-ვედრებას შესწირავდნენ ღმერთს.
ამის შემდეგ დასხლებოდნენ და მიტანილ სანოვაგეს შეექცეოდა ერ-
თად, მთელი გვარეულობა. აქეე მიპქონდათ ხოლმე წითლად შედება-
ლი კვერცხები. აღდვომის მიღოცვა „ქრისტე აღდვომით“ და „ჭეშმა-
რიტით“ აქ არ იცოდნენ, ამის მაგიერ ეტყოდნენ ერთმანეთს: „მოგი-
ლოცავ გახსნილებას, ქურმუხის წმ. გიორგიმ და მარიამ დედამ მრა-
ვალ ამ გახსნილებას დავასწროთ ბახლებით (ბავშვებით) დორთია-
ნათ“.

ც რ უ მ ო რ წ მ უ ნ ე ო ბ ა. ცრუმორწმუნეობას საინგილოში ჯერ
კიდევ აქვს აღვილი; თუმცა მკითხავები კარგა ხანია აღარ არსებობენ
და ახალთაობამ არც კი იცის, რა არის მკითხავი და რას აკეთებს ის,
მაგრამ ხსოვნა მკითხავი დედაკაცებისა ჯერაც კიდევ შენახულია საი-
ნგილოში. სოფ. კაქში ყოფილა სახელვანთვემული მკითხავი ხანუმა სა-
რდარაშვილი, რომელსაც დიდი სახელი პქრინია გავარდნილი მთელ სა-
ინგილოში. აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ საჭირო შემთხვევაში ინგი-
ლოები ზოგჯერ აქა-იქ შემორჩენილ თაორის მოლებსაც მიმართავენ
ხოლმე, ისიც ქალების დაქინებითი მოთხოვნით, იმ დროს, თუ ოჯახის
რომელიმე წევრი, განსაკუთრებით ბავშვი, გახდა ავად. მოლა ღუვას
(ლოცვას) ქაღალდის ნახევზე დაუწერს, პატრონი ნაჭერში ახვევს და-
წერილებს და ყელზედ ჩამოძკიდებს ავადმყოფს. ოჯახის პატრონს მო-
ლა არწმუნებს, რომ ისეთი ლოცვა ღვაუწერე, რომ ბავშვი აუცილებ-
ლივ მორჩებაო. მოლა თავის გასამრჯელოდ ჩამდენიმე აბაზს აიღებს
და გზას გაუდგება.

ავადმყოფის მკურნალად მიჩნილი იყო ძველადვე (საბჭოთა ბე-
რისუფლების დამყარებამდე) დიდი ასწლოვანი ხეები. საინგილოში
ზოგიერთ აღვილას დღესაც ნახავთ ტლუდ გაშვებულს პატარა ჭალებს,
რომელნიც ბებერი ხეებისავან შესღებიან და რომელთაც ხელს ვერა-
ვინ ახლებს, თუ თვითონ არ გახმენ და არ ჩამოიმტვრნენ. ეს ხეები
წმინდანებად მიაჩნიათ და ჰგონიათ, რომ მათ შეუძლიათ სხვა და სხვა
ავადმყოფობის მორჩენა, ყველა გამვლელი თავის მოვალეობად თვლი-

და, რომ რამე რკინეული, ლურსმანი იქნებოდა თუ ცხენის ნალი, ჩამო-
ეკიდებინა ხისთვის, აგრეთვე ჩითის ნახევი და ბამბის ქაჭა, შემოუჩეული
ხისთვის. ხშირად, ისეთ შემთხვევაში, როცა საქონეფი, რეზიტაციუ-
რებოდა, ან მუცელი გაებერებოდა, პატრონი ექიმს არ შეძაროთავდა,
არამედ წაიყვანდა ამ ხევბთან, რამდენჯერმე ირგვლივ შემოატარებდა,
მარილს დაუყრიდა ხის ძირას და აალოკებდა.

თუ ოჯახს ყვავილი ან წითელა შეედგებოდა, მაშინ ხონჩაზე და-
წყობდნენ ლავაშებს, წითლად შეღებილ კვერცხებს, ერთ ჯამ თაფლს
და კორთეს ზევით დააღამდნენ. ამას იმ მოსაზრებით სჩადიოდნენ,
რომ ყვავილისა და წითელს დედა ხონჩაში დაიბუღებს და ავადმყოფს
არაფერს ავნებს. ამასთანავე, სადაც ავადმყოფია, სიწყნარე უნდა იყ-
ვეს, ხმამაღლა ლაპარაკი არ შეიძლება, აგრეთვე ავადმყოფის ოთახში
რამის მოხარშვა, და განსაკუთრებით ხორცის, არ შეიძლება, რად-
გან ყვავილს ეს არ ესიამოვნება და ავადმყოფობა უფრო მნელდება.
ავადმყოფს რგებს ნელად ჩონგურის დაკვრა, ზედ წყნარადვე დამდე-
რება. თუ ავადმყოფობა კარგად გაივლის და არაეის დააზიანებს, მა-
შინ ზემოხსენებულ ხონჩას სანოვაგით ქუჩაში გასდგამენ და გამომვ-
ლელ-გამვლელს შესთავაზებენ.

ხალხში გავრცელებული იყო აგრეთვე ჯადო, ანუ მოჯადოება, მა-
გალითად, ვინმე ახალგაზრდა თხოულობს რომელიმე ქალიშვილს, მა-
ვრამ ქალიშვილი თავეგამოდებულია და არასვენით არ მიყება მოხვე-
ნელს. მაშინ ქალის თმას მოპარვით წაიღებენ მოლასთან და შეალო-
ცინებენ. ქალი მაშინ სიამოვნებით გაჰყება ვაჟს. ან კიდევ ჯვრას
წერის დროს ნაბდიდან ბეწვს გამოგლეჯავენ მეფეს, მოლას შეალო-
ცინებენ და ჯვარდაწერილებს შვილი არ გაუჩინდებათო.

ჩატმა-დახურვა მამაკაცისა ბევრი არაფრით განირჩევა ქართველ
ან კახელ გლეხთა ჩატმულობისაგან, ივივე ჩოხა, ახალუხი, ქალამანი.
ეს კია, რომ კაცებს ზამთარია თუ ზაფხული რამდენიმე ახალუხი აც-
ვიათ ერთმანეთზე, რომელთა საკინძეები მუდამ გახსნილი აქეთ ცივა
თუ ცხელა. ახალუხზე აცვიათ ჩოხა ან „ჩერქეზე“, რომელიც ადგი-
ლობრივ დამზადებულ შალისაგან იკრება. ჩოხისათვის იხმარება უბ-
რალო, უხეში, სქელი შალი, რომელსაც ყოველი ოჯახი თვითონ ამზა-
დებს, ხოლო „ჩერქეზულისათვის“ წმინდა, ნაზი, საუცხოო შალი, რო-
მელიც მუხარის ხეობაში და დალესტნის მთის სოფლებში მზადდება.
ჩოხა ჩვეულებრივი, მუღმივი სამოსელია ინგილოსი. ის ისეთივე მოყ-
ვანილობისა და ფორმისაა, როგორსაც ქართლ-კახეთში ვხედავთ. სა-

დღესასწაულო ტანისამოსად კი „ჩერქეზული“ ითვლება, რომელიც
ჩვეულებრივ კოხტა და ლამაზია, განსაკუთრებულ ყურადღებას
იცის მისი მასრები. მასრებს ყოველთვის მოვარაყებული, შესრულებული
თავები აქვთ და ზედ გამობმულ მრგვალ ყურში ვერცხლისავე წვმინდას
და ძეწვი. სიგრძე ამ ძეწვებისა 3—4 გოჯს არ აღმატება, ერთად
იყინება მათი ბოლოები და მასრებიდან ცოტა დამორჩით ვერცხლი-
სავე ვარსკვლავით ანუ ქინძისთავით არის დაბმულ-დამაგრებული ზე-
გით „ჩერქეზებაზე“. ასეთნაირად დამაგრება მასრებს სილამაზესაც აძ-
ლებს და სიმაგრესაც. ბედიდან ამოვარდნილი მასრა არასდროს არ
დაიკარგება, რადგან ივი ვერცხლის ვარსკვლავს მაგრად უჭირავს.
წელზე შემორტყმული აქვთ წვრილი ქამარი, არა იშვიათად ვერცხ-
ლით შელამაზებული, და ზედ ჰეიდიათ ხანჯალი. ხანჯალი განუყრე-
ლი მეგობარია ინგილოსი, უმისოდ არც ერთი ინგილო არ გაივლის,
ახალგაზრდაა ის თუ ბებერი. უნდა კი ითქვას, რომ აქ ხშირად უშინ
და უხერხულ დიდ ხანჯლებს ატარებენ. უყურებო ამ ხანჯლებს და
გივირთ, თუ როგორ არშიობენ ამოდენა ხანჯლებს და როგორ არ
უშლით მუშაობის დროს. თავზე ცხვრის დიდი ფაფახი ახურავს ყვე-
ლას, დიდსა თუ პატარას. ზაფხულის დიდ სიცხეებშიც კი არ იშორებს
ინგილო ამ ფაფახს და ისეა მას შეჩვეული, რომ ხშირად დამითაც კი
იმითი იძინებს. ამის გამო თავი მუდამ ჩატურებულია, უსუფთაოდ არის
და სიქაჩილე არაიშვიათი სტუმარია აქაურობისა.

შოთან აღვილებში ზამთარში ხალხი იცვამს კარგად გამოსული და
მოთელილი ტყავისაგან შეკერილ ქურქებს. ამ ტყავებში ეწყობიან
ხშირად ქალებიც. უფრო შეძლებულები იცვამენ ზამთარში ბურუმა
ქურქებს, ეს ცხვრის საუკეთესო ტყავისაგან შეკერილი წამოსასხმელი
გრძელი ქურქია, რომელიც თითქმის ძირამდის ჩამოსთრევს ადამიანს.
ამ ბურუმა ქურქს აქეთ-იქიდან ვიწრო და გრძელი სახელოები აქვს
გამობმული შენოს გულისათვის, რადგან სივიწროვის გამო შიგ ხელის
გაყრა შეუძლებელია. ამ ბურუმა ქურქებს განსაკუთრებით ლეკები იც-
ვამენ მოის ცივ აღვილებში, ინგილოებში კი მას ვერა ნახავთ.

ზოგან ხალხი კმაყოფილდება ერთვარი იაფი ტანისამოსით, რო-
მელსაც ჩოფუზის ეძახიან. ჩოფუზი გაუთელავი თეთრი ნაბდისაგან,
ანუ ქეჩისაგან არის შეკერილი, მოკლე სახელოები აქეს და სიკრიი
მუხლებს არ გასცილდება. ჩოფუზი შეტის-შეტად მოუხეშავი, ხმელი
ტანისამოსია, მატყლის ნარჩენისაგან გაკეთებული და მნელი საარ-
შიო, ის ტანს ხრავს ადამიანს.

ყაბალახის ხმარება საინგილოში სრულიად არ იციან. ფერხაცმეულად გარდა ქალამნისა, რომელიც ისევეა ამოსხმული, ჩოგანის მართლ-კახეთშია მიღებული, ჩესტების ხმარებაც შეირჩევა მარტინ დროს. წინდები ხშირად ფერადი ძალებით მოქარგული იცემა, მარტინი თოვანი.

ინგილო ქალთა ჩაცმა-დახურვა დიდად განსხვავდება არა თუ საქართველოს ადგილებთან შედარებით, არამედ საინგილოში მცხოვრებ სხვა ერებისაგანაც. აქაური ქალის დანახვაზე უპირველეს ყოვლისა თქვენს უკრადლებას იძყრობს ძალზე განიერი ფართო შარვალი, რომლის მსვავსიც ძველად წვრილ ვაჭრებს ეცვათ ხოლმე თბილისში. ეს შარვლები ჩვეულებრივი ჩითისაგან იკერება და არასასიამოვნო შესახედავია. ტოტები ამ განიერი შარვლისა ჩატანებული აქვთ გრძელ-ყელებიან წინდებში, რომელნიც ხშირად სხვადასხვალერის ძალებით არის ხოლმე დასურათებული. ასეთ შარვლებში არის გამოწყობილი დიდი და პატარა კაკის რაიონში, ალიაბათისში კი ვერაფერს ამგვარს ვერა ნახავთ. აქ, პირიქით, ქალებს ძალზე ვიწრო შარვლები აცვიათ და არც წინდებში აქვთ ტოტები ჩატანებული. აქ შარვლებს ქალები აბრეშუმისის ან კანაუსისას იკერავენ, რომლის ტოტებსაც ძირს შრტყელი ფეითოლი ბუნმენტი აკერდა.

ჩვეულებრივი ქართული კაბის ჩაცმა საინგილოში მიღებული არ არის, მის მაგივრობას სწევს ლაბადა. ლაბადა ივივე ახალუხია, ისე-თივე, როგორიც კაცებს აცვიათ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უფრო გრძელია, უკან ბევრი ნაოჭები აქვს და მოკლე, 3—4 გოჯის სიგრძე სახელოები. სახელოების მაგივრობას სწევს პერანვი, რომელიც მთლიანად ფარავს შეღავებს. გარდა ამისა, ლაბადას არა აქვს საყელო, წინიდან გული მთლად ლიაა, მარტო პერანვის ამარაა და მხოლოდ წელთან იკვრის ორივ ტოტი ლაბადისა დოგმებით ან ბაწრით. ლაბადა ჩვეულებრივ ჩითისა იკერება ხოლმე. წინ ჩამოფარებული აქვთ მაიზარი, ანუ გულის საფარი. მაიზარი მთლიანად პერანვის გულ-მეურდს და ჩაგრძელებულია მუხლებამდის, ისე რომ ლაბადაზე უფრო გრძელია. მაიზარაზე გულთან პერიდიათ გასაღებები სახლისა, სკივრისა და ხელში სახმარი ჯიბის დანა. ქალების გიშრის თმები ორ უმთავრეს ნაწარვად ანუ, როგორც ინგილოები იტყვიან, წიწილებად იყოფა, ქვემოთ თითო მათგანი ორ-ორად ნაწილდება. თავზე მოხვეული აქვთ თხელი რამ, რომელიც ღოლბანდს მიაგავს და რომელსაც აქ ჩიქილას ეძახიან. ინგილო ქალები ფეხთ იცვამენ ქოშებს, უფრო ხშირად კი ჩესტებს, მა-

ერამ რამდენადაც ალაზანს უახლოვდებით, აქ ქალები ხშირად ფეხში შველები დაიღარებიან, ზაფხულში მაინც, რაც უფრო იმითო აძისნება. რომ წინდებში და ჩუსტებში ფეხები უცხელდებათ და უოფლიანდებათ.

„ლ զ ա զ օ, წარმოადგენს გულშე ჩამოსაკიდებელ ერთმანეთშე გა-
დაბმულ ვერცხლის ფულებს, რომელთა რიცხვიც ზოგჯერ სამოცამდის
აღის. იღვავისათვის ხმარობენ ვერცხლის აბაზიანებს, რომელთა შო-
რისაც არა იშვიათად შეხვდებით ძველ ქართულ აბაზიანებს, რომელ-
საც აյ ჩუთის ეძახდნენ ძველად. იღვავი ფართო და განიერი კეთდება,
ისე, რომ მთელ გულმკერდს ფარავს სივრძე-სიგანეზე. სადღესასწა-
ულო მაიზარი აპრეშუმის ან ხავერდისა იყერება, აქეთ-იქით გვერ-
დებზე ჩამწკრივებული აქვს პატარა ვერცხლის სურები, რომელთაც
ინვილოვები ღილებს ეძახიან. მაიზარსევ მთელ ქვედა პირზე ჩამდენი-
შე რიგად ჩამწკრივებული აქვს პატარა ვერცხლის ფინურები შნოსა
და სილამაზისათვის.

სადღესასწაულო პერიონგს აქვს წინ ყოშები, რომელიც ხელების ზედაპირისა ფარავს და ირგვლივ შემოვლებული აქვს პატარა ვერცხ-ლის ფინელილები. იმარათისავე კუთვნილებას შეადგენს ვერცხლის ბრტყელი ქამარი. რომელზედაც დამაგრებულია რამდენიმე რიგად ვე-რცხლის აბაზიანები. ეს ქამარი მეტად მძიმეა და ერთი შეხედვით მო-გავრცებთ თბილისს წერილ ვაჭრების ქამრებს, ძველად რომ ატარე-ბდნენ. ასეთ ტანისამოსში გამოწყობილ ქალის მოძრაობაზე ნელი უღა-რუნი გაისმის. ამასთანავე ეს ტანისამოსი მეტად მძიმეა, თანდათან გა-მოდის ხმარებიდან და ბოლო დროს ივე იშვიათად გახვდება საინგი-ლოში.

ასეთია საზოგადოდ ინგილო ქალის საღლესასწაულო მორთულობა—სამცაული. მაგრამ საინგილოში ყველგან შეტნაკლებობით ასეთა ტანისამოსის კი არ ატარებენ. აღიაბათის ნაწილში ამ ტანისამოსის ზე-

ვიდან იცვამენ კიდევ სხვასაც, რომელსაც ქათიბს ანუ ჭულაჭამ ეძახიან; ზედაპირი ქათიბისა აბრეშუმისა ან ხავერდისა და ირგვლივ კალთებზე, სახელობზე და საყელოზე შემოვლებული ჩატარებულის სიგანე ბატქნის ან ტურამელის მოთელილი ტჭიჭიშ პლატფორმისაკენ ნაწილში, მხოლოდ ზოვიერთ სოფლებში ხმარობენ ეგრეთწოდებულ დექლარის. ლექლარი იგივე ახალუხია, რომლის გრძელი სახელობა უკან აქვთ გადაგდებული და კალთებიც ირიბად უკან აქვთ შეკაცია. გარდა ამისა, კისტორის მავივრად ზოვიერთ სოფლებში ხმარობენ შუბლსაკრავს, რომელიც ერთის შეხედვით ჩიხტს მოგავონებთ, მაგრამ ეს იგივე აბრეშუმის გრძელი თამაღია რამდენიმე პირად შეკაცილი. სოფ. ჯაჭი კიდევ სრულიად არ იციან ბრტყელი ქამრების ხმარება. საყურეებს აქაური ქალები სრულიად არ ხმარობენ. სამაჯურებიც იციათ იციან. ბეჭდებს კი უფრო ქალები ატარებენ, ისიც ერთ-ორ წელიწადს გათხოვების შემდეგ კაცები კი ბეჭდებს მარტი ჯვრის წერის დროს იკვთებენ. ყველა ესენი, სამაჯურიც და ბეჭდებიც ვერცხლისანი არიან. საზოვადოდ, ოქროს სამაულს აქაურ ხალხში ვერ ნახავთ.

ნიშნობა და ქორწილი. ინგილოთა ჩვეულებებში ყველაზე უფრო მეტი ეროვნული ელფური და თავისუფლება ქორწილსა და ნიშნობას შერჩინია. იგი საესებით მოავაგონებს ძველებურ ქართულ მამაპატურ ქორწილს, რომელიც თავისი პირვანდელი სახით საინგილოში შენახულა. თუმცა დღეს ბევრი საესებით ისე აღარ დღესასწაულობრივ ქორწილს, როგორც ძველად და მრავალ წვრილმანს აღარ მისდევთ, მაგრამ ჩვენ მაინც ვეცდებით სრული სურათი წარმოვადგინოთ მკოთხველს ინგილოური ქორწილისა.

უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ საინგილოში, ისევე; როგორც ძველს საქართველოში, ბევრგან დღესაც აკანშივე ნიშნავენ ბავშვს. „ჯან, შენი გადაი (ბიჭი) კას (კარგი), ჩონ ქალ მიაცემელი ვართ“, ეტყვის ერთი დედა მეორეს. „ჩონ გადა კას, თქვენ ქალ სათხოვნელი ვარ“, მიუგებს მეორე და ამ დღიდან დაბევებულად ითვლებიან, მაგრამ უფრო ხშირად 8—10 წლის ბავშვებს ნიშნავენ. დანიშნვნამდის ირჩევენ მაჭანქლებს, რომელიც ქალიშვილის მახლობელ ნათესავთაგანი უნდა იყვეს — სიძე ან დედის ძმა. მაჭანქალი მიდის ქალიშვილის მშობლებთან და თუ საქმე მოავეარა და დაითანხმა, მაშინ ვაჟის სახლიდან გაგზავნიან წინასწარ ნიშანს, ან საწინდარს. ეს სა-

წინდარი შესდგება ერთი აბრეშუმის ქალადაიასავან, რომელშიაც გა-
ხვეულია ერთი მანეთი კვერცხლის ფული, კამფეტი და ქიშმიში. უკრანული
ქალის მშობლებს საწინდარს რომ მიუტანს, მაჭანკალე ბაზის საბრ-
ჟოთხება, როდის მოგოტანოთ ნიშანიო. დანიშნულ დღეს ბაზის საბრ-
ჟო მიიწვევენ ყველა ნათესავებსა და მეზობლებს. დილიდანვე მოკლ-
ოვახი სამზადისშია; აცხობენ პურს, ნაზუქებს, ამზადებენ საკლავს,
ლებავენ წითლად კვერცხებს, თავს უყრინა ნიშნად წასალებ ძღვენს.

მოკლი დღე მხიარულება-შექცევაში არიან. სუფრაზე მაჭანკალს
საპატიო ადგილი უჭირავს; ნიშნად პატივისცემისა მას მოხარშელ
დედალს მიართმევენ. ამ შექცევის დროს ფულს აგროვებენ პატარძლი-
სათვის. პირველად მამამთილი, ანუ სახიძოს მამა უნდა ჩამოვიდეს. ამ
დროს მაჭანკალი დაუყვირებს: „მამამთილი უგზავნის პატარძალს ამ-
ღენსა და ამდენსონ“, რაზედაც ყველანი ერთხმად უპასუხებენ „ააშე-
ნოს“, ყველანი რიგ-რიგობით ჩადიან სასძლოსათვის ფულს. ზოგი ფუ-
ლის მაგიერ სხვა რამ საჩუქარს უგზავნის: სამაიზარებს, მძივებს, სა-
მაჯურს, სარკეს, სავარცხელს და სხვა ნივთეულობას. ბოლოს ფულ-
საც თვლიან და ყველა ამას მაჭანკალს აბარებენ. ასეთ შექცევასა და
დროსტარებაში არიან საღამომდის. ამ დროისთვის უკვე დამზადებუ-
ლია ნიშანი და ძღვენი სასძლოს ოჯახში წასალებად; ესენია: ქალადა-
რა, რომელშიაც შეხვეულია 2-3 მანეთამდის კვერცხლის ფული, კვერც-
ხლის ან ოქროს ბეჭედი, ორი კილო კამფეტი, ქიშმიში, თხილი, წაბ-
ლი სავარცხელი, პატარა სარკე. თან ატანენ ავრეთვე 40 ნაზუქს, 30
წითლად შეღებილ კვერცხს, ერთს-ცხვარს და რამდენიმე ჩაფ ღვინოს.

ყველა ამაქებს ხურჯინში ალაგებენ, შემდევ ბინდისას ურმით ან
ცხენით მიაქვს მაჭანკალს სასძლოსთან; მაჭანკალს თან აყოლებენ ქა-
ლის მახლობელ ნათესავს — ბიძაშვილს ან დეიდაშვილს. როცა სახ-
ლიდან ურემი დაიძრევა, მაშინ გაისვრიან თოფს, შემდევ ისევ გასტე-
ნენ, მივლენ თუ არა სასძლოსთან, იქაც ერთხელ გაისვრიან და ამით
შეატყობინებენ თავიანთ მისვლას. თოფის ხმაზედ გამოეგებებიან სა-
ხლის პატრონი, რომელთაც მოსულნი მისამებისთანავე ეტყვიან.
აღმერთმა ბახტანი (ბედნიერი) გავხადოთ“.

შიგანილ ნიშანსა და ძღვენს სახლში შეიტანენ, დაკლავენ მიყვა-
ნილ ცხვარს და ვახშის თაღარიგს შეუდგებიან. ამ დროსთვის ქალის
ოჯახსაც მიწვეული ყავთ მახლობელი ნათესავები და მეზობლები ვა-
ხშმად. როცა ყველანი ვახშმად დასხდებიან, ქალის მახლობელი ნათე-
სავები, ან დედ-მამა ამოალაგებენ ხურჯინს და ჩამოურიგებენ სუფ-

რაზე ნაზუქებს და სხვა მოტანილ საწოვავეს. შეა ვახშამში რომ შე-
ვღენ, ამოიღებენ ქალადაიას, რომელშიც შეხვეულია სექტატუსუფები
გამოგზავნილი საჩუქრები და თან ასახელებენ ვის ჟენტლერზეცნუც
ან რამდენი ფული გამოუტანებია.

ამ მხიარულებას თვით სასძლო არ ესწრება, ის სხვაგან საღმეა
მიმაღული და ძალიან ხშირად, თვით საქმროც კი არ დაუნახავს შო-
რიდანაც კი.

ამ ნიშნობის შემდეგ არ გაივლის 2—3 კვირა, რომ სასძლოს ოჯა-
ხიდან უგზავნიან მამამთილის ოჯახს ქალისაგან მოქსოვილ წინდებს
დედამთილ-მამამთილისათვის და მახლობელი ნათესავებისათვის არა
ნაჯებ 15—20 წყვილისა. თვითონ სასიძოს კი უგზავნება ფულების
ქისა, მოქსოვილი აბრეშუმისაგან ან ფურადი ნაჭრებისაგან შეკერილი.

ნიშნობიდან დაწყებული, ვიდრე ჯვარს დაიწერდნენ, წელიწადში
სამჯერ, ახალწელიწადს, აღდგომას და მარიამობას დანიშნულ ქალს
უგზავნება მამამთილისაგან მცირე რამ ძღვენი და საჩუქრები. სამაგი-
ეროთ ქალიშვილი უგზავნის ფურად ძალებით მოქსოვილ ჭრელ წინ-
დებს. დანიშნულ ქალიშვილს, გარდა ამისა, ყოველ შემოდგომაზე უგ-
ზავნება რვა კილო მატყლი და ერთი კილო ყაჭი.

ქორწილი საინგილოში, როგორც საწოვადოდ მიღებულია გლეხ-
კაცობაში, შემოდგომით იციან, როცა გლეხებაცი უფრო ღონიშერია
წლის მოსავლით და უფრო მეტი თავისუფალი დროცა აქვს. საინგი-
ლოში ერთ გადაწყვეტილ დროს იციან ქორწილების ვადახდა. ეს დრო
ნოემბერია, ქურმუხის ღლეხსაწაულის შემდეგი დღეები. ერთი თვით
აღრე ქურმუხობამდის ვაჟის მშობლები აგზავნიან ამორჩეულ მაჭან-
კალს სასძლოს მშობლებისას საბოლოო მოსალაპარაკებლად და საქმის
გასათავებლად. ჩვეულებრივ, ქალის მშობლები ნაზობენ, უარზე არი-
ან, ჯერ არ მოგათხოვებთ ქალსაო, უეიზი — მზითევი არ გაგვიკეთე-
ბია და სხვადასხვა. მაგრამ უფრო იმიტომ ნაზობენ და თავს იდებენ,
რომ რაკ შეიძლება მეტი გამორჩნენ სასიძოს. მაჭანკალი ხშირად ორ-
ჯერ-სამჯერ ტყუილად დაიარება, მაგრამ გაჯიუტებული მშობლები
ბოლოს მაინც თანხმდებიან და გაიმართება ხანგრძლივი მოლაპარაკე-
ბა დანარჩენ პირობებზე. მთავარი ადგილი ამ მოლაპარაკებაში სამამი-
სო ფულს უჭირავს, რომელსაც აქ თათრულ სახელს ათალულს ეძახი-
ან. საქმე იმაშია, რომ საინგილოში აქა-იქ დღემდე პირვანდელი ხალ-
ხის ჩვეულებაა დარჩენილი. აქ ყოველი სასიძო მოვალეა ქალის მშო-
ბლების სასარგებლოდ გადაიხადოს ფული და რამდენადაც ქალი ლა-

გაზია და კარგი შეძლებული ოჯახიდან, მით უფრო მეტია ეს გადასახადი. იგი ძველად 200 მანეთიდან 1000 მანეთამდის აღიოდა. ეს მშობლების სასარგებლოდ გადასახდელი ფული საინგილოში ჰქონის უკანასკნელი კულტურული ერში არის დარჩენილი და არც ერთი მშობელი მცემულ შექმნილ კარგი გაათხოვებდა ქალიშვილს, რომ ფული არ აეღო. რასაკვირველია ამ ჩეკეულებას ის რეინის კანონი უდევს საფუძვლად, რომ საინგილოში დიდი სიმცირეა ქალებისა და იძულებულნი ხდებიან ხოლმე ხშირად, სხვა ადგილებიდანაც კი მოიყვანონ ქალი. მაგრამ სხვა ადგილებიდან მოყვანილნი ისეთი კარგი მეოჯახეები და მშობლები არ არიან, როგორც ინგილო ქალები, ამიტომ ინგილო ყოველთვის არჩევს თავისიანს, გაცილებით უფრო მცირიც რომ დაჯდეს.

ამ სამამისო ფულის გარდა, რომელიც მძიმე უდლად აწევს ხალხს, სასიძო მოვალეა მზითევთან ერთად სამეულიც უყიდოს საცოლეს. უეზი (მზითები) შესდგება არა ნაკლებ 6—15 ცალ ჯეკიმისაგან, რამდენიმე ხელ ქედშისაგებისაგან, აფთავისაგან (სპილენძის თუნგა) და სხვა ავეჯეულობისაგან. ქალს მთელი ტანსაცმელი უნდა მიართოან: ორი შაიზარი, ერთი აბრეშუმის და ერთი ხავერდისა; ახალუხი ყანაუზისა, ყოშებიანი, ზედ მოვლებული ვერცხლის ორშაურიანებით და ვერცხლისავე ღილებით, ლაბადა ხავერდისა, სამი ჯუნა თავზე მოსახვევად, ორი ქალალია, ერთი პირზე ჩამოსაფარებელი და ერთი თავზე შემოსახვევი; ლეჩაქი, ვერცხლის ქამარი, ილგა, ბეჭედი, სალტე (სამაჯური) და სამი ბეჭედი.

გარდა ამისა, სასიძო მოვალეა გაუგზავნოს ქალის მშობლებს ქორწილის გადასახდელად 15 ბაჟანი ხორბალი და 15 ჩაფი ღინიონ. ერთიან ორი კეირის წინ ქორწინებამდის ქალის მშობლებს აბარებენ სამამისო ფულს და მიაქვთ შესაკერად ფარჩეულობა პატარძლის ტანისამოსისათვის.

გათავდება თუ არა ქორმუხობა ყველანი ქორწილისთვის მზადებას შეუდგებიან. ქორწილამდის სამი ღილით ადრე იწყებენ პურის ცხობას და აკრავენ უმთავრესად ლავაშს. ლავაშის დამკვრელებს აძლევენ საჩუქრად წითელ თავშესაკრავს, რომელიც პურის ცხობის გათავდებამდე თავზე უნდა ეკრათ. იმავე ღილეს გზავნიან ვაკის ოჯახისაგან შეპირებულ რაოდენობას ხორბლისას, ღვინისას, ბრინჯისას და საკლავ საქონელს.

ქორწილის წინა საღამოს გზავნიან სამ კაცს მემზანავეებს საპატარძლოს სახლიდან, რომელთაგანაც ერთი მაჭან კალია, ორიც მახ-

ლობელი ნათესავთაგანი ქალისა, ბიძაშვილი ან სიძე უხენი მოზიან ვაჟიანთსა, სადაც იმ დროისთვის შეკრებილნი არიან სასიძოს ნათესავები და მთელი ღამის განმავლობაში მხიარულად ქართველი არის კახუკი ვახშმობენ, ჩონგურს უკრავენ, სხვადასხვა ძველ ამჟამის წერტილში და ამრიგად თეთრად ათენებენ. ეს არის დასაწყისი ქორწილისა.

მეორე ღლეს ვაჟიანთსა მიღის ყველა ნაცნობ-ნათესავები სასიძოსი და პენგები ანუ მაყარი ქალები. საინვილოში მაყრის როლს კაცების მაგივრად ქალები ასრულებენ, რომელთაც ძევლებურ სახელს პენგებს ეძახიან. ღილიდანვე ეზოში გრძლად გაშლილია ხორავეულით სავსე სუფრა და ყოველი მიმსვლელ-წამხვლელი და სტუმარი ჭამასშიაში არიან. როცა ნათესავები და პენგები თავს მოიყრიან, მაშინ მეზურნები ნეფის გამოსასვლელს დაუკრავენ და სანეფო გამოსყავთ სახლიდან ნაბად წამოსხმული. მას აქეთ-იქიდან მისდევენ ახალგაზრდა ამხანავები. ვაჟს გამოსვლისთანავე ეგებებიან ღედა და მახლობელი ქალები. ღედა შემოახვევს სანეფოს კისერზე წითელი ფერის მოსახუვს, დანარჩენი ქალები კიდევ თეთრ მოსახვევებს.

ასე მოკაზმულ ნეფეს მიიყვანენ და დასვამენ შეა სუფრაზე. ნეფე გარინდული ზის, ხმას არ იღებს და ნაბადი ისე აქვს მობუდნულ-წამოფარებული, რომ პირისახე თითქმის არ უჩანს. ამ დროს, ნეფეს მიართმევენ ძღვენს — ხონჩით ნაზუქს, თაფლს, ერბოს, თხილს, ჩურჩხელებს, ღვინოს, სხვადასხვა ტებილეულობას და წინ დაუდგამენ. მართმევენ აგრეთვე შაშხსაც, რომელიც სინაზე დამავრებულ სამუეხა შამუურზეა, ზედ აგებული ვაშლებით. თავზე ამ სამუეხას დიდი მსხალი ჰკიდია და გადაფარებული აქვს შემოსაკრავი.

როცა ყველა ამაებს გაათავებენ და კარგად შენაყრდებიან, მაშინ პენგები წასასვლელად გაემზადებიან. პენგები ვაჟის ნათესავი ახალგაზრდა ქალები არიან და ყველას ცალ-ცალკე ცხენები ჰყავთ მშაო პატარძალთან წასასვლელად. თვითეულ პენგას თან მისდევს ფეხით ყმაშვილი კაცი, რომელთაც გამოტანებულებს ეძახიან. გამოტანებულები შეიარაღებულნი არიან თოფებით და დამბაჩებით. პენგების რიცხვი 20—50 არის ხოლმე, რომელთაგანაც ერთს ბაშ-პენგას ე. ი. უფროს მაყარს ეძახიან. ბაშ-პენგას ცხენს სავსე დიდი ხურჯინი ჰკიდია, რომლის ერთ თვალში ჩალაგებულია პატარძლის ერთი ხელი ტანისამოსი და ქოშები, რომელიც უსათუოდ ვაჟის სახლიდან უნდა წაიღონ. ხურჯინის იმავე თვალში მოთავსებულია ქალის იმარათი, ანუ

კურცხლის სამეცნიერო, მეორე თვალი კი ხორაგვეულით არის საკუთარი 6—7 ნაზუქით, დიდი სატვინეთი (მოხარშელი ნახევარი ჭარბობული უმი სამწვადე ხორცით და ერთი კუჭულა ღვინით.

ბიბლიოგრაფია

როცა ყველანი მხად იქნებიან, მეზურნები დაუკრავენ, ჟენვები საჩქაროდ ცხენებზე შესხდებან, ხოლო ნეფე უკანვე სახლში იმაღლება. ამ დროს თოფს გაისვრიან, ყველანი ეზოდან გაიკრიფებიან და საპატარძლოსკენ გაემართებიან. წინ მიღიან მეზურნები, მერე მეზანენები და გამოტანებულები. მეზანაგებებს მხარზე აქვთ გადებული ხის დიდი შამფურები ზედ აგებული სამწვადე ხორცით, სატვინეთი და ქათმებით, უკან მისღევენ ცხენებით რიგზე ჩამწკირვებული პენები, რომელთაც წინ მიუძღვით ბაშ-ჰენგა.

ღინჯად, აუჩქარებლად მიღის მაყრიონი საპატარძლოსას, აი, მაუახლოვდნენ კადეც, მაგრამ დარვაზა (ჭიშკარი) მაგრად დაკეტილი დახედებათ, ხმაურობა არსით ისმის და მხოლოდ მაღალ ლატანზე გაკეთებული დიდი ხახვის თავი ატყობინებს მისულთ, რომ ვიდრე თოფს არ მიარტყამთ ხახვს და ძირს არ ჩამოაგდებთ, სახლში არავინ შევიშვებთო. გამოტანებულების მოვალეობაა ხახვის ჩამოგდება. თოფით შეიარაღებული ჰენგების მხლებელი ახალგაზრდები დაიწყებენ სროლას. „თოფი“ თოფზე გავარდება, ლუკმალუკმად ქცეული ხახვი ჰაერში იფანტება, დარვაზის კარებიც უმაღვე იღება.

ყველანი სიცილით და უივილ-ხივილით შედიან ეზოში, ცხენიანი ჰენგები ჩამომწკრივდებიან, ზურნა საცეკვაოს დაუკრავს. სახლის უფროსი ქალი ცეკვით გამოეგებება ჰენგებს, მას მიძყვებიან სხვა ქალებიც. ჰენგები ამაყად გადმოსცერიან ზევიდან მოცეკვავე ქალებს და ცხენიდან ფეხს არ იცვლიან. დიასახლისის გამოთამაშება ნიშნავს ჰენგების მიპატივებას და მიწვევას.

როცა ქალები შეშპრობას გაათავებენ, მაშინ დიასახლისი ხელის გაშლით მიიწვევს და ეტყვის:

„ჩამობრძანდით, ჩამობრძანდით, ჰენგებო“, — ამ სიტყვების გავრებისთანავე ჰენგები თვალის დახამხამებაზე ცხენებილან ჩამობრძებიან და გამოტანებულებს მიანდობენ ცხენებზე ზრუნვას.

ყველა ჰენგებს მათთვის საგანგებოდ გაშლილ ჯეზიმზე მიიწვევენ ეზოში, თავში დაჯდება ბაშ-ჰენგა, მას შემდეგ რიგ-რიგად ჩამოსხდებიან დანარჩენი ჰენგები. მათში არ ერევიან სტუმრად მისული სხვა ქალები. შემდეგ ჰენგებს ხელებს აბანინებენ, სუფრას უშლიან. იმარ-

თება უხევი სტუმრობა, მასპინძლები არაფერს იშურებდნ, ლავაშებითა და ხორაგულობით სავსეა სუფრა; თაფლი, ერბო, კარუჭულურული ნიანი საჭმელი, სატვინე ხორცი და შემწვარი უხვალ წრფლის წრყმულებულ დაბოლოს მოაქვთ ხილი და ყველა თითო მამფურის საკმარის სამწვადე ხორცს აძლევენ.

ასეთისავე შექცევაში არიან მეორე მხარეს გამოტანებულები და სხვა სტუმრები.

პენგების მისელის ღროს საპატარძლო თავის ტოლამხანაგვებით ცალკე რითაბშია ჩაკეტილი და გარეთ არ გამოდის. ამ ღროსთვის საპატარძლოს ყველა მახლობელი ნათესავი მიირთმევს ფლავს, რომელიც გამოსამშევიდობებელ გამასპინძლებას ნიშნავს. ამავე ღროს საპატარძლოსთან არის დადე და უცდის ტანისამოსის მოტანას. ბაშკენი ხურჯინით მიიტანს ჯვარსაწერ ტანისამოსს და გადასცემს თუ არა დადეს, მაშინვე შეუდგებიან ქალის მორთვას. ქალის მორთვა-მოკაზმაში დადეს ეხმარებიან ქალიშვილები და მორთავენ თუ არა საპატარძლოს, დადე მაშინვე მოითხოვს თავის გასამრჯელოს. უფროსი გამოტანებულთაგანი მოვალეა გადაიხადოს 1—5 მანეთამდის დადეს სასარგებლოდ. როცა საპატარძლო უკვე მზად არის, მორთულ-მოკაზმულია და დადემ უკვე თავისი გასამრჯელო მიიღო, მეზურნეები პატარძლის გამოსაყვანს დაუკრავენ. ოთახის კარები ნელა გაიღება და უფრო ნელათვე გამოიყვანენ საპატარძლოს. კოხტად მორთულ-მოკაზმული და მთლად ვერცხლის იმარათში გამოწყობილ საპატარძლოს წინიდან სახეზე ჩამოფარებული აქვს გრძლად აბრეშუმის ქალადაია, ისე რომ პირისახე არ უჩანს. ნელად მოაბიჯებს მუშიასავით გაშეშებული საპატარძლო, რომელსაც აქეთ-იქიდან მხარს უჭერენ ამხანაგი ქალები. გამოსცდება, თუ არა სახლის კარებს საპატარძლო, მაშინვე თოფს გაისვრიან და ყველა იქ მყოფ სტუმრების ყურადღება პატარძლისაკენ მიიქცევა.

პენგები ფიცხლავ ფეხზე წამოხტებიან, პატარძალს ცეკვით წინ მიუძღვებიან ახალგაზრდა ქალიშვილები. პატარძალს მიიყვანენ და განსაკუთრებით მისთვის მომზადებულ ბალიშზე დააყენებენ პენგების შუა. ფეხზე მდგომი პენგები რიგ-რიგად მიესალმებიან პატარძალს, გადაპკოციან და მერე თავთავიანთს ადგილზე სხდებიან. მათ შემდეგ ახლა სტუმრათ მოსული ახალგაზრდა ქალიშვილები ამრიგადვე მიესალმებიან, ამასთანავე ყოველი მათგანი საჩუქრად მიართმევს ბაღ-

დათს ან დიდ წითელ ხელსახოცს. ამ საჩუქრებს კისერზე გადაჭრადებენ და წინ ჩამოუთამაშებენ.

ტეროვნული

როცა ყველანი ცეკვა-თამაშით გულს იჯერებენ, ზურაბელი წუზე დება, ყველანი ხელახლა სუფრას მოუსხდებიან და ჟამა-სმას განაგრძობენ. პატარძალიც დაჯდება, მაგრამ სახეზე ისევა აქვს ჩამოფარებული და არამც თუ არაფერს არა სჭამს, არამედ მუმიასავით გაუნძრევლად არის, თითქოს გაქვავებულა და ცოცხალი არსება არ იყოს. ამ დროს ურემზე უდებენ პატარძლის მზითევს: ჯეჯიმებს, ქვეშავებს, სკივრს, კიდობანს, აფთაფას, ტაშტს და სხვა ავეჯეულობას. ზედ მზითევზე დასვამენ ორ პატარა ბიჭს, მეურტნედ წოდებულს, პატარძლის მახლობელი ნათესავების შვილებს. როცა ურემი დაიძვრის, ზურნისა და თოფის სროლით გაუთავაზებენ გზას.

ურმის გაცილების შემდეგ, ნელი ნაბიჯით უკანვე სახლში შეკყავოთ პატარძალი, დააყენებენ კორთესთან და ემშვიდობებიან დედა, დები და მახლობელი ნათესავი ქალები. კაცებთან გაშომშვიდობება მიღებული არ არის.

როცა პატარძალი სახლში მშობლებსა და ნათესავ ქალებს ემშვიდობება, ამ დროს ეზოში მორთულ-მოკაზმული ცხენი უცდის. პატარძლის შესაჯდომად მომზადებული ცხენი უსათუოდ ულაყი უნდა იყენეს, მორთული მარაზით (აბრეშუმის ფერადი ძაფებით და ასეთსავე ფერადი პატარა ბურთულებით აეუნძლეულ თოქს წარმოადგენს), რომელიც რამდენიმე პირად აქვს შემოვლებული ცხენს და კოხტა, სურათებიან ჯეჯიმის მაგვარი სალტეები არტყია მეცელზე, რომელსაც ყოლანს ეძახიან. ცხენი აბარია ერთ გამოტანებულთავანს, რომელსაც ჯელვარდს ეძახიან.

ბოლოს ნელი ნაბიჯით გამოვა პატარძალი, უკან მისდევენ შინაურები, დიდი და პატარა, უკანასკნელად ემშვიდობებიან და გზას ულოცავენ. პენგები და გამოტანებულები აქეთ-იქიდან მისცვივებიან და შეელიან ცხენზე შეჯდომას, ზოგი უზანგს უჭერს, ზოგი სკამს მიუდგამს, რომ ადვილად შეჯდეს და სხვ. პენგებიც ერთი თვალის დახამხამებაზე მოახტებიან ცხენებს, ამ დროს ზურნა დაუკრავს — „დედა-ქალი წაიყვანესო, მამა-შვილი გაახარესო“, თოფს გაისვრიან და ყველანი გზას გაუდგებიან. წინ მიღიან პენგები, ყველაზე უკან პირზე ჩამოფარებული მისდევს პატარძალი, რომლის ცხენის აღვირიც უჭირავს ჯელვარდს და წინ მიუძლეის. ზოგიერთ სოფელში ჩვეულებადა აქვთ პატარძალს.

ცხენზე უკან შემოუსვან პატარა ბიჭი, რომელიც პატარძლის ამხანაგ-
მეცნიერად ითვლება და რომელსაც საბაშის ეძახიან ჰურულულების
ხლიდან პერგებს უმატება დაღე, რომელიც ცხენითვე ტრიფლული მყიდვების

მთელი ეს პროცესია წინათ ეკლესიაში მიდიოდა, თუ, რასაკვირვე-
ლია, საქორწინო ქრისტიანები იყვნენ. აյ ეკლესიაში გამზადებული
უცლიდა ნეფე თავის ამხანაგებით და ნათესავ-ნაცნობებით. ნეფის მის-
ვლა ეკლესიაში ჩუმად, მიპარვით ხდებოდა. ნაბადით მობუდნელი ნეფე
შეუმნიერებლად გამოვიდოდა სახლიდან და ვენახ-ვენახ ან შორი გზით
მიიპარებოდა, ისე რომ არავის დაენახა მისი მისვლა ეკლესიაში. დანა-
რჩენი ხალხი, ჯვრისწერის მაყურებელნი, სხვა და სხვა გზით მიდიოდ-
ნენ ეკლესიაში.

გათავდება თუ არა ჯვრისწერა, რომელიმე ახალგაზრდა ბიჭი ქუდის-
გლეგით სახწრაფოდ გამოვარდება ეკლესიადან და ნეფიანთვენ დაუს-
ვენებლივ გაექანება, რათა შშობლებს ახარის ჯვრისწერის ამბავი. ამ
ბიჭს მუშტელუღის ეძახიან და შევა თუ არა ნეფის მშობლებთან, მა-
შინათვე ნეფის მამასაც და დედასაც ყურს აუწეს და ვიღრე არაუკრს
აჩუქებენ, არ მოეშვება.

მახარობლის კვალს ჯვრისწერის გათავებისთანავე გაპყვება ნეფე,
რომელიც საჩქაროდ გამოვა რა ეკლესიადან ნაბადით მობუდნელი, ჩუ-
მათვე მარტოვა მიიპარება სახლში ვენახ-ვენახ და მივა თუ არა, სახ-
ლის კადელზე მიყუდებულ გრძელი კიბით ადის სახლის აყარზე (ბანზე)
და უცდის საპატარძლოს.

პატარძალი და ეკლესიაში მყოფი ზურნის კვრით და მხიარულობით
ვაემგზავრებიან ნეფიანთვენ. მაგრამ პატარძალს ახლა ცხენზე აღარ
სვამენ, არამედ წინდაწინ დამზადებულ ეტლში ან ურემში და აქეთ-
იქიდან უსხლებიან ტოლამხანაგები. ნეფიანთ დარეაზა აქაც დაეკტილი
დახვდებათ, გრძელი ლატანი, რომელსაც თავზე გაკეთებული აქვს ან-
თებული მაშხალა, დარეაზაზე მიმავრებული. კაცები თოფს უმენენ მა-
შხალას, ამ დროს დარეაზიც იღება და ყველანი სიცილ-ხარხარით შე-
დიან სახლში.

ნეფე აყარზე (ბანზე) არის გაჩერებული, დედოფალს კიბის ირგვლივ
სამჯერ შემოატრიალებენ. ამ დროს ნეფე ზევიდან ჯამით საესე თხილს
გადმოაყრის დედოფალს, ბავშვები ფივილ-ხივილით თხილსა პერეფენ
და ნეფეც ჩამოლის აყარიდან. სახლის უფროსი კაცი პატარძალს მოეძ-
ლებება სახლის უმთავრეს კარებისაუკნ, სადაც დახვდება დედამთილი
ან მისი მოადგილე სანთლით განათებული ხონჩით, რომელზედაც აწყ-

ვია თაფლი, ცომი, ყაჭი. კარებში გდია გუთნის ან აჩაჩის პირზე და დავას
ჯამი ღვინით სავსე. პატარძალი ფეხს რომ შესდგამს კარებში წარმატებული
თილი თაფლს მოაცხებს პირზე და ეტყვის: — პამანგ ტებირი ჭალართი
ყაჭაც თავზე შემოავლებს და ეტყვის: პამანგ თეთრ დაბერდი, ცომუაც
შისცემს მარჯვენა ხელში, რომელსაც პატარძალი აკრავს კარებს გარე-
დან ხუთივე თითოთ, ეს იმას ნიშნავს. რომ დღეს უკან პატარძალი უნ-
და შევდგეს ოჯახის ზრუნვას, პურიც გამოაცხოს და სხვა რამ ცვე-
ლაფერი ოჯახისათვის საჭირო სასმელ-საჭმელიც დაამზადოს. ღვინით
სავსე ჯამიდან ზოგს დაღვრის, ზოგს კი გუთნის პირზე მიასხამს. შემ-
დევ პატარძალს სახლში შეიყვანენ და ვამომცხვარი პურით სავსე ვარ-
ცლში ხელს ჩააყოფინებენ, იმის ნიშნად, რომ დღეიდან უნდა ცოდეს
ოჯახში სად რა არის. ბოლოს მიიყვანენ კორთესთან, რომელიც ფარ-
დით იყოფა დანარჩენ თახისაგან და წინდაწინ დამზადებულ ადგილს
დახვამენ. გვერდით მუხლებთან დადე და რამდენიმე ამხანავი ქალი მო-
უსხდებიან, დანარჩენი სტუმრები ფარდის იქით თავსხდებიან. იწყება
ჩვეულებრივი გართობა-მისარულება, ცაცა-შუშპრობა, ბოლოს ყველა-
ნი შედიან სახლში. გაშლილ სუფრას მოუხსედებიან და სმა-ჭამას შეუ-
დვებიან. შეაღამისას თითქმის ყველა სტუმრები დაიშლებიან; დარჩე-
ბიან შარტო გამოტანებულები და ზოვიერთი მასოობელთაგანი, რო-
მელნიც დაღლილია არიან და აქეთ-იქით მიწვევ-მოწვებიან. სახლის
უფროსებს კი იძულებენ ფლავის გაეთებას და როცა ფლავი მზად
იქნება, გამოაღვიძებენ ხალხს და შეეძლებიან.

ქორწილის შეორე დღეს დიდ ქორწილის დღეს ეძახიან. ამ დღისა-
თვის დაპატიჟებული პყავთ ყველა ნაცნობ-ნათესავები მოელი ოჯახო-
ბით დიღიან-პატარძალად. ეზოში ორ პირად იშლება გრძელი სუფრა,
კაცები ცალკე სხდებიან, ქალები — ცალკე. ხალხი დიღიდანვე იწყებს
მისვლას, ზურნას განგაში გაუდის, ყველანი ძღვნითა და საჩუქრებით
მოდიან. თაფხებზე დაწყობილი აქვთ ვაშლი, თხილი, ალვა, კაზაჩი (გა-
შოყვანილი ცხვრის ხორცი), მოხარშული ქათამი და სხვა. თან მიაყო-
ლებენ იაფუასიან ბალდადს ან ხელსახოცს. ბალდადს ან ხელსახოცს კი-
სერზე გადაპეიდებენ ნეუვს და უსურვებენ ბეღნიერ ცხოვრებას და, ნიშ-
ნად პატივისცემისა, წინ რამდენჯერმე ჩამოუთამაშებენ. გამოტანებუ-
ლები საჩუქრებს ცალკე ალვებენ და ყურს უვდებენ, რომ არაფერი და-
იყარებოს. მეორე სუფრაზე, სადაც ქალები სხედან, შუაში ჩამჯდარა ქა-
ლალაია ჩამოფარებული პატარძალი, რომელსაც აქეთ-იქით უდგინან და-
დე ან ახლად გათხოვილი ქალები. პატარძალსაც მიართმევენ საჩუქრებს

ცალკე და თან ჩამოუთამაშებენ. ამ მიღოცვების დროს ნეფელი და პატარძალიც ფეხზე დგანან.

მიღოცვების გათავების შემდეგ ყველანი სუფრაზჭ მიძღვნილი შექმნაზები, შოთები, ყველი, კარაქი, ხილეული და ღვინო-არაყი უხევად აწყია. დასხდება თუ არა ხალხი სუფრაზე, მაშინვე ხახლის უფროსნი სუყველას ჩამოუვლიან, აიღებენ შოთს, შუა გაღლეჯენ და იტყვიან: ღმერთო და ქურმუხის საყდარო! ბახტიანი (ბედნიერი) გახადე ჯვარდაწერილნი... როცა ხალხი შენაყრდება, მაშინ ჩამოურიგებენ უმ სამწვადე ხორცს, რომელიც თვითონვე სტუმრებმა უნდა დაჭრან წვრილ-წვრილად, აავონ ხის შამფურზე. მოაყარონ მარილი, ხახვი და შოსამსახურებს მისცენ შესაწვავად. ამავე დროს ეზოს ერთ კუთხეში გაჩაღებულია სამწვადე ცეცხლი, მოსამსახურენი შეაშიშხინებენ მწვადს და მიართმევენ სტუმრებს ცხელ-ცხელ მწვადებს. ვისაც მწვადი არ ეყოფა, იმას შეუძლია კიდევ ახალი სამწვადე მოითხოვოს. მწვადის შემდეგ მიართმევენ შშრალად მოხარშელ ხორცს, ანუ სატვინეს და ზედ მიაყოლებენ წვნიანს. ამ დროს, როცა ყველანი შეეცევაში არიან, გამოტანებულები თავიანთ თავზე ზრუნვას არ იქლებენ. ნეფის მშობლებს ძალით თუ ნებაყოფლობით ართმევენ საჩუქრებს. პირველად დაიჭრენ ერთ-ერთს, ან დედას ან მამას, მიაბამენ თოვით ხეზე და ფეხებში წყებლით ცემას დაუწყებენ. ხეზე მიბმული ამაოდ ცდილობს თავის განთავისუფლებას. მაგრამ გამოტანებულები ულმობელნი არიან და ვიდრე საჩუქრად ან ხარკად არ მიიღებენ ბატყანს, ინდოურს ან, უკიდურეს შემთხვევაში ქათამს, მანამ არ გაათავისუფლებენ ხეზე მიბმულს.

ხალხში ჟივილ-ხივილია და დაუსრულებელი სიცილ-ხარხარი. ხეზე მიბმული ჭირვეულობს, მაგრამ მეტი გზა არა აქვს, გზავნის ვინმეს ხახლში ხარკის მოსაშორებლად. აი მოუტანეს კიდევაც ხარკი, გამოტანებულები ერთხმად შესძახებენ: „ააშენოს“ და ანთავისუფლებენ დაბმულს. გამოტანებულები იქვე სწყვეტენ კისერს მოყვანილ ქათამს ან ინდაურს და მოსახარშავად აძლევენ. გამოტანებულები ახლა სხვა მახლობელ ნათესავებს სტაცებენ ხელს და ხალხში ხელახლა ჟივილ-ხივილი და სიცილ-ხარხარია. ასე ჩამოუვლიან ხოლმე გამოტანებულები ყველა ნათესავს და ხეზე მიბმით იძულებულს ხდიან ხარკი გადაიხადოს. ამრიგად კარგა ბლომა საჩუქრებს შეაგროვებენ ხოლმე. საჩუქრების ნაწილს იქვე სჭამენ, ნაწილს კი იყოფენ და სახლებში მიაქვთ.

გაათავებენ გამოტანებულნი ხარკის აკრეფას და ახლა ნეფის ვალია გაუმასპინძლდეს მათ და დანარჩენ სტუმრებს ახლად მოხდილი, განსა-

კუთრებით ამ დღისთვის შენახული საუკეთესო ღვინით. ნუუკ აღგება — სუფრიდან და გაემართება ქვევრის მოსახლელად. თან მისღები გამო-
ტანებულები და მეზურნები. ქვევრს რომ მიუახლოვდებიან! მეტწელი ცეკვა და
სცემენ ბარს, მაგრამ დაპკრავს თუ არა ერთხელ ბარის ჭრის მატერიალური კა-
სხვები გამოართმევენ და მოხდიან მიწას. მეზურნე გაუაციცებით აღ-
ვნებს თვალყურს ქვევრის მოხდას და გამოჩნდება თუ არა საჩქველი,
მაშინვე ზედ შეხტება და ვიდრე ნეფის მშობლები ან მახლობელი ნათე-
სავები ერთ მანეთს არ აჩქებენ, ფეხს არ მოიცვლის. ღვინოს გრძე-
ლი კიტრიშით (ორშიმოთი) ამოიღებენ ხელდახტელ და ახლა ყველას
ამ ღვინით გაუმასპინძლდებიან.

მხიარულება, ჭამა—სმა, შემპრობა საღამომდის გრძელდება და ვი-
ღრე არ ჩამობნელდება, ხალხი არ დაიშლება. გამოტანებულები იყოფენ,
ათე რამე დარჩათ საჩქველებიდან, მაჭანკალს ნეფიანი თითო მანეთს აძ-
ლევენ, დადეს — ორ მანეთს და ხურჯის ხორაგეულით სავსეს. დაღ
ცხენზე ჯდება, მის კვალს მისღევენ დანარჩენებიც და, როცა ყველანი
ჭიშკრიდან გავლენ, თოფს დასცლიან იმის ნიშნად, რომ ქორწილი გა-
თავდაო.

დაქორწინების შემდეგ გადის ორი—სამი თვე და არც სიძე და არც
ქალი, ქალის მშობლებს არ ინახულებს, თუ სიმამრიანთ არ მიიპატიებს.
თავისი ნებით წასვლა სიმამრიანთსა წესი არ არის, არ შეიძლება. ამი-
ტომ სიმამრი ამ ხნის განმავლობაში ერთ დღეს შეარჩევს, მოიპატი-
ებს სიძეს ცოლით, დაუძახებს თავის მეზობლებს, ნათესავებს და კარგ
ვადეს სიმამრიანთსა, როცა კი მოესურვება.

პატარძალი თჯახი ახალგაზრდა, მორცხვი პატარძალი
იძულებული იყო მუდამ საღამოს ოჯახის ყოველ წევრისთვის ფეხები
პალებანა. ჩამოუკლიდა პატარძალი ტაშტით და აუთაფით დიდსა და პა-
ლაქანა. ჩაყოფილი წყლით სავსე ტაშტში ფეხებს, სუფთად დაპანდა
ტარას, ჩაყოფილი წყლით სავსე ტაშტში ფეხებს, სუფთად დაპანდა
შესწმენდდა. ასე პალანდა ფეხებს პატარძალი ოჯახის ყველა წევრს
მოელი წლის განმავლობაში ყოველ საღამოს, შემდეგ კი მოვალე იყო
დაებანა მარტო მამამთილისა და დედამთილისთვის.

გარდა ამისა მთელი ოჯახის, სახლის საქმეები მას აწვა კისერზე,
მოვალე იყო ხმაამოულებლივ გაეეთებია ყველაფერი. ბრინჯი პქონდა,
მაგალითად, მოსახარში, პატარძალი მიუტანდა და აჩვენებდა დედა-

მთილს რაოდენობას ბრინჯისა.—პატა აკელ, ან თამამო, უტკუდა დედა! მთილი და ნათქვამის თანახმად უნდა მოქცეულიყო პატარებალი, ჩამარებულივ და სიტყვაშეუბრუნებლივ. იმასაც არამც უკუ ჩიტავოს შეუბრუნებლება — უბრალო დალაპარაკებაც კი არ შეეძლო დედამთილ-ძალა ამთილთან და ოჯახის იმ წევრებთან, რომელნიც მის ქმარზე უფროსი იყვნენ. აუტანელი იყო ამ შემთხვევაში ქალის მდგომარეობა, ყველანი ელაპარაკებოდნენ, ასაქმებდნენ, დარიგებას აძლევდნენ, ის კი თავჩაქინდრული იდგა გაჩუმებული, გარინდული და ხმას არ იღებდა. ადათით რძალს ნება არა პქონდა გამოლაპარაკებოდა თავისზე უფროსს ვისმეს ოჯახში და თუ აუცალებელი საჭიროება მოითხოვდა გამოლაპარაკებას, მაშინ შეუკაცობას სწევდა მცირეწლოვანი ბავშვი, იმას უზიარებდა თავის კულისნადებს და ის ვადასცემდა უფროსებს მის წადილსა და პასუხს. პატარძალს არა თუ გამოლაპარაკება არ შეეძლო უფროსებთან, არამედ სალამზე პასუხის გაცემაც კი. რამდენიც გინდა სალამი მიეცათ, ქალი პასუხს მხოლოდ იმითი აძლევდა, რომ თუ მჯდომარე იყო უეხზე წამოუდგებოდა და თუ მდვომარე, მაშინ თავს დაუკრავდა.

ასე გაჩუმებულ-გარინდული დაიარებოდა რძალი და არავის შინაურს ხმას არა სცემდა მთელი წლის განმავლობაში. ერთი წლის შემდეგ კი ოჯახის ყველა წევრებს გამოელაპარაკებოდა, გარდა დედამთილ-მამამთილისა, რომელთაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ დაელაპარაკებოდა.

აღსანიშნავია მასთანავე ის ვარემოება, რომ საინგილოში მცხოვრებ სხვა ერებში არ შენახულა და არ არსებობს ეს ჩვეულება. ძნელი ასახსნელია რისგან იყო დამოკიდებული და რა პქონდა საფუძვლად ამ ჩვეულებას. ზოგი ასე ხსნიდა: რადგან დედამთილსა და სხვა ოჯახის წევრებს არ ელაპარაკება, ამიტომ მათში ჩხუბი და უსიამოვნება არა-სოდეს არა ხდება და ამიტომ მტკაცედ ვიცავთ ამ წესსაო, ზოგი კი ამ ჩვეულებას პატივისცემით ხსნის უფროსებისადმი, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ რძალი ხმამოუდებლივ ასრულებს უფროსების ყოველივე ბრძანება-განკარგულებასო.

ამავე პატივისცემის გამო, არასოდეს არ დაჯდებოდა პატარძალი ოჯახის სხვა წევრებთან პურის საჭმელად. როცა ყველანი გაათავებდნენ პურის ჭამას, მაშინ წაიღებდა პატარძალი თავის კერძს „ფარდის“ იქით, რომელიც ოთახის რომელიმე კუთხეში იყო და იქ ჩუმად შეექცეოდა საჭმელს. მასთანეუ სადილობდნენ პატარა ბავშვები, თუ ასეთები იყვნენ სახლში, რათა მარტო სადილობა არ მოსწყენოდა პატარძალს.

დედაკაცი მუდამ გართულია საოჯახო საქმეებში და იშვიათად ნავთ გარეთ გამოსულს, კარმილამოს გაცილებულს. მინდორში დაწლოზე მომუშავე დედაკაცს ვერსად ნახავთ კაიის რაიონში. მხრივ უკუკუ თადერთი ყანის მარგვლაა, როცა დედაკაცი გადის მინდორში ჩატარებული ანად და ყანას სარეველა ბალახებისავან ასუფთავებს. გარდა ამ მარგვლისა, სხვა რამე სამუშაოსთვის არ გავა დედაკაცი მინდორში. აღიაბათის ნაწილში დედაკაცს უფრო მეტი თავისუფლება აქვს და ყველგან ნახავთ მას მომუშავესა და მოსაქმეს. მინდერიდან ძნის მოტანა, კალოს გალერვა და ხშირად ტყიდან შემის მოტანაც კი დედაკაცის საქმეა. აქ დედაკაცი გვერდში უდგას მამაკაცს და მასთან ერთად იღწვის და შრომობს.

მავრამ ყველაზე ბედშევი დედაკაცი ორსულობა-მშობიარობის დროს იყო. მშობიარე დედაკაცი ინგილოების შეხედულებით უწმინდურად ითვლებოდა, მას მოსალოვინებლად სახლში არ უშვებდნენ, შეუზამთარიც ყოფილიყო და გარეთ ქარბუქი და ყინვა მძინვარებდა, მელოვინე დედაკაცს სახლში მაინც არ შეუშვებდნენ და ბოსელში ან ქოხში უწდა მოელოვინა, სადაც ხშირად ისეთი სიცივეა, რომ თვით კარგად მყოფ აღამიანსაც კი გაუჭირდება იქ ყოფნა. ამასთანავე ასეთ გომურში მოთავსებული მშობიარე დედაკაცი ღვთის ამარად იყო მიტოვებული. სასმელ საჭმელსაც კი ხეირიანად არავინ მიუტანდა, კარებს ოდნავ გამოალებდნენ, შეუდგამდნენ საჭმელს და ისევ გამოიხურავდნენ. თუ ზამთარი იყო და ძალზე ცივოდა მაშინ პატარა ბავშვს მიუგზავნილნენ და ის უნთებდა ცეცხლს. სამაგიეროდ მელოვინის გარშემო, ლოვინის ირველიც დიდ თოქს შემოავლებდნენ ხოლმე და თავით დაუდებდნენ წალდსა და საჩეჩელს. ყველა ამაებს იმისათვის შვებოდნენ, რომ ავმა სულებმა და ალებმა არაფერი ავნონ მშობიარესო.

თუ დედაკაცი ძნელად შობდა, ან ავად გახდებოდა, მაშინ იმ ქოხს, სადაც მელოვინეა, თოფს ესვროდნენ, რათა ავი სული მოაშორონ მშობიარეს. გარდა ამისა მძიმე მშობიარეს გაახვევდნენ ხოლმე ნაბადში და აქეთ-იქით გორაობას დააწყებინებდნენ, რომ ჩქარა ეყოლოს შვილი, ან კიდევ საბელს ჩამოჰყიდებდნენ, რომლის ერთი ბოლო მშობიარეს ეჭირა, ხოლო მეორე სხვას და ამრიგად ასწევ-დასწევდნენ თოქს, რომელსაც მშობიარე ასდევ-ჩასდევდა. ზოგი კიდევ მისცემდნენ ხოლმე ბოთლს ან აფთაფას¹⁴ და აბერვინებდნენ შიგ რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

თუ ეს საშუალებები არ გასჭრიდნენ, მაშინ რომელიმე ქალაბულები შემობიარეს პერანგის საყელოდან შიგნით ჩაუვდებდა კვერცხს, რომელიც მაშინავე იატაკზე დაცუქმოდა და იმტვრეოდა. ქართველთა უკავებელ ხილ კვერცხს სამჯერ მიაძახებდა: „ემ კორცხ გულივით შაბაკეცხს ჩასასტას“

საზოგადოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მელოგინის მოვლა საინგილოში არ იცოდნენ. ღვთის ამარად მიგდებული მელოგინეს ბავშვის საცვლებსაც კი არავინ გაურეცხავდა და მელოგინე იძულებული იყო მეორემესამე დღეს წამომდგარიყო და თვითონ გაერეცხა. რასაკირველია, მოუცვლელობის და უპატრონობის გამო, მეტადრე ცივს ზამთარში, ძალიან ბევრი ცივდებოდა, ავადაც ხდებოდა და წუთისოფელსაც ესალმებოდა. შემობიარობის დროს მოუცვლელობისა და გაცივების გამო გარდაცვლილ დედაკაცთა რიცხვი 20% და ზოგჯერ მეტსაც აღემატებოდა.

მაგრამ ეყოლა თუ არა მელოგინეს ბავშვი, მეორე დღიდანვე ნათესავები და ნაცნობები დაიწყებენ მისევლას და შევიდობიანათ გადარჩენის მილოცვას. შივლენ, კარებს ცოტას გამოაღებენ, მიუღოცავენ, შეუდგამენ შირთმეულ საჭმელს და წავლენ. პირველ სამ დღეში მომსვლელთ მიაქვთ მელოგინისათვის ფათა და ფასალი¹⁵ (რუსული ბლინების მინაგვარი საჭმელი არის). შემდეგ დღეებში მნახველებს მიაქვთ ფლავი, მოხარშული ქათამი ან ცხვრის ხორცი. ზოგან კიდევ ღვინოსა და ნაზუქსაც მიუტანენ ხოლმე.

ქმარი მელოგინე დედაკაცთან არამც თუ არ მივიღოდა სანახავად, არამედ, რაც გინდა მომაკვდავი ყოფილიყო და დატანჯულიყო, ახლოს არ გაეკარებოდა, ვიღრე ორმოცი დღე არ შესრულდებოდა დღიდან შემობიარობისა, და ცოლს ხმასაც არ გასცემდა. საზოგადოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ქმარი ცოლს არ დაეხმარებოდა, ერთხელაც ხელში ბავშვს არ აიყვანდა და არ მიუაღერსებდა, ბავშვი ტირილითაც რომ მოკვდარიყო. რაღაც სირცხვილად და სათავილოდ ითვლებოდა შეიღის აღერსი მამისთვის და ვიღრე ხუთი წლის არ შესრულდებოდა, მაგა ახლოს არ ეკარებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქალების მდგომარეობა გაუმჯობესდა, ძველ ჩვევებს აქა-იქ თუ შეხვდებით.

ცოლქმრობის ურთიერთობის დარღვევა საინგილოში იშვიათი იყო. ნაადრევი ქორწინება, როცა ქალიშვილი ჯეროვნად ჰასაქში არ იყო შესული და ხეირიანი წარმოდგენაც კი არ პქონდა ცოლქმრობაზე, ხელს უწყობდა ასეთ შემთხვევებს. გონს მოეიდოდა თუ არა ქალი, გაითვალისწინებდა, რომ სრულიად შეუფერებელ კაცს მიათხოვეს შშობ-

ლეპმა, გელი უცრუვდებოდა თავის ოჯახზე, ქმარზე, რომელმაც უკუღო
ყიდა იყო და გატაცებით მირბოდა თავისავე მეზობელ ახალგაზრდა წა-
ცოან.

დაბოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ წინათაც, მუსეულმან პირების შემსრუ-
მრავალცოდიანობა ძალიან იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა...

მ კ ვ დ რ ი ს დ ა ს ა ფ ლ ა ვ ე ბ ა. მკვდრის დასაფლავებაზე საი-
ნგილოში ბევრი ისეთი ჩეეულებანი იცოდნენ, რომელთაც საქართვე-
ლოში ვერსად ნახავდით, ამიტომ ვეცდებით, ყოველივე წვრილმანი წა-
რსულში დასაფლავების ირგვლივ გავაცნოთ მეოთხელს.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღნიშნოთ, რომ თუ ადამიანი მძიმე ავა-
დმყოფი იყო ან სულთმობრძავი, მას არავინ შორდებოდა, მოხუცს შეი-
ლები ფარვანასავით თავს ევლებოდნენ და ცდილობდნენ ყოველზე
უკანასკნელი სიტყვა და დარიგება მშობლისა გაეგონათ და დაეხსომათ.

თუ ავადმყოფი სულთმობრძავი შეიქმნებოდა მაშინ სახლიდან, რაც
კი წყლით ან ღვინით სავსე ჭურჭელი პქონდათ გარეთ უნდა გაეტანათ,
ამას იმიტომ შერებოდნენ, რომ სულთამხუთავი კაცსა პკლავს, სისხ-
ლი გამოდისო და ეს სისხლი ჭურჭელში რომ ჩავიდეს, ცუდიაო.

ამასავე სჩადიოდნენ მახლობელი მეზობლები, გაიგებდნენ თუ არა,
რომ ავადმყოფი სულთმობრძავი შეიქმნა. გარდა ამისა, თუ სახლში და-
კუტილი რამე გააჩნდათ — კიდობანი ან სკივრი, ყველაფერი უნდა გა-
ეროთ, რომ შიგ ადამიანის სული არ დარჩენილიყო.

მოკვდებოდა თუ არა ადამიანი, მაშინვე თვალებს დაუკუჭავდნენ,
ხელებს გულზე დაუკრევდნენ და ფეხებს უსწორებდნენ. თავთან ერთ
კუჭელა (პატარა დოქი) ღვინოს და ერთ ჯამ ხორბალს დაუდგამდნენ.
ხორბლისაგან შემდევში სულის პურში კორკოტს აკეთებდნენ და ხალხს
აჭმევდნენ, ღვინოს კიდევ ვინც სულის ამოსვლისას დაესწრო, ისინი და-
ლევდნენ დამარხვის დღეს და შენდობას შეუთვლიდნენ განსვენებულს.

მკვდრის დამარხვა საინგილოში იმავე დღეს იცოდნენ და ზოჯერ
ისევ თბილ მიცვალებულს მიაბარებდნენ ხოლმე დედამიწას. ამას იმი-
ტომ შერებოდნენ, რომ ინგილოების შეხედულებით საჭიროა, სული და
გვამი ადამიანისა ერთსა და იმავე დროს წარსდგენ უფლის წინაშეო და
თუ გვამმა დაიგვიანა, ძალიან ცუდია. ეს ჩეეულება მტკიცედ ყოფილა
დაცული ძველად, მაგრამ ქრისტიან ინგილოებში დიდიხანია გამოვიდა
ჩვეულებიდან.

თუ მიცვალებული შეორე დღემდე დარჩებოდა სახლში დაუმარხავი
მაშინ დამით სარკეს დაადგამდნენ პირზე მიცვალებულს და ზედ საცერს

პირქვე გადააფარებდნენ, ირგვლივ კიდევ საბუღს შემოაჭლებდნენ. ამას
იმიტომ შვრებოლნენ, რომ კატამ ან ქათამთა არ გადაუჩირებულები
ბულსო. თუ ვინიცობაა, ქათამი გადაუელიდა მაშინ ფერზე ჩრდილები
რემ სხვა ვინმეც მოკვდება ოჯაბშიო. თუ კატა გადაულიდა ან ზაფ-
ხაჭინდა მიცვალებულს, კატას ან მოკლავდნენ, ან წაიყვანდნენ და შვად
სოფელს იქით გაუშვებდნენ. ვიდრე მკვდარს კუბოში ჩაწვენდნენ, მას-
ლობელი მიცვალებულს, ქალები — ქალს და კაცები — კაცს, კარგად
გაბანდნენ. მკვდარს იმიტომ ბანდნენ რომ საჭიროა მიცვალებული სუფ-
თა წარსდგეს უფლის წინაშეო, მიცვალებულს ჯერ საპირო და თბილი
წყლით გაბანდნენ, ბოლოს კი ცივ წყალს გადაავლებდნენ, რომ სხეუ-
ლი გამავრებულიყო. წყლის გასათბობად ერთი ხელით ზედადგარს და-
სდგამდნენ, ხოლო მეორე ხელით ცარიელ ქვაბს შესძგამდნენ და მერე
ისე ჩაასხამდნენ გასათბობად წყალს. მიცვალებულს გასაბანად სახლ-
ში ერთ კუთხეში ორმოს ამოთხრიდნენ, ზედ ფიცრებს დაალაგებდნენ,
გადააფარებდნენ ჯეჯიმს და მიცვალებულს დაწვენდნენ გასაბანად.
როცა ბანვას გაათავებდნენ, კოტოშს, რომლითაც მიცვალებულსა პბა-
ნდნენ, დაამტკრევდნენ და იმ ამოთხრილ ორმოში ჩაატანდნენ ნაბან
წყალთან ერთად. ზოგ სოფელში კიდევ კოტოშს წყლის პირად ჩასდებ-
დნენ: გამელელ-გამომვლელი წყალს დალევს კოტოშით და შადლიაო.

გაბანილს და გასუფთავებულს რაც კი სუფთა ტანისამოსი ქქონდა
სულ ზედ ჩააცმევდნენ, სამხ, ოთხს და ხშირად მეტ ხელსაც, თუ კი ჩა-
ეცმეოდა ტანზე. ძველსა და ჭუჭყინ ტანისამოსს კი კუბოს ძირს დაუ-
ვებდნენ და ისე დასდებდნენ ზედ ცხედარს. სახლში სტოვებდნენ ერთ
ხელ ტანისამოსს სატირლად. ამგვარად გაბანილსა და ჩატმელ მიცვა-
ლებულს ოთახის შვაგულში ჯეჯიმს გაუშლიდნენ და ზედ დაასევენებდ-
ნენ. მიცვალებულს ერთ ხელში ფულს მისცემდნენ, დაწყებული აბაზა-
დან მანეთამდის და მეტსაც, შეძლებისდაგვარად. საიქიოს იქნება და-
ჭირდეს ფულის მიცემა, ან მოვალე გამოუჩნდეს ვინმეო და გადაუხა-
დოს ვალიო. მეორე ხელში კი სანთელს აძლევდნენ, ანთებდნენ და რო-
ცა სანთელი მოიწვოდა სუდარათი გააქრობდნენ და ისე დამწვარს ჩაა-
ტანდნენ კუბოში. სანთელი ნიშანი იყო იმისი, რომ მიცვალებული ქრის-
ტიანია და საიქიოს ყველამ იცნოს და მუსულმანებშიარ აირიოსო-
მცელ დროში სანგილოში სანთლის მაგიერად ყურებსა და ცხვირში მი-
ცვალებულს საქმელს უკეთებდნენ. შემდევ მიცვალებულს პირსახეზე
შუშამბარს დაადებდნენ. მუშამბარა გასანთლები ტილოა და შემდეგ-

ნაირად ამზადებენ: სანთელს აღნობენ, შეგ ტილოს ამოავლებენ და მი-
რე პირსახეზე გადააკრავენ. ინგილოთა შეეღულებით ამგვარიად ად-
მიანის სახე უფრო დიდხანს შეინახება. არ დაკარგავს თავის წერტილულ
და მაღლიაო. ძველად კიდევ ქალებს მთელ იმარაოს ჩაატანდეს ზოგიერთ
საფლავში, მავრამ ახლა ეს ჩვეულება სრულიად გადავარდა.

მიცვალებულს, ჩვეულებრივ, თეთრ სუდარაში ახვევდნენ, გახვევის
დროს სუდარას ორ თითის სიგანეს ჩაახვდნენ ხოლმე და კერიაზე ჩა-
მოიდებდნენ. ორმოცი დღის შემდეგ ამ ნახევს ჩამოგლეადნენ, დასწა-
ვდნენ ან მდინარე წყალში ჩააგდებდნენ.

გაიგებდნენ თუ არა სოფელში ნათესავები და ნაცნობები გარდაც-
ვალების ამბავს, მაშინვე დაგროვდებოდნენ და მივიდოდნენ მისატირე-
ბლად. წყობ-წყობად მიდიოდნენ ქალები და კაცები, შედიოდნენ პირზა-
პირ იმ ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა და მოთქმით ტირილს და-
იწყებდნენ. ერთი რომელიც უფროსი ოჯახში მოსთქვამდა, ჩამოსთვ-
ლიდა ყოველსავე ღირსებას და სიკეთეს მიცვალებულისას, სხვები კი
ქვითინებდნენ, ბანს აძლევებდნენ და ხანდახან გულში მუშტს იკრავდნენ.
ამ დღეს კაცებიც სტირილნენ სხვა დროს კი სასაფლაოზე და სულის-
შერში მტირალ კაცს ვერ დაინახავდით. საყურადღებოა ის გარემოე-
ბაც, რომ თუ მიცვალებულს პაპა ან დიდება ცოცხალი ჰყავდა, მაშინ
შამა ვერ იტირებდა შვილს, რაც გინდა ძალიან ეტირებოდეს. რადგან
ძალიან სირცხვილად ითელებოდა ასეთი კაცის ტირილი.

ყოველი ტირილის შემდეგ ჩამოატარებდნენ წყლით საესე ჯამს,
რომელიც ყველანი სათითაოდ ჩაპყოფდნენ თითებს და თვალებს მოი-
წმენდნენ. შემდეგ ამ წყალს იქ დაასხამდნენ, სადაც მკვდრის ნაბანი
ჩაასხეს.

კუბოთი საინგილოში მარტო ქრისტიანებს მარხავენ, მუსულმანებ-
ში კი საკაცესა ხმარობენ, რომელსაც კიბის მსგავსად აკეთებენ. მიცვა-
ლებულს სუდარას კარგად გადაუჭერენ, გაპერავენ, დასდებენ საკაცეზე
და ზედ აბრეშუმის ხვეულებით მიაბამენ. ამგვარი აბრეშუმის ხვეულე-
ბი ყველგან მოიძენება საინგილოში, რადგან მეაბრეშუმეობა საინგი-
ლოში ძალიან არის გავრცელებული და ყველას შინა აქვს აბრეშუმი.
შევდარს ზევიდან აფარებენ წასახურავს ოთხ მეტრ ჩითს.

როცა დანიშნულ დროს (ძველად მდვდლები ქრისტიანებში და მო-
ლები მუსულმანებში) ანდერძის ავებას დაიწყებდნენ, მაშინვე ერთი
პურის შეხობელთაგანი შევიდოდა იმ ოთახში, სადაც მიცვალებული
იყო, თან შეიტანდა საცერსაც და სამ პურს, დაადებდა საცერს მიცვა-

ლებულს გულზე, ზედ ვადასტეხდა სამ-სამ ნატეხად თითო, ჭრს და უკანვე გაიტანდა. ამ პურს, როცა სუფრაზე დასხდებოდა შეძლებული უკეთეს ჩამოურიგებდნენ.

ბერძნოვე

აგრ კუბოც ასწიეს. ამ ღროს კარები იხურება, კუბოს სამჯერ მია-რაჯენებენ კარებს და გააღებენ. ეზოში ხელახლა იწყება ტირილი, ოჯა-ხის უფროსი კიდევ მოსთქვამს და ჩამოთვლის მიცვალებულის ღირსე-ბას დიღი ხმით. ქალები აქ საბოლოოდ ეშვეიდობებიან მიცვალებულს, რაღვან სასაფლაოშე გაყოლა ქალებისა მიღებული არ იყო და დარვა-ზის კარებიდანვე უკან ბრუნდებოდნენ ხოლმე.

მკვდარს რომ ცოტას ვააცილებენ კარმიდამოს, მაშინ ერთი ახალ-გაზრდა აიღებს ქვას, შეიტანს სახლში და იმ ადგილის დადებს, სადაც მკვდარი ესვენა, მერე ისევ ჩქარა წამოავლებს ხელს, გაიტანს ვარეთ, პირუკედმა დადგება, ზურგს უკან ვადაავდებს ქვას და ხმამაღლა იტყ-ვის: „წაა, ჩინ ამაშინს უკან დაგოხსენ“. სახლში შებრუნებული ქალები სელებს დაიბანენ და პურის საჭმელად მოემზადებიან. ქალებს ხელებს აბანინებს ვინმე ჟაცთავანი, რომელსაც დიდი სპილენძის თუნგი უჭი-რავს და თანაბრად განუწყვეტლივ უსხამს წყალს ყველას. ამასთანვე უნდა შევნიშნოთ: თუ ეზოში ისეთი ხე დგას, რომ არ ისხამს, მაშინ ამ ხის ძირში აბანინებენ ქალებს ხელებს. ხელის დაბანის შემდეგ ქალები სუფრას შემოსხდებიან და ჭამა-სმას შეუღებებიან. ამ ღროს ქალებს ჩა-მორიგებენ ორ-სამ აგება უერად (წითელს, ყვითელს, მწვანეს) აბრე-შუმის ძაფს. ეს ძაფები ოჯახშივე არის დამზადებული ქალებისაგან და გარდაცვალებულის სახსოვრად და სამადლოდ ურიგებენ ქალებს ამ ძა-ფებს.

ვიღრე ქალები ჭამა-სმაში არიან, ამ ღროს მიცვალებულს უკვე დაა-საფლავებენ კაცები. ისეთი თადარიგი აქვთ დაჭერილი სასაფლაოზე, რომ ერთი გვარისანი, ანუ, როგორც აქ ემახიან, თოსუმოსანი, ერთ წყებად საფლავდებიან. სამარე ერთი მეტრის სილრმე ითხრება, მაგრამ როცა ნახევრად მზად არის სასაფლაო, მაშინ ვანათხარის შუა გულში სიღრძეზე კიდევ გასთხრიან იმ ზომისას, რომ კუბო თავისუფლად ჩაე-ტიოს. ამას იმიტომ სჩადიან, რომ აქ კუბოს სახურავს არ უკეთებენ, ამიტომ ზევიდან გარდიგარდმო ბრტყელ კლდის ქვებს მიალავებენ და შემდეგ ისე მიაყრიან მიწას. მუსელმანი ინგილოები, რომელებიც კვდარს საკაცითა მარხავენ, სუდარას საფლავში ჯერის უგებენ და ზედ გულაღმა აწვენენ მიცვალებულს. სამარეს თავში და ბოლოში ბრტყელ



ქვებს (ჩვეულებრივ კლდისას) ვერტიკალურად ჩაუდგამენ, შენდობას
მიახახებენ და შინ ბრუნდებიან.

ვიდრე კაცები დაბრუნდებიან სახლში, სუფრა უკვე მზად ჰარმუნი კუკუჭი
ლებს გაუთავებიათ ჭამა-სმა და სახლებში წასულ-წამოსული ჭამისტები ერთ
ნებული დამზადებულ სუფრას მოუსხდებიან, ღვინოს ცოტას პურზე
თავს წამოუქცევან, შენდობას ეტყვიან, ფლავს და ხორაგეულობას შე-
სჭამენ და დაიშლებიან.

თუ მიცვალებულის ოჯახში ვისთვისმე დანიშნული პყავთ სადმე ქა-
ლიშვილი, მაშინ დანიშნული უგზავნის მიცვალებულისათვის ერთ
წყვილ წინდას.

პირველ სამ დღეს, ყოველ დღით ოჯახის ერთ-ერთი შიდის
გარდაცვალებულის საფლავზე, ასწორებს მას და წყალს ასხამს. თუ
ქვრივი ქალი ან კაცი შეუღლდა ხელახლა, მაშინაც გარდაცვალებულის
საფლავს წყალი უნდა დაასხან.

ცისკრის ტირილი. დამარხების მეორე დღეს შინაურები და
მეზობლები დილით, ვიდრე მზე ამოვიდოდეს, ხელახლა იტირებენ მიც-
ვალებულს. წყლით სავსე ჯამს სანთელს მიაკრავენ და იქ დასდგამენ,
სადაც მკვდარს სული ამოუკიდა. შემდეგ საქმელს ჩაპყრიან ნაკვერჩე-
ლით სავსე ქაფქირში და ხელახლა გამოიტირებენ მკვდარს. გარდა ამი-
სა, ვიდრე ორმოცი გავიდოდეს (ორმოცი აქ ხუთი კვირა ითვლება) ყო-
ვალდე ასე უნთებენ სანთელს და უკვევენ საკმელს. ამასთანავე ყოვე-
ლივე კერძს მიტანერ ჯამითა და დაუდგამენ.

გარდაცვალების მესამე დღეს ტაბლობა იციან, რომელსაც განსაკუ-
თოებით მარტო ქალები ესწრებიან. ამ დღისათვის ამზადებენ ყოველი-
ვე საჭმელს გარდა ხორცეულისა, რადგან ინგილოების შეხედულებით
ხორცეული ამ დღეს არ ერგება მიცვალებულს; სამგლოვიაროდ განსა-
კუთოებით დედაკაცები მიდიან და მიაქვთ შესაწირად ფლავი, ღვინო,
ხილი და სხვა. როცა ყველანი შეიკრიბებიან, ჩამოილებენ მიცვალებუ-
ლის ტანისამოსს, გაშლიან იმ ადგილას, სადაც მიცვალებულს სული
ამოუკიდა და ტირილს დაიწყებენ. ტირილის შემდეგ ტანისამოსს კუკა-
ვენ და ინახავენ, ხოლო მის ადგილას აწყობენ ხორაგეულობას: პურს
გარცვით, ფლავს ქვაბით, კვერცხებს. ხილს, ღვინოს. აქვე აღაგებენ
მოსულითაგან მოტანილ ხორაგეულობას. ოჯახის უფროს ქალს ნაკვერ-
ჩხლით სავსე ქაფქირს და საკმეველს მისცემენ. უფროსი ქალი საქმე-
ველს აიღებს ჩადებს ორ კბილს ქაფქირში და იტყვიას: ღმერთმან ჯა-
ნაათში (სამოთხეში) შეიყვანოს. შემდეგ დანარჩენი ქალებიც რიგ--

რიგობით მივლენ, ისინიც ჩაპყრიან საქმეველს, იმავე ხიტყვებს გამო-
ორებენ. როცა საქელი წვას დაიწყებს, მაშინ სამჯერ შემოუვლის
კმევით ხორავეულობას ორი დედაკაცი. კმევა იწყებს ჩამოწერს ჰუფულს
მხრის ქვემო კუთხიდან, მარცხნიდან მარჯვნივ. შემოწინებულის შესრუ-
კაცს გადასცემს და ისიც კმევით ჩამოუვლის და მერე სხვას გადასცემს.
კმევის ვათავების შემდევ საქმელს არ აქრობენ, არამედ იქა სდებენ,
სადაც მიცვალებული ესვენა და ვიდრე მთლად არ დაიწვება საქმელი,
საჭმელს ხელს ვერაერი ახლებს. საქმეველის გაქრობისთანავე სუფრას
შლიან და თითოეულ სტუმარს სამ პურს დაუღავებენ. სტუმრებმა კა-
რგად უნდა სჭამონ და სვან და რასაც ვერ შეჭამენ უნდა ჩააწყონ თან
მოტანილ ხურჯინში და სახლში წაიღონ. აგრეთვე თან უნდა წაიღონ
სახლის პატრონის ღვინით სავსე კუჭულები. ასეთივე ტაბლობა იმარ-
თება გარდაცვალების ყოველ სწორზე, ვიდრე ორმოცი შესრულდება.

ყველაზე უფრო საყურადღებო ამ ტაბლობაში ქაფეირით კმევა-
კურთხევა სუფრისა. ლაპარაკი არ უნდა, რომ ჩვეულება იმ დროს შე-
მოსულა, როცა საინგილოში მოსულმა მოლებმა მდვდლები ძალატა-
ნებით გააძვევს და ხალხს გარევნულად ქრისტიანობაზე ხელი ააღები-
ნეს. სწორედ ამ დროს უნდა შემოსულიყო ქალებისაგან სუფრის კურ-
თხევა; ქაფეირი იმავე საცეცხლურსა ნიშნავს, რომლითაც მდვდლი
უკმევს ხოლმე მიცვალებულს.

ს უ ლ პ უ რ ი. სულის პური, ანუ სულის ახსნა მიცვალებულისა
ერთ განსაზღვრულ დროს არ იციან, მაგრამ უფრო — მეორმოცე დღეს
ისდიან ხოლმე. ამ დღისთვის წინდაწინ მიიწვევენ ყველა ნათესავს და
ნაცნობს მთელი ჯალაბობით. დიდი მზადება და ხარჯი იციან; აცხო-
ბენ პურს, ლავაშს, კლავენ საკლავს. საკლავი სამი უნდა დაკლან, სამივე
ცხვარი, ან არა და, ორი ცხვარი და ერთი დეკული. ცხვარს დაკლას
წინ მარილს შეაჭმევენ, ქათმებს კი ქოჩორს შეუტრუსავენ.

ამ დღემდის ვინც მგლოვიარედ არის, თმას და წვერს არ იკრებს.
შავის ჩატამა არ იციან. ქალები, იმის მაგიერ, რომ შავ ტანისამოსში ვა-
მოეწყონ, პირიქით, რაც რამ ახალი და ჭრელ-ჭრელი ტანისამოსი აქვთ,
იმას ჩაიცვამენ და ისე დადიან.

ამ დღისთვის დაბარებული პყავთ დალაქი და ყველა მგლოვიარეს
ომასა და წვერს პარსავს და კრეჭავს. დაღაქს გასამრჯველოდ აძლევენ
ერთ მანეთს, ერთ ხელსახოცს ან ჩითის სუფრას, ლავაშსა და საინით
ფლავს.

ვიდრე კაცები თმა-წვერის პარსევა-კრეჭაში არიან, ქალები, შინულები და ნათესავები მიღიან მიცვალებულის საფლავზე და თან მიაქვთ სასმელ-საჭმელი და ტანისამოსი მიცვალებულისა. თან მიხდაჭო უწეულე თი ან ორი კაცი, რომელთაც მიაქვთ სასმელ-საჭმელი. მისულფლესტრიტი ეს კაცი მიცვალებულის ტანისამოსს შედიან საფლავზე, დაალაგებენ სასმელ-საჭმელს, ანთებენ სანთელს და უკმევენ, შემდევ ტირილს დაიწყებენ, დიღხანს სტირიან და მოსთქვამენ გარდაცვალებულის ავ-კარგს, როცა ტირილით გულს იჯერებენ, დასხდებიან და ჭამა-სმას შეუდგებიან. რაც რამე დარჩებათ შეუჭმელი, იმას სახლში აღარ წაიღებენ და ქვრივ-ოხრებს უწყალობებენ. ტანისამოსს კი დაეკუავენ და იმას აჩუქრებენ, ვინც მიცვალებული გაბანა. ქალების დაბრუნებისას უკვე ყველა-ფერი მზად არის და სუფრა გაშლილია. აქაც ჩაუყრიან მიცვალებულს სანთელ-საკმელს და მერე დასხდებიან სუფრაზე. სტუმრებს იმ დღეს წენიანს, ფლავსა და ხილეულს მიართმევენ, ქალებს, გარდა ამისა, კორკოტითაც უმასპინძლდებიან. წასვლისას ყველას თან მიაქვს ერთი ორი ლავაში და კუჭულა ღვითონ.

ხალხი რომ დაშლება და წავა-წამოვა, მაშინ მიცვალებულისათვის საგანგებოდ გამოცხობილ პატარა პურს ღობეზე დასდებენ და იტყვიან: შენ წილ მიგიღია, წაა,. შენ წილ რამ აქ აღარაა. ამ პურს ღობეზე შეს-დებენ და თუ მათხოვარი გამოივლის, იმას უწყალობებენ.

სულპური სამჯერ იციან, ერთი, ჩვეულებრივ, მეორმოცე დღეს, მეორე — წლის თავზე და მესამე — ორი წლის თავზე, გარდა ამისა, ვინც უფრო შეძლებულია, ყოველ წლივ იწვევს ხოლმე ნათესავებს და იხდის სულპურს.

ახალი წელი წადი საინგილო ში. ახალი წელიდი საინგილოში დიდ დღესასწაულად ითვლება. ამის გამოა, რომ ამ დღესას-წაულს თავისი ელფერი და ეროვნული თავისებურება არ დაუკარგავს. ინგილი დღესაც დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ დღესასწაულს და რამდენიმე დღით ადრე ემზადება მისთვის.

მთელი ოჯახი მზადებაშია, ქალები ახალ ტანისამოსს იკერავენ, კაცები ტყაღან უშველებელ ქოთუქებს (ნის მორებს) მოათრევენ, შეაგორებენ სახლში და თან ამბობენ: „ამ სიმბიმე ნუგან (აბრეშუმი) მოვვი-ვიდეს ჩონ“. მთელი ოჯახი მხიარულობს, ბავშვები ფივილ-ხივილით მისცვივდებიან ქოთუქს და უშველებიან სახლში შეგორებას. ქოთუქს შეაგებულ ცეცხლთან მიაგორებენ და მხოლოდ ახალწლის დილით უკა-დებენ ციცხლს.

ახალწლისთვის ყველა ოჯახი ახალ პურს აცხობს, ჰატარა ბაკეშ /
ვებს ღოლუებს უცხობენ, მოზრდილ ბავშვებს — ნამგლებს, გოგოებს
— ჯარას, მოხუცებულებს და ხანში შესულებს — ბატურებიც რული
ბავშვებს წინადლითვე აფრთხილებენ, რომ ხვალურებულებიც მიტკ
შვები ერთმანეთს არ წაეჩინებენ, ცუდი სიტყვა არავის უთხრან და
ყველასთან სიამტკბილობით იყვნენ, თორემ დაკვებებათ და მთელი
წლის განმავლობაში ჩხუბსა და დავიდარაბაში იქნებიან.

მეორე დღეს, უთენებლივ, როცა ღამე დღეს ჭადევ არ გაპყრია და
მთის მწვერვალებიდან ნათელი ოდნავ წამოჰყოფს თავს, სახლის უფ-
როსი ადგება, ჩუმად გავა სახლიდან, თან წყლის ჭურჭელს წაიღებს და
ერთი მუჭა ბრინჯს. მივა მდინარესთან ხელ-პირს დაიბანს, წყალს აავ-
სებს და სახლისაკენ წამოვა. მივა თუ არა ჭიშკართან შესძახებს:

— უ... უ... კარი გააღეთ! — სახლიდან გამოსძახებენ:

ვინ ხარ, რა მოგაქვს, რა მოგიტანია?

— მოვდივარ, მომაქვს: ღვთის წყალობაი, ღმერთის ბარაქი, სი-
ცოცხლე, სიხარული.

ამის შემდეგ კარებს გაუდებენ, სახლის უფროსი შედის და თან ამ-
ბობს: ჩემ ფეხ კოლ ანგელოზის, ღმერთის ბარაქი, ქუღუათის (ბავშვე-
ბის) გამრავლებაი. ამ სიტყვებთან ერთად იღებს ჯიბიდან ბრინჯს, მი-
აბნ-მოაბნევს და თან ამბობს: „ასე გვიმრავლოს ღმერთმა ჩინი ბახ-
ლობა (ბავშვობა), ასე გვიმრავლოს ღოვლათი, ფრინველ, საქონელ და
ღორთიანათ ლაფ ყველაფერ“.

შემდეგ სახლის უფროსი თაფლში ამოავლებს პურს და ყველას,
დიდსა და ჰატარას, დააბერებს.

ბავშვებს სახლში შემოაქვთ თხილისა და თუთის ჰატარა ტოტება.
ურჭობენ ჭერში და თან ამბობენ: „ახალო წელიწადო, როგორც ეს ხე-
ხილები ისხამენ, უკრითვე მომავალ წელიწადში, კაი პერ ნუგანი (აბ-
რეშუმის მოსავალი).“

ყველა ამას რომ მორჩიბიან, მთელი ოჯახი ვენაბში მიდის და იქ სა-
უშმობს. ხონჩაზე აწყობენ პურს, თაფლს, ხორცს და სხვა სანოვავეს,
მიაქვთ ვენაბში და თან მიძყავთ განვებ ამ დღისათვის კარგად გასუქე-
ბული მამალი ან ყვინჩილა. ერთ-ერთს მიაქვს ნაკელიც გოდრით. ნა-
კელს ვაზებს დაუყრიან, მერე მოპირქვავებულ გოდორზე ხონჩას საუ-
ზეულობით სდგამენ. უფროსი ოჯახისა ვაზს გასხლავს, გამოსჭრის
თხილის ჭიგოს, ჩაუსვამს ვაზსა, თან წყლის მავიერ ღვინოს დაუსხამს
და ეტყვის:

„ვაზო, როგორც ამ ლეინით უხვად გილბობ ძირსა, ისე უხვად ეს
და შინისა და შრომა დაუფასო შენს პატრონს და ამ ჯალაბობას“ კრისტიან
ყველანი სასოებით უცქერიან ვაზისა და ოჯახის უფროსთან ჩრდილო ტანი
თონაც ამ სიტყვებს იმეორებენ გულში.

ოჯახის უფროსი მამალსა პელავს, გამოაძრობს რამდენიმე ბუმ-
ბულს, შეპერავს ბაწრით და იმავე ბაწრით შეყველავს გასხლილ ვაზს.
ამის შემდეგ მოელი ოჯახობა დაჯდება და მიტანილ საუზმეს შეაქცივა.

ამ დღეს ინგილოებმა მისვლა-მოსვლა ერთმანეთთან და დღეობის
მილოცვა არ იციან. ყველა თავისთვის არის ჩაკეტელი. მმაც კი არ მივა
შმისთან. ამას იმიტომ შეკრებიან, რომ იქნებ ვისმეს ცუდი გული აქვს
ჩვენზე, ძვირი უნდა ჩვენთვის და ამ ბედნიერ დღეს რომ მოვიდეს ძალ-
ზე ცუდიაო, აღარც ჭირნახული მოვივა და არც აბრეშუმი ივარგებსო.

სამღლოები საინგილოში მარტო ბრინჯის თეს-
ვის დროს იცოდნენ ე. ი. მაისის პირველ დღეებში. სამღვთოს იმიტომ
მართავენ, რომ ბრინჯის კარგი მოსავალი მოვიდესო. საერთოდ უბრინ-
ჯოდ ინგილო არ ვარგა, ბრინჯი იმისთვის იგივეა, რაც ქართლ-კახე-
ლისათვის ლობიო, ან კიდევ იმერეთ-სამეგრელოსათვის ლომი. სწორედ
ამის გამოა, რომ მარტო ამ თავის საყვარელ საჭმელს უხდიდნენ სამღ-
ლოს. წინდაწინვე ამორჩეულ ადგილას იკრიბებოდა უბანი სოფლის ვა-
რეთ. იქა პელავდნენ ყოჩის და ამზადებდნენ საჭმელებს. ისე კი, რომ
ყოველ საჭმელს ბრინჯი უნდა ყოფილიყო. სუფრაზე დამსწრენი ერთმა-
ნეთს ადლევრძელებდნენ, უსურვებდენ, რომ წელს უფალმა ღმერთმა
შეიწიროს მათი საღმოო და ბრინჯის უხვი მოსავალი მისცეს.

ქურდობა-ე-ა ჩი ა ღობა. ქურდობა და ყაჩალობა ერთ დროს სე-
ნად იყო გადაქცეული მთელ საინგილოში. საინგილო საბჭოთა ხელი-
სუფლების დამყარებამდე ხშირად ყაჩალთა მოედანს წარმოადგენდა.
ასეთი იყო განსაკუთრებით მისი დასავლეთი ნაწილი, ლექებით დასახ-
ლებული. ხშირად ისე მგვინვარებდნენ ეს ყაჩალთა ურდოები, რომ გზა-
ზე ვავლა არ შეძლებოდა, სძარცვავდნენ ყეველას, დიდსა და პატარას,
იტაცებლენ სარჩო-საბალებელს, საქონელს, ცხვარს, არა იშვიათად
მთელ ნახირსა და მთელ ფარას. იტაცებდნენ ხალხსაც და დიდ სასყი-
დელს თხოულობდნენ მათ გასანთავისუფლებლად. მათ გაიტაცეს რამ-
დენიმე ინეინერი 1913 წელს, რომელიც ბელაქნის სპილენძის მაღნების
კვლევა-ძიებას აწარმოებდნენ და დიდი სასყიდელი მოითხოვეს. ასეთი

მაგალითები აუარებელი ხდებოდა წინათ და ამ მდიდარ ქვეყანაში ყოველი კულტურული წამოწევება იშლებოდა მათი წყალობით.

მათ თარებს ხელს უწყობდა ლაგოდება-ზაქათალის „შარაუზუტები ცილი, რომელსაც უღრანი ტყეები მისდევდა ორთავებისათვის, ჩატურებისათვის“ და კარგ შესაფარს წარმოადგენდა ყაჩაღთათვის. ზაფხულში მაინც, როცა ტყე ფოთლით იმოსებოდა, ყაჩაღებით ივებოდა ეს გზატკეცილი. მათვან მოსევენება არ პქონდა მგზავრს.

ამ სამარცხეინო ჩვეულების მოსპობა შესძლო მნილოდ და მნილოდ საბჭოთა ხელისუფლებამ. იმან ძველი რეპრესიების გზა უკუავდო, სწავლა-განათლება, სკოლები და კულტურული დაწესებულებებით გაავსო იქაურობა, ხალხი გონიერივად განვითარდა, ზნეობრივად ამაღლდა და ქურდობა და ყაჩაღობა თავისთავად გაერა. ახლა არხეინად შევიძლიათ იმოგზაუროთ მთელ საინგილოში.

ე ნ ა. ყოველი ინგილო ორ ენაზე ლაპარაკობს: ქართულსა და თათრულს, ანუ აზერბაიჯანულს. გამონაცლისს შეაღვენენ დედაკაცები, რომელნიც განსაკუთრებით ქართულად ლაპარაკობენ. თათრულ ენას მოქალაქეობრივი უფლება აქვს მოპოვებული. წახურელი ლეკების სოფლების უმრავლესობას, 80%-ს მაინც, დავიწყებული აქვს თავისი საკუთარი ენა და აზერბაიჯანულად ლაპარაკობენ. ასეთ პროცესსა ვხედავთ ინგილოთა ზოგიერთ სოფლებში.

ინგილოური დიალექტი იგივე ქიზიყურია, რაც, რასაკვირველია, ქიზიყთან სისხლოვითა და მისვლა-მოსკლით აიხსნება. წმინდა ძველებური ინგილოური დიალექტი შენახულია შარტო სოფელ კაჯში. ერთის თვალის გადავლებით ეს დიალექტი უძველეს ქართულს მოგავონებთ; მაგალითად, ინგილო ამბობს: „ერ თეთრ მოიღე“ ერთი ფული (მანეთიანი) მომეციო. „მო ჩონსა ყონაღად კეთდებოდე,“ მოდი ჩვენთან, სტუმარი იყავით. „ჩონ ლაიჭ გადაიხორც“, ჩვენი კვიცი დაიკარგაო, და სხვა. გარდა ამისა, კაკელი ინგილო ყოველ სიტყვას, რომელიც ინით თავდება, ამ ბევრას აკეცავს, არ ხმარობს. ასე, მაგალითად, კაც — კაცის მაგივრად, ქალ, ცხენ, ღორ, ხელ, თოხ, წიგნ და სხვა. აქაურ ქართულში ბევრი თათრული სიტყვები ურევია.

ე ნ ბ რ ა ხ ო ბ ი ს დ ღ ე. საინგილოში მწუხრის კვირის ხუთშაბათს „უნძრახობის დღეს“ ეძახიან. ამ დღეს დილააღრიანად ოჯახის უფროსი ადგება ისე, რომ ხმა არავის გასცეს და „უნძრახად“ გავა სახლიდან. გარეთ გასული უფროსი ოჯახისა, პირველ ყოვლისა სახლს შემოუვლის

ირგვლივ და ყოველი მხრიდან ნაცარს შემოაყრის მთელ სახლს იმისა...
თვის, რომ ზაფხულში ჭიათურელა აღარსაიდან შევიდეს სახლში და უა-
ფერი წაახდინოს. შემდეგ ჭერსა და აივნის ბოძებს ჯოხს მუქქმეტული ი-
ბეზი დაფრთხება და ზაფხულის განმავლობაში სახლს ატმისტულიჩესკი იკ-
ბაო; ასევე მიუკაუნებს და შეანძრებს აბრეშუმის ჭიის ლასტებს. ამის
შემდეგ ცულს აიღებს და წავა ბაღ-ვენახში, მოუღერებს ცულს იმ ხე-
ებს, რომელიც ან სრულიად არ ისხამენ, ან ძალიან ცოტას, როცა უკ-
ვე მოღერებული აქვს დასარტყმელად, ამ დროს სახლიდან შეუმჩნევ-
ლად გამოყოლილი რომელიმე წევრი თჯახისა დაუყვირებს: „ნუ სჭრი,
თავი დაანებე, პირობას იძლევა, რომ ღლეის უკან ყოველთვის კარგად
მოისხამს და მეწლედ არასდროს არ დარჩებაო“. ამ სიტყვების გავინე-
ბაზე „უნძრახი“ არც ხმას იღებს და არც იქით იხედება, საიდანაც ხმა
მივა. ამრიგად ჩამოუვლის „უნძრახი“ ხეხილსა და ზოვიერთ ვაზს, კვე-
ლას ცულს მოუღერებს, ხოლო ყოველ ცულის მოღერებაზე თან გაღვე-
ნებული კაცი მისი მოჭრი სნებას არ იძლევს, როცა „უნძრახი“ ბაღ-
ვენახს მორჩება, მერე კარმიდამოს უბრუნდება და თუ საღმე სარეველა
ბალასი, ჭინჭარი, ანწლი ეკულება, ბარით უნდა ამოაგდოს, იმ რწმენით,
რომ იმ დღეს ამოვდებული სარეველა ბალახი მეორე წელიწადს აღარ
ამოვა.

კოტიობა. საინგილოში შემოღომაზე და გაზაფხულზე ხანდა-
ხან დაეინებული წვიმები იცის. ზოგჯერ ისეთი გაუთავებელი წვიმებია
ატყდება ხოლმე და ისეთი გაუვალი ტალახითა და ღაფით გაიკვება
იქაურობა, რომ კაცი სამუშაოდ გარეთ ვეღარ გასულა. აი ამისთანა
ღროს კოტიობა იციან საინგილოში, რომელიც ლაშარობას მოგაეკონებთ,
იმ განსხვავებით, რომ ლაშარობა ვვალვიან ამინდში იციან, ხოლო კო-
ტიობა ავდრიანში. აი ამ დაეინებული წვიმიანობის ღროს შეიყრიან
ხოლმე თავს სოფლის ახალგაზრდა ბიჭები და მთელ სოფელს ჩამოუვ-
ლიან კომლეულად. წინ მიუძღვით ბელადი, რომელსაც ხელში უჭირავს
კოტიოტი, კოტიოტი წარმოადგენს არაჩეულებრივ ღიღ დედოფალას, რო-
მელსაც ქალის ტანისამოსი აცვია და მისი მორთულობა აქვს. ვისთანაც
მოვლენ, დარვაზას დაუკაუნებენ, შევლენ ეზოში და შესძახებენ:

კოტი, კოტი, კოტიატი,
კოტის საღამი მიეცით, კიძო, კიძო!
ღდეს მოგვეცით უქველი,
ხეალ გამოვა მზეო, კიძო! კიძო!



ბევრს თუ მოგვცემთ, ვაუი გვიოლებათ
ცირტას თუ მოგვცემთ, ქალი გავიწინდებათ,
ისიც აკანზი გავისკებათ. კიბო! კიბო! რესონაციული
ჩვენ შევაღობით, თქვენ გამარჯვებით. ბიბლიოთის

უკანასკნელ სიტყვებს „კიბო“ ყველანი ერთხმად მიაძახებენ ხოლმე. სახლის პატრონი გამოუტანს ფქვილს, ყველს, ბრინჯს, კერძებს და სხვა. ყველაფერი, რასაც უწყალობენ, თეთრი ფერისა უნდა იყოს. თუ ვინიცობაა, რომელიმე სახლის პატრონმა არაფერი გამოუტანა, მაშინ გაავრცებენ კოტის ეზოში და მიაძახებენ:

— კრუხ-წიწილაც გავწყვეტიათ, კიბო! კიბო!

ამ წყველისა ძალიან ეშინიათ დიასახლისებს და ხელცარიელს არა-სდროს არ გაუშვებენ ხოლმე კოტის. როცა მოივლიან მთელ სოფელს და საკმარის სანოვაგეს შეაგროვებენ, მაშინ ვისმე ეზოში მიდიან, დროს ატარებენ და თან ყველანი შესთხოვენ ღმერთს, რომ აკმაროს ამოღენი წვიმები და მზე ჩქარა დაანახოს დედამიწას.

ხინ კალხან თან გა ლ ხ ა ნ გ ბ ა. ხინკალხანობა ყველიერის უკანასკნელ სამ დღეს იცოდნენ. ამ დღეს მორთავდნენ ხოლმე ერთ-ერთ სოფლელს, რომელიმე მოხელის, უფრო კი ბოქაულის (პრისტავის) ტანისამოსში, ჩამოჰკიდებდნენ გულზე მედლებს, ეპოლეტებს და სხვაგვარ მორთულობას, შესვამდნენ ცხენზე და კარი-კარ დაატარებდნენ.

ხინკალხანს თან მისღებდნენ შეზურნები და სოფლის ახალგაზრდები ღროშებით. ხინკალხანი მთელი ამაღლით დადის კარდაკარ, ეზოში შესვლისთანავე დაუკრავენ ზურნასა და დაიწყებენ შუშპრობას. სახლის პატრონები გამოეგებებიან და თვითონაც მონაწილეობას მიღებენ შუშპრობაში. როცა ცეკვით გულს იჯერებენ, მაშინ ხინკალხანის მხლებლთაგანი დაიძახებს, რომ ხინკალხანს ამ ოჯახისათვის შეუწერნია ამდენი და ამდენი (ძველად 20—50 კაპიამდე) ჯარიმა და სახლის პატრონი მოვალეა დაუყოვნებლივ გადაიზაღოს. გამოიკვეთ ფული, ვისაც რამდენი შეუძლია, თან გამოაყოლებენ ხორაგეულს და უმასპინძლდებიან ხინკალხანს და მის ამაღლას: მიართმევენ ღვინოს, პურს, ხორცეულს, ხილს, ერთი სიტყვით, ვისაც რით შეუძლია. მეორე დღეს ნაშორენი ფულის ნახევარს შეზურნებს აძლევენ, დანარჩენით ხორაგეულს ყიდულობენ და ქეიფობენ. თვითონაც ხინკალხანს ამ ქეიფის დასასრულს ტალახში ამოწუმავენ და ისე გაისტუმრებენ სახლში.

სოფლის



საცელოს სოფლები. — სამეცნიერო სოფელი. — სახლის კარმილაშო. — სახლები. — აყარი და მისი მნიშვნელობა — ზრისის ქოხი. — ინგილოს სახლის მოწყობილობა. — ბანები და მათი მნიშვნელობა. — სასაფლაოები.

ინგილოები ერთ აღგილას თავმოყრილნი და შეჯაზებულნი კი არა ცხოვრობენ, როგორც ეს ქართლ-კახელებსა სჩვევიათ, არამედ დიდ მანძილზე არიან გაფანტულნი: ზოგი აქ ცხოვრობს, ზოგი იქ, ვისაც საჯეხერხება. ისეა ხშირად სოფელი გაფანტული და ბაღ-ვენახებსა და ჭალა-ტყებს მოდებული, რომ ვერც კი მიმხვდარა აღამიანი, სად იწყება და სად თავდება სოფელი. სახლ-კარი ისე აქვს ინგილოს მოწყობილი. რომ სახლს იქვე გვერდით აკრავს ბაღი, ვენახი, ბოსტანი და ზოგჯერ სახნავ-სათესი მამულიც. ამის გამოა, რომ ერთ აღგილას ერთმანეთის მეზობლად სამ-ოთხ მოხახლეს თუ ნახავთ მხოლოდ. ინგილოს თავთ-სუფლად და ლალად უყვარს ცხოვრება, ისე რომ მისი კარ-მიდამო მარტო მის ხელთ უნდა იყოს, სხვა ვინმე ხელს არ უშლიდეს. იმავე დროს ეს კარ-მიდამო იმოდენა უნდა იყოს, რომ თავისუფლად შეეძლოს ვლეხს შინაური ფრინველისა და საქონლის ყოლა. ინგილოთა სოფ-ლებს ამიტომ უშველებელი მანძილი უჭირავთ და ხშირად 5—15 კილომეტრზე არიან გაფანტულნი. სოფ. კაი 5 კილომეტრზე არის გაჭიმული, ბელაქანი — 15 კილომეტრზე, თაღა და კავახჩოლი უფრო მეტზე.

გავრამ საინგილოში ყველა სოფელი როდია ასე მოწყობილ-გაშე-ნებული. მეორე წყება სოფლებისა — ყორადანი, ქოთუქელო, აღა-თემური, ყანდახი, შოთავარი, ძაგამით თასმალო და სხვები — თვითე-ული მათგანი ერთ გრძელ და განიერ ქუჩაზე არიან ჩამუშკრივებულნი. ამ ქუჩას ორთავ მხრივ სუფთა, განიერ არხში მიუჩირიალებს წყალი, რომლის ნაპირებსაც ამშვენებს თუთისა და კავლის ხები. საუცხოო შთაბეჭდილებას ახდენს აღამიანზე ასეთი სოფელი, მისი მოკირ-წყლულ-მოსუფთავებული ფართო ქუჩა კოხტად ჩარიგებული ხებით, რიგზე აგებული სახლებით, მოსურათებული ჭიშკრებით (დარვაზე-ბით).

ეს სოფლები ახლო დროს არიან გაშენებულნი. ისინი გამოყოფა-

ლან ძველი დედა სოფლებიდან. როცა იქ ხალხი გამრავლებული, კულტურ დატეულან და ცალკე სოფლები დაუარსებიათ. ამ სოფლებში ჰქოუხედავად იმისა, რომ ერთ ქუჩაზე არიან ჩამწკრივებული ჩატარებული სისუფთავეა დაცული, როგორც დანარჩენ სოფლებში ეს კირული

არის მესამე ტიპის სოფლებიც, რომელნიც ნამდვილ კონტრასტს წარმოადგენენ პირველებთან შედარებით. ესენი არიან მთის სოფლები, სადაც მიწის სივიწროვეა და სოფელი მოთავსებულია პატარა აღვილზე. აյ სახლებიც ერთმანეთზეა მიყრილი უსწორმასწოროდ. მათ ცალკეული ეზო და კარ-მიდამო არ გააჩნიათ, საქონლის გომურიც ზედ სახლზეა მიღვმელი, ნაკელის სუნი მთელ სოფელშია მოდებული. შინაურ ფრინველსაც კი ვერ გაუხარია ასეთ სოფელში, იალალი არ-საითა აქვს, გავლა-გაფრენა უძნელდება. ასეთ სოფელში ხშირად ერთ ხესაც ვერა ნახავთ. ეს სოფლები ტიპიური დაღესტნური სოფლებია და იქ მხოლოდ დაღესტნიდან გადმოსული წახურელი ლეკები ცხოვრობენ. ასეთია საჩუბაში, სუვავილი, კარკაი, ქალალი, ელისუ, აზვილუ, კახი.

ამრიგად, სამნაირი ტიპის სოფელს შეხვდებით საინგილოში: ერთია გაფანტული, ბალ-ვენახებში ჩაფლულ-ჩამაღული. რომელიც გურია-სამეგრელოს სოფელს გვაგონებს, მეორე ევროპული სოფლის გეგმაზეა მოწყობილი და მესამე წმინდა აზიური, დაღესტნის ტიპის სოფელს წარმოადგენს. ასეთ სოფელს მხოლოდ მთიან აღვილებში შეხვდებით.

სოფლის მისავალში ან კიდევ თვით სოფელში ძალიან ხშირად ნახავთ ძეწნას, მტირალა წნორს. ეს ხე ძალიან უყვართ ბარის სოფლებს, ის დეკორატიული მცნარის როლს ასრულებს. ძეწნა, რომელსაც ყველანი მტირალას ეძახიან, აქ მეტად დიდი, ლამაზი და მაღალი იზრდება. მისი მოქნილი ორ-სამ მეტრიანი წვრილი ტოტები ლამაზად არიან ხოლმე ზევიდან ჩამოკიდებული და შნოსა და ლაზათს აძლევენ იქაურობას.

კოველ სოფელში ნახავთ რამდენიმე აღვილას გამართულ ეგრეთ-წოდებულ კიმგას. კიმგა სალოცავ აღვილსაც წარმოადგენს და სალაყბოსაც. კიმგა ვანიერი ტახტია, ფეხებით მიწაში გამავრებული, საზმე დიდი ხის ჩრდილში გამართული წყაროსა ან არხის ვეერდით. ნაზაზის (ლოცვის) დროს მართლმორწმუნე მაპმადიანები ფეხს ვაიხდიდნენ, კარგად დაიბანდნენ წყალში და შემდევ კიმგაზე აღიოდნენ და ლოცულობდნენ, იქვე კიმგასათ იკრიბებოდა სოფლის მოცლა-

ლი ხალხი და თავის ჭირვარამზე სჯა-ბაასობდა. გადასცემდნენ ერთ მანეთს სოფლისა და ქალაქის ახალ მშებამს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდევ ეს ვიმგვები მოშალეს და გრძელ ჩამოსკრინი უწერტის; მეტე კა მებად გადააკეთეს. ახლა ეს კოლმეურნეობის შესაკრები უწერტის; მეტე კა დაც მცხოვრებთ საკოლმეურნეო საგნებზე აქვთ ხოლმე სჯა-ბაასი.

სოფლებში და ხშირად სოფლის გარეთაც, გზების მახლობლად, ნახავთ მშვენივრად გაკეთებულ, ცემენტით ამოცავანილ წყაროებს და ბოგირებს. ეს ბოგირები და წყაროები გაკეთებულია არა სოფლის, არამედ კერძო პირების ხარჯით; რომელიმე შეძლებულ პირს თავის სახსოვრად გაუკეთებია ესენი; გამვლელი წყალს დალევს, მომიგონებს, შადლობას შემომითვლის და ჩემი ხსოვნა დილხანს დარჩება ხალხშიო. ეს კარგი ჩვეულება მეტწილად მაპმადიან მოსახლეობაშია გავრცელებული.

ინგილოთა შორის ბევრი არაა ისეთი სოფელი, სადაც ახალგაზრდობა ღინისა მართავდეს და ცეკვა-შუშირობით თავს იქცევდეს, როგორც ეს დანარჩენ საქართველოშია. ახალგაზრდები, ისევე როგორც ღილები, მუდამ მუშაობაში არიან ჩაბმული და გასართობად და თავის შესაქცევად იშვიათად სცალიათ. გამონაკლის შეადგენს მხოლოდ ლექთა ორი სოფელი — კავაჩოლი და ბელაქანი. ეს სოფელები ქიზიყის მოსაზღვრეები არიან და ბევრი ჩვეულება ქართველებისაგან გადაულიათ. ორივე ამ სოფელში ახალგაზრდობა უქმე-დღეებში თავს იყრის და ცეკვა-ღინიში ატარებს დროს.

დადიხართ სოფლებში, იხედებით აქეთ-იქით, უკვირდებით ყველა-ფერს, მაგრამ თქვენი თვალი ვერსადა ხედავს საბძელს, სასიმინდეს (ჯიხურს) და ბელელს, ქართლ-კახეთის სოფლის ამ აუცილებელ კუთვნილებას.

ესენი საინგილოში სრულებით არ არსებობენ. ამათ მავივრობას სწევს სახლისა და ბოსლის (ინგილოურად ზროხის სახლი) ერთოუავარი, რომელსაც ინგილოები აყარს ეძახიან. აყარში ინახავენ ხორბალს, ჩალთიკს (ბრინჯს), ფეტვს, ჩირს და ყოველივე იმას, რაც გლეხვაცს ყოველდღიურად სჭირდება, აყარი მისი ბელელიცაა და საკუჭნაოც. მარცვლეული მშვენივრად გადალესილ ჰერჩე ყრია პირდაპირ, ქვეშაც კი არაუერი უვია, ამიტომ აყარში ბლობიან არიან ვირთავები, რომლებიც ანალგურებენ ხორბლეულს. ზროხის ქოხის აყარში ინახავენ აგრეთვე საქონლის საკვებს, ბზეს, თივას, ჩალას. გლეხვაცი ცდილობს აყარი ისეთი მასალისაგან ააგოს, რომელიც

ცეცხლისაგან ნაკლებად საშიშია და ისე მოაწყოს, რომ რაც უფრო ძალა მეტი ტევადობა პქონდეს. აყარს ამიტომ ძალიან მართავს უფრო და წიწოდას აკეთებენ. ამას სჩადიან უფრო იმიტომ, რომ სამართლებრივი ში ბუხრის მიღები არ იციან, მთელი ბოლი აყარში გროვდება და აქეთ-იქით ჭუჭრუტანებიდან კრამიტსა და კრამიტს შეა ნელ-ნელა ვადის გარეთ.

კრამიტით დახურვა საინვილოში კარგა ხანია შემოვიდა, წინათ კი სახლები ლერწმით იხურებოდა. ლერწმით დახურვა აქ ძალიან კარგად იციან: ისეთ მაგარ, სქელსა და მკვრივ სახურავს აკეთებენ, რომ თავისუფლად სძლებს 25—30 წელს. დროთა განმავლობაში ლერწამს ზევიდან ხავსი მოედება, ვადაკვრის მწვანე მოლსავით და ამის შემდეგ ლერწამი კიდევ უფრო გამძლე ხდება. ეს ხავსი ისეთსავე სამსახურს უწევს ლერწამს, როგორც საღებავი თუნუქით ვადახურულ სახლს, სამაგიეროდ, ცეცხლის მხრივ იგი დიდ სამიშროებას წარმოადგენს. ლერწამის სახურავი როგორც გარედან ხავსით იმოსება, ისე შიგნით ჰკარტლით იბურება და ყველა ამას ხანძარი ადვილად ედება. ალბათ ამიტომ ახლა ლერწმის სახურავი ხმარებიდან გამოდის. ყველა ინგილო სახლს კრამიტით ხურავს, ხოლო ლერწამს ბოსლისთვის იყენებს.

აყარს ორი კარები აქვს — წინიდან და უკანიდან. ერთ-ერთ კარს მიღმული აქვს კიბე. ხშირად ამ კიბის მახლობლად აბია სახლის მუდმივი ყარაული — ძალი. ინგილოს კარმიდამო უძაღლოდ წარმოუდგენელია. დღისით ძალი დაბმული ჰყავთ, ღამით კი აშეებული და მთელ კარმიდამოს უვლის და ყარაულობს.

ეზო, როგორც ზემოთ ვთქვით, ინგილოს ფართო და განიერი უკირავს და რაც უფრო შეძლებულია იგი, მით უფრო დიდი კარმიდამო აქვს. ეზო სუფთაა და ვაკერიალებული, მთელი ზაფხული მწვანედ გაუდის დაღანი. ისე უყვარს ინგილოს მწვანე ხავერდისფერი ყდა კარმიდამოსი, რომ თუ ვინიცობაა ზაფხულის სიცხემ გაახმო, მაშინვე წყალს მიუშეებს და ხელახლა გამოაცოცხლებს. კარ-მიდამოში ვერ ნახავთ ისეთ გამოუსაღევარ სარეველა ბალაბს, როგორიც ჭანჭარია, ანწლი და სხვა ამგვარი. ყველა ამას ინგილო ძირიან-უქესვიანად სოხრის და სწმენდს მათვან კარ-მიდამოს. ეზოში ხშირად ნახავთ ვარდებს და სხვა დეკორატიულ მცენარეებს. ყოველ ეზოში აუცილებლად რაიმე ხეხილი დგას, მეტწილად თუთა, ბალი, ალუბალი და სხვა. ეზოს

ხელშე ხშირად ვაზი არის აშვებული, რომლის მტევნებიც შემოდგენ-
მობით ყვითელ ქარვასავით გამოიცემონ ხოლმე.

ყველა ეზო შემოღობილ-შემოფარგლულია, ღია კარძიშვილი და გურული
ვერ იპოვნით. ეზოს ხშირად ირგვლივ შემოვლებული აქვს ქვატკირის
კედელი, მეტრ-ნახევრის სიმაღლისა მაინც. იქ, სადაც რიყის ქვა ან
აგური ძნელი საშოვნელია, მის მაგივრობას შევენიერი წნელის მაღა-
ლი ღობე სწევს. ამგვარ კედელში ქუჩის მხრიდან ჩატანებულია ჭიშ-
კარი, რომელსაც ინგილოები დარვაზას ეძახიან და რომელიც ზევი-
დან კრამიტით არის დახურული. ინვილოს, უდარვაზოდ გაძლება არ
შეუძლია და კარმიტამის ღიას არასოდეს არ დასტოვებს. დარვაზი ყო-
ველთვის დახურულია და შიგნიდან ჩარაზული.

სახლს ინგილო სდგამს არა გზის პირად, არამედ შიგნით — ეზოს
ბოლოში ან შუაგულში. ეზოში ერთ-ერთ კუთხეში ნახავთ რამდენი-
მე პირად დაწყობილ ფიჩხს და შეშას, რომელსაც ინგილო პირველსა-
ც გაზაფხულშე, ტყის გაფოთლამდე იმზადებს მთელი წლისათვის.
იქვე, ეზოში, ჩრდილში, მიწაში აქვს ჩაყრილი ღვინისა და არყოსათვის
ქვევრები. საინგილოში მარნები და სარდაფები არ იცან, ქვევრები გა-
რეთ მიწაში აქვთ, ზევიდან ქვის ბრტყელ სარქველს ხურავენ, ბლო-
ბიდ მიწას აყრიან და ზედ წალმის დიდ კონებს აწყობენ. საინგილოში
დიდი სიცხვები იცის, მაგრამ ამგვარად შენახული აქაური ღვინო იშ-
ვიათად უჰქდება. საკვირველი კადევ ის არის, რომ ამ ქვეყანაში, სა-
დაც ქურდობა ძალიან იყო გახშირებული და ხელობადაც კი იყო გა-
დაქცეული ძველად, ღვინოს სრულიად არავინ იპარავს, თუმცა მისი
მოპარვა ძალზე აღვილია და მოსახერხებელი.

ეზოშივე მოთავსებული ბოსელი, ანუ, როგორც ინგილოები ეძა-
ხიან, ზროხის სახლი, რომლის აყარშიც, როგორც ზევით მოვიხსე-
ნიეთ, ინახავენ ბზეს, თივას და საქონლის სხვა საკვებს.

ზროხის სახლი თითქმის სულ ბნელია. აქვს მხოლოდ ერთი-ორი
პატარა სარქმელი და ერთი კარი. სარქმელი ზამთრის სიცივეებში მუ-
დამ ჩახურულია. ბინებში ამგვარ ზროხის ქოხში ხალხიც თავსდება.
მის ერთ ნახევარში ბუხარიც არის გაეკეთებული, დგას ტანტი დასაწო-
ლად და, რასაკვირველია, დიდი სარქმელი ან ფანჯარა აქვს. ბინებში
ხალხი დროგამოშვებით ცხოვრობს. დიდ მოწყობილობას არ მართა-
ვენ და ხშირად მარტო ზროხის ქოხით კავკაციულდებიან. ზროხის
ქოხს წინიდან აივანი აქვს, სადაც ხშირად ხორბლის კასრები დგას და

სამეურნეო დარალია მოთავსებული. ზრობის ქობს რიყის ქვეის გარე ცვე-
ბენ, მაგრამ ბარის სოფლებში არა მცირათ ხისასაც შეხვდებით.

ეზოსავე ერთ-ერთ კუთხეში მოწყობილია თონე, რომელიც წარმოშენებულ
ის ქვეშ არის და ხშირად არავითარი სახურიავი არტ მუჭატა მას მცირებულ
ხევრად არის მიწაში ჩადგმული, გარედან წერილი წელის დაწინუღი-
სალტა აქვს შემოწინული, ისე კი, რომ თონესა და სალტეს შეა ერთი
შტკაველი აღგიღილი ირგვლივ დარჩენილი, რომელიც თიხით არის ამო-
ვსებული. პურის მცხობელი ზეზელა აკრავს პურის თონეში და იმდენი
ტანჯვა არ ადგება, რამდენიც ქართლში.

ცომს აღგიღილობრივი უქვილისაგან აცხობენ და ცივი წყლით ზე-
ლავენ დიდ ვარცლში. აცხობენ გრძელსა და ვიწრო პურებს, რომლე-
ბსაც აქ შოთებს ეძახიან. აქაური შოთი კახურისაგან მხოლოდ სიმ-
ცირით განიჩრევა. გარდა შოთებისა, საინგილოში ლავაშების გამოც-
ხობაც იციან, მაგრამ ლავაშს აცხობენ დიდი წვეულების დროს, ქო-
რწილში ან ქელებში. უფრო იშვიათად აცხობენ საინგილოში ნანუქს
და ამასაც რაიმე საგანგებო შემთხვევისათვის. ქადებისა და ხაჭაპუ-
რების გამოცხობა საინგილოში არ იციან. საზოგადოდ, საინგილოშა-
თეთრი პური ცხვება. პური კემრიელია, მაგრამ საემარისად არ აუკა-
ბენ. ეს უფრო იმიტომ, რომ ცივ წყალსა ხმარობენ მოსაზელად.

ეზოში ვერ ნახავთ ვერც საქათმეს და ვერც საღორეს. აქაური ქა-
თამი სხვანაირად არის დაჩვეული. საინგილოში დიდი სიცივეები არ
იცის, ამიტომ ის ზამთარ-ზაფხულს ხეზე ბუდობს.

ფრინველებში ინგილოები უფრო ქათმისა და ინდოურის მოშენე-
ბას მისდევენ. ბატი და იხვი ინგილოს არ უყვარს, რადგან კარ-მიდა-
მოს ძალიან აუსუფთავებენ.

საღორეების ხენება ხომ სრულებით არ იყო საინგილოში. ძვე-
ლად ინგილოებს სრულებით არა ჰყავდათ ღორები, თათრების შიში-
თა თუ ხათრით. ახლა კი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემ-
დევ, როცა არა თუ ინგილოებმა, თათრებმაც კი გაიჩინეს ღორები,
ისეთი ოჯახი არ მოიძებნება, რომ ღორი არ ჰყავდეს.

ყველა ამას გარდა, ეზოში, ჰატარა რუს მახლობლად, ჩარდახსავით
არის რაღაც გაკეთებული. მიწაში ბოძია გამაგრებული, თითქმის მე-
ტრის სიმაღლისა, ზევიდან ფიცრები აქვს ირგვლივ წამოხურული ქო-
ლგასავით. ესაა სოზიე. ინგილოს უყვარს ჭურჭელი სუფთა და გაკრი-
ალებული პქონდეს — ქვაბი იქნება ეს თუ თეფში ან ლამბაქი. ამიტომ,
გაათავებენ თუ არა პურის ჭამას, ოჯახის დიასახლისი ჭურჭელს აქ

მიიტანს. პატარა არხში დარეცხს, დააკრიალებს, გახეხავს და გასა-
შრობად ამ სოზეზე დააღავებს. ჭურველი ჩამოიწურება და თავისითა-
ვად გაშრება. აյ ჭურვლის საწმენდი ტილო არ იციან. უროვნეული
სახლები საინგილოში უმთავრესად ქვითვირისაა, რიჭმი ჭურმი გუშენი

ავურით ნაშენები. როვორც დიდ გამონავლის, შეხვდებოთ ხისასაც — ბარში, ალაზნის მახლობლად, საძაც დიდი ტყეებია და ჭალები. სახლს სარდაფს ან სხვა რამე საკუჭნაოებს ძირის სართულში არ უკუ-
თებენ. საძირკველს ღრმად არა თხრიან, სულ 2—3 მტაველის სილომე
აქვს, თუნდაც სახლი რჩესართულიანი იყვეს. სახლების 90% ერთსარ-
თულიანია და წინ უკელას აუცილებლივ აივანი აქვს მთელი სახლის
სივრძეზე. სახლი ჩვეულებრივ ორი ოთახისაგან შესდგება, ერთი ჯა-
ღია, ფართო, რომელშიაც მოთავსებულია მთელი ოჯახი, და მეორე —
მომტრო, პატარა, რომელიც, ჩვეულებრივ, სტემრისათვის აქვთ დატო-
ვებული და რომელსაც საყოვნე აღეცენ. ოთახებში მიწის ია-
ტაკია. ფიცრის იატაკს არ მისდევენ. თავათ ვიყავ მოწმე, რომ ერთმა
შეძლებულმა ინგილომ, რომელსაც სხვისი რჩევით ხის იატაკი დაევო,
ხელახლა ამყარა — ოჯახმა ვერ შეიფერაო, მიწის იატაკი სჯობიაო,
მიპახუხა სახლის პატრონმა. სახლებს კედლებში ფანჯრებს არ ატა-
ნენ, მათ მაგივრობას ასრულებს პატარა სარკმელები, რომელნიც სა-
ქარის სინათლეს არ იძლევიან და სახლში მუდმივი ბინდი დგას. ამ
სარკმელებს შეშის მაგივრ ფიცრის მისახურავები აქვთ აფარებული,
რომელნიც დღისით იღებიან. ოთახში გამუდმებული სიბნელის გამო,
ზამთარ-ზაფხულობით კარ-ფანჯარა ღიაა. ბუჩარიც არ იციან ამ დიდ
ოთახში ინგილოებმა. ცეცხლი ჩვეულებრივ შეა ოთახშია გაჩაღებუ-
ლი და ბოლი პირდაპირ ყარში ადის, საიდანაც ჭუჭრუტანებიდან გა-
რეთ გადის. შეა ცეცხლისათვის ზამთრის ცივ დღეებში შეიტანენ ხის
დიდ მორებს, მოუკიდებენ და ნელ-ნელა სწვავენ. შეა ცეცხლთან იკ-
რიბება მთელი ოჯახი, დიდი და პატარა, და ყონაღად (სტუმრად) მი-
სული ხალხი. შემოუსხდებიან აგიზგიზებულ ცეცხლს და თან მასლაა-
თობენ — უამბობენ ერთმანეთს მოხუცთავან გავონილ ძველ ამბებს.

სახლში ვერ ნახავთ ვერც ტახტს და ვერც ამის მსგავს რამეს. ინ-
გილოები შიწაზე იშლიან ლოგინს და იძინებენ. მთელ აქაურ ლოგინს
ჯეჯიმები შეაღგენენ. ჯეჯიმი მრავლად მოძებნება ყველა ოჯახში-
სურათებიან და ათასფრად დახარატებულ ჯეჯიმს ქვეშ გამოკრული
აქვს მოთელოლი სქელი ნაბადი. ამგვარ ჯეჯიმს ინგილო ზოგს ქვეშ
იგებს ლეიბის მაგივრად, ზოგს ზევიდან იხურავს. მუთაქები საინვი-

ლოში მიღებული არ არის, ხმარობენ მხოლოდ ბალიშებს, რომელიც
აც ბუმბულის მავიერ მატყლა ჰყრიან და რომელსაც სასორიც უკროცხად
ეძახიან.

კულებში თაროებია დატანებული, სადაც ყოველწლიური გამჭვირვალე
ლებულ-დასუფთავებული სპილენძის ჭურჭელია ჩამწერივებული. ჭუ-
რჭელი ისე სანაქებოდ არის დაკრიალებული, რომ ადამიანს ახლად
მოკალული ეგონება. წინათ, თურმე, თაროები არ იცოდნენ, მათ მავი-
ერ ორი მოხარატებული ფიცარი იყო ირიბად მიმაგრებული ერთმანე-
თზე და იმაზე აწყობდნენ ჭურჭელს. რომელსაც ინგილოები კოროეს
ეძახოდნენ. თაროზე ჩამწერივებულია ქვაბები სხვადასხვა ზომისა და
ტევადობისა, თუშფალანგები, სინები, ბადიები, აფთაფები¹⁶ და სხვა
ჭურჭელი, ჰურის ჭამის დროს სახმარი. ყველა ეს სპილენძისაა, მძიმე
და ტლანები, სახმარებლად მნელი, უხეში.

ინგილოს სახლის მთავარ სიმდიდრეს და ქონებას ეს სპილენძის
ჭურჭელი და ჯეზიმები შეადგენენ. შეხვალთ თუ არა ინგილოს სახლ-
ში, მაშინვე თვალში გვიცმათ ეს დიდიალი ჭურჭელეულობა და ჯეზ-
მების სიმრავლე. ერთ კედელთან ჩამწერივებულია ეს აუარებელი ჭუ-
რჭელი, მეორე კედელთან — ორ წყებად დაკუცილ-დალაგებული ჯეზ-
მები. ინგილოს სიმდიდრე და ქონება ამ ჭურჭლისა და ჯეზიმების რა-
ოდენობით გაიზომება.

ინგილოს დღი ოთახში ერთი წმინდა ადგილიც მოიძებნებოდა. სა-
ხლის ერთს კუთხეში, ჭერ ქვეშ, შენახული პქონდათ ხოლმე წინათ
პატარა ყუთი, რომელსაც წმინდა კიდობანს ეძახდნენ. ეს კიდობანი
ოჯახის სიწმინდედ ითვლებოდა და მას, გარდა ოჯახის უფროსისა,
ვერავინ შეხებოდა. კიდობანში ინახებოდა საკმელი, ბამბა და ცვალი-
ალდგომასა და ახალწელიწადს ოჯახის უფროსი ჩამოილებდა კიდობანს
და გადასცემდა ოჯახის დიასახლისს ცვილსა და ბამბას სანთლის ჩა-
მოსაქრელად. ოჯახის უფროსი აანთებდა სანთლს, მიაკრავდა კაზო-
ბანს, მთელი ოჯახი ჩამწერივდებოდა და შეუდგებოდა ლოცვასა და
დეოს ველრებას. ეს ჩვეულება კარგა ხანია გადავარდა და მას თითქმის
აღარავინ აღარ მისდევს.

ამავე დიდი ოთახის ერთ-ერთ კუთხეში ჩამოიღებულია კახაჩი და
ჭიჭინაგურები. კახაჩი¹⁷ ცხერის ან მსხვილფეხა საქონლის ლორია,
ხოლო ჭიჭინაგური — ზინაურულად გაკუთებული ძეხვი. ისეთი ოჯა-
ხი არ იქნება საინგილოში რომ შემოღვომაზე 2—3 ცხვარი არ დაკ-
ლას, ხოლო თუ ოჯახი შეძლებულია, ერთ გასუქებულ მსხვილფეხა

პირუტყვესაც დაატანს ზედ. ამ ხორცის სქელ აღგილებს (მაგალითად, ბარძაფისას), ცოტათი ათხელებენ, ორ-სამ ნაჭრად აქცევენ და ოთხი დღის განმავლობაში მარილწყალში ინახავენ, მერე მზესა ჰქონის შესწავლის აშრობენ და ბუხრის წინ ანდა შეაცეცხლის მახლობლად მიმდევად მეტყველებენ მარტინ დენ, რომ კომლში გამოვიდეს. ჰიჭინაგურისათვის კი ხორცს კარგად კვავენ, შიგ ხახვს, პილპილსა და გამხმარ სურნელოვან მწვანილს სდებენ, ზელავენ და წინასწარ გასუფთავებულ ნაწლავებში სტენიან-აშასაც ბუხრის წინ ჰკიდებენ და კვამლში გამოყავთ. როცა კვამლში კარგად გამოვა, ერთსაც და მეორესაც ჩამოილებენ და სახლის რომელიმე კუთხეში ან აყარში ჩამოჰკიდებენ. როცა დასჭირდებათ, ჩამოილებენ და ან პირდაპირ ჭამენ, ან ხარშავენ, ან კიდევ მოხარშულ ფლავს ზევიდან დაალაგებენ და ისე შეექცევიან.

დიდი ოთახი, სადაც მთელი ოჯახია ხოლმე მოთავსებული, ხშირად კვამლით არის გამჭვარტლული. ინგილო იმდენად არის მიჩვეული ამ ჭვარტლით სავსე სახლს, რომ არც გრძნობს მის მავნე გავლენას თავის თავშე. იშვიათად ხდება ოთახის მთლიანად დასუფთავება, ავეჯეულის გარეთ გატანა და ყველაფრის გარეცხა-გაკრიალება. ამ მხრივ ინგილო ბევრად ჩამორჩება თავის მეზობელ ლეკს, რომელსაც სისუფთავეში ტოლი არ ჰყავს.

ამავე ოთახში ინგილოს ხშირად წიწილ-კრუხი ჰყავს და ახლად მოგებული ხბორებიც. იმავე დროს იქვე კასრებით უდგია ფქვილი, იქვე სცრიან და ზელავენ ჰურის ცომს. იქვე ხშირად ერთ-ერთ კუთხეში ჰყრია სამურნეო იარაღი — ბარი, თოხი, ნამგალი, ცელი; არ გვიგონოთ, რომ მეტ-ნაკლებობით ყველა ოჯახი ასე იყვეს მოწყობილი.

არავითარი მორთულობა არ მოიპოვება ინგილოს ოჯახში, გარდა გარაზისა, რომელიც თანდათან გამოდის ხმარებიდან. ფერადი ძაფებისაგან მოქსოვილ-დაგრეხილი მარაზი თოვის მინაგვარია, რომელსაც თითო ვოჯის სიშორეზე ფერადი ძაფისაგანვე გაეკუთხული მომცრო ბურთები ჰყიდია. ამ მარაზას კედელს ავლებენ ჭერის მახლობლად რამდენიმე პირად. მარაზი და კედელზე რამდენიმე ადგილას ჩამოკიდებული ჰურის სავარცხელი, რომელიც თავთავებისაგან ოთხუთხად მოქსოვილ რასმეს წარმოადგენს, შეაღენს ინგილოს სახლის მთელ მორთულობას.

საღილს ინგილოები იატაქზე სჭამდნენ, გაშლიდნენ ჯვარის, და-წყობლნენ ხონჩაზე საჭმელს-სამელს და შემოუსხლებოდნენ. ეს კია მტკიცედ დაცული, რომ ქალები და საცები ერთაუ არ დასხდებოდნენ,

ვინდა და-შმარი და ცოლ-ქმარიც ყოფილიყენ, ცალკე ზრდა ეჭამო
კერძი კაცებს და ცალკე ქალებს. უროვნეული

სულ სხვა სურათს წარმოადგენს პატარა ოთახის ჩიდაჭალა სკრუ
ებისათვის აქვს დატოვებული ინგილოს. იქ სისუფოავე დაცულია და
მოწყობილობაც სულ სხვანაირია, ხშირად ამ ოთახში ხის იატაკაც
აგია, ბუხარიც არის და ერთი დიდი ფანჯარაც მოიპოვება. ოთახში
კარგა მოზრდილი მავიდა და ტახტი დგას. მაგიდაზე აწყვევა სარკე, სა-
ვარცხელი სტუმრისათვის, სამოვარი და ჩამოკიდებულია პირსახოციც.
კედლებშე ხშირად შეხვდებით ფოტოგრაფიულ სურათებს ნაცნობ-
შევიბრებისა და სხვადასხვა პლაკატს. ტახტზე დაგებულია საუკეთე-
სო ჯეჯიმი, ხოლო იატაკზე — ან ქეჩა, ან ნაბადი.

სახლში და მის აივანზე ნახავთ ხის უშველებელ კასრებს. ეს კას-
რები ხის მორებს წარმოადგენს, რომელიც შიგნიდან გამოუვუ-
ლავთ, გამოუთლიათ და პურისა და სხვა მარცვლეულის შესანახავად
უქცევიათ. ეს კასრები ბელლის მავირობასა სწევენ. კასრებისათვის
ეზოში ცალკე ფარდულები აქვთ გამართული. ზევიდან კასრებს ხის
მაგარი სახურავები აქვს დაფარებული, ასე რომ თავი ვერსაიდან ვერ
შევა. ზოგჯერ სახლის აივანზე, ნახავთ რამდენიმე ტახტს, რომლებზე-
დაც ოჯახის ზოგიერთი წევრები იძინებენ. საყურადღებო ის არის,
რომ მთელი წლის განმავლობაში, ზაფხულია ეს თუ ყინვიანი
ზამთარი, გამუდმებით აქ სძინავთ ოჯახის ამ წევრებს. ეს ხალხი
ისეა შეჩვეული გარეთ ყოფნასა და წოლას, რომ სახლში ვეღარ ისევ-
ნებენ. ჩემ შეზოთხვაზე ერთმა ასე მიძასუხა: ჩონ სახლში პაერი არ
გვყოფნის, სული გვეხუთების; გარეთ წოლა მეტად სასიამოვნო და შე-
მარგოა. ზამთარში მაინც; აბა, სცადეთ თქვენც, თუ სახლში კიდევ
შეხვიდეთ დასაძინებლადო. გარეთ წოლა ზამთარ-ზაფხულ უფრო გა-
რცელებულია ბარის სოფლებში, სადაც თბილი ზამთარი იცის.

ინგილოების შუაგულ სოფელში ვერ დაინახავთ კალო-
საბძელს. საბძელი ხომ სრულიად არ იციან საინგილში, მის მაგიე-
რობას, როგორც მოვიხსენიეთ, ზროხის აყარი სწევს — კალოები კა-
დევ სოფლის განაპირა აღვილებში პქონდათ გამართული, მდინარის
ან არხის მახლობლად, სადაც განიავებისათვის საჭირო ნიავიც მოდის
და არც სოფელს აწუხებს. პურს ისევე ლეწავენ როგორც ქართლ-
კახეთში. ჩაშლიან ალოში ძნებს და ზედ დიდ კევრებს ატრიალებენ
შებმული უღელი ხარით.

ზემოთ ავწერეთ ინგილოს მამაპაპური ძველი, ბნელი და უსური თაო სახლი. მაგრამ ასეთი სახლი ამჟამად მნელი საპოვნელია, ყაინკულოში, მეტადრე კაის რაიონში. აღიაბათის ნაწილში კი ჭრია-გრიგორი ერი მად მოიპოვება ძველებური სახლი.

კაში თითქმის ყველას ევროპულ გემოვნებაშე აგებული სახლი უდგას. ასავალ პატარა კიბეს მშვენიერ სუფთა აივანზე აპყვეხართ. ეს სახლებიც, ინგილოთა ჩვეულებისამებრ, ორი ოთახისაგან შესდგებიან შუშის ჩვეულებრივი ფანჯრებით, ხის იატაკით, მაგილით და ვენური სკამებით. მაგიდაზე გადაუარებულია სუფრა და ზედ ლამპას და სამოკარს ნახავთ. ხშირად წინებიც და გაზრდებიც არ აკლია ასეთ სახლს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ინგილოთა ცხოვრებაში ეგრედწოდებულ ბინებს. ბინები თითქმის ყველა დიდ სოფელს აქვს: მათი რიცხვი ხმელად 10—15-ს აღწევს. ისინი სხვადასხვა აღვილებში არიან გაფანტული და დადი მანძილით დაშორებული ერთმანეთისაგან. ბინა მეორე სახლ-კარია ინგილოსი. ის სოფელი, რომელსაც აღვილობრივ ცოტა მამული აქვს და არა ჰყოფნის, ძველადვე გასულა, გაუჩიხია საძმე უღრანი ტყეები, ახოებად უქცევია და იქ უხნავ-უთესია. ბინაზე ინახავენ საქონელს, რადგან იქ უფრო უხვი და ბევრი საკვებია, ვიდრე თვით სოფელში. ამ უხვი საკვების გამო ბევრი კარგა ბლობა საქონელს, უმთავრესად კი ძროხებს, ინახავდა ბინებში. იქვეა ბალები, უენახები და ბოსტნები. ბინაში ოჯახობა გამუდმებით არა ცხოვრობს. ცხოვრობენ უყრო ზაფხულობით, როცა მამულს მოვლა-პატრონობა სყირდება. ხშირად კი ასე იქცევიან: თუ ოჯახი დიდია, ე. ი. მრავალრაცხოვანი, და მუშახელი ჭარბად არის, ჯერ-ჯერით მიღიან ბინაში. ჯერ ოჯახის ერთი წავა ბინაში, იმუშავებს განსაზღვრულ დროს, იცხოვრებს იქ და მერე დაბრუნდება სახლში; მის მაგიერ ოჯახის წევრი მიდის. ერთი სიტყვით, აქ ერთგვარი მორიგეობაა გამართული. ბინებში ისეთებიც არიან, რომელთაც, გარდა ცარიელი სახლისა, სხვა არაფერი გააჩნიათ სოფელში და სარჩო-საბადებელი ბინიდან მიაქვთ და იმით იჩჩენ თავს, ასეთი ოჯახი თანდათან სტოვებს დედა-სოფელს და სამუდამოდ ბინაში სახლდება. ესევე მოსდის ბევრ სხვასაც. გამრავლებული დედა-სოფელი ველარ იტევს მოსახლეობას და ის ჩაწილი სოფლისა, რომელიც მარტო ღროვამოშვებით ესტუმრებოდა ხოლმე ბინას, სამუდამოდ მისი მკვიდრი ხდება. ამგვარად ჩნდება ახალი სოფელი თავისი მუდმივი მაცხოვრებლებით. ახალი მოსახლეობა ურიცდება თავის ბედს და ახალ ბინაზე სამუდამოდ ეწყობა, იშენებს

სახლს, ასუფთავებს კარ-მიდამოს და სხვ. ამგვარად გაშენდა სოფ. ალიძეგლო და ყორადღინი, რომელნიც წინათ სოფელ პატის ჩრდილი ჩატარდა და მრავალი სხვანი, ბინებში ახლად-გაშენებული სოფლები თავიანთი ნება-სურვილისამებრ ეწყობიან. ის შემორე წყების სოფლება, რომელნიც ევროპიულ სოფლებს შევადარეთ და რომელთა შესახებ ამ წერილის თავში გვერდიდა დაპარაკა, ამ ბინებისაგან წარმოსდგნენ.

სოფლის აუცილებელ კუთვნილებას შეადგენს წისქვილი და დინგი. დინგს თოლები აქვს, სადაც დასაცეხვავად ჩაყრილია ჩალთუები (ქერქიანი ბრინჯი), რომელსაც დიდი ხათქა-ხუთქით ჩაჰკრავენ ხოლმე ქერქის გასაცლელად დინგის მკლავები. ეს გაუთავებელი ხათქა-ხუთქი ძალზე მომაბეზრებულია და უსიამოვნო. არის ისეთი სოფელი, სადაც ასეთი დინგი ბევრია და მათგან მოსვენება არა აქვთ სოფლელებს. პატარა სოფელ ქოთუქლომი, მცონი, ათამდე ასეთი დინგია, სადაც ყველა მახლობელ სოფელს მიაქვს დასაცეხვად ბრინჯი. აღვიღად წარმოსადგენია, რა გაბეზრებული უნდა იყვნენ მცხოვრებნი დინგების გამუდმებული ხათქა-ხუთქით.

ინგილოთა სოფლებში თითქმის ყველგან სისუფთავეა დაცული. ნაგავსა და ნეხვის ზეინებს იქ ვერსად ნახავთ. საქონლის ნაკული ინგილოს გაზაფხულზევე გააქვს ბალ-ბოსტანში და მიწას აპატივებს, ნაგავს კი ცეცხლს უკიდებს და სწვავს. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ გადაპყრის მდინარე წყალში. ეზოსა და კარ-მიდამოში კი არა, ხშირად ქუჩებსა და გზებზედაც ვერა ნახავთ, უსუფთაობას.

სოფელი ხშირად ფართო გზებით არის დასერილი; გზებს აქეთიქით არხის მოჩქერიუხე წყალი ჩაუჩინიალებს. თუმცა შიგ სახლებში ზოგს მოწყობა და სისუფთავე აკლია, მაგრამ ამას თავისი საპატიო მიზეზი აქვს. მთელი საუკუნეები ინგილო მონობას განიცდიდა. 1915 წლამდე რაც ებადა, სულ მებატონე ლექს მისქონდა. მას არ შეეძლო ძველი მამა-პაპური სახლიდან გამოსულიყო და ახალი, ადამიანური სახლი დაედგა. საბჭოთა ხელისუფლებამ საბოლოოდ მოსპო სავსებით სამარცხეინო მონობა და ინგილოც ახლა ახალ ცხოვრებას ეწაფება.

დასასრულ, არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არა ვთქვა სასაფლაოებსე, რომელნიც სოფლის ბოლოს ან მივარდნილ, გამოუსადევგარ ადგილებში მდებარეობენ. აქაური სასაფლაოები ოსმალოების სასაფლაოებს მოგვაგონებენ. ყოველ საფლავს თავში უშველებელი ბრტყელი ქვა ურჭვია; რაც უფრო მთის სიახლოეს მდებარეობს სოფელი, მით

უფრო მატულობს რიცხვი და სიდიდე-სიმაღლე ამ საფლავის ქვებისა,
და ხშირად ნახავთ ორი შეტრის სიმაღლის ქვასაც. ალაზნის წყალის
სოფლებში, სადაც აგრე აღვილი არ არის ქვის შოვნა, ხის წრეზე მწრევა
ძებს სთლიან, ბრტყელ ქვას წარწერით შიგ ჩასვამენ, და საფლავის თა-
ვში გაამაგრებენ. საყურადღებოა, თუ რა პატივისცემით ეყურობიან
ინგილონი სასაფლაოებს. სასაფლაო უპატრონოდ როდია მიტოვებუ-
ლი. ცხოვრებინ ჯეროვანი ურადღებით ეცცევიან მას და პატრონო-
ბენ. ყოველი ინგილო მოვალედ სთვლის თავს ხეებით შეამკოს და
ყოველ მხრივ გაამშენებიროს მიცევალებულის საფლავი. ამიტომ ყვე-
ლა სასაფლაო ხეებით არის შემოსილი. შორიდან რომ გახედოთ სასა-
ფლაოს, ტურფა წალეოტი გეგონებათ ან ატეხილი ხშირი ტყე, და
მხოლოდ ახლოს რომ მიხვალთ, მაშინ შეამჩნევთ, რომ სასაფლაოს-
თან გაქვთ საქმე, ინგილოები დროვამოშვებით ასუფთავებენ სასაფ-
ლაოებს და ბირიან-უესვიანად აგდებენ ბუჩქნარებს. გარდა ამისა, მა-
შიადიან მოსახლეობაში გავრცელებულია კერძო სასაფლაოები. ყო-
ვევ გვარს და ზოგჯერ ოჯახებაც საკუთარი სასაფლაო აქვთ საღმე მა-
მულში ან ბაღში, ხშირად სახლ-კარის გვერდით. სასაფლაოებზე ხას
მოჭრა სამარცხვინო საქმედ ითვლება და ვიღრე ხე თავისით არ გახ-
მება და არ ჩამოლპება, ხელს ვერავინ ახლებს.

ახლა განვიხილოთ ყველა ის სოფელი, რომელთაც განსაკუთრე-
ბული მნიშვნელობა აქვთ.

ს ი ფ ე ლ ი კ ა კ ი, ახალი სახელწოდებით კახი ყველაზე უფრო
დიდი, ლამაზი და ძველი სოფელია მთელ საინგილოში. ინგილოები
შას კაქს ეძახიან. ამავე სახელწოდებით არის ცნობილი საქართველოს
ისტორიულ წყაროებში. მათი ძველი მეზობელი აღბანელები მას კაქს
ეძახოდნენ, რაიც აღბანურად გრძელ ხეობასა ნიშნავს. მას სილაპა-
ზისა და მშვენიერი ადგილმდებარეობის გამო. პროფ. ხახანაშვილმა
საქართველოს თაგველი უწოდა. იგი გაჭიმულია ხუთი კილომეტრის
მანძილზე მდ. ქურმუხის ვიწრო ხეობაში, რომელსაც ერთის მხრივ
დასცექრის ულუბაშის მაღალი მთა თავისი უღრანი ტყეებით, ხოლო
შეორე მხრივ — ტყეებითვე შემოსილი ბალუდარის მთა თავისი ქურ-
მუხის წმ. გიორგის ეკლესიით.

ამ ვიწრო ხეობაში მოქუსს გივმავი მდ. ქურმუხი, რომელიც მთელ
სივრძეზე ჩაურბენს რა სოფელს, ალაზნისაკენ მიექანება. ამ მდინარეს
დიდი სარგებლობა მოაქვს ამ სოფლისათვის: მთელი კაკი დასერილია
შისი არხებით და თუ ის არა, ცუდად იქნებოდა ამ სოფლის საქმე. მიხ-

ტის, მიჰენაობს ქურმუხი ამ არხებში და ზევიდან გადმოჰყურებენ ძალა კავლისა და წაბლის უზარმაზარი ხეები.

ურუცნული

არხებს გვერდით მისდევს ქუჩები, სადაც ხშირობის უკავშირის გრძელი ჩამოსაჯდომი სკამები. დაბრძანდით, შესვენეთ ჩრდილში, ყური უვდევთ წყლის ღიკლიეს და ციბრუტივით ხტუნვას სიპ ქვებზე დასტკბით ბუნებით, რამდენიც გნებავთ.

კაქში ათას კომლამდე მოსახლეება, მაგრამ აქ მარტო ინგილიები არ მოსახლეობენ; მისი მოსახლეობის ნაწილს თათრები (მუღალები) შეადგენენ. ძველ დროში, როცა ღევთა ბატონობა იყო საინგილოში, რათა შეუპოვარი და ამაყი ინგილო მუღამ მორჩილებაში ყოლოდათ, კაკის თავისა და ბოლოში თათრები დაუსახლებიათ. ამის გამო კაკი სამი ნაწილისაგან შესდგება: კაკბაში (კაკისთავი), კაკინგილო და კაკმუღალი.

კაკელებს ბინებიცა აქვთ, ასეთები არიან: ყიმურლო, ქეშუტანი, ბახთალა, ღილი და პატარა ალათემური, ხარაბთალი. კაკის თათრებს არც ერთი ბინა არა აქვთ.

კაკი და მისი ბინები მთლად ჩაფლული არიან ბალ-ვენახებში. მთელ საინგილოში არსად იმდენი ღვინო არ მოღის, როგორც კაკში. აქაური ღვინო თუშტა მაგარი არ არის, მაგრამ მეტად სასამოვნო და გვმრიული სასმელია. ვენახის დამუშავებას ისევე მისდევენ, როგორც ქართლ-კახეთში. კაკის რაიონი აგრეთვე თხილისა, კაკლისა და ბრინჯის მოსაელით არის განთქმული.

ალიაბათი დიდი სოფელი, რომელიც 400 მცხოვრებამდე შეტანილია. იგი ცენტრია მუსულმანი ინგილოთა. მისი სახელი ძველად ელისენი ყოფილა და დღესაც კიდევ ამ სახელით არის ცნობილი ბევრგან. ლეკები მასა და მის მახლობელ ინგილოთა სოფლებს გურჯისტანს ეძახიან. შემდეგში, როცა მუსულმანობას მკვიდრად მოუკიდნა აქ ფეხი, ელისენი ალიაბათად შეუცვლიათ, რაიცა ალიას სოფელს ნიშნავს. ალიაბათი მაპმადიანობის ის ქვაკლდე იყო, რომლის წამოქცევასაც ქართველი სამღვდელოება ამაოდ ცდილობდა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში.

ალიაბათი ხუთი კილომეტრითაა დაშორებული ალაზანს, დაცუმულ სწორ ადგილზე მდებარეობს, დიდ მანძილზეა გაუანტული და ბალ-ვენახებშია ჩაფლული. ვაზია აქ მარტო მაღლარი იცის. პავა დამტცდელია, მაღლარია მისი მუდმივი სტუმარია. ზაფხულში უზომოდ დიდი სიცხვები

იცის, ისე რომ 12 საათის შემდეგ მინდვრად შუშაობა არ შეიძლება. სამავისეროდ, დაშით გრილი, ნოტიო და ბალაზიან აღვიღებულის წესი იაროთ. ფეხები დაგისველდებათ.

ზაქათალა სულ ახალი ქალაქია, რუსეთის შედრობის მიერ დაარსებული 1830 წელს, მთავარმართებელ პასკევიჩის დროს. თავდაპირველად მარტო ციხე იყო, რომელშიც ჯარი იდგა, ახლად შემოტებული ჭარ-ბელაქნისა და მთელი საინგილოს საბოლოოდ დასამორჩილებლად და დასამშვიდებლად. ეს მაღალი, სქეს-კედლიანი, დიდი ტევაღობის ციხე დღესაც კარგად არის შენახული. ამჟამად იქ შრომის არტელია მოთავსებული.

თეთი ქალაქი მთის ძირს, თაღჩაის გვერდით არის გაშენებული სწორ აღგილზე. ქალაქი კოხტაა, სუფთა, ირკვლივ უღრანი ტყეებით შემცული და დიდად სასიამოვნო სანახავია. ქალაქში რამდენიმე სასწავლებელია, რომელთა შორისაც ერთი სამეცნიერო და ერთი პედაგოგიური. მდიდარია ყოველგვარი ხილის მოსავლით, დაწყებული ლელვით და გათავებული იაპონური და აღვილობრივი ხურმით. ვენახებიც საქმიანი აქვთ ზაქათალას, აქაური დვინოები კარგი ვემოსია, ტანინი ნაკლებად აქვთ და სასმელად სასიამოვნოა.

ზაქათალაში არის თხილის სამტევრევი და ზეთის საბდელი ქარხანა, აგრეთვე კონსერვების პატარა ქარხანა. კველა ესენი საბჭოთა ხელი-სუფლების დროს არის დაარსებული.

ძველად მთელი ოლქის აღმინისტრაციული ცენტრი ზაქათალა იყო. ზაქათალა მაშინ ცალკე აღმინისტრაციულ კრონელს წარმოადგინდა, რომელიც პირდაპირ მთავარმართებელს ექვემდებარებოდა.

ბელა ზა ნ. ეს ის სოფელია, სადაც საქართველოს თვითარებობის უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ლეკთა ურდოები ირაზმებოდნენ და საქართველოს ასაკლებად მოღიოდნენ. დასახლებულია განსაუკრებით ავარელი ლეკებით, მათ შორის ურევია გალეკებული ქართველები, მაგალითად, კარინაძები, რომელთა ლეკერი გვარი გაღავევია, ერისთავები, ლეკერად ნასტაგაღოვები და სხვა ასევა.

ბელაქანი დღეს რაიონის ცენტრია, მრავალი ახალი შენობებით და დაწესებულებებით სავსე.

ბელაქანი განთქმულია მთელ საინგილოში თავისი მეხილეობით, განსაკუთრებით კი მსხლისა და ვაშლის საუკეთესო ჯიშებით, როგორც აღვილობრივით, აგრეთვე საზღვარგარეთულით. ხილს აქ დი-

და სამრეწველო მნიშვნელობა აქვს და დიდია გადის აქტუალურობა სეთის ქალაქებში. ბელაქანშივე მოყავთ დიდია თამაშები კულტურული ამჟამად თამაქო საინგილოში ყველვან მოყავთ, მაგრამ მდგრადი არის საუკეთესოდ ითვლება.

ეს ის უ ახლო წარსულის ისტორიული სოფელია, სადაც ელის სულთნის რეზიდენცია იყო. ის მდინარე ქურმუხის ვიწრო ხეობაშია შეკვედილი და მრავალი წყაროებით არის სავსე, რასაც გვიჩვენებს თვით სახელი სოფლისა: ეს ის თათრულად 50 ნიშნავს, ხოლო სუ — წყალს, ერთად კი ამ აღვილს გვიჩვენებს, სადაც 50 წყაროა. სოფელი მაღალი მთებით არის შემოუარგვული, აյ მუდამ გრილი, მსუბუქი პაერია და ის ნამდვილ სააგარაკო აღვილს წარმოადგენს. ძველ დროს ბარის განებივრებული ბეგები მული ოჯახობით ელისუში ამოდიოდნენ ხოლმე სააგარაკოდ ზაფხულის განმავლობაში.

ძველი ისტორიული ნაშთი, სულთანებისაგან დატოვებული, ელისუში ამჟამად სრულიად არაფერია. როდესაც ელისუს უკანასკნელმა სულთანმა დანიელ-ბეგმა რუსეთს უღალატა და დაღესტნის იმამის შხარეზე გადავიდა, მაშინ რუსეთის სარდლობამ მიწასთან გაასწორა ელისუ, თვით დანიელ-ბეგის სასახლე გადაბუგა, მისგან მარტო საძირკელიდა დარჩენილი და კარის მეჩეთი, რომლის გვერდით მშვენიერი ცივი წყარო ჩამოჩენილებს. დანილ-ბეგის შემდეგ რუსებს აქ ჯარები ჩაუყენებიათ და ციხე-სიმაგრეები აუშენებიათ, რომელიც დღესაც ხელუხლებელნი დგანან, ამ დროსვე ეკუთვნის ელისუს ცოტა ძველით მდინარე ქურმუხზე მშვენიერი ქვის ხიდის აშენება. ეს ერთადერთი ხიდია მთელ საინგილოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აშენებული. ელისუ განთქმულია საუკეთესო ლირსების ხალიჩებისა, ფარდავებისა და ჯეჯიმების დამზადებით, რასაც დიდი გასავალი აქვს მთელ აზერბაიჯანში.

სარიბაში ტიპიური ლეკური სოფელია; მდ. ქურმუხის სათავეში მდებარეობს, ფრიალო კლდის ნაპრალთა შორის, მივარდნილსა და საშიშარ აღვილას, საიდანაც გადახედვაც კი ერუანტელის მომვრცელია; ეს სოფელი პირელი ახალშენი იყო წახურელი ლეკუბისა საქართველოს ტერიტორიაზე. ის ისეთი მოუსვენარი იყო და მაბეზარი, რომ საქართველოს მფლებს არაერთხელ გაუგზავნიათ ჯარები მის დასასჯელად. დაღესტანში მიმავალთათვის ეს უკანასკნელი სოფელია საინგილოს ტერიტორიაზე და მგზავრთათვის ერთგვარ დასასვენებელ აღვილს წარმოადგენს.

ს ა ბ ა თ ლ ო. სარიჯის მინდვრებში ძველად დიდი სოფელი ყოფილა გაშენებული და მას, შეიძლება, საბათლო კი არ ერქვა, არამედ საბადლო. შეიძლება ვინმე დიდებულმა მოუნაცვლა სტენს წევმნული მამული და სამაგიერო აღვილს საბადლო დაარქვეს. დადგინდებულების აღვილი მიტროვებული იყო და შხოლოდ წარსული საუკუნის ბოლო წლებში აქ სომხები დასახლდნენ ძველი სოფლის ნაოხარზე. ახალმა მოსახლეობამ სახლკარისათვის აღვილის გათხრის დროს ბევრი ძველი ნივთეულობა, ავეჯი და ფულები იპოვა. ამ სტრიქონების დამწერს მისცეს მეტად ორიგინალური ჭურჭელი ღვინისა და წყლის დასალევად და ბურთის მინავარი მეტად მძიმე რენეული, შეაში გახვერტილი. საუბედუროდ, ამ ნივთებმა მუშეუმამდე ვერ მიაღწიეს, საილენძის ფულები კი, რომლებსედაც გამოსახული იყო ლომი ან ცხენი, თბილისის სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა. საჭიროა აქ გათხრების წარმოება.

ა ღ მ ა ღ ლ ო თათრების დიდი სოფელია ალაზნის სიახლოეს, კაჯის რაიონში, ამ სოფლის მახლობლად, ალაზნის ნაპირას, უშველებელი სიმაღლის კლდეა, ვერტიკალურად ჩათლილი ალაზნისკენ. ამ კლდეში ბევრი გამოქვაბულია ალაზნის მხრიდან, ტროკლოტიდთა საცხოვრებელი ბინების ტიპისა, რომლის მსგავსიც ბევრია საქართველოში. ხალხის გაღმოცემით აქ ცხოვრობდა ლეგენდარული გმირი ქოროლლი, რომლის შესახებაც ბევრი თქმულებაა დარჩენილი აზერბაიჯანში. ამ გამოქვაბულების ცოტა მოშორებით დიდ მანძილზე გაფანტულია ძველი სასაფლაო. მიცვალებულებს გრძელი საფლავის ქვები ადევთ. ეტყობა, ზოგს წარწერებიც პქონია, მაგრამ დროთა განმავლობაში წაშლილა. ერთ ქვაზე კი ატყვევა მკრთალად: „ლეგრიონ შეიწყალე ამა...“ საჭიროა აქაც გათხრების წარმოება.

ყიფ ჩაღის და მის ირგვლივ ათმდის პატარა სოფლის მცხოვრებები ანტროპოლოგიურად, სახის გამომეტყველებით, მიმოხვრით, ხასიათით სრულიად არა გვანან საინგილოს დანარჩენ მუღალებს (თათრებს). ეს ყიფჩანი, საფიქრებელია, ჩამომავალი უნდა იყენენ იმ ყიფჩალებისა, რომელიც ჩრდილო კავკასიონა გადმოიყვანა დაეკო აღმაშენებელმა. ადეილად შესაძლებელია, შეფეხ ისინი აქ იმ მოსაზრებით დაასახალა, რომ საქართველოში მომავალი მტრისათვის აქვა, საზღვართან, მძლავრი ძალა დაეხვედრებინა, ეს, შეიძლება, ისეთივე მოსახლეობა იყო საზღვრების გასამაგრებლად, როგორც ყაზახობა მცფის დროის რუსეთში.

ა ლ ა თ ე მ უ რ ი, ლ ა ლ ა ფ ა შ ა, ე მ უ რ ჯ ა ნ ლ ო ა მ ს ა მ ე დ ე ბ
ბით ცნობილია საქართველოს მტრის ჯარების და ურდიობის სარც-
ლები, რომელიც საინგილოში დაიბანაკებდნენ ხოლმე ურაზუსტებების
დევში მათ ნადვომ ადგილებში სოფლები გაშენდა, შემთხვევაში კა-
რექვა ამ სოფლებს.

ალათემურის სახელით ცნობილია ორი სოფელი — დიდი და პა-
ტარა ალათემური, ორივე ინგილოებით არის დასახლებული. დიდად
შმრომელი ხალხია და კარგად ცხოვრობენ. ლალაფაშა გადაგვარებუ-
ლი, გათათრებული სოფელი ინგილოებისა, სადაც ამჟამად ქართუ-
ლად აღარავინ ლაპარაკობს, ემურჯანლო კი წმინდა წახურელი ლე-
კების სოფელია, საკუთარი წახურული ენა დავიწყებიათ და აზერ-
ბაიჯანულად ლაპარაკობენ.

სამთავე ამ სოფელში დიდძალი ბაღებია თხილისა, ვერსად მთელ
საინგილოში ამდენ თხილის ბაღებს ვერა ნახავთ, როგორც ა. მას
აქ დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს, ვერ ნახავთ ისეთ ოჯახს,
რომელსაც რამდენიმე ათეული ფუთი თხილი არ მოსდიოდეს ყო-
ველწლიურად. თხილი აქ მეტად გემრიელი და ზეთიანი მოდის. სა-
ზოგადოდ კი მთელ საინგილოში დიდძალი თხილი მოდის, ამ მხრივ
საინგილოს პირველი ადგილი უჭირავს მთელ რესეტში.

ქ ო თ უ ქ ლ ი პატარა კოხტა სოფელია ინგილოებით დასახლე-
ბული; აქ სულ 40 მეტამურია. სახლები ჩამწკრივებული აქვთ ერთ
ფართო ქუჩაზე, რომელსაც მდ. ქურმუხის ვამოუკანილი არხი ჩამო-
უდის. არხზე ვამართულია რამდენიმე ბრინჯის საცეხე წყლის დინ-
გი, სადაც ყველა მახლობელ სოფლელებს მიაქვთ ბრინჯი დასაცეხ-
ვად. ხალხი ამ სოფელში ძალიან მშრომელია: დიდძალი ბრინჯი და
სხვა ხორბლეული მოჰყავთ. სოფელი შეძლებულია და სტუმართ-
მოყვარე.

ს უ ს კ ე ნ ტ ი, ანუ ძველი სოსიეანთ კარი მდებარეობს კაკიდან
სამი კილომეტრის მანძილზე, მთავარი გზატყეცილის გვერდით. ამ
სოფლის მთელი მოსახლეობა ჯანაშვილები ყოფილან, მაგრამ ელი-
სუს სულთანს, ბაბახანს, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში დაუსახ-
ლებია აქ დაღესტანიდან გაღმოსულები ლეკები, რომელნიც არეულან
ინგილოებში. დროთა განმავლობაში ინგილოებსაც და ლეკებსაც დაუ-
კიწყიათ საკუთარი შშობლიური ენა და ყველანი აზერბაიჯანულად
ლაპარაკობენ.

თას მაღი ის სოფელია, სადაც ძველად მბლავრი ყოფილი ქრისტიანობა, შემდეგში კი ძალიან შესუსტებულა. ამ სოფელში კონკრეტულა დიდი ეკლესია, რომლის ხაძირებელი დღესაც მოსჩინეული ცხოვლის დიდი დღესასწაული სცოდნია, სადაც შოელი ჭარბი მცხოვრილია იქრისტიანული მართლწერილობის მიმდევარი.

პენგიანი ბარში გაშენებული სოფელია, ალაზნის სიახლოეს, მთლიან ბალ-ვენახებში ჩაფლული. საინტერესოა ამ სოფელის სახელწოდება. სიტყვა პენგი ნიშნავს, როგორც ზემოთ აღვნიშვილი, ქალის მაყარს. ვფიქრობთ, რომ ამხედრებული ქალის მაყრად გატანება, რომელსაც ქვეითი მამაკაცი მოსდევს, მატრიარხატის დროიდან უნდა იყვეს დარჩენილი, როდესაც ქალი იყო უფროსი ოჯახისა და მმრბელები ყოველივე საქმისა. ამ წესწყობილების ნაშთი უნდა იყოს ლეგინდა ამორმალებზე, რომელთა საცხოვრებელ ტერიტორიად ძველი კლასიკოსი მწერლები ჩვენი აღმანის მთიან ნაწილს სთვლილნენ. შეიძლება დღევანდელი პენგიანის სახელიც სწორედ აქედან იყოს დარჩენილი. ამ შემთხვევაში სიტყვა პენგილო (ინგილი), როგორც თვით ინგილობი ეძახიან თავიანთ თავს, დაკავშირებული იქნება მითიური ამორმალების ქვეყანასთან.

შოთა ვარი გათათრებულ ინგილოთა ტიპიური სოფელია, ღარიბსა და მჭღვე ადგილას ვაშენებული. ამ სოფელს დიდებული შოთას სახელი დარქმევია, მაგრამ დღეს შოთაერელები თავიანთ თავს ქართველებად აღარ აღიარებენ, თათრები ვართო, გეტყვიან ერთხმივ. 1907 წელს პირველად ვიყავი ამ სოფელში და ერთი კაციც ვეღარა ენახე ქართულად მოლაპარაკე. როცა განკუმარტე მათი ჩამომავლობის ამბავი, იმათ გულისტყვილით მითხრეს — ქართველები ვართ, განა არ ვიცით, მაგრამ ჩვენ უპატრონოდ დავრჩენილვართ, ქართველებს ჩვენთვის აღარ მოუხედნიათ და ჩვენც გავთათრებულვართ და ენაც დავვიწყებიათ.

შოთული ალაზნის სიახლოეს გაშენებული სოფელია. საინტერესოა მისი სახელწოდება. როგორც ვიცით, ამ სახელით დიდი ქალაქია ცნობილი ოსმალეთში, ირანის საზღვრის სიახლოეს. ადვილად შესაძლებელია, მასა და საინგილოს მოსულს შორის საერთო იყვეს რამე, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ამ სოფელის სახელი ახლად მოსული ხალხის, ე. ი. ახალშენების სახელთან იყოს დაკავშირებული.

ზერნა ბრინჯის სამშობლოა, აქ მოდის ის საუკეთესო ბრინ-

ჯი, რომელსაც ღიღად აქვს სახელი განთქმული თბილისის ბაზარზე
და რომელიც ცნობილია „ზერნა ბრინჯის“ სახელით. აქაური, ბრინჯი
გერიელია და ხარშეაში ძალიან მატულობს. საზოგადოდან უკრუკი
ლოში ღიდმალი ბრინჯი ითესება ყველგან. ბრინჯის მიზანური უკრუკი
საჭმელია ინვილოსი და ის დღეს, როცა ბრინჯის საჭმელი არა აქვს
ინგილოს, თავის თავს შშიერადა სთვლის. ბრინჯის დასაცეხვად (ე. ი.
კანიდან გასანთავისუფლებლად) აქ ორ გვარ ე. წ. დინგსა ხმარობენ
უკრუკისასა და წყლისასა.

VIII

ისტორიული ნაშთები

საზოგადო მიმოხილვა. — შაწინის ციხე, — ბელაქნის უძველესი ეკლესიები და
შონასტერი. — კატეხი და მაწეხი. — დველი უფანი. — ბაზთალა და მისი ტაძარი. —
ლექეთი და მისი მონასტრების ნანგრევები. — ცეკვისური ნაშენობანი. — გალუკა.
— უკმის ტაძარი. — მისი ისტორიული წარსული. — ქურმეხის წმ. გიორგი. — გერუხი.
— გოში და მისი სამოავრო ტაძარი. — კონიში. — ნუხა. — ვართაშენი და მისი ეკ-
ლესია — კავანისი კედელი. — თქმულებანი ამ კედელზე.

მდიდარია საინგილო არქეოლოგიური ნაშთებით. მთის კალთები,
მთაში ღრმად შეჭრილი ხეობები საესენი არიან საქართველოს წარ-
სულის ძეგლებით. კლემენტი, მონასტრები, კოშკები, ციხეები თით-
ქმის ყველგან კვევდება. მაგრამ ყველა ისინი ჯერ კიდევ შეუსწავ-
ლელი არიან, არქეოლოგთა და ისტორიკოსთა მაღლიანი ხელი ჯერ
არ შეხებია მათ, არავის აუწერია და გაუშეუებია მათი წყვდიადით
მოცული წარსული. საჭიროა ამ არქეოლოგიური ნაშთების შესწავლა
და პატრონობა, რადგან ღროთა ვითარებისაგან ისინი ირლვევიან,
ტიალდებიან.

ამ ძეგლებისადმი უყურალებობით საჩვებლობენ ადგილობრივი
მცხოვრებნი და ძეგლების მასალას თავიანთი საჭიროებისათვის იყე-
ნებენ. ამრიცად დაიღუპა ბელაქნის ძეგლი ლავრა, სადაც მოღვაწეობ-
დნენ პიმენ სალოსი და ანტონ ნაოხრებლიძე. დაიღუპა აგრეთვე შესა-
ნიშნავი კავკასიის კედელი, რომელიც კარგა მანძილზე პარალელუ-
რად მისდევდა მთელ საინგილოში გაჭიმულ დიდ შარაგზას. ჩემს
ოვალწინ დაანგრიეს 1915 წელს ლეკებმა კუმის დიდი ეკლესია და მა-



1. ბახთალის ღვთისმშობლის ეკლესია ლევან მეფისაგან აშენებული



2. დექემბერის მონასტრის ერთი სენაკუთავისი, რომელსაც შევიდან ფარავერია



3. კაცები სოფელ კაკიდან



4. ქალები სოფელ კაკიდან საღლესასწაულო ტანსაცმელში


ԱՐՄԵՆԻԱ
ՀԱՅՈՒԹՈՒՅ



Տ. յանձնաւ, պատկեր Ազգային խոր թագավոր (Խաչքարական խոր առանձ թագավոր),
Խաչքար պատկեր կայսր Տայարական խոր առանձ թագավորականը:



6. ქალები სოფელ ალათეშურიდან საღლესასნაულო ტანსაცმელში



7. Ճանաչելութիւնը, Բայց այսպէս հայտնաբերված է առաջին աշխարհացման ընթացքում

ეროვნული
ბიბლიოთეკი



8. ნუალზე მიმავალი ქალი სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი

სალა თავითანთი სახლების ასაშენებლად გამოიყენეს. მაშინდევმა პი-
ლიციამ ჩემი დავინებული მოთხოვნის გამო შეაჩერებინა მისი ნვრევა.

ამ გარემოებამ გვაიძებლა ეს მიტოვებული ძეგლები შემთხვევაში,
აკვენესხა, შეგვესწავლა და დაწვრილებით აგვეწერა. ბეჭედის გადაწყვეტილება

აღწერა დავიწყოთ იქიდან, სადაც კახეთის საზღვარი თავდება და
საინგილო იწყება, ე. ი. ბელაქნის რაიონიდან და თანდათან გავყვეთ
ნეხა ვართაშნამდე.

კველაზე შესანიშნავი და საყურადღებო ბელაქნის მიდამოებში
მაჭის, ანუ მაწინის ციხე-ქალაქი*, რომელსაც აღვიღობრივი ღევები
ფური-ყალას ეძახიან, ე. ი. თამარ დეღოულის ციხეს და რომელიც
რაჭისწყალზე მდებარეობს, ღევების ღღევანდელ მაზიმჩაიზე. ახლან-
დელი გზატკეცილიდან რომ აყვეთ მაჭისწყალის ხეობას, ასე 5—6
კილომეტრის სიშორეზე დაგხვდებათ უზარმაზარი ციხე-სიმაგრე.
მეტად მიუღვომელ აღვილას მდებარეობს ეს ციხე-სიმაგრე და სტრა-
ტეგიულად უაღრესად მოხერხებული აღვილი უჭირავს. იმ აღვილას,
სადაც ციხე მდებარეობს, ერთდება ორივე მაზიმჩაი, ასე რომ ციხე
ნახევარკუნძულზეა მიმწყვდეული. საშინლად მაღალია ეს ნახევარ-
კუნძული: მაზიმჩაის კალაპოტიდან რომ ვიანგარიშოთ 40—45 მეტრ-
ზე მაინც იქნება. კვერდები კეტიკალურად აქვს ჩათლილი ამ ნახე-
ვარკუნძულს, ისე რომ მასზე ასელა შეუძლებელია, მაგრამ ამშენე-
ბელს, რათა უფრო მიუვალი გაეხადნა ციხე. ბუნებრივ სიმაგრისათ-
ვის თვეისი ხერხიც მიუმატებია და ნახევარკუნძულისთვის ჩრდილოე-
ეთის მხრივ, ე. ი. იმ მხრიდან, საიდანაც წყალი არ უვლის, მიწა ჩა-
მოჭრია იმდენად, რომ ციხე ამ მხრიდანაც სრულიად მიუღვომელი
ვაუხდია. ისეა დღესაც ციხე შენახული, რომ მასზე ასელა კიბეებიც
ფოფხევით შეიძლება მხოლოდ. მთელ ციხეს, რომელიც ამ ხელოვნურ
კუნძულზეა მოთავსებული, ორი პეტარის ოდენა ფართობი უჭირავს,
რომელსაც ირგვლივ ორიარი კედელი ავლია. პირეელი, ე. ი. შიგნი-
თა კედელი, თხელია, ორ მეტრს არ აღემატება.

შიგ ციხეში პატარა, კარგა შენახული ეკლესია, რომელსაც თაღი
დღემდე არ ჩამონგრევია, სიგრძით 10 მეტრი იქნება, სიგანით — 6;
სამხრეთის მხრიდან კარი აქვს, ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან, სა-
კურთხველში, პატარა გრძელი ფანჯარა. მთელი ეკლესია აგებულია

* იბ. „ქართლის ცხოვრება“, გვ. 419.

რიყის ქვით, შივნით გალესილი. არავითარი მხატვრობა კოდაგზე
(ფრესკები) არ მოიძებნება.

ციხეში თლილის ქვით ამოუკანილია აუზი, რომელშან წარწერული
და სიგრძე-სიგანე ექნება. აუზის მახლობლად აკლდშემზღვული სულტანი
მები მთლად მიწაში არიან მოთავსებული და კაცი ვერც შეამჩნევდა,
რომ აღმოსავლეთის მხრიდან პატარა ქარები არა ჰქონდეს დატანე-
ბული. აკლდამებს, როგორც თაღები, ისე კედლები თლილი ქვით
აუც ამოუკანილი. ძნელი სათქმელია, ეს სამარხები იყო, თუ სხვა რამ.

ამ აკლდამებს ზევიდან დადი ქვა ედვა, ასოთმთავრული წარწე-
რით, სადაც მოხსენებული იყო ბავრატ აფხაზთა მეუე და მისი ყმა
აღსართან კახთა და რანთა მფლობელი. კარგახანია ეს ქვა აქ აღარ
არის, მხოლოდ ადგილს ეტყობა, საიდგანაც აუღიათ იგი. ადგილობ-
რივ მცხოვრებამა ლაგოდეხელებმა მითხსეს: რამდენიმე წლის წინათ
მოვიდა რამდენიმე მკვლევარი თუ ტურისტი, იღეს ქვა და უკრგუ-
ნით თბილისისაკენ წაიღესო. ვინ იყვნენ ისინი, ან სად წაიღეს ის შე-
სანიშნავი წარწერიანი ქვა, ვერავისავან ვერ გავიგე.

ციხეშივეა სასახლე, ანუ პალატი, მაგრამ ჩამონიგრულა და მარ-
ტო კედლებილა ემჩნევა.

ამ ციხის შესახებ ბატონიშვილი ვახუშტი ამბობს: „ამ ხევზედ
არს მთასა შინა თოღა, სასახლე მეუეთა, ურიად მშვენიერ ზაფხულს.
ამას ეწოდა მაჭი.“* მართლაც პავა იმდენად გრილია აქ და ბუნება
იმდენად საუცხოოა და მომხიბლავი, რომ საუკეთესო ავარავი იქნე-
ბოდა დღესაც, ხეირიანი მისასვლელი გზა რომ ჰქონდეს. ამიტომ შე-
იძლება მეუეთა სააგარავი ყოფილიყო აქ, როგორც ვახუშტი ამბობს.
გარდა ამისა, აქ შემდეგში რეზიდენცია იყო მაჭის ერისორავისა, რო-
მეურიც 1431 წელს ვაუქმდა. ერისორაბის მაგიერ დარსდა ჭიათურის
მოურაობა.

დაუბურუნდეთ თვით ბელაქანს. ბელაქნიდან ოთხი კილომეტრის
მანძილზე, მთის მცირე უერდობში, მშვენიერი აგურის ეკლესია ავე-
ბული. მთელი ეკლესია ისეთი წითელი ავურით არის აშენებული,
რომ აღამიანს ეკონება საღებავი წაუსვამთ და იმით გაუწითლებია-
ოო. ამ ეკლესის დარბაზის ეკლესის ებაზიან, ლექურად დარვაზკი-
ლისა პქვია. სიგრძე 16 მეტრი აქეს, სიგანე — 10; თაღი მშვენივრად
არის შენახული და წვიმა არსაიდან ჩადის. ზევიდან დახურულია
თლილი ქვით. კარი საში აქეს: ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავ-

* ვახუშტი, აღწერა სამეცნისა საქართველოისა, თბილისი, 1941, ვ. 98.

ლეთით, რომელთა სიმაღლეც მეტრნახევარს არ აღემატება. ვარებაშ
ჩრდილოეთისა და სამხრეთის კარებს მიღვმული პქონია კარიბჭენი,
სიგრძით 6 მეტრი, ხოლო სიგანით 3 მეტრი. ჩრდილოეთისა და სამხრეთისა
კარგად შენახულა, ხოლო სამხრეთისა ნახევრად ჩამონჯერებული მასიური
საელეოთიდან მიშენებული პქონია დიდი სამრეკლო, რომლის საძირკვე-
ლიდა ეტყობა. იგი სიგრძით 10 მეტრია, სიგანით — 4. არსად, მოელს
ეკლესიაზე წარწერა არ მოიპოვება. ეკლესიას ირგვლივ დიდ მანძილ-
ზე ქვის გადავანი ერტყა, რომელიც ამჟამად მთლად დანგრეულია.
ეკლესიის მახლობლად ბევრგან ნასახლარებია.

ამ ეკლესიდან აღასწინისაკენ პირი რომ იბრუნოთ და 25 კილო-
მეტრი გაიაროთ, მიაღვებით ლეკების ბინას, რომლის შასლობლად
დაგხვდებათ ამგვარივე ეკლესია; იგი ისეთივე წითელი ავტოსაგან
არის აგებული და ისეთივე სიგრძე—სიგანისაა, როგორც პირველი. ეს
ეკლესია პირწავარდნილი ასლია პირველისა და ზედ გადასცერის
რამდენიმე ნაბიჯის იქნით ნელად მოღეღუნე აღაანანს. ამ ეკლესიასაც
ლეკები დარვაზებილისას ეძახიან. ორივე ეკლესია ერთისა და იმავე
პირისაგან უნდა იყოს აშენებული, უფრო კი მეუე ლეკებისაგან. მის
ღრმში წვერებად შემოვიდა აგურისაგან ეკლესიების შენება. საინ-
გილოში იმავე მეუე ლეკებისაგან ბახთალაში აშენებული ეკლესიაც
წინდა ავურით არის ნავები, რაიც ქვისა და კლდის უქონლობით არ
აიხსნება. აგურისგანვე არის აგებული იმავე ხანებში თინათინ დე-
დოფლისაგან კახეთში შეამთის მონასტერი, რაიც ნათლად ცხადყოფს
იმას, რომ მაშინ ერთვარი გატაცება ყოფილა აგურის შენობების
აგებისა.

მაგრამ რას ნიშნავს თვით ხახელწოდება ორთავე ეკლესიისა —
დარვაზებილისა? ადვილად შესაძლებელია, რომ ორთავე ამ ეკლესიას-
თან იქრიცებოდნენ სამეცოს წარჩინებული პირი, დიდებული, და
სჯა-ბაასი პქონდათ თანამედროვე საჭირბორო საკითხებზე.

ნუ რ-ე-ი ლ ი ს ა, ბელაქანშივე, სოფლის ბოლოში, სახნავი მამუ-
ლების შეაში, ეულად გამოიცირება მომცრო, კოხტა ეკლესია, რო-
მელსაც ლეკები ნურ-ქილისას ეძახიან, რაიც მაღლის ეკლესიას ნიშ-
ნავს. სიგრძე ეკლესიისა 20 მეტრია, სიგანე — 14. აგებულია რიყის
ქვისაგან. თაღი კარგად არის დაცული, წვიმა არსად არ ჩამოდის.
ეკლესია თეთრად ყოფილა გალესილი. საკურთხეველი ერთიანია, აღ-
მოსავლეთის მხრივ მომრგვალებულია და შიგ ჩატანებული აქვს
გრძელი ვიწრო ფანჯარა. კარი მხოლოდ ერთი აქვს, დასავლეთის

მხრიდან. ამავე მხრიდან მიშენებული აქვს დიდი სამრეკლო. ჩოტები დაც დიდი ტაძრის სამრეკლოს უფრო მოგვავონებს, ვიდრე მამცრო ეკლესიისას. სამრეკლოს, რომელიც დღესაც კარგად უჩიტეს სიგრძე 8 მეტრი აქვს, ამდენივე სიგანე და შესაუტრიცტიც მრჩევულ მოდან გუმბათი რვაკუთხიანია და კუთხეს შეა ჩატანებული აქვს თითო სარკმელი. თავი კონუსივით აქვს მოდგმული და მოლად წმინდა აგურისაგან არის აგებული. აშერაა, ეკლესია და სამრეკლო ერთსა და იმავე დროს არ აუგიათ, სამრეკლო ბევრად უფრო გვიან უნდა იყოს აგებული, ვიდრე ეკლესია. ეკლესიას გვერდით შშვენიერი წყარო ჩამოუდის. ხალხის გადმოცემით, ძველ დროში ამ წყაროს წყლით ბევრი ავადმყოფი იურნებოდათ, მაგრამ რაც ეკლესიაში ქრისტიანული ღვთის ვედრება შესდგა, სამკურნალო თვისებაც დაპარავდა წყარომათ.

მოელ ბელაქანში აჩაზე უკოორის ეკლესია არ შენახულა ჩვენს
დრომდას.

ხუბარი. მუა სოფელში პატარა გორაკია, რომელსაც ხუბარს ეძახიან. აქაც ყოფილა ეკლესია, რომლისგანაც დღეს მხოლოდ საძირ-კველია დარჩენილი. ეკლესის ირგვლივ საფლავის ქვებია, რომელ-თავისი თავით დასახულება ამწევია წარწერა. ერთი ქვა, რომელსაც ასომთავრული წარწერა აქვს, მეტრაზევარი იქნება სიგრძით; ზედ აწერია: „ქრისტე მოიხსენე სული ბირთველისა ესე ქვა მისი არს“. მეორე ქვას მხედრული ასოებით აწერია: „განუსვენე მარაშევილს...“ (შემდეგი სიტყვები გაურჩეველია). მესამე ქვას ასეთი წარწერა აქვს: „ქრისტე მოიხსენე საფლავსა ამის მდებარე“.

ამ ადგილს მოწინებით ექცევიან ბელაქნელები. ადგილობრივ მოლას თურმე, სიხშარში უნახავს, რომ იმ ადგილას ანგელოზები ჩამოსულიყვნენ ზეცილან და ვითომ ხალხს უწყრებოდნენ, რად წაგიბილწავთ ეკ ადგილი, მანდ წმინდანები მარხია. მას შემდეგ, მოლას თხოვნით, ეს ადგილი შეუღობავს ხალხს და საქონელსაც აღარ უშვებენ შიგ.

ლექსილი ყოფილა, კედლის მხატვრობაც პქონია, რომელიც ახლა გა-
ტათლა ეტყობა. სამხრეთის მხრიდან მეტრნახევრის საფრანგული და
პქონია და აღმოსავლეთის მხრიდან პატარა ფანჯარა. გიგანტური კა

მო კავკილისა. არ შეიძლება არ მოვისხუნოთ ბელაქნის
წყლის პირას მდებარე ისტორიული კეერნაკი, რომელზედაც ეკლესია
ყოფილა და რომელსაც ლეკები კოკავ-ქილისას ეძახიან. ამბობენ, ვი-
თომ ეს კეერნაკი ხელოვნურად ყოფილიყოს აგებული. იგი 80 კვადრ.
მეტრიან ფართობს შეიცავს და ირგვლივ შემორტყმული აქვს ორი
მეტრის სიმაღლე კედელი. ამ კეერნაზე მდგარა კოხტა ეკლესია; იქი-
დან მშვინიერი გადასახედია და ხელისგველივით მოსჩანს ბელაქნის
ხეობა. ეს ეკლესია ვინმე ფანატიკოს პავი მურიუზას, 1863 წლის
აჯანყების მოთავეს, დაუნგრევია და მის აღაგას ორსართულიანი სახ-
ლი წამოუჭიმავს. დიმ. ჯანაშვილის გადმოცემით, აქ იყო ლავრა, სა-
დაც პიმენ სალოსი და ანტონ ნახტერებლიძე მოღვაწეობდნენ.

გარდა ამ ეკლესიებისა, ბელაქნისა და მის მიდამოებში უამრავია
მცირე ეკლესია. თითქმის ყოველ 300—400 მეტრზე ნახავთ მომცრო
ეკლესიებს, რომელნიც, აშკარაა, საგვარეულო ეკლესიები უნდა ყო-
ფილიყვნენ.

ავე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ბელაქნის წარსულიდან, რომ
1604 წ. თინათინ დედოფალს შუამთის მონასტრისათვის შეუწირავს
ბელაქნის მცხოვრები: ხ კომლი ებრაელი და ორი კომლი ქართველი.*

ბერთაბინა. ბელაქნიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე
მდებარეობს ლეკების ბინა, რომელსაც ბერთაბინას ეძახიან. აშკა-
რაა, აქ ძველად მონასტერი უნდა ყოფილიყო და სწორედ აქედან დარ-
ქმევია ამ ბინას ასეთი სახელი. ამჟამად აქ მაღალი კედლებიღა დარ-
ჩენილა ყოფილი შენობებისა, რომელნიც ნანგრევებს წარმოადგენენ.
ამ მონასტერს, როგორც ეტყობა, ბევრი სხვა შენობებიც პქონია,
რომელნიც ლეკებს საცხოვრებელ ბინებად გადაუკეთებიათ. გამოვ-
კითხე ამ ბინაში მცხოვრებ ლეკებს ამ მონასტრის ამბავი, მაგრამ
ისინი ერთხმად ვაიძანიან, არ ვაცით, აქ რა იყო; ჩვენები რომ მი-
სულან, ეს ცარიელი კედლებიღა დახვედრიათ.

კატეხი და მატეხი. ბელაქნიდან მთავარ გზატკეცილს რომ
გაპყვებით ზაქათლისაკენ, შეგხვდებათ ორი დიდი სოფელი — კატეხი
და მატეხი. დღეს ორივე ლეკების დიდი სოფელია.

* უარცებადე, «Дворянский двор, 2 том», гл. 25.

მცხეთის სვეტიცხოველს კატებში პერია დიდისაღი მაქალი და
 დიდი ეკლესია, აგებული ძველად 697 წლამდე. საუძირებელი უკან-
 ტულ წყაროებში ვერა ვპოვებთ, თუ ვინ იყო მისი მემკებელი იქნებოდა არის მეფე, რო-
 საუკერებელია, რომ მისი მემკებელი იქნებოდა არის მეფე. რო-
 მელმაც რამდენიმე ეკლესია ააშენა პერეთში შე-7 საუკუნეში. 697
 წელს არაბთა სარდალმა ალი ემირმა დაიბყრო აქაურობა და ეკლე-
 სიასაც წაართვა ყოველი მისი შემოსავალი.* შემდევში, მე-11 საუ-
 კუნეში, საქართველოს კათალიკოსმა მელქისედევმა განახლა ეს ეკ-
 ლესია და მისი ჩამორთმეული მამელი ისევ სვეტიცხოველს დაუბ-
 რუნა. „მივიღე პერეთის მონასტერი დიდითა ძალითა და ლაპოეთი
 და პერეთისავე ეკლესია შემოსავლითა მისითა“, სწერს კათალიკო-
 ლა პერეთისავე ეკლესია განახლებული ეკლესია დიდი იყო და
 სხ.** თუ ეს კათალიკოსისაგან განახლებული ეკლესია დიდი იყო და
 შესანიშნავი, ჩვენ ასეთი ვერაფერი ვნახეთ დღევანდელ კატებში.
 კატების ცოტა მოშორებით, ეგრეთწოდებულ ყაბაზდარაში (ვიწრო
 ხელი) ვნახეთ კარგად და უსული ორი მომცრო, თანატოლი ეკლესია,
 ხელი) ვნახეთ კარგად აქვთ შენახული და არსად წვიმა არ ჩადის;
 აშენებული, თაღი კარგად აქვთ შენახული და არსად წვიმა არ ჩადის;
 აშენებული, თაღი კარგად აქვთ შენახული და არსად წვიმა არ ჩადის;
 არსად წარწერა და სხვა რამ მორთულობა არ შენახულა. მოელი მიღა-
 მო დღი მანძილზე ტყით არის დაფარული, ხოლო შიგადაშივ ნახახ-
 მო დღი მანძილზე ტყით სოფელი თავდაპირუელად აქ იყო
 დარებია გარეული. იქნებ თვით სოფელი თავდაპირუელად აქ იყო
 გაშენებული და მერე ქვევით ჩავიდა. კატების ირგვლივ ბევრგან
 არის ნაეკლესიარი და ნაციხარი ადგილი, მაგრამ ამჟამად ყველგან
 ნანგრევებია. ასეთსავე ნანგრევებს წარმოადგენს კორკორა მთაზე
 არსებული ციხე, ხადაც, ხალხის გაღმოცემით, დროვამოშვებით
 მსხდარან გაჭის ერისთავნი და გაღმა მხარის მოურავნი.

ვიფანი ანუ ვახუშტის ფილინეთი. ქალაქ ზაქათლიდან 6 კი-
 ლომეტრის განძილზე, თაღისწყლის გაღმა, ფიფანის მინდორზე, სა-
 დაც ახლა თამბაქოს საბჭოთა მეურნეობაა, დღემდე დარჩენილა სამი
 ეკლესია. ერთი მათგანი, რომელიც მისავალშივეა, მოლად დარღვეუ-
 ლია და სუროთი და ჩადუნა ბალახით არის შემოსილი, ხოლო შიგ
 საუკრთხეველში დიდი კაკლის ხე ამოსულა. კარგად შენახულა მეორე
 ეკლესია, რომელიც ნახევარი კილომეტრით იქნება დაშორებული
 პირევს. შენობა ხომალდისებურია, ორსართულიანი, თუმცა დრო-

* „ქართლის ქხოვრება“, გვ. 222.

** თ. ფილინი: „ქრონიკები“, ტ. I, გვ. 185.

თა ვითარებას იმდენი მიწა მიუყრია, რომ ორსართულიანობა ძლიერ ეტყობა. შეორე სართულიდან იატაკი ჩანგრეულია და იქიდან კარგადა სჩანს ძირის შენობის შიგნი ნაწილი, რომელიც ორი განვითარებული ბისაგან შესდგება. ორივე განყოფილება ანუ ოთახი გაყოფილი აქტუალურება კირის ეკვივალით. ორივეში პყრია დამტკრეული ძეგლები და საფლავის ქვები. ეტყობა, იქ დასაფლავებული ყოფილან ქვეყნის დიდებულია და მმართველნი. შეიძლება იქვე ინახებოდა საეკლესიო განძიცლებებმა, თურმე, აქ ერთი აკლდამის ვათხრის ღროს იპოვნეს ორი მტკაველის სიგრძე ოქროს ჯვარი წარწერებით. ჯვარი დამტკრის და გაიყვეს.

ეკლესია უგუმბათოა, თაღი მშევნიერად აქვს შენახული და წვიმა და ნიაღვარი არ ჩადის. ეკლესიას 16 მეტრი სიგრძე აქვს, 10 სიგანე და 15 სიმაღლე. ორთავ მხრივ ეკლესიას სამხაროები აქვს მიშენებული. სამხაროების სიგრძე 16 მეტრია, სიგანე 4, სიმაღლე 6. ეკლესიაში წარწერებიანი ფრესკები არ მოიძებნება.

ეკლესია უძველეს დროში უნდა იყოს აშენებული. მისი სამხაროები იმის მომასწავებელია, რომ იმ ღროს, როცა ეკლესია აშენებულა, ბლომად ყოფილან კათაკმეველნი, რომელთათვისაც არსებობდნენ ეს სამხაროები. გარდა ამისა, ეკლესიას არც ერთი ავტრი არა აქვს ჩატანებული.

მესამე ეკლესია მთის ფერდობზეა აშენებული და მთლად დარღვეულია. შესაძლებელია, ეს იყოს ის ეკლესია-მონასტერი, რომელის შესახებაც ვახუშტი ამბობს: „ჭარს ზეით არის მონასტერი გუნბათიანი, კეთილშენი, კარგს ადგილს, ხოლო მშეამად უკმი“. *

ბახთალის ღვთის მშობლის ეკლესია. ფიფანიდან რომ წახვიდეთ პირდაპირ ალაზნისაკენ, 16 კოლომეტრის დაშორებით არსებობს თაღელი ღვევების ბინა ქილის ახუდ წოდებული, რომლის გვერდითაც არის ბახთალის ღვთის მშობლის ეკლესია. იმ ისტორიულ ნაშთთა შორის, რომელიც მრავლად არიან საინგილში, კველაზე უფრო კარგად შენახულა ბახთალის დიდი ტაძარი; იგი მდებარეობს იქ, სადაც ძეგლად გაშენებული იყო ქალაქი ბაზარი, გაღმა მხრის ვაჭრობა-აღებმიცემობის ცენტრი. ღლეს ამ ყოფილ ქალაქიდან ეულად დარჩენილა ეს ყველასაგან მივიწყებული ტაძარი. ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა და მხოლოდ ეს ტაძარი და ღიდ მანძილზე მი-

* ვახუშტი, იქვ. გვ. 96.

მოფანტული ნანგრევები სახლებისა გვეუძნებიან, რომ ძველად აქ სიცოცხლე სდუღდა და რომ აქაც ძალუმად სცემდა ქაშირკუტურ შევალი

ლეკები ამ ეკლესიას ფერიყალას ეძახიან, რაც ჰქონდა კუმულურ ნიშნავს. მოსე ჯანაშვილი თორფახყალას უწოდებს, რაც მიწის ციხესა ნიშნავს. ეს შეცდომაა, მას თორფახყალას არავინ ეძახის და ნამდვილი თორფახყალა არის არა აქ, არამედ კავის რაიონში, აღაზის პირას, და ის მართლა ძველებური მიწის ციხეა. მთელ ამ ადგილს ლეკები ბახთალას ეძახიან, რაც ნიშნავს: შეხედეთ ამ მშვენიერ აღვალმდებარეობას და კარმილამოსო. თუ ძველად აქ ქალაქი არსებობდა, რასაკირველია, შესახედი და დასახახევიც იქნებოდა რამე და სწორედ ამისთვის დაურქმევია ლეკებს ასეთი სახელი.

თვით ტაძარი ჯვარედინ გეგმაზეა აგებული, კარგად გამომწვარი სეელი ძველებური ავტოსაგან. სივრძე ეკლესიისა 24 მეტრია, სიგანე — 20. ტრაპეზი ეკლესიისა კარგა მოზრდილია, აღმოსავლეთის მხრიდან მომრგვალებულია და შივ ჩატანებული აქვს ერთი გრძელი და ვიწრო სარქმელი, როვორც სჩვევია საზოგადო ძველ ქართულ ეკლესიებს. მარცხნივ და მარჯვნივ ტრაპეზის პატარა თაროები აქვს. შესავალი სამკეთროს და სალაროს აქვთ არა ტრაპეზიდან, არამედ პირდაპირ ეკლესიიდან. შივნით გაღესილია მარტო ტრაპეზი, დანარჩენი ეკლესია სრულიად გაულესავია. ტრაპეზის კედლებზე დაცულია მხატრობა (ფრესკები), მაგრამ მთლად გაფუჭებულია მწყემსებისაგან. ცუდ ამინდში საქონელს შერევავენ ხოლმე შიგ. მხატვრობა ადგილ-ადგილ წამლილია, თვალები დანის წვერითა აქვთ ამონიჩინილი, მაგრამ მაინც ეტყობა მირქმა ქრისტესი, მიძინება დვოისშობლისა და სხვა. ნახატებს ქვეშ სლავური წარწერები აქვთ, რაც უტყუარი ნიშანია იმისი, რომ მხატვრობა შესრულებულია რეს მხატვართა შეირ, რომელთაც რესეთის მეფენი მრავლად უგზავნილნენ საქართველოს.

ყუფილი მისიონერი საინგილოსი ტარ. ივანიძე თავის მცირე შენიშვნაში ამ ეკლესიის შესახებ ამბობს რომ მხატვრობაზე ბერძნული წარწერები ვნახეო. მაგრამ ეკრაფერი ამოვიკითხეო.

გულდასმით დავათვალიერე ყოველი წარწერა, მაგრამ მე, ბერძნულის მცირებ, ვერსად ბერძნული წარწერა ვერ აღმოვაჩინე. ეს ეკლესია უნახავს პროფ. ხახანაშვილსაც წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში და ისიც ამბობს, რომ მხატვრობას სლავური წარწერები აქვსო. ეს ეკლესია უკანასკნელად ვნახე 1938 წელს, მაგრამ უკვ



საშინლად წამხდარი იყო და ფრესკები მთლად ჩამოფხევილი აღმოჩნდა. არა თუ წარწერა, თვით სახეებიც აღარ ეტყობოდა. ეჭველის ჰქონლის ნაკელით იყო სახსე. ქართველი წარწერები მთელი ტაძარიშე მარტინ აღარსად მოიპოვება. შეიძლება წარწერები იყო, მაგრამ განვეძ, რაიმე განზრახვით, წარწერიანი ქვები გამოიღო ვინმემ და გადამალა, რადგან მის აღვილას კედელს ეტყობა, რომ ქვები უნდა ყოფილიყო.

გუმბათი საუცხოოდ არის შენახული, სიმაღლით 10 მეტრს აღმატება, კონუსური ფორმისაა. ისეთივე. როგორც საქართველოს სხვა ეკლესიების გუმბათები. გუმბათი შორი მანძილიდან მოსჩანს და ამჟამად გადასცემრის ირგვლივ გატიალებულ არემარქს, გუმბათის ქვედა ნაწილი კუთხიანია და შიგ ჩატანებული აქვს ვრძელი სარკმელები. ეკლესია ზევიდან გადახურულია თლილი ქვით და იმდენად კარგად არის შენახული, რომ არ ჩადის ერთი წვეთი წყალიც-ვა. ზედ სახურავზე შრავლად ამოსულა მცენარეები, ასკილის და მაყვლის ბუჩქები.

ეკლესიიდან რამდენიმე ნაბიჯზე, დასავლეთით, აგებული ყოფილა სამრეკლო, რომელიც საძირკვლამდე დარღვეულა და ტყეს დაუცია. ტყესვე დაუცია სხვა მრავალი შენობა.

თვით ტაძარი ისე კარგად არის შენახული, რომ მისი შეკეთება და განახლება სულ ადვილად შეიძლება, რაიც თავს უნდა იღვას ჩვენმა სიძეველეთა დამცველმა კომიტეტმა.

ტაძრის მშენებლად ისტორია სთვლის კახეთის განათლებულ მეფე ლევანს, რომელიც 1520 წლიდან 1574 წლამდე მეფობდა. ამავე აზრისაა ყველა მკვლევარი, თუმცა ამის პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთს წარწერის სახით ვერსად ვჰოვებთ ეკლესიაზე. აღიაბათელმა ინგილობმა ხენის ღროს მიწაში იძოვნეს ზარი, რომლის წარწერაც ამბობს, რომ ის შეუწირავს კახეთის მეფე ლევანს და აქედან გამოყავთ დასკვნა: თვით ეკლესიაც მისი აშენებულიაო. ზარი საქართველოს მუზეუმში ინახება. 1916 წელს ერთი ასეთი ზარი ეპოვნათ თაღელ ლექებს ხენის ღროს მიწაში და მე მომიტანეს, მაგრამ ზედ არავითარი წარწერა არ აღმოჩნდა.

ზემოთ ვთქვით, რომ ბაზარი, საღაც ტაძარია აგებული, ძველად ღიდ სავაჭრო ქაღაქს წარმოადგენდა. მარტო აბრეშუმი ყოველწლიურად შემოდიოდა 1000 საპალნე, საიდგანაც 20 საპალნეს, იერუსალიმს უგზავნიდნენ. მის მცხოვრებთ, გარდა ქართველებისა, შეადგენ-დნენ სომხები და ებრაელები. ამას საქართველოს ისტორია აღასტუ-

რებს. იმ მამულების სიაში, რომელიც კახეთის საქათალის უკუთვნოდნენ, მოსსენებულია, სხვათა შორის, 27 კოშკი, ზურტული ხელი და ებრაელი, რომელიც მცხეთის სევტიცხოვის უკუთვნოდნენ და რომელიც ქალაქ ბაზრის მცხოვრები იყვნენ.* გარდა ამისა, ამის დამამტკიცებულია ის ფაქტი, რომ აღვილობრივი მცხოვრები ხენისა და მიწის სხვა სამუშაოების დროს ხშირად პოულობენ როგორც ფულს, ისე სხვადასხვა ძვირფას ნივთს. ამ რამდენიმე წლის წინათ უპოვნათ სპილენძის ჭურჭლეულით საქსე ქვევრი; ჭურჭლი მპოვნელთ ერთმანეთში გაუყვიათ. მეორე აღვილას უნახავთ სპილოს ძვლისაგან გაკეთებული მშევნიერი პატარა ყუთი, ფულით საქსე, ქვევრში ჩადგმული. ნაპოვნ ფულში, სხვათა შორის, კარგა ბლობად აღმოჩენილა ინგლისური ფულიც, 1519 წლის თარიღისა. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ ინგლისელებსაც პქონიათ დამოკიდებულება ქალაქ ბაზართან. ცნობილია, რომ მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში ინგლისელმა ვაჭრებმა და, სხვათა შორის, ცნობილმა ჯენკინსინმა მთელი რუსეთი გადმოლაბა რამდენჯერმე, რათა ვაჭრობა-აღებ-მიცემობა გაემართა კასპიის მახლობლად მდებარე ქვეყნებთან და ვანსაკუთრებით სპარსეთთან.**

როგორც ჯენკინსინი, ისე მას შემდევ სხვა ინგლისელი ვაჭრები, არ ასცდებოდნენ ქალაქ შემახას, რომელიც მაშინ დიდ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა აღმოსავლეთ კავკასიაში. შემახიდან ინგლისელები აღვილად ამოვიდოდნენ ქალ. ბაზარში, მით უმეტეს, რომ აბრეშუმს, რომელიც ინგლისელთა ვაჭრობის მთავარ ობიექტს, წარმოადგენდა, უხვად ამზადებდნენ საინგლოში. ინგლისური ფულის პოვნა ბაზრის მიდამოებში ცხადყოფს ინგლისელთა ვაჭრობა-აღებ-მიცემობას ბაზართან. გარდა ამისა, ქალ ბაზარის აღებმიცემობის შესახებ ცნობებს იძლევიან რუსეთის ელჩები, რომელიც XV და XVI საუკუნეებში საქართველოში იმყოფებოდნენ. ელჩებმა ნაშიოკინმა და ლეონტიევმა, რომელიც მეფე ალექსანდრეს დროს 1574—1605 წ. იყენენ საქართველოში, ქალ ბაზარში სავაჭროდ წასვლის ნება გამოითხვეს. მეფემ ნება დართო, ისინიც წავიდნენ და იქ მყოფ „მრავალ უცხო ქვეყნის ვაჭრებს ცალცვავდნენ, ტუდებსა, საქონელსა და ფულს სტაცებდნენ, დუქნებში შედიოდნენ, ნადავლით

* თ. ეორდანია: ქრონიკები, ტ. II, ვ. 197.

** Зейдлиц: «Источник. очерк Бакинской губернии».

ქეიფობდნენ“.* აქედან ცხადია, რომ ბაზარი ყოფილა არა უპრატკის სავაჭრო ქალაქი, არამედ დიდი სავაჭრო ცენტრი, სადაც მრავალი იქრიბებოდნენ როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ისე ჟენერაციული იყო მაგრამ ქალაქი ბაზარი სხვაფრივ უფრო შესანიშნავს; უაქერის უალოს წარსულში იქ დატრიალდა არარევეულებრივი ტრაგედია, იქ დაღვარა მამის — ალექსანდრეს და მმის — გიორგის სისხლი გამაპ-შადიანებულა ბატონიშვილმა კონსტანტინემ. როგორც ვიცით, კონსტანტინე შაპ-აბაზის კარშე იზრდებოდა, სადაც ის მძევლად იყო წაყ-ვანილი. როცა ქართველებმა რუსეთთან მიმოსვლა და ურთიერთობა გაახშირეს, ირანის შბრძანებელს არ შეეძლო გულხელდაკრეფილს ეცქირა ამისთვის, რადგან შორმჭვრეტელი შაპ-აბაზი დარწმუნებული იყო, რომ თუ რუსეთი კავკასიის ქედს გადმოლახავდა, ირანსაც ხირი არ დაადგებოდა. ამიტომაც გაგზავნა კახეთში თავის მონა-შორჩილებაში აღზრდილი ბატონიშვილი კონსტანტინე და უბრძანა — მოეკლა მამა და მმა და თვით გამეფებულიყო კახეთში. მამა-შეიძლის შეხვედრა ბაზარში მოხდა. სადაც კონსტანტინემ გამოასალმა სიცოც-ხლეს მამა და მმა სხვა წარჩინებულ კახელებთან ერთად. იმუამად კა-ხეთში იყვნენ რუსეთის ელჩები, რომელნიც ამ ვულშემზარავ ამბავს შემდეგნაირად გადმოვცემენ: „მოგვესმა უცებ უშველებელი ღრია-ლი და თოფების ჯახა-ჯუხი მეფის საფგომიდან, საიდანაც გულგა-ხეთშილი ქართველები გარბოდნენ, რომელთაც უკან გამხეცებული ყაზილბაშები მისდევდნენ და ეკვეთებოდნენ. გამოქცეულო გვითხრეს, რომ კონსტანტინე ირანთა ჯარით ებრძის მამასა და მმასაო. ჩვენ მაშინათვე გავგზავნეთ თარჯიმანი სევერინი, რათა გამოეცსაღებინა კონსტანტინესათვის — აეღო ხელი სისხლის ღვრაზე, მაგრამ გვიან იყო: დაბრუნებულმა სვეტინმა გვითხრა, რომ კონსტანტინემ ეკვე მოკლა მამა და მმა და მკედარი მამის თავი მის წინ მხევალს ეჭი-რაო. მათთან ერთად დაიღუპნენ ეპისკოპოსი რუსთავისა, ვინმე თავა-დი ორბელი და სხვა წარჩინებული პირი, რიცხვით ხუთამდე. აღა-ვერდის მიტროპოლიტი — კი მხოლოდ დაჭრილი იყო“.*

დექეთის მონასტერი. სოფელი ლექეთი ქართველთა უძ-ველესი სოფელია, რომელსაც ლექართი რქმევია. დღეს ქართველთა

* Белокуров. დედანში ასე ნათქვაში: «С бусулманских людей шапки носили и в кабаках прошивали».

** Белокуров: «Сношение России с Кавказом», стр. 85.

ჭაჭანებაც კი არ არის და მთელი სოფელი წახურიდან (დალგატანი) ჩამოსულ ღეკებს უჰირავთ. ამ სოფლის ზევით, ჩრდილო მატარებელი შემოსილი და ლეთის მხარეს, ნახევარი კილომეტრის მანძილზე მტკმ ბუნებრივი ქარის ვაკე აღვილია, სამი მხრიდან უღრანი ტყებით შემოსილი და კავკასიის მთაგრეხილით შემოფარგლული. მშენიერი და ოვალწარმტაცი გადასახედია აქედან, მთელი საინგილო და ალაზანი თავიანთი ტურფა ჭალებით ხელისგელივით მოსჩანს. აი, ამ ვაკე აღვილზე ყოფილა გაშენებული მონასტერი, რომლის ეკლესიები და სენაკები დიდ მანძილზეა მოფანტული.

ამ მონასტერში ყველაზე კარგად შენახულა ერთი დიდი ტაძარი, რომელიც ყველაზე უძველეს და უკეთს შენობად უნდა ჩაითვალოს. მთელი ეკლესია, რომელიც სიგრძით 27 მეტრს უდრის, ხოლო სიგრძით 21 მეტრს, აეგბულია ცუდად ნათალი კლდის ქვით, მხოლოდ კარები და ფანჯრებია ამოყვანილი მშენივრად ნათალი ოთხკუთხი ქვით. თვით ეკლესია ჯვარედინა გეგმაზეა აგებული და ადამიანს აკვირვებს თავისი სიმაღლით და ბუმბურაზობით. ეკლესიის საკურთხეველი სიგრძით 8 მეტრია, სიგანით — 6. აღმოსავლეთის მხრიდან კედელი მომრვალებულია, ჩატანებული აქვს გრძელი და ვიწრო ფანჯარა, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ კედელში ჩატანებულია თითო-თითო წალთა. საკურთხეველის აქეთ-იქით სამსხვერპლოა და შესამოსავი, რომელიც მშენიერი თლილი ქვით განიყოფებიან საკურთხევლისაგან. შიგნიდან ეკლესია კარგი თლილი ქვისაგან არის ნაშენები. საკურთხევლიდან პირდაპირი შესავალი მხოლოდ სამსხვერპლოშია, შესამოსავში კი — მარტო ეკლესიდან. ორივეს აღმოსავლეთის მხრიდან პატარა ვიწრო ფანჯრები აქვს დატანებული. ეკლესია შიგნიდან თეთრად ყოფილა გალესილი და ფრესკებით შემკული. ფრესკები თითქმის ყველგან წაშლილია და მხოლოდ სამხრეთის კარების თავზე მკრთალად ეტყობა ქრისტეს ნათლისლება, რომელიც წითელი და მწვანე უერადებით არის ნახატი.

ეკლესიის სახურავი თითქმის მთლად დანგრეულია და მხოლოდ კარებთან და სამსხვერპლოსთან შენახულა. დანგრეულია აგრეთვე დასავლეთის კედლის ნახევარი, დანარჩენი კედლები კი მთელია. რადგან თაღი ჩამონიშვნელია, ძნელი სათქმელია, რანაირი მოყვანილობისა იყო გუმბათი. თუმცა გუმბათის ნანგრევები ეკლესიაში ყრია, მაგრამ მათზე მხოლოდ იმის ამოკითხვა შეიძლება, რომ გუმბათი

თლილი ქვისა ყოფილა და ვიწრო ფანჯრები პქონია. ეკლესიის სა-
ხურავიც თლილი ქვისა ყოფილა, მაგრამ შედუღებული.

ამ ეკლესიის გადასწვრივ, გზის იქით, რამდენიმე მეტრის მაჩვიდული
ზე, ყოფილა მეორე ეკლესია, უფრო დიდი და ფართო, სერიოზული
ხოლო სიგანით 22 მეტრი. ეკლესია რიყის ქვითა და აგურით ყო-
ფილა აგებული. ეს უკანასკნელი გარემოება თითქოს გვიჩვენებს, რომ
ეს ეკლესია უფრო მახლობელ დროში ყოფილა აშენებული, ვიდრე
პირველი, მაგრამ ეტყობა ცუდად აუშენებიათ. ის თითქმის სულ ჩა-
მონგრეულია და, გარდა ჩრდილოეთის კედლისა და საკურთხეველ-
სამსხვერპლოსი, არა დარჩენილა რა. ეკლესიის შიგნით ნახვრად
ჩამონგრეული ბოძები აფერითა ნაშენი და მთელი ეკლესია ეჭვი
ასეთი ბოძითაა დაყოფილი სამ ნაწილად, ანუ ნეფად, რომელთაგან
შეუნიჭებული არის სიგანე აქვს. ერთი სიტყვით, ეს ეკლესია ისე-
თივე გეგმისაა, როგორც პირველი, მხოლოდ განსხვავდება სიდიდით
და საშენი მასალით.

ვარდა ამ უზარმაზარი ეკლესიებისა, მათ გვერდით კიდევ ეჭვი
პატარა, თლილი ქვით ნაშენი ეკლესიაა. ეს პატარა ეკლესიები, ყვე-
ლანი ერთი გეგმისანი არიან და ირგვლივ ახვევიან პირველ ეკლესიას,
ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხრივ. სივრცით თითო მათგანი 8
მეტრია, სიგანით — 6. შიგნით ყველა თეთრად ყოფილა გალესილი.
საკურთხეველის ნაწილი მომრგვალებულია, შიგ ვიწრო და გრძელი
ფანჯარა აქვს ჩატანებული, ხოლო აქეთ-იქით 2 თახჩა.

ეკლესიის ირგვლივ კიდევ მრავალი შენობა ყოფილა; კარგა დიდ
მანძილზე ყველგან ნასახლარი ეტყობა, არის უზარმაზარი სიღრმის
ქვერები, თონეები და სხვ. ყველგან ძველებური ჭურჭლის ნამტვ-
რეები ყრია, რომელიც ფერადი საღაბავებით ყოფილა დასურა-
თებული. ამ მონასტრიდან დაწყებული, თვით ღლევანდელ სოფლამდე,
ყველგან ნანგრევებია, კედლები და ნასახლარები, ამასთანავე ყველ-
გან, მონასტრის სიახლოეს, ტყეში, ხეები კაკლისა, ვაშლისა და უმ-
თავრესად ღეღვისაა. ამ უკანასკნელით ხომ განთქმულია მთელი
საინგილო. ცხადად ჩანს, რომ მონასტრის მახლობლად ქალაქი თუ
არა, დიდ სოფელი მაინც ყოფილა. საუბედუროდ, ვერსად ამოდენა
ნანგრევში ვერც ერთ წარწერას ვერ ვპოულობთ, შეუძლებელი კია,
რომ წარწერა არა ყოფილიყო: დიდ ეკლესიას ორ აღვილას ეტყობა,
რომ ვამოუღიათ ჩაღაც თხევუთხიანი დიდი ქვები. შესაძლებელია,
სწორედ მათზე იყო წარწერები, ან, შეიძლება, ნანგრევებშია სადგე

მოყოლილი ასეთი წარწერა. 1910 წელს ბეჭაქნელმა შამილ დაბი
როვმა მიამდო, რომ დაღესტნის ყოფილმა გუბერნატორმა მელიქ-
შვილმა ჩემი თანდასწრებით ინახულა ეს მონასტერი, ჩემის კუნძული წარწერით,
მავრამ რადგან ვერ წაიკითხა, თან წააღმდენდა და მას სუსტ
ბისათვის წაეკითხებინაო. მე ვერ გავივი ამ ქვის შემდევი ვზა-კვალი.

სდემს თვით საქართველოს მატიანეც ამ მონასტრის შესახებ და
მხოლოდ ექვთიმე კათალიკოსის მოგზაურობაში ვკითხულობთ, რომ
მან, სხვათა შორის, ინახულა სოფ. ლექართის წმ. მოციქულთა სწო-
რის — ნინოს მონასტერი. მაშასადამე, შესაძლებელია აქ დედათა
მონასტერი ყოფილიყვეს. ჯერ დაწვრილებით არავის გამოუკვლევია
და შეუსწავლია ეს მონასტერი, ჯერ დახელოვნებული არქეოლოგის
თვალი არ მოხვედრია მას, თორემ, ეჭვი არ არის, აქ თვით ნანგრევ-
თა შორის ამოიკითხავდა მის წარსულს.

სოფ. გილიუკი ან უ ვარ დოვანი. ეს სოფელი ისტორი-
ულად შესანიშნავია და არა ერთხელ არის მოხსენებული საქართვე-
ლოს მატიანეში. უკანასკნელად აქ, 1706 წელს მომხდარ ბრძოლაში
კახეთის მეუკ იმამ-ყული-ხანი (დავით მეუკ) საშინლად დამარცხდა.
მას შემდევ ქართველობა გაქრა ამ სოფელში და აზერბაიჯანიდან გად-
მოსახლებულმა მუდალებმა დაიჭირეს ივი. თავდაპირველად სოფელი
მთის ფერდობზე ყოფილა გაშენებული. ეტყობა, ბევრი ვარდი სცოდ-
ნია იქ, რის გამოც თვით სოფელს ვარდოვანი დარქმევია. ამ მთაზე,
რომელსაც ქოშის მთას ეძახიან, არის სტეფანეს სახელის ეკლესია
და დიდი სახლი, რომელსაც ხალხი თამარის სასახლეს ეძახის. რო-
გორც ეკლესია, ისე სასახლე ნახევრად დანგრეულია. ეკლესია პატა-
რაა, თაღი მოლად ჩამონვრეული აქვს. სასახლეს ეტყობა, დიდი ყო-
ფილა და შესაძლებელია მართლა ვინმე დიდებული ცხოვრობდა იქ,
არსად წარწერა არ მოიპოვება, თუმცა დაბეკითებით დავათვალიე-
რეთ ყოველი კუთხე. მთელი მიდამო ტყეს დაუფარავს. დაბლობიდან,
ხადაც მთავარი გზატკეცილი გადის, ძლიერ სჩინან ეს ნანგრევები. ამ
სოფელში ძევლად, როცა ქართველობა მოსახლეობდა, დიდი მევენა-
ხეობა სცოდნიათ, რასაც მოწმობს ის, რომ სოფლები მიწის გათ-
ხრის დროს ქვევრებს პოულობენ.

ამ სოფელში, სამხრეთ მხარეს, არის ერთი პატარა ეკლესია ჩვე-
ულებრივი ქართული ტიპისა, სიგრძით 9 მეტრი, სიგანით 6. ეკლე-
სია დღესაც კარგად არის დაცული, არც თაღი აქვს ჩამონვრეული და
არც კაღლებია დაზიანებული. შესანიშნავია ეს ეკლესია იმითი, რომ

ბავშები დაბადების მეორმოცე დღეს მაპმადიან დედებს მოჰყუცთ
(როგორც ვარდოვანიდან, ისე სხვა მახლობელი სოფლებიდან), და
აბანავებენ ამ ეკლესიაში, იმ რწმენით, რომ აქ განძანილურ ტერიტორია
უფრო ჯანსაღი და მაგარი ავებულობისა იქნებათ. ამ ტერიტორიული კამპანია
აბანავებენ ავადშეოფ ბავშებსაც. ბანაობა ასე ხდება: შიგ ეკლესი-
აში დაანთებენ ცეცხლს, გაათბობენ წყალს და აბანავებენ ბავშებს;
შემდეგ გრძელ ცოცხებს წაუკიდებენ ცეცხლს და დასწვავენ, განაბან
წყალს კი იქევ ორმოში ჩააქცევენ.

ამ ჩვეულების აზრი შემდეგი უნდა იყოს: როცა ლეკთა თარეში
შევინვარებდა საინგილოში და ხალხს მოლები ძალით ათათრებდნენ,
ქალები მაინც თავისიას არ იშლიდნენ და ფარულად უშლვდელოდ ნათ-
ლავდნენ ბავშებს, მითუმეტეს, რომ თვით ტიბიკონითაც ქალებს
ზოგიერთ შემთხვევაში ამის უფლება აქვთ. ეს ჩვეულება გამუსულ-
მანების შემდეგაც დარჩენილა ხალხში. ცოცხებს კიდევ, ალბათ, სან-
ოლის მავივრად ანთებენ.

ს ი ფ. კუმი. ლექტოის მახლობლად მდებარეობს სოფ. ყუმი, რო-
მელიც ქართველთა უძველეს სოფელს წარმოადგენს, სადაც მებატო-
ნეობდნენ ჯანაშეილები, მაგრამ შაპ-აბაზის შემოსევა-აელების შემ-
დეგ ჯანაშეილების ხსენებაც ამოვარდნილა ამ სოფელში და მთელ
შის მიღამოსაც წახურიდან ჩამოსული ლეკები დამატრიცებიან.

ამ სოფელში, სადაც დღეს ერთი ქართველიც კი აღარ არის, სამი
ეკლესიაა, ერთი სოფლის თავში, მეორე ბოლოში, მესამე შუაგულ
სოფელში. პირველი ორი არაფერს საყურადღებოს არ წარმოადგენს
და სანახევროდ დანგრეულია, ხოლო უკანასკნელი უზარმაზარია და
ჯერაც კარგად არის შენახული მისი კედლები, თუმცა თაღი სანა-
ხევროდ ჩამონაგრეულია.

ეკლესის გეგმა ბაზილიქს წარმოადგენს და ავებულია რიყის
ფილი ქვისაგან და ძეელებური ქართული აგურისაგან, სიგრძით 30
მეტრია, სიგანით — 18, ხოლო საკურთხეველი კადევ სამი მეტრით
წინ არის წაწეული. საკურთხეველი სიგრძით 9 მეტრია, სიგანით 7;
აღმოსავლეთის მხრიდან კედელი ჩამონაგრეული აქვს და შიგ დატა-
ნებული გრძელი ფანჯარა ცოტათი-და ეტყობა. საკურთხეველს წი-
ნილან მომრგვალებული კედელი აქვს, ხოლო გასავალი კარები სამს-
ხვერპლოსა და შესამოსელში არ აქვს. შესავალი კარები მათ აქვთ
მარტო ეკლესიდან, ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან — პატარა, გრძე-
ლი ფანჯარები და ვიწრო კონუსივით გადაყვანილი თაღები. ეკლესის

არ ეტყობა ამჟამად, თუ შივნიდან გალესილი ყოფილა, ან თუ რამე კედლის მხატვრობა პქონია, რადგან თაღი დიდი ხანძა ჩამოურეცხია. ჩრდილოების სამხრეთის მხრიდან ორ-ორი გრძელი ვიწრო ფანჯარულშე წარმოქმნა ბული, ხოლო დასაცავეთის მხრიდან ერთი. კარები სამის აქვს — დასაცავეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით, რომელთა თაღები აგურით არის გადაყენილი. მთელი ეკლესია სამი განყოფილებისაგან (ნეფი-საგან) შესდგება, რომელთაგანაც შუალა ვანიერია და 6 მეტრს უდრის, იმ დროს, როცა გვერდებისა 3 მეტრს არ აღემატება. ნეფები ვანიყოფებიან ერთიმეორისაგან ორ-ორ წყვილ აგურისაგან აშენებული ოთხურთხი სევტებით.

ეკლესიას ჩრდილოეთის მხრიდან მიშენებული აქვს პატარა, 9 მეტრის სიგრძე შენობა, რომელიც ორ ნაწილად არის გაყოფილი, ერთი შათვანი შუაში ამოღრმავებულია და შეიძლება აქ ეშბაზი ყოფილის.

მთელს ეკლესიაზე არსად წარწერა არ მოიძებნება. აღვილობრივ-მა ლეკებმა მითხრეს, რომ ძევლად არსებობდა დიდი ქვა წარწერით, მაგრამ სიღნაღიდან მოვიდნენ ქართველები, დაუდეს ურეშე და წაიღესო, ვერც კი მითხრეს სახელდობრ, ვინ იყვნენ ქვის წამლები და ნიშანდობლივ სად წაიღეს. ამ ეკლესის შესახებ კათალიკოს ექვთო-მეს მოვზაურობაში ნათევამია, რომ იგი ღვთიმშობლის სახელშე იყო აგებული და მეტად მშენებერი იყოო. სხვა სწორსა და პირდაპირ ჩვენებას საქართველოს ისტორიაში ამ ეკლესის შესახებ ცერსადა ეპოვებთ.

მაგრან ყველაზე შესანიშნავია კაკი თავისი ისტორიული, არქეო-ლოგიური ნაშთებით. აქ არის ნაშთი უძველესი ეკლესისა საყარაულო მთაზე, კასრის საყრდებად წოდებული. აქ მეცე არჩილს მეტვე საუკუნეში აუშენებია პატარა ეკლესია, რითაც მტკაცე საფუძველი ჩაუყრია ქრისტიანობისათვის ამ ქვეყანაში. ეკლესია სიგრძით 12 მეტრია, სიგანით 9 და ამენებულია კლდის ნამტვრევი ქვით, ეკლესის გვერდით ეგდო ლოდი შემდევი წარწერით: „ესე ქ...ვა მიეხაზვა თავდისაშვილ ქრისტესიამ შესანდოთ შვილთა დავით და იოანესი და ვინც შენდობა ბრძანით თქვენც მოგიხსენოთ ღმერთმან სასუფე-ველსა შინა მოისსენის უფალშან სასუფეველსა შავრიდანმზე სასუ-ვეველსა შეუნდეს“. წარწერა ასოთმთავრულია და ეკუთვნის 786

წელს. ეს კლესია 1912 წელს განახლა საინგილოში კარტად ცხობალმა მღვდელმა მიხეილ ყულოშვილმა, მირზა ქეშიშად წილებულმა.

ძევლად ამ კლესისთან დიდი დღესასწაული ცოდნათ. აჭ. იყ-ა-ი რიდა თავს მთელი საინგილო, მოდიოდნენ შორეულ სოფიანის მართლიანობის კი. ამ დღესასწაულისათვის საგანგებოდ გამართული ტურქისტანის ქვევრი დღესაც არის დაცული კლესის გვერდით. ეს ქვევრი მიწა-შია ჩაფლული, ერთ მხარეს მიწა აქვს ჩამოცლილი; იქ ონკანი პქონია ვაკეთებული, რადგან ძნელი ყოფილა ზევიდან ღვინის ამოღება, აქედან უგებოლნენ და ისე სვამდნენ, თურმე; ტკბილი სახედაშოდ მთელ სოფელს მიპქონდა ხოლმე, ყოველ გვარეულობასა და ოჯახს. კაჭი მაშინ 1000-ზე მეტი მექომური ყოფილა, თითო მექომურს არა ნაკლებ ექვსი ჩარექისა მიპქონდა და მხოლოდ აღდგომის მესამე დღეს, სამებობას, როცა ამ კლესის დღესასწაული იყო, მოხდილნენ ხოლმე. დღეს ეს ქვევრი უპატრონოდ არის მიტოვებული და ნახევ-რად ქვებით არის ამოვსებული. მცხოვრებინი ამბობენ, ასი ჩაფი ღვი-ნო ჩადიოდათ. კლესისავე გვერდით დიდი აკლამაა, რომელიც სავ-სეა აღამიანთა ჩონჩხებით, ამ ჩონჩხების სიღილე ადამიანს აკვირვებს; მეღავების, ბარბაყების და ფეხების ძვლების სიმსხო და სიგრძე ეხ-ლანდელზე თითქმის ორჯერ მეტია.

საყარაულო მთის მახლობლად ბარად, ერთი კილომეტრის დაშორებით მეორე კლესის ნანგრევებია, რომელსაც ბარბარეს კლე-სის ეძახიან. ეს კლესია საყურადღებოა იმით, რომ მასთან ძევლად სკოლა ყოფილა საკლესიო წიგნების გადამწერლებისა. აშკარაა, დი-დი მნიშვნელობა პქონია წმინდა ბარბარეს კლესისა და მის სკოლას. ახლა ნანგრევებილა მოწმობს მის წარსულ დიდებას.

მაგრამ კავი უფრო ცნობილია და შესანიშნავი თავისი ძველი საღ-მრთო წერილის წიგნებით და საეკლესიო ნივთებით, რომელთაც „ხუ-ციანთ თხთავე“ ეძახიან. ყველაზე უფრო საყურადღებო ვახტანგ მეექესის მიერ დაბეჭდილი სახარებაა.

მეორე საყურადღებო წიგნი „კრებულია“, რომელიც შეიტავს ლოცვანს, ზაღის, სამოციქულოს, უამსს. ამ წიგნის არშიაზე შემდეგი წარწერაა: „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იოსებ დიაკონი ულირის; უფალო ღმერთო, შეიწყალე ყოვლად უდირსნი ამ წიგნების მჩხიბავი ღავრენტი მონაზონი, ჯვარი მამის აღმზრდელი ბერი“. გარდა ამისა, წიგნს ბოლოში ჩამატებული აქვს: „იწყების კირინიკო-ნი ესე: ტოზ (1689). ამავე ქორონიკონს გამეფდა ერეკლე ქართლსა.

ამავე ქორონიუნს კახი ჭარს მიუხტნენ და გატეხეს და მოკალი ზიანი უკვეს; და ჩენ მოვაილეს ენდრონიკაშვილი აბული შოურავი და ჩოლოფაშვილი ზურაბ სახლთხეუცესის შვილი ლევანიშვილი შორა მეთა თანახმორ თვესა მაისს 15 ღლესა კვირიაკეს შემდეგ წერილი კონს დაჯდა აღექსანდრე... ქორონიუნსა ტბი (1699) მეუე ერეალეს უამში.

„ქ: ღმერთმა: ბეღნიერი: ხელმწიფის: ჭირი: და სატყივარი მისცეს მდვდელს: ქაბა:... ღმერთო მიეც გულის ყური ისწავის და გემსახურის ამინ და კირილესონ“.

გარდა ამისა არის კიდევ ძველი კონდაკი კურთხევანი და დაუკლომელი.

საეკლესიო ნივთებიდან საყურადღებოა: ბარბიშ-უეშემი, სანაწილე, ჯვარი ვერცხლისა, ღროშაზე გაკეთებული, ჯვარი პატარა თითბრისა და ბარბიში ვერცხლისა, რომელზედაც შემდევი წარწერაა: „ქ. შემომიწირავს მე ნაცვალს ბერიკას ესე ბარბიშ-უეშემი ყოვლად წმინდა ღვთისმშობლისათვის ტიმშიტის სადღეგრძელოდ და ცოდვათა ჩვენთა შესანდობად“.

ხალხი ამბობს, ყველა ეს ნივთი და წიგნი ნაჩუქარია მეუე ვახტანგ VI მიერო, რააც, მე მგონი, ნაწილობრივ მაინც სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს ეს აზრი უფრო იმაზე ემყარება, რომ წიგნებში ვახტანგ მეფის ღროს დაბეჭდილებაც ურევია. მაგრამ თვით წარწერა ერთი ამ ნივთავანისა გვიჩვენებს, რომ ბარბიში შეუწირავს არა ვახტანგს, არამედ ვინძე ნაცვალ ბერიკას. გარდა ამისა, ყოვლად შეუძლებელია, რომ საინგილოში, ხუციანთ ოჯახში მაინც, რომელთა გვარეულობიდანაც იყვნენ ხოლმე მღვდლები საინგილოში, არ დარჩენილიყოს შეპ-აბაზის წინა ღროიდნ საეკლესიო ნივთეულობა. როგორც ვიცით, ზოგიერთი საეკლესიო ნივთი ფიფინეთში, ძაგამში და ალიაბათში დარჩენილი იყო ბოლო ღრომდე და ვანა კაქს, რომელსაც თავი მოქმონდა ქრისტიანობით, არ უქნებოდა საეკლესიო ნივთები და წიგნები?

ამ ოთხთავს ხუციშვილებისა დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა საინგილოს ქართველთათვის, როცა საინგილოში ლევ-თათართა თარეში იყო. ძალდატანებით, გარეგნულად გამამადიანებული აქაური ქართველობა ოთხთავის ირგვლივ იქრიბოდა, აქ ღლესას-წაულობდა ფარიულად აღდვომას, უვედრებოდა ქრისტეს, სარწმუნოებასა და სკულს არა ჰყარგავდა. ერთი სიტყვით, ის იყო უშრეტი ლამ-

კარი, რომელიც მუდმივ უღვიძებდა აქაურ ქართველობას ცრიცვნულ თვითცნობიერებას. ბოლო დრომდის ფერიცვალება დღეს მის კარიდ (ხუციშვილების ეზოში, სადაც სიძველენი ინახებოდა) დაქართვულ კართველი იგართებოდა, რომელზედაც კაკელებს გარდა მახლობელ სსხულების გადაც მოდიოდა ხალხი. მოსულნი სანთლებს ანთებდნენ, საკმელს ჰყრიდნენ და ზეპარაკად თითო ქათამს კლავდნენ.

თვით ოთხთავი და ნივთები მოთავსებული იყო დიდ კიდობანში, რომელიც ზედ დანთვებული სანთლებისაგან გაშავებული იყო.

ამებმად ყველა ეს საეკლესიო ნივთი და წიგნი აქ აღარ მოიპოვება. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი ისტორიული ნაშთი საინგილოში ქურმუხის გიორგის ეკლესია, რომელიც კაკიდან ერთ კილომეტრზე მდებარეობს და თვალწარმტაც აღვიდას არის ავებული. ის მთის კონცხი, რომელზედაც ის არის აშენებული, მთელ ყოფილ ორ მაზრას (ნუხისა და ზაქათლისას) თავზე დასტერის. უძველესი ნაშთი ამ ეკლესისა არის უზარმაზარი მოგრძო ლოდი. ეს ლოდი იმდენად დიდია, რომ ზევიდან მასზე პატარა ეკლესია ყოფილა ავებული, რომლის საძირკველი და კედლების ნანვრევები დღესაც მოსჩანს. ხალხის გაღმოცემით, ლოდის შიგნით გამოქვაბულია და ხატები ასვენია, ხოლო კარები გიორგის ისე დაუქოლავს, რომ აღარ ამჩნევიათ. მხოლოდ წელიწადში ერთხელ — აღდგომა დღეს, მარიამ დედა (ასე ეძახიან ინგილოები ლვოისმშობელს) აღებს ხოლმე კარებს, გამოდის გარეთ და ოქროს სავარცხლით ნაწნავებს ივარცხნისო. ამავე დროს გამოფრინდება ხოლმე შიგნიდან ოქროს მამალი და ყვითლს მორთავს, მას ბანს აძლევენ მახლობელი სოფლის მამლები. ერთხელ, აღდგომა ღამეს, როცა ჩვეულებისამებრ გამოიდა ლვოისმშობელი და ნაწნავების ვარცხნა დაიწყო, ერთმა თათარმა შეამჩნია, მიეპარა და დაჭერა მოუნდომა, მაგრამ მაშინვე ხელი გაუშეშდა, ლვოისმშობელი კი საჩქაროდ შევიდა უკან, გამოქვაბულში, და კარები დაიხშო. თათარი შეეცედრა ლვოისმშობელსა და გიორგის, განიკურნა და ქრისტიანობა შიიღოო.

ქურმუხის ქვედა ფერდობზე დიდრონი კლდეები ჰყრია. ლეგენდა ამ ქვების შესახებ ამბობს: ერთ ურწმუნო კაცს — ვაჭარს, თავისი აქლემებით გამოუვლია აქეთკენ, მაგრამ პატივი არ უცია ქურმუხის-თვის, ამისთვის წმ. გიორგის ისიცა და მისი აქლემებიც გაუქვავებიათ. ეს კლდის ნაპრალები სწორედ ისინი არიანთ.

ხალხი მეტწილად ამ უზარმაზარ კლდეს უნთებდა სანთველს და

სწირაედა მსხვერპლს. იქ იყრიდა თავს ოლქის არა თუ ცრისტიანობა, არამედ მაპშადიანობაც, მაგრამ მას შემდევ, რაც ყოფილმა ქრისტიანობის აღმაღვენებლმა საზოგადოებამ ეკლესია აავი მწერალის მიერთოს მოსახლეობამ თავი მიანება იქ სიარულს.

ბერძნის მიერთოს

ქურმუხის ციხე-კოშკი. კაკიდან რომ სოფ. ელისუსაკენ წახევიდეთ და ქურმუხს გაჰყვეთ, შევხვდებათ პატარა სოფელი ახჩაი (თეთრი წყალი), რომლის პირდაპირ ქურმუხის მარცხენა მხარეს, აღმართულია მთის ფერდობზე ეს ციხე. იგი მეტად შიუვალია. ცალ მხარეს მიუვალი მთა დასცექრის, ხოლო მეორე მხარეს გიომავი ქურმუხი ჩაუდის. ეს ციხე უძველეს დროს ეკუთვნის, მას უბრალო სა- იოფურებიც კი არ მოეძებნება; 50 მეტრი სიგრძე აქვს, 16 სიმაღლე, სიგანე კი არ ეტყობა, რადგან აქეთ-იქით კედლები ჩამონგრეულა. ციხეს ამჟამად მარტო წინა კედლილა შერჩენია, შიგნით არავითარი მოწყობილობა არ ემჩნევა. ციხე უძველეს დროს ეკუთვნის და, აღ- ბათ, აგებული იყო დალესტნიდან წამოსული მტრის მოსაგერიებლად.

ელისუს ხიდი. ამ ციხიდან ერთი კილომეტრის მოშორებით მდებარეობს ელისუს შესანიშნავი ხიდი. ეს ერთადერთი ხიდია, ძველი დროიდან დარჩენილი მთელ საინგილოში. აქ მთის ქიმები ორივ მხრივ ისე უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ ზედ ვადაკიდებულია მშვენიერი თლილი ქვის თაღიანი უბურჯო ხიდი. მოუსვენარი ქურმუხი ღრია- ლებს, ამაռო ეხეთქება ხიდის ბუნებრივ სიმაგრეებს, მაგრამ ვერა- ფერს აკლებს. საუკუნეები გაუძლია ამ ხიდს და საუკუნეებს გასძლებს კადევ. მეტად წარმტაცია ეს ადგილი, ორთავე მხრიდან მთათა ფრია- ლონი დაცუქერიან დადუმებული და პირმოკუმული, ძირს კი გააფ- თრებული ქურმუხი ღრიალებს.

გენუხი. კაკით თავდება დღევანდელი საინგილო. ორი პატარა მღინარე — ყანი-ყობი და ეგრისია აღმოსაელეთის მხრიდან საზღვრა- ვენ მას დღევანდელ შექის რაიონისავან. ძველად ასე არ იყო: საინგი- ლო, ანუ ვაღმა მხარი, თავისი საზღვრებით მორს მიღიოდა და აღ- წევდა ხალხალს, რომელიც დღევანდელ სოფელ ვართაშის მახლობ- ლად მდებარეობს.

საინგილოს საზღვარს რომ ვასცილდებით, იმ დიდი გზატკუცალის რახლობლად, რომელიც ზაქათლიდან შექმი მიდის, მდებარეობს ორი დიდი სოფელი — ზემო და ქვემო გვენუხი. ორივე ეს სოფელი აზერბა- იჯანელ თაორებს ეკუთვნით. ერთ მათვანში, რომელიც მთის პატარა ფერდობს შეპფენია, მის ვორაჟზე დღემდე დაცულია პატარა ვაღი-

სია. ეკლესია სივრძით 12 მეტრია, სიგანით — 8. თაღი ჯერაც კარგად არის შენახული (უკანასკნელად ვნახე 1913 წ.). ეს ეკლესია უძველესია რიცხვის ქვით და შეიც არავითარი მხატვრობა და წარწერა არ მოჰკობა ვაითხე სოფლელებს ამ ეკლესის შესახებ, მავრამ ვერაფერი საგულისხმო ვერ მითხრეს. ოქვეს მხოლოდ, რომ წინათ აქ ქართველებს უცხოვრიათ და იმათვან არის ეს ეკლესია აშენებულიო. ამ სოფელში და მის პირდაპირ პატარა სოფელ წაბლოვანში (თათრულად შაბალუთი და წინათ სულ ქართველები ყოფილან. დაუკავირდით სოფლელებს და მათ შორის ბევრს შეხვდებით ქართველ ტიპს.

ორივე ეს სოფელი მოხსენებულია გუჯრებში და მცხეთის საკათალიკოსო სვეტიცხოველს ეკუთვნოდა; 1116 წელს აქ დაბანაკდა დავით აღმაშენებელი, აქედან გზავნიდა ჯარს შირვანის დასაყრობად. 1633 წელს გენუხში ვხედავთ მეფე თეიმურაზს, რომელიც სანალიროდ მოდიოდა ხოლმე აქ. აქაურობას მაშინ განავებდა ვინმე ქევხამამასახლისი — ოტია ჯანდიერი.

კოხ - მოხი გენუქის შემდეგ ვახვდება სოფ. კოხ-მოხი. სიტყვა კოხი ინგილოურად ნიშნავს რიცხვის ქვას, ხოლო იმერულად სეტყვას. თუ ამას დავუმატებთ იმ გარემოებას, რომ ამ სოფელში სარწყავი არხია გამოყვანილი, რომელსაც მცხოვრებნი თამარის არხს ეძახიან, საეჭვო აღარ იქნება ამ სოფლის ქართველობაც. სოფლის თავში ერთ ადგილას ეკლესის ნანგრევებია, ამბობენ, ამ ეკლესიაში ერთ ღროს ოქროს ხაზინა იძოვნებო. ლაპარაკი არ უნდა, აქაც ქართველები იქნებოდნენ, რომელთაც მაპმადიანობა მიუღიათ და სრულიად გათარებულან.

ვიში ქალაქ ნუხიდან ჩრდილოეთისაკენ რომ წახვიდეთ, ექვსი კილომეტრის სიშორეზე მდებარეობს ვიშის ტაძარი, ყოფილი რეზიდენცია ვიშ-ქურმუხის ეპისკოპოსისა. ეკლესია-ტაძარი მდებარეობს გორაკზე, მდინარე ვიშის შარჯვენა მხარეს, საიდანაც მშვენიერად მოსჩანს მთელი ხეობა. ტაძარი ავებულია ადგილობრივ ნათალი ქვით და მშვენივრად არის დაცული. გუმბათი აქვს დიდი და სწორედ იმ ფორმისა (კონუსური), როგორიც ჩვევიათ საზოგადოდ საქართველოს ძეველ ეკლესიებს. ტაძარი სივრძით 24 მეტრია, სიგანით 18. ირგვლივ შემოვლებული აქვს ქვითვირის გალავანი და ყველაფრით ეტყობა, რომ მართლა საეპისკოპოსო რეზიდენცია უნდა ყოფილიყო.

ამ ეკლესიის შესახებ ბატონიშვილი ვახუშტი ამბობს: „გიში არ მთის ძირს, რომელიც იყო საერისთო წექეთისა და დასაქმურ უძლებელ გუნდათიანი და იჯდა ეპისკოპოსი, მწყემსი ელისენტრული უძლებელი ძაკიხისა“.

საფუძველი ამ ეკლესიის ჩაუყარა მოციქულმა ელისემ, როგორც ვაღმოვცემს სომხეთის ისტორიკოსი კალანკატვაზი თავის შესანიშნავ წიგნში „ისტორია აღაენისა“.^{*} „ელისე მივიღა გიშს, ააშენა ეკლესია, დასაბამი ცველა აქაურ ეკლესიათა“, ამბობს იგი.* შემდეგ საქართველოს მეფემ არჩილმა — VII საუკუნეში სოფ. კაქში საყარა-ურო მთაზე, ააშენა კასრის საყდარი და დაარსა ქალაქი ნუხბატოსი (ახლანდელი ნუხა) და განამტკიცა აქ ქრისტიანობა. მაგრამ, რათა უფრო მტკიცე საფუძველი პეტონდა ქრისტიანობას, მან დაარსა აქ საეპისკოპოსო კათედრა გიშელისა. როცა აქ ქართველობა შესუსტდა და თვით საქართველოს ეკლესიასაც ქათალიკოსი აღარა ჰყავდა, მა-შინ უპატრონო ეკლესიას სომხის სამღვდელოება დაეპატრონა და თავისად გამოაცხადეს იგი 1852 წლიდან. პროფ. ხახანაშვილს უნა-საკე ეს ეკლესია 1890 წელს. იგი წერს: „სომხებს იგი თავიანთი ეკ-ლესის ყაიდაზე გადაუკეთებიათ, ტრაპეზი ძალზე აუმაღლებიათ, რო-გორც შესუერის მათ ეკლესიებს, და ეს აშკარად ეტყობა მის სრუ-ლიად ახალს ნაშენობას“...**

1910 წ. ვნახე ეს ეკლესია და სავსებით დავრწმუნდი ხახანაშვი-ლის ნათქვაში. მთელ საინვილოში ეს შეორე ეკლესიაა (ბახტალის ეკლესიის შემდეგ) ასე კარგად შენახული. ეკლესიაზე არაეითარი წარ-წერა არ არის. ვიღრე მონილოები XIII საუკუნეში პერეთს დაიყ-რობდნენ, მთავარეპისკოპოსი მუდამ გიშში ცხოვრობდა, შემდეგ კა ღროებით გადასულა კაქში და გიშ-ქურმუხელად იწოდებოდა. თუმცა მონილოებმა აქაურობა დაიიჩირეს, მაგრამ ქრისტიანობა აქ მაინც ძლიერი იყო XVII საუკუნეში. პლ. იოსელიანის გამოკვლევით, გიშის ეპატერია გაუხსნია ვახტანგ გორგასლანს V საუკუნეში. არჩილ მეფე VII საუკუნეში ადგენს სიას იმისას, თუ რა რიგზე უნდა ისხდნენ ეპისკოპოსი მეფის კურთხევის დროს. ამ სიით გიშის ეპისკოპოსს მიჩნეული აქვს მეცამეტე ადგილი. მეფე ერეკლემ და ანტონ კათალი-კოსმა განაახლეს ეს სია; ისინი წერდნენ: „უკეთუ ოდესშე აღდგენილ

* აბ. მთხ. კალანკატავაზი - История Аговани, რუსული თარგმანი.

** ხახანაშვილი — Материалы для археологии Кавказа, том, VII.

იქნეს გიშის კათედრა, მაშინ ვიშეს მთავარების კოსომა დაწილობის აღვილი, რომელიც მას ეკუთხნოდა ძელის ძველამდე". ერთონაუტი

ნუსა. ეს არის ქართველების ნუშპატო, თაორების გრძელებული მუსიკა. გორც ზევით მოვიხსენიეთ, იგი დაუარსებია ქართველთა მეფეს არჩილს, VII საუკუნეში და აუშენებია აქ ციხე და ეკლესია მშვენიერი. მას შემდეგ ეს ქალაქი ქართველების ხელიდან არ გასულა. აქ ისხდნენ, ამ ქვეყნის მმართველნი — მთავრები. პირველი იყო არჩილის მიერ დაყენებული ადარნასეს მმისწული, გრიგოლი. მერე — არამოთა, ყარაქეშიში, ვარდენ კოლონელიძე (თამარის მეფობაში), ასათ გრიგოლისძე, გრიგოლ III ერისთავი, შოთა კუპრი და სხვანი. ყველაზე გამოჩენილი მათში ყარაქეშიში იყო, დავით აღმაშენებლის მიერ დაყენებული. იგი ჰყონდიდელი ეპისკოპოსი იყო, გამოჩენილი მწიგნიბარი და დიდად გონიერი, რისთვისაც ამ ახლად-შემოქრთებული ქვეყნის (შირვანისა და მის მახლობლად მდებარე ქვეყნების) მმართველად ის არჩია დავით მეფემ.* თაორების გაძლიერების შემდეგ აქ ისხდნენ ხანგი: ალიჯანხანი, ყულუთხანი და სხვანი, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ხანად იყო ჰაჯი-ჩალაბი, რომელთანაც მეფე ერეკლეს არა ერთი და ორი ცხარე ბრძოლა პქონდა.

ამჟამად ნუხაში ქართველები სრულიად აღარ არიან და არც მათი კვალი ჩანს სადმე. ანტონ კათალიკოსი ამბობს თავის 1757 წელს
ადამიერილ წერილში, რომ შექმი „მრავალნი არიან ქრისტიანები, სო-
მეხნი კახადად და ქართველი ფარულად, მაპმადიანთა შიშით“.

ვარდთა შენი უკანასკნელი სოფელია საქართველოს აღმო-
სავლეოს მხრივ. ახლა უდინების (აღბანელების მოდგმის) სოფელია,
სადაც უძველესი დროიდანვე საეკლესიო წესები და წირვა-ლოცვა
ქართველად სწარმოებდა. იგი ქართველთა დიდ კულტურულ გაელენას
განიცდიდა. 1330 წელს გორგო ბრწყინვალემ ამ მხარეში მონა-
ლებზე გაიმარჯვა. მან გიშ-ქურმუხის ეპისკოპოსს დაუმტკიცა „ვარ-
დთა შენს სავაჭრონი შეიძნი“. სიძველეთაგან ვართაშენში დარჩენი-
ლა ერთი ეკლესია წმ. ილიასი, აგებული თლილი ქვით, სიგრძით 10
მეტრი, ხივნით 6. ვინ ააშენა ეს ეკლესია ან როდის, ისტორიას ამის
ცნობა არ შემოუნახავს. „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია მხო-

* ამ კუონდილებმა შემახილის შეხლობლად დაარასა ქართველთა მონასტერი, რომელის სახელმა—გურჯიევანია ღლებით მოაღწია. გურჯიევანი დიდი სოფელია, განსაკუთრებით სომხებთ დასახლებული.

ლოდ, რომ 1310 წელს „ოდეს სანატრელმან პატრიარქმან ექვთიმეთ
ჩევნმან მოიხილა კახეთი, მაშინ ინახულა ვარდთაშის ეკლესია იღა-
ასი“.

ტრიცენული

კავკასიის კედელი, ეს არის ის უზარმაშატულული ტრიცე-
ლის ნაშთებიც დღეს კავკ დაცულია ზოგიერთ აღვილას საინგილო-
ში. იგი ყველა უცხოელი მწერლისა და მოგზაურის ყურადღებას იქ-
ცივდა: რომისა, საბერძნეთისა და უმეტესად არაბთა გეოგრაფიი
თითქმის ყველანი იხსენიებენ მას. არც გასაკვირველია. ეს კედელი
თავისებურ ჩინურ კედელს წარმოადგენდა, იმ ჩინური კედლის მსგავსს,
რომლის არაჩვეულებრივ სიდიდეს გაკერცებაში მოჰყავს კაცობ-
რიობა.

ეს კედელი ისტორიაში ცნობილია კავკასიის კედლად. იგი იწყე-
ბოდა ალაზნის, ანუ ალბანიის კარიდან,* გადიოდა საინგილოს მთე-
ბის ფერდობებზე, ყოფილ ნუხის მაზრაზე. მერე მიღიოდა შირვან-
ბაქოსაკნ, უხვევდა ჩირდილოეთისაკნ, აღწევდა დღევანდელ დარუ-
ბანდს, სადაც ძველი ალბანელთა ქალაქი ჯოვა იყო, ხოლო იქიდან
კავკასიის მთების ქედს შესდევდა და ჩირდილოეთიდან ამიერ-კავკა-
სიას კეტავდა.

ეს კედელი დღესაც შშვენივრად არის დაცული დარუბანდში. ვინც
დარუბანდში ყოფილა, არ შეიძლება არ ენახოს ეს უზარმაშატი კე-
დელი, რომელიც ზღვის სანაპიროდან შესდევს მთის ფერდობებს,
მერე მთის წვერებამდის ადის და ისე მისდევს მთებს, რომ ჩირდილო-
ეთიდან შეუძლებელს ხდიდა ამიერ-კავკასიაში შემოჭრას. ასევე კარ-
გად იყო დაცული ეს კედელი საინგილოში. საინგილოში მოგზაურს
მაწუხის მახლობლად, ამ სოფლის ზემოთ, წოურკაშთან, პირველად
შეხვდებოდა ეს არაჩვეულებრივი კედელი. აქედან ეს კედელი მის-
დევდა ლაგოდეხ-ზაქათლის გზატკეცილს, თითქმის 4 კილომეტრის
მანძილზე. პირველი შეხვდებით მგზავრს ეს უბრალო კედელი ევო-
ნებოდა, რომელიც შიგნით მოქცეულ ბაღ-ეკნაბის პატრიონს შემოუკ-
ლიათ მამულის დასაცავად. მაგრამ ჩქარა მიხედვებოდა, რომ ეს უბ-
რალო კედელი არ იყო. კედელი არაჩვეულებრივი სიმაღლისა იყო —
სამ მეტრს აღწევდა, ხოლო სისქე ერთნახევარი მეტრი პქონდა. მას
ზოვ ადგილას კოშკებიც პქონდა ჩატანებული, რომელნიც, ალბათ,
საყარაულოს როლს ასრულებდნენ. გარდა ამისა კედელს მრავლად

* რომაელთა მწერლების Pylai albaniani.

ექონდა დატანებული სათოფურები. ამ ოთხ კილომეტრზე მარტინი გად იყო დაცული ეს კედელი, რომ აღამიანს ახლო დროის ნაშენები ეკონებოდა. საუბედუროდ, ამ ბუბმერაზ კედელს დამცველი ჩატავთ უკუკ გამოუჩნდა და 1910 წელს გზის იჯარადარმა, რომელიც მარტინის გზას ანახლებდა, სანახევროდ დაარღვია იგი და მასალად გამოიყენა.

კედელი აგებულია რიყის ქვით, არსად აგური ან თლილი ქვა არ ურევია. შენობა ძალიან მკვიდრია და დუღაბით არის ნაშენები.

იმ ოთხი კილომეტრის შემდეგ, სადაც კედელი გზატკეცილს მისდევდა, კედელი აღარსად ჩანდა და მხოლოდ სოფ. თაღასთან ჩნდებოდა იგი კვლავ. მაგრამ მცხოვრებთ იგი იქაც დაუნგრევიათ და საშენ მასალად გამოუყენებიათ. თაღილან ეს კედელი წყდებოდა ფერზანის ველში, მუხახის ხეობასთან. სოფ. მუხახის გამოღმაც კარგად იყო დაცული კედელი მთის ფერდობებთან. სოფ. კაქშიაც ეტყობოდა, თურმე, კედელი, მაგრამ აქაც ხალხს დაურღვევია და საშენ მასალად გამოუყენებია.

კედელი, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, საინგილოს შემდეგ ყოფილი ნუხის მაზრისა და შირვანისაკენაც მიღიოდა. შაშახადამე, ნანგრევები აქაც უნდა იყოს. ვარდთაშენის და კუთხაშენის რაიონებში დღესაც არის მთის ფერდობების გასწრივ მრავალი ციხე-კოშკი და საძირკველი დანგრეული კავკასიის კედლისა; ამასევ ვხედავთ შირვანისაკენ, მთის ფერდობების გასწრივი: კედლის ნანგრევები მთელი კილომეტრის მანძილზე მისდევს სოფ. ლივიჩისა და მღინარე გილგანჩის მახლობლად, რომელსაც „ისკანდერ სამთის“ ეძახია.* შირვანბაქოდან ეს კედელი ზღვის ნაპირებს შესღევს და მიდის ალბანელთა ქალაქ ჭოგამდის, ანუ დღევანდელ დარუბანდამდის. იქ, სადაც დარუბანდია, ისე ახლოა მისული ზღვასთან კავკასიის უღელტეხილი, რომ სულ ვიწრო გასავალია დარჩენილი ზღვასა და უღელტეხილს შორის, რის გამოც ქართველებმა ამ აღვილისათვის ზღვის კარი დაურქმევიათ. ეს თითქმის ერთადერთი ბუნებრივი გზა იყო ჩრდილოეთიდან ამიერ-კავკასიაში შემოსასვლელად და ეინც მას კარგად გაამაგრებდა და შემოსვლელად გახდიდა ჩრდილოეთ კავკასიიდან, ის იქნებოდა ბატონ-პატრონი დარუბანდის აქეთ მდებარე აღვილებისა. ამიტომაც კავკასიის კედელი ამ აღვილას უმწევერვალეს სიმაღლისა და სისქისა

* сб. Примечания Карапулова к переводу Арабских географов.

ყოფილა. მთელი სივრძე კუდლისა, დღემდე დარჩენილი წაშების მიზევით, 360 კილომეტრს უნდა აღმატებოდეს.”

მიზანი და დანიშნულება ამ კუდლისა, რასაკეირვესტერი უსსერ მტერთაგან თავის დაცვა. ძეველ დროში, როცა საომარი იარაღი და ტექნიკა განვითარებული არ იყო, ასეთ კუდლებსა და კოშებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ. ერთი მხრივ, ამ კუდლების შიგნით მცხოვრები ცოლ-შვილს მაღავდნენ, ავეჯულსა და განძულს უზრუნველყოფნენ გატაცებისაგან; მეორე მხრივ, კუდელთან ჩასაფრებულ ჯარს კარგი საფარი ჰქონდა და მარჯვედ უხვდებოდა მტერს. ამ კუდელს აფარებდნენ შემდეგში თავს ქართველთა მეუენი და დიდებულნი. „ქართლის ცხოვრება“ ამბობს: „ხოლო მეუე დაჩი და დისწული მისი ვადავიდეს კახეთიდან და შევიდეს ქვეყანას მას კლდითა შეზღუდულისათა“, ან კიდევ: „ვითარ შეიძყრნენ ქართველთა მეუე მირდატ სპარსთა, ნათესავნი ქართველთა მეუეთანი დარჩნენ ხევსა კატეხისას.“**

მაგრამ ვის უნდა აეგო ეს უშველებელი კუდელი? თუ მხედველობაში მივიღებთ საზღვრებსა და აღვიღებს, სადაც კუდელი იყო აგებული, უნდა დავასკვნათ, რომ პირველი ამშენებელი ამ კუდლისა აღბანები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან სწორედ ამ აღვიღებში მდებარეობდა აღბანია. აღბანიას, — ამბობს X საუკუნის მწერალი კალან-კატავაწი, — სამხრეთით საზღვრავს აღაზანი და მტკვარი, აღმოსავლეთით კასპიის ზღვა და ჩრდილოეთით მდინარე სამურის მიდამოები დარუბანდამდეო. ასეთსავე საზღვრებს გვიჩვენებენ დაახლოებით სხვა მწერალნიც.

აღბანია კულტურული ქვეყანა იყო და მას დიდი აღებ-მიცემობა ჰქონდა სხვა ქვეყნებთან. გავიხსენოთ მარტო აღბანელთა ქალაქი ჭოვა (დარუბანდი) და ყაბალა, რომელიც მაშინ დიდ სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდნენ და დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მთელი აღმოსავლეთ კავკასიისათვის, ამ ქალაქებში ამზადებდნენ სხვადასხვა ქსოვილს, ჰყიდვნენ მონებს და სხვა. ამიტომ აღბანელთა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო იყო მშვიდი და წყნარი ცხოვრება, რომელსაც ხელს უშლიდნენ თანდათან გაძლიერებული ჩრდილოეთის კელური ხალხები: ხაზარები, სკვითები და სხვანი,

* ი. ბარათოვ, История Грузии.

** ი. „ქართლის ცხოვრება“, გვ. 108, 147.

რომელთა ერთადერთ ხელობას სხვათა აკლება-აწიოკება და ნადავ-
ლით ცხოვრება შეაღენდა. ეს ურდოები, რომელთაც მუზმერი პრიული
არა პქონდათ, გაივლიდნენ ხოლმე დარუბანდზე, რომელიც, მრიდან მარტივი
ერთი ბუნებრივი გასავალი იყო ჩრდილოეთ-კავკასიიდან ამიერ-კავ-
კასიში, მოედებოდნენ მახლობელ აღვილებს და ნაცარ-ტუტას ადენ-
დნენ ყველაფერს. ვაჭრობით განთქმულს ყაბალს*. არა ერთ და ორი
ასეთი აკლება ახსოვს ხაზართა და როსტავან.** ამ ხაზართა ველურ-
მა ურდოებმა ისე გაუქირეს საქმე ალბანელთ, რომ მათ მიატოვეს
დედაქალაქი ჭივა (დარუბანდი) და დედა-ქალაქად ყარაბახში მდება-
რე ქალაქი პარტავი გაიხადეს.

აქედან აშკარაა, თუ რა დიდად საჭირო იყო მყუდროება ალბა-
ნელთა კულტურული ცხოვრებისა და აღებ-მიცემობისათვის. ჩრდი-
ლოეთ-კავკასიის ბრძოები მოსვენებას არ აძლევდნენ მას. ალბანე-
ლინიც გულზეხელდაკრეფილნი არ ისხდნენ. დიდ წინააღმდეგობას უწ-
ევდნენ ჩრდილოეთის ურდოებს. ასეთ გარემოებაში, რასაკეირვე-
ლია, პირველ ყოვლისა ალბანელებს დაებადებოდათ აზრი კედლის
აღმართვისა მმ ერთადერთ მთავარ გასავალში, საიდანაც ეს ურდოე-
ბი შემოიჭრებოდნენ ხოლმე. ეჭვს გარეშეა, რომ პირველი ამშენებ-
ლები ამ კედლისა ალბანელები იყვნენ. დღესაც დარჩენილია ინკილო-
ებს შორის გადმოცემა ამ კედლის ავების შესახებ. ხალხს ჯერ საკ-
მაო მასალა მიაზიდვინეს, მეტე გასაკეთებელი კედლის სიგრძეზე ჩა-
ამწერივეს, დაპყვეს ნაწილებად და უბრძანეს კალატოზებს კედლის
ავება. ეს კედლი ერთ წელიწადს დამთავრდათ, რადგან მთელი კედ-
ლის სიგრძეზე ერთსადაიმავე დროს იყო მუშაობათ.

წერილობითი საბუთი ალბანელთა მიერ კედლის აშენებისა ჯერ-
ჯერობით არ აღმოჩენილა. მეტად მწარე ბედი არგუნა ისტორიაშ ალ-
ბანელებს, მთელი ეს ერთ, რომელსაც თავისი კულტურა პქონდა,
სრულიად გაპქრა კვალწმინდად და მათი მწერლობაც დაიღუპა და
რა გასაკვირველია, რომ ისტორიული საბუთი მათ მიერ კედლის აშე-
ნებისა გამქრალიყო. თუ ასე არ იყო, კლასიკური მწერლები რათ
უწოდებენ მას ალბანიის კედლს?

ასე იყო ძველად, ალბანელნი და არა სხვანი უნდა ყოფილიყვნენ
ამ კედლის პირველი ამშენებლები. მაგრამ დრონი იცვალნენ, ალბა-

* ამ ქალაქის ნანგრევები დღესაც კარგად ჩანს ყოფილი ნუბის მაზრის ყაბალის
მაგალში.

** იხ. Покход Россов, XXVI сборник Кавказских горцев.

ნელთ თავიანთი მთავარი ქალაქი ჭოგიდან პარტავში გადატარეს, სპარსელთ დაიპყრეს აღმოსავლეთი კავკასია, ზღვის კარის ბატონში ბიც ისინი გახდნენ და თვით ქალაქ ჭოგასაც შემდეგ შემოსული გადაბი დაარქვეს. ირანელები კარგად მისხვდნენ ამ კედლის დისტანციას ვნელობას და მტკიცედ შეუდგნენ მის შეკეთება-განახლებას. მის განმაახლებლად ითვლება სპარსთა ისტორიაში კარგად ცნობილი შაპი ხოსრო დიდი (სასანიდების დინასტიიდან), ანუშირვანად წოდებული. ეს სახელი მას სამართლიანობისათვის ეწოდა. იგი მეფობდა 531—579 წლებში.

აი ჩას ამბოს ამის შესახებ არაბთა გეოგრაფი კუდამა: „შაპმა ანუშირვანმა, ხაზართა მუდმივ დარბევით ილაჯგაწყვეტილმა, ბრძანება გასცა, აღემართათ კარი აბულაბეგაბში, ჩათა მის ნებადაურთველად არავის შესძლებოდა შესვლა და გამოსვლა. და აღმართეს კუდელი ზღვასა და მთებს შორის 300 მეტავის სიმაღლე, კლიფისა და ტყეებისაგან შედებული, შემდეგ გასცა ბრძანება, ხომალდებით ეზიდნათ ქვა და კლევ, დაეყარნათ ზღვის პირად და ზედ კუდელი. აღემართათ კუდლის ავების შემდეგ გასავალში ჩამოჰკიდა რეინის კარი და მიუყენა 100 ცხენოსანი ყარაული. წინათ კი კარის დასაცავად საჭირო იყო 5000 კაცი“. ესევე კუდელი გავრძელებული იქნა შირვანისა და გაღმა მხრისაკენ (საინგილოსაკენ) და აღაზნის სათავეში თავდებოდა. ეს გასავალი, რომელსაც ქართულად აღვანის კარს ეძახდნენ, ხოლო არაბთა გეოგრაფინი — ბაბლურზეკა, თითქმის ისევე კარგად იყო გამავრებული, როგორც პირველი მავრამ ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა.

ამრიგად შეკეთებულ კუდელს ადგილ-ადგილ საყარაულო კოშკები ჰქონდა ჩატანებული. ამ საყარაულო კოშკებთან ყოველი სამი მილის სიშორეზე რეინის კარები იყო შებმული გასავალში. ამ კოშკების სიახლოეს ანუშირვანმა მოსულიდან და დიარბექირიდან გადმოსახლებული სპარსელები ჩააყენა, რადგან ადგილობრივ მცხოვრებთ ვერ ანდო კედლის დაცვა. გაღმოსახლებულთა მოვალეობა იყო კოშკებისა და კედლის დაცვა მტერთავან და ნიშნის მიცემა მტრის მოახლოების დროს. ნიშნის მისაცემად შემდეგ ხერხსა ხშარობდნენ: რომელიმე მახლობელ მთაზე ან თვით კოშკზე, თუ, რასაკვირველია, კოშკი თვალსაჩინო ადგილას იყო, ცეცხლს ანთებდნენ და ამით ატყობინებდნენ მოსახლეობას მტრის მოახლოებას. ერთ ახეთ ადგილად არჩეული იყო დარუბანდის მახლობლად დიდი მთის მწვერვა-

ლი, სადაც მუდამ წელს მრავალ შეშას აგროვებდნენ. წესისაკენ
ასეთი ადგილებისათვის ხელოვნური ყორდანები იყო გამართული კარგა
დიდი ზომისა და სიგრძისა. საინგილოში ღღესაც შემოვალი არის
ასეთი ყორდანი, აյ ყოველ 4—5 კილომეტრზე გვხვდება ბისიდი
სწორედ იმ ადგილებში, სადაც კედელი უნდა ყოფილიყო ან ჯერ
კიდევ არის. ყორდანები ღღესაც მშენივრად არიან შენახული ღე-
ქეთში, გილიუკში, მუხაბში, ჭარბში, თალაში, კატებში და სამი კიდევ
ბელაქნის ჩაინოში. ყველა ისინი ხელოვნურად გაკეთებულ პატარა
ოვალური სახის მოგრძო გორაკებს წარმოადგენენ, ერთნაირი ზომისა
და მოყვანილობისა. ზოგნი ფიქრობენ, რომ ამ ყორდანების ქვეშ ად-
გილობრივი დიდებული არიან ვითომ დამარხული.

ბოლოს, არ შევვიძლია არ ავლიშნოთ, რომ ხალხის გაღმოცემა
ამ კედლის აეგბას აწერს თამარ ღედოფალს და ალექსანდრე მაკედო-
ნელს, უფრო კი პირველს. თამარ ღედოფალი ხალხის ისეთი სიამაცეა,
რომ ხალხის ფანტაზია არა თუ საქართველოში, არამედ მოსაზღვრე
ქვეყანაშიაც ყველაფერს იმას აწერს.

როცა დაღესტანიდან გაღმოსულმა ღვევებმა ხელთ იგდეს საინ-
გილო, ამ კედლის მნიშვნელობა ერთი-ორად გაიზარდა — ღვევების-
თვის ის მშენიერ საფარს წარმოადგენდა ახლად-დაჭერილ სოფლე-
ბის დასაცავად ქართველთა თავდასხმისაგან. ღვევები ამისათვის უფ-
რთხილდებოდნენ ამ კედლს და ხელს არ ახლებდნენ. სწორედ ამი-
თი აისხება ის გარემობა, რომ ისე მშენიერად არსად არის ეს კა-
დელი დაცული, როგორც საინგილოში.

IX

კალის მღვიმეარეობა და მოსახლეობის უავირავა

ინგილო ქალის ავ-კარგი. — მისი მხნეობა და გამრჯელობა. — ქალის გათხოვების
ძეველი ჩვეულებანი. — ქალების სიმცირე საინგილოში. — ქალი კაცზე ნაკლები იძა-
ღება. — მალარის შპენგარება და მისით დაზარალებული სოფლები. — სასმელი
წყლის უქონლობა.

საინგილო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამი ეროვნებისაგან შეს-
დგება: ღვევებისა, ინგილოებისა და თათრებისაგან (აზერბაიჯანელე-
ბისაგან). ქალის მდგომარეობაც ძირითადად სხვადასხვანაირია ამ სამ
ეროვნებაში. ყველაზე თავისუფალი, ღალი და ღამაზი ავარელი ღვ-

კის ქალია. მას მისდევს ინგილო ქალი, შემდევ ადგილი კი თარიღის
ქალს უჭირავს. ჩვენი საგანია ამ შემთხვევაში ინგილო ქალის ჟა-
ხასიათება.

ინგილო ქალი შავგვრემანია, ფერმერთალი, ნაჭელი უკანასკნელი
გამომეტყველებისა, შუატანისა, მაგარი ავებულებისა და კარგი მოყ-
ვანილობისა. ბევრს ნახავთ ინგილო ქალებში ეშნიანი სახისას, რო-
მელსაც რაღაც გამოუთქმელ-გამოუაშკარავებელი სევდა-კარანი
აქვს სახეზე აღძეჭდილი. სახე სარკეა სულისაო, იტყვიან და ინგილო
ქალის სახეც მწარე წარსულის გამომხატველი უნდა იყვეს. კუნაპე-
ტივით შავი თვალები და გიშრისფერი ნაწნავები (ინგილოურად წი-
წილები) აშვენებენ ყველას — დიდსა თუ პატარას. ვერ ნახავთ სა-
ინგილოში, ბევრიც რომ ეძებოთ, ქერა ან მოწითალოთმიანს და
ჭრებულთვალება ქალს. ასეთები საინგილოში არ მოიძებნებიან. ვერ
შეხვდებით აგრეთვე კუზიანს ან ფეხებ-დახლაქილს და სხვაგვარ
მახინჯს ვერც ქალებში და ვერც კაცებში.

სიარულში, მიხვრა-მოხვრაში სიმკვირცხელე, აჩქარება არ ეტყობა,
ღინჯად დაიარება ინგილო ქალი, ჩაფიქრებული და თავჩალუნული.
იშვიათად დაინახავთ მცინარეს და მით უმეტეს მოკისე-მოხითხი-
თეს. ის წყნარი, მშვიდი, თავმდაბალი, ყველგან და ყველასთან თავა-
ზიანი და ზრდილობიანი, ერთ ცუდ სიტყვას არავის შეკადრებს.
წყვევა, ქოლგა, ავადხსენება ადამიანისა, ინგილო ქალებშა სრულიად
არ იციან. კამასი, აბეზარი დედაკაცი, იქ იშვიათი მოვლენაა.

ჭორაობა ინგილო ქალს სრულიად არ ეხერხება, ის სამარცხევინო
საქციელად თვლის ამას. ვერსად ნახავთ ქუჩაში ან ეზოში გაჩერე-
ბულ უსაქმოდ მოლაყბე და მოსაუბრე ქალებს, ჭორებსა და უბრალო
რითქმა-მოთქმაში გართულთ. ამისთვის იმათ არა სცალიათ, თუ ელა-
პარაჟება და ესაუბრება ვისმეს, ისიც საჭირო რამე საქმეზე, მოკლედ,
სხარტულად სჭრის სიტყვა-პასუხს. თეით სიტყვა ჭორი, ჭორიკანო-
ბაც კი ბევრისთვის სრულიად უცნობი სიტყვაა.

სახის შესალამაზებლად ინგილო ქალი არაეთარ საშუალებას
არა ხმარობს. ის ბუნების შვილია და წარმოდგენაც კი არა აქვს ამა-
ებზე.

ინგილო ქალი მეტად თავდაჭრილია და ნამუსდაცული. ამ მხრივ
მას ბადალი არა ჰყავს. მთელი საინგილო რომელ დაიაროთ, ვერა ნა-
ხავთ ვერც ერთ ზნედაცემულ ქალს, რომელსაც სინდისი და ნამუსი
დაეკარგოს და გარყვნილ ცხოვრებას დასდგომოდეს. ამიტომაა, რომ

ასეთი ყოფაქცევის დამახასიათებელი სიტყვები — მეძავი, კახა, რომ— კიბი — ინგილოთა ლექსიირში სრულიად არ მოიძებნება.

პრანჭვა-გრეხვა ინგილო ქალს არ უკარს, არშიყოუშერისული იყელს მას ვერა ნახავთ, ის მხოლოდ და მხოლოდ საქმის ჭუღულუქშემეტებისა და სახლისათვის თავდადებული დიასახლისი. იგი იშვიათი მხნეობისა, ენერგიისა და საქმიანობის აღამიანია. როვორც მეოჯახე, სწორუპოვარია, მოელ დღეს, დილიდან საღამოდის, შეუფერხებლივ მუშაობს და მისი ხელი ერთ წუთს არ გაჩერდება. ვაზაფხულდება თუ არა, მას ძილი არა აქვს, მოელი ბოსტნეულის მომყვანა ის არის. მას იმდენი ბოსტნეული მოპყავს, რომ არა თუ სახლს უზრუნველყოფს, არამედ გააქვს გასასყიდადაც. მეაბრეშუმეობა კიდევ, რასაც აქ ნუგანობას ეძახიან, ხომ განსაკუთრებით ქალების საქმეა. ამ დროს მას მართლაც არა სძინავს, ფარგანასავით თავს დასტრიალებს და გარს უვლის აბრეშუმის ჭიას. მეაბრეშუმეობა აქ ძალიან არის ვაკრცელებული. გაათავებს აბრეშუმის მოვლა-მოყვანას და ახლა შალისა და ჯეჯიმის ქსოვას უნდა შეუდგეს.

ვარდა ამისა, საქონლის მოვლა, ყველისა და კარაქის ამოღება პირდაპირ ქალის მოვალეობა; ამას დაუმატეთ ბავშვების მოვლა, შინაურ ფრინველის მოშენება, სახლების სისუფთავე და ათასი სხვა უნინარი ოჯახური საქმე და დარწმუნდებით, რომ აღამიანი მართლა ციბრეტივით უნდა ტრიალებდეს მოელ დღეს, რომ ამდენ შინაურ საქმეს აუკიდეს. მერე, უნდა ნახოთ, რა შშვერივრად მოკრიალებული კარ-მიდამო აქვს, რომ მისდამი პატივისცემით განიმსჭვალოთ.

ხშირად შეხვედებით დილა-ადრიან, რომ ოჯახის დიასახლისი ქალი, ცხენზე გადამჯდარი, ბინისაკენ მიემგზავრება. ხშირად ეს ბინები 4—5 კოლომეტრით არიან დაშორებული სოფელს და ამ გზის გავლის შემდეგ ქალმა იქაც ყოველივე სადედაკაცო საქმე უნდა გააკეთოს და თავის დროზე დაბრუნდეს სახლში.

ინგილო ქალს შრომა-მუშაობასა და ოჯახის მოვლა-პატრიონობაში ვერ შეეღრება დეკის ქალი და მით უმეტეს თათრისა. სწორედ ამის გამოა, რომ ინგილო იშვიათ შემთხვევაში თუ შეირთავს დეკის ან თათრის ქალს, რადგან დარწმუნებულია რომ ინგილო ქალი ათჯერ მეტ საქმეს გააკეთებს, სხვათა ეროვნების ქალებთან შედარებით.

მიუხედავად იშისა, რომ ქალი ასეთი იშვიათი ენერგიის პატრიონია, უბადლო მომელელი და მოსიცვარულე თავისი ოჯახისა, იგი მამაკაცთაგან ჯეროვან პატივისცემასა და ყურადღებას მოკლებული

ոյս. մշել գրութիւն յալս օնցուղո Մշուղագաց ար Տուղարա, մուս շահ-
հուտ Մշուղո մարդու զայս ոյս, յալո յո արչ, զայս ծովանջա ոչաքնիս և
Մշուղու և կուրեց օս արօսո, յալո յո և սեպատա ոչաքմուշիքու վիշտացքներ
և սեպա շնդա Մշուղագա ար շմերիեծունաշիլուսաբրդուսույս ընդ-
ցուղոս. մշելաց այս ամեռանցնեն: եռալու յալ զոյ զատեղածուն! և
ամուտ զամուսասազնեն տապանտ յարկուցա յալուն ցանառունանմո.

օնցուղո յալս օսյ շշյերունա, հողորու համեց ցասապուզ նուցու,
հողորու սայունցուն, հողունսաց օման մուպուզու և պարունու, զոնց մեր
սասցուղուն մուսցունց. ամուտուն ոյս, հոմ և ոչաքարունուտա և մուշունց-
նուտ յալուն տեղունա օմշուատու մուղլուն ոյս սանցուղունու... յալ-զայս
պարունուն ծազշունունց, ան այցանու, հողորու յու մշելաց սայար-
տուցունու ոյս, նոմնացքն. ե՛մուն օյս օսցուտ Մշմտեցքա, հուցա ցա-
սատեղունա յալունշուղուն პորունա ամլուզնեն շրտմանցուն — ոյ
մեց յալու մցուղուն և Մշն ծովու, շրտմանցուն մուցատեղունու. ամ პորո-
նաս ზոցայր մդյալու ուցազնեն. ան, ցայցեցնա დանունցուլուն շարուն
ոյմա և գեց-մամուն սարցուղուն փոնաձմուն փասւլու? ասցուն սայուց-
ուն գուցաց սասունցունու օյս ոչաքուսատցուն և մշորու յուցաց — ան-
ուն սասեղուն Մշունա արց օսյ ացցուղու օյս սանցուղունու.

այ յալուն տեղունամու ճամփունա օմարտեծունա և համց-
նագաց յալու լուսանու և աշենանո օյս, օմցունաց շոյրու մշերաց ցասց-
նունց. յալու դանունցուն, մաշրամ յու օման հուցուն նոմնացն, հոմ շյա-
սուն, ցասցուղուն մուտեղուն օս սասունու. սասունուն, շասունուն, ցասունցու-
ցուղունս, յալուն մշունցուն սասարցցելուն շնճա ցագատեացուն ատա-
լունուն (սացցեմամո) ցուղու, հոմլուն հառցենունաց մշել գրութիւն արա
օմշուատուն 800—1000 մանցուն ալիցուն, մաշրամ հաց ցոնճա լարունօ
ցուղունուն սասուն, 200—300 ման. ճայլուն ցըր ցագարինցունց. ամո-
ւութիւնա, հոմ այ լարունօ յացուսատցուն յալուն տեղունա մալուն մեցուն
և եմուրաց Մշյալունցունց օյս. եղլմուցա յացու սասատալուն ցուղուն
մշել գրութիւն սոմիք աշուրուսացն կայսերացուն լուցուն սարցցելուն և
եմուրաց սամունամուն մուս մոցալու եցեծուն եռլմեց. յու ցուղուն մշուն-
ցունուն սասարցցելուն մունուն և արացուար Մշմտեցքամու յուրի-
ւուն միացցեաս ար եմարցեծուն. ամուտցուն օյս ոյ այսաւ մշյունուն
նցուրու յալունշունու կյացաց, մգունա ոչաքաց ուցունցուն օցու, հաց-
ցան մուցացան սոմցունուսացն յարցա ծլումաց ատալուն Մշմուցունցուն.

շոյրու շարուն թջարմանցունամու յշրիցու յալուն օյս, մաս անցարուն
արացուն շիցուն և հոցորու մոցըրունցունցատ, օսյ շյելունցուն.

ქვრივ ქალს 2—3 დღესაც კი არ დაუცდიდნენ, რომ ქმარი გამოვიდოვა: მთხოვნელი მთხოვნელზე მოღიოდა და მოსვენებას არ აძლევდნენ ახლად დაქვრივებულ ქალს. ქვრივი ქალის ირგვლივაც ნამდინალი ვაჭრობა იმართებოდა და, რასაკვირველია, ვინც მეტი წელი გადასჭირდა და, ქალიც იმას რჩებოდა. მაგრამ წარმოიდგინეთ ასეთი შეცრასევე ქალი ვაჭირვეულდა და არა სურს გათხოვება. ასეთ ქალს ძალით მოტაცება არ ასცდებოდა. წავიდოდა ქვრივი ქალი წყლის მოსატანად ან ვენახსა და ბაღში სამუშაოდ, მაშინ მიღარაჯებული ხალხი დაეცემოდა და მოიტაცებდა. თუ ქვრივს ძუძუმწოვარი ბავშვი ჰყავდა, თან მიჰყავდა, დიდები კი ქმრის ოჯახში რჩებოდნენ. ასეთ მდგომარეობაში იყო ქვრივი ქალი და, რადგან მეტი გზა არა გააჩნდა ბეჭს ძალაუნებურად ემორჩილებოდა.

ასეთი გარემოება გამოწვეული იყო ქალის დიდი სიმცირით საინგილოში. კაცების რიცხვი დიდად სჭარბობდა ქალებისას. მთელ საინგილოში, ბარში თუ მთაში, რაღაც გამოურკვეველი, უჩინარი მიზეზის გამო, რომლის სათანადო ახსნა-განმარტებას ვერსად ვპოვებთ, ქალები კაცებზე ნაკლებნი იბადებოდნენ და სიკვდილითაც შეტნი იხოცებოდნენ.

ერთი წლის განმავლობაში საინგილოს ოთხ დიდ სოფელში მამაკაცთან შედარებით ქალი 253-ით ნაკლები დაბადებულა. ასეთივე თვალსაჩინო განსხვავებაა სიკვდილიანობაში: ამავე წელს 92 ქალით მეტი მომკვდარა. არ გევონოთ, რომ ეს რაღაც განსხვაუთრებული წელიწადი იყო, ასეთსავე განსხვავებას იძლევიან სხვა წლები.

რომელი ეროვნება საინგილოში შედარებით უფრო მეტ ნაკლებობას განიცდიდა ქალებისას? ქართველებში (ინგილოებში) 100 კაცზე მოღიოდა 93 ქალი; ლეკებში (ავარელებსა და წახურულებში) 83 ქალი; თათრებში (აზერბაიჯანელებში) 86 ქალი.

სხვათა ქვეყნებისა და ერების სტატისტიკის რომ გადავავლოთ თვალი, სრულიად წინააღმდეგს დავინახავთ, იქ ქალები ბევრად სჭარბობენ კაცებს და არავითარ შემთხვევაში მათზე ნაკლები არ არიან.

ქალები კაცებზე ნაკლები იბადებოდნენ, ხოლო სიკვდილიანობით სჭარბობდნენ კაცებს, და აი სწორედ აქ იყო მთელი ტრაგედია საინგილოს მოსახლეობისა. ზემოაღნიშნულ წელს საინგილოში დაიბადა 253 ქალით ნაკლები, გარდაიცვალა 92 ქალით მეტი, ე. ი. 345 ქალი დააკლდა ამ ერთი წლის განმავლობაში საინგილოს ოთხ დიდ სოფელს. რით იყო გამოწვეული ქალების ასეთი ჭარბი სიკვდილია-

ნობა? ამის ახსნა კი თვით ინგილოთა ყოველდღიური ცხოვრებაში უნდა ცემიოთ. ქალების ზედმეტ სიკვდილიანობას, უაიზერლეის უაზერლისა, იწვევდა ის ბარბაროსული ჩვეულება, რომელიც მარტინული ხელისუფლებამდე აქაური მელოგინე ქალი იყო ჩაჟენერული. ქალის სიკვდილიანობას ის მეტისმეტი შრომა უწყობდა ხელს, რომელსაც ქალი ეწეოდა შინ თუ გარეთ.

1897 წელს მოელ ყოფილ ღლქში (დღევანდველი ბელაქნისა, ზაქათლისა და კავის რაიონები) ყოფილა სულ 84417 სული, ხოლო 1904 წელს დარჩენილა 74735 სული, კ. ი. შვიდი წლის განმავლობაში საინგილოს დაპკლებია დაახლოებით 10000 ადამიანი.* ხშირად შეცვლებოდით ასეთ სურათს: აუშენებიათ ახალი სახლი, მშვენიერი ბალ-ვენახი და კარგად მოვლილი, მავრამ, საუბედუროდ, ეს გაკეთებული მეკომური სრულიად ამომწყდარა და მისი კარმიდამო და მამული ვერანად ქცეულა. ნაწილობრივი მიზეზი ხალხის ასე უწყალოდ დაკლებისა, ძველად ვენერიული სენი და მაღარია იყო, რასაც ინგილოები „ბოლებას“ ეძახიან. ალაზნის სანაპირო სოფლების სიახლოეს ხშირია დაჭაობებული ადგილები და პატარა ტბები. ამ ეს ჭაობები და ტბები მოელი ზაფხულის განმავლობაში კოლო-ქინქლით არიან სავსენი. დამით რომ გაიაროთ ამ ადგილებში, კოლოების ბუჟილი შორიდანვე შეგზარავთ. ძველად რუსეთის მიწათმოქმედების სამინისტროს ჩრდილებულმა, გატაცებულმა რუსიფიკაციის იდეებით, 100 კომლი რუსი ოჯახი დაასახლა ალაზნის სიახლოეს და შშვენიერი ახალშენის მოწყობას პირებდა, მავრამ აქაურმა ტროპიკულმა მაღარიამ კავკასიის პავას შეუჩეველი ხალხი ორი წლის განმავლობაში მოლად გაანადგურა. მაღარიის ფარგლები საინგილოში მარტო ალაზნის სანაპიროებით არ განისაზღვრება. მოგეხსენებათ, რომ საინგილოში ბევრ ბრინჯას სთესავენ და ამით განთქმულია განსაკუთრებით სოფ. ზერნა.

მაღარია აქ ტროპიკული ხასიათისა იყო და ზაფხულობით ბავშვებს მაინც მუსრს ავლებდა.

ყველა ამას ზედ ერთვიდა სუფთა სასმელი წყლის უქონლობა. მრავალი ბარის სოფელში მდინარის ან წყაროს წყალი არ მოიძებნება, რის გამოც მცხოვრები არხის წყალს იყენებენ. ეს წყალი მავნებელია აღამიანის ჯანმრთელობისათვის და სწორედ ამ სოფლებში მაღარია განსაკუთრებით მძვინვარებდა.

* Известия, Зак. статист. к-та за 1904 г. т. II.

შალარია აქ ტროპიკული ხასიათისა იყო და ზაფხულობით ბავშვებს მაინც მუსიკის ავლებდა.

კველა ამას ზედ ერთოდა სუჟთა სასმელი წყლის ჰელიკონის ულევი მრავალ ბარის სოფელში მდინარის ან წყაროს წყალი აგრძელებული ნება, რის გამოც მცხოვრებნი არხის წყალს იყენებდნენ. ეს წყალი მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის და სწორედ ამ სოფლებში მაღარია განსაკუთრებით მძეინვარებდა...

ამ ასეთი საშინელი მდგომარეობა იყო საინგილოში... საბჭოთა ხელისუფლებამდე ქვეყანა დაღუპვისაკენ მიექანებოდა, ვენერიული სენი და მაღარია მას სისხლს უშამავდა, მხსნელი და მშვედელი კი არავინ იყო. მის მწვავე ჭრილობებს არავინ აქცევდა ყურადღებას, საინგილოს აუცილებელი დაღუპვა-ამოვარდნა მოეღოდა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ სულზე მიუსწრო და ქვეყანა გადაარჩინა დაღუპვისაგან. მთელი საინგილო მან სამკურნალოებით და საექიმო პუნქტებით გაავსო, დაავადებულ ხალხს ეშველა, თავისუფლად ამოისუნოქა. დაღუპვა-ამოვარდნის გზაზე შემდგარი ხალხი ფენიქსებრ განალხდა, გაჯანსაღდა.*

* აეტორისეული შეხედულება, — თითქოსდა საბჭოთა ხელისუულება მასწერია როლში მოველინა საინგილოს გადატენაში, რამდენადმე, გაშვიაღებულად ვავრნება, თუმცა იმის უარყოფაც არ შეიძლება რა სასიკეთო ძერებიც მოჰყა საბჭოთა ხელისუულების დამკვიდრებას საინგილოს ყოფა-ცხოვრებაში (შემდგენელი).

Տ Ա Գ Ո Վ Ե Ա Ը Ն

Պարզհապես առաջնական

- Անձանտություն — 10.
- Ածուլածառածո, կողք առ ճամփանդո — 184, 185, 187, 188.
- Ացլամիս մոնղոլու — 61.
- Անշահանչանո//ազգայիշանո — 17, 28, 35, 41, 43, 52, 62, 63, 64, 67, 73, 89, 156, 157, 180.
- Անցանց — 45, 142.
- Առաջարկություն — 52.
- Առանձինություն — 3, 13, 21, 27, 28, 29, 32, 36, 37, 38, 47, 49, 50, 51, 52, 59, 66, 107, 113, 147, 154, 157, 163, 167, 168, 172, 184, 186, 188.
- Առաջարկություն — 141, 154, 158.
- Առայսյարություն — 59.
- Առաջարկություն (լուսնայանո) — 10, 49.
- Առձանություն — 186.
- Առաջարկություն (ըլուստություն) — 53, 82, 84, 90, 92, 93, 94, 95, 99, 103, 104, 112, 113, 114, 151, 154, 178.
- Առաջարկություն — 74, 152.
- Առաջարկություն — 92, 157.
- Ամիսականություն — 152.
- Անձանց — 80.
- Անշահանչանություն — 86.
- Անշահանչանություն — 54, 55.
- Ասպանձա — 21, 22.
- Աստրահանություն — 65.
- Աջակլություն — 32, 33, 46, 50, 57.
- Աժակլություն — 63, 65, 78, 80.
- Աթիարություն — 45, 180.
- Աջանապահություն — 32, 33, 16, 50, 51.
- Ապալություն — 12.
- Ապահովություն — 92, 169, 170, 171.
- Ապահովություն — 10.
- Ապահովություն — 10.
- Ապահովություն — 76.
- Ապահովություն — 92.
- Ապահովություն եղանակ — 30.
- Ապահովություն — 153.
- Ապահովություն ըստ պահանջման — 177.
- Ապահովություն — 31, 43, 49.
- Ապահովություն — 19, 25, 154, 159, 163, 168.
- Ապահովություն լրացնեմունքություն ըստ պահանջման — 167, 182.
- Ապահովություն — 19, 25, 28, 38, 41, 42, 49, 53, 54, 57, 58, 59, 61, 81, 82, 86, 88, 89, 99, 141, 143, 155, 161, 162, 163, 164, 165, 189.
- Ապահովություն թուականություն — 53, 160.
- Ապահովություն թուականություն — 44.
- Ապահովություն թուականություն — 36, 44.
- Ապահովություն առաջարկություն — 165.
- Ապահովություն առաջարկություն — 29.
- Ապահովություն առաջարկություն — 29.

გორგოში — 17.
 ბრეთი — 3, 6, 13.
 პეტერინი — 40.

 გამოცანა — 3, 25, 26, 71.
 განჯა — 13, 64, 77.
 გარეჯა — 53.
 გვირჩხა — 19, 159, 180.
 გვარმანია — 18.
 გვლიგანჩიანი — 185.
 გველოუენ//ვარდოვანი — 159, 174, 175, 189.
 გვში — 19, 159, 181, 182.
 გვში (მდ.) — 181.
 გვე-ქურმუხა — 55, 71.
 გოგოში — 59.
 გოზბახი — 59.
 გორი — 4, 13, 26.
 გუბახი — 29.
 გუდირეხი — 59.
 გუდურდაღი — 29.
 გუნიძი — 38.
 გურჯივანი — 183.
 გურჯილაღი — 71.
 გუტანი — 29.

 დავით გარეჯის მონასტერი — 54.
 დათუნა (სოფ.) — 38.
 დარდოვაზი — 59.
 დარგაშეიღისა — 162.
 დარუბანდი — 43, 184.
 დაღესტანი — 15, 35, 38, 39, 40, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 64, 65, 66, 67, 72, 76, 79, 82, 83, 86, 87, 94, 98, 99, 103, 110, 142, 156, 158, 180, 189.
 დავითი — 185.
 დანგლია — 29.
 დანტილა — 31, 71.
 დანდილა — 29.
 დონდუშურუნი — 59.
 დოპრატო // ტარტე — 9, 10.

დვრინია (მდ.) — 27, 66, 180.
 ელისე — 42, 43, 45, 48, 73, 74, 76, 142, 156, 180. ტერმინული
 ელისეს აბანო — 44.
 ელისეს სასულთნო — 19, 53, 66, 73, 74.
 ელისეს ხილი — 180.
 ელისავეტპოლი — 10.
 ემურჯანლი — 158.
 ენგანი // პენგანი — 92, 93, 94, 95, 159.
 ენისელი — 97.
 ერევანი — 8, 49.
 ესტონეთი — 9.
 ერშიაბინი — 10.

 ჯართაშვილი — 52, 159, 161, 180, 183, 184.
 კვლისციხე — 78.
 კვრტივალი (მთა) — 32.
 კვრხიანი — 92, 99.

 ჭანგეჭერი — 10.
 ჭავათალა — 13, 28, 31, 53, 89, 107, 138, 155, 166, 179, 184, 194.
 ჭავათალის მაზრა — 16, 76, 99.
 ჭავათლის ციხე — 84, 86.
 ჭერია — 159.

 ტაღა — 36, 59, 82, 89, 92, 99, 141, 185, 189.
 თაღანია — 36, 57.
 თამაღლი — 90, 92, 94, 95, 99, 141, 159.
 თბილისი — 4, 7, 10, 11, 14, 74, 79, 80, 88, 113.
 თოღა — 162.

 მშერეთი — 63.
 ოორი — 52, 77, 78.

ქავახჩილი — 37, 57, 141, 143.
ქაეკო — 6, 7.
ქავეანია-ქავეასინი — 3, 11, 21, 25, 27,
28, 29, 33, 35, 36, 41, 42, 49, 57,
59, 64, 66, 71, 77, 86, 99, 157,
170, 171, 172, 188.
ქავეანის კედელი — 19, 160, 184, 185.
ქავ // ქაბა — 10, 11, 13, 14, 16, 18,
28, 42, 43, 49, 53, 54, 55, 66, 67,
68, 69, 72, 73, 74, 76, 89, 103,
104, 109, 112, 114, 127, 138, 141,
151, 152, 153, 154, 157, 158, 168,
176, 177, 178, 180, 182, 185, 191.
ქაებაში // ქაეისთავი — 154.
ქაյ-ერისელი — 28, 53.
ქაეინგილო — 154.
ქაյმუღალი — 154.
ქაღალი // ყაღალი — 45, 92, 142.
ქაღანია — 32, 39, 44.
ქაღუდარჩია — 37.
ქანი-კობა // ყანი-ყობა — 27, 66.
ქანადალა — 86.
ქანდაზი // ყანდაზი — 94, 141.
ქაპანაერი — 92.
ქარღანაზი — 80.
ქარვები — 59.
ქარყაი — 45, 142.
ქახი — 45, 142.
ქასრის საყდარი — 176, 182.
ქატეხი — 38, 58, 59, 61, 82, 86, 89,
92, 159, 163, 165, 166, 171, 189.
ქატეხჩია — 36, 37, 40, 47.
ქატეხის ტკი — 31.
ქახეთი — 27, 53, 58, 62, 67, 69, 186.
ქაზტიელჩია — 37, 40.
ქინდორგალი — 92, 99.
ქირმიწი — 71.
ქონშაზი — 19, 159.
ქოხ-მოხი — 181.
კუმი // ყუმი — 42, 175.
კუმის ველუსია — 160.

ლავოდები — 28, 138, 184.
ლალაფაშია — 97, 101, 102, 103, 104.
ლელალი — შეინდებობის
ლექცია // ლოქართი — 17, 19, 55, 56,
159, 189.
ლექციის მონასტერი — 171, 174.
ლექციონია — 37.

მაზივჩია // მაჭისწყალი — 27, 36, 160.
მამრები — 59.
მარსანი — 92.
მაღარო — 38.
მაწები — 59, 99, 159, 165.
მაწებჩია — 36.
მაჭის // მაჭინის ციხე-ქალაქი // ფერი
ყალა — 161, 162.
მესჩეოთი — 54.
მეტა — 33.
მეშაბაში — 74.
მეშლით — 92.
მოერალდალი — 29.
მოკავ-კილისა — 165.
მოსკოვი — 9, 31.
მოსული — 92, 94, 159.
მტავარი — 186.
მუღანლო — 92.
მუხაბი — 82, 89, 92, 189.
მუხაბჩია — 36, 37, 66.
მუხაბის ხეობა — 38, 185.
მცხეობის სეტიცხოველი — 166, 170.
მუხები — 181.

ნაეთლული — 80.
ნახიჩევანი — 10, 49.
ნახჩია — 54.
ნურ-ქილისა (მაღლის ველესია) — 163.
ნუხა // მუქი — 19, 27, 28, 66, 77, 107,
159, 161, 179, 180, 182, 183, 184,
189.
ნუხის მაზრა — 185.



ପିଲ୍‌ରୁହାତମ — 49.
ପିଲ୍‌ରୁହାତମ — 64, 65.
ପନ୍ଦାନ ପାଇଶି — 43.

ପାର୍ତ୍ତିକ୍ଷେତର — 187, 188.
ପାତ୍ରାରୀ ରା ରାଜନ ରାଜନ୍ତିର — 92.
ପାତ୍ରାରୀରୁହାତମ — 85.
ପାରିଦ୍ଵୟାଳୀ — 40.

ପାତ୍ରାରୀ — 63.
ପାତ୍ରାରୀ — 6.
ପାତ୍ରାରୀ — 33.
ପାତ୍ରାରୀରୁହାତମ — 31.
ପାତ୍ରାରୀରୁହାତମ — 13, 19, 21, 38, 62, 65, 66,
74, 77, 83, 91, 170, 171.


ପାଦାତଳମ — 157.
ପାଦ୍ୟକିରଣ୍ଯମ — 33.
ପାଥୁରିମ — 66, 71.
ପାରିଦ୍ଵୟାଳୀ — 32, 33, 50, 51, 157.
ପାରିଦ୍ଵୟାଳୀରୁହାତମ — 31, 38, 45, 66, 142, 156.
ପାତ୍ରାରୀରୁହାତମ — 71.
ପାତ୍ରାରୀରୁହାତମ — 59.
ପାତ୍ରାରୀରୁହାତମ — 17, 28, 29, 30, 32,
33, 36, 38, 40, 52, 53, 54, 55, 56,
59, 62, 64, 65, 66, 67, 68, 77, 78,
79, 80, 81, 82, 84, 91, 104, 105,
114, 120, 143, 153, 156, 166, 169,
170, 171, 174, 182, 189.
ପାତ୍ରାରୀରୁହାତମ ମିଳା — 177, 182.
ପାଦନିରାମିଳା — 176.
ପାଦ୍ୟାଗିଲମ — 38, 45, 142.
ପାଦ୍ୟାଗିଲମିଳା — 37.
ପାଦମାତଳମ — 59.
ପାଦ୍ୟାଗିନ୍ତିରୁହାତମ // ପାଦମାତଳମ ପାରୀ — 158.
ପାପାରୀରୁହାତମ — 64, 68, 69.

ପାଦମାତଳମ — 153.
ପାଦମାତଳମ (ପାରୀ) — 33.

ପାଦମାତଳମ — 92.
ପାଦମାତଳମ — 92.
ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ — 185. ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ
ପାଦମାତଳମ — 16.
ପାଦମାତଳମ — 19, 25, 159, 166.
ପାଦମାତଳମ — 3, 57, 58, 178.
ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ — 26.
ପାଦମାତଳମ — 3.

ପାଦମାତଳମ // ପାଦମାତଳମ — 38, 40, 44.
ପାଦମାତଳମ — 3.
ପାଦମାତଳମ — 69.
ପାଦମାତଳମ — 154.
ପାଦମାତଳମ — 59, 81, 138, 143.
ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ — 39, 44.
ପାଦମାତଳମ — 141, 152, 158.
ପାଦମାତଳମ — 92.
ପାଦମାତଳମ — 174.
ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ — 92.
ପାଦମାତଳମ — 71.
ପାଦମାତଳମ — 23.
ପାଦମାତଳମ — 11, 25, 36, 37, 67, 153,
156, 158, 180.
ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ — 19, 100, 101,
106, 107, 109, 116, 117, 153, 159,
179, 180.
ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ — 40, 42, 66, 103,
156.

ପାଦମାତଳମ — 186, 187.
ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ — 59, 166.
ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ — 59.
ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ — 44.
ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ — 180.
ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ — 92.
ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ — 187.
ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ — 19, 59.
ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ — 66.
ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ — 152.
ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ — 8, 65.
ପାଦମାତଳମ ପାରୀରୁହାତମ — 43.



ყიმურლუ — 92, 154.
 ყიმურლუს აბანო — 43.
 ყინა — 71.
 ყიფალი — 157.
 ყორადღანი — 89, 92, 141, 152.
 ყუში — 17, 175.
 ყუშის ტაბარი — 19, 159.

შავი ზღვა — 12, 64.
 შეგახი — 64, 170.
 შემშეთ-კილისა (ჰანდრის ველესია) — 164.
 შირაქი — 3, 29, 37, 46, 57.
 შირვანი — 64, 67, 77, 183, 184, 185, 188.
 შოთავარი — 89, 92, 141, 159.
 შუაშოის მონასტერი — 163.

ჩარიგელა — 44.
 ჩარიგელას ხეობა — 32.
 ჩიბანქოლი — 92, 93, 95.
 ჩოხა — 38.
 ჩუღულუ — 92.
 ჩურუქი — 29.

ციმბირი — 95.
 ცრემლების ღვევე — 25.
 ძაგაში // ჩაგანი — 92, 94, 99, 141, 178.

ცაბლოვანი (შაბალედი) — 182.
 წახური — 54, 66, ტარი ცეცი უკუკი — 172.
 წახურის ხეობა — 66, 70, 72.
 წინაუბანი — 88.
 წილისწყალი — 13.
 წუქუქოის საერისთაო — 66, 69, 182.

შარი — 38, 52, 57, 61, 64, 81, 82, 83, 85, 86, 87, 88, 89, 92, 94, 99, 167, 189.
 შარ-ბელაქანი — 19, 52, 53, 61, 63, 64, 65, 73, 74, 76, 77, 79, 80, 81, 82, 84, 85, 86, 96, 98, 155.
 ჭოგა//დარუბანდი — იხ. აბულაბაბი.
 ხავანა — 44.
 ხალხალი — 52, 180.

ხარაბთალა — 164.
 ხუბარი — 164.
 ხუნდახი — 54, 55.
 ხომუმახი — 44, 45, 59.
 ჯინიხი — 58, 59, 82, 89, 90.
 ჯურმუხი — 86.

ჰაშაშლერა — 42, 43.
 ჰერეთი — 3, 52, 166, 182.

୩ ମରା

- ନ. ମୁହାସିଂହ — 21.
 ନ. ନିକଟାଳେ — 21.
 ନାଥ ପ୍ରେସ୍ ପ୍ରକାଶନୀ — 79.
 ନାନ୍ଦାର୍କଣ୍ଡେଶ୍ଵର ମିଶନ୍ସିର୍କୁଲ୍ଯ ଗ୍ରହିଣୀ — 183.
 ନାନ୍ଦିପ୍ରକାଶନ୍ ପ୍ରକାଶନୀ (ଶ୍ରୀଲତାନ୍ତି) — 73, 74.
 ନାନ୍ଦାଚନ୍ଦ୍ରମହାନ୍ତିର୍ମାଣ — 67, 68.
 ନାନ୍ଦପ୍ରେସ୍ସାନନ୍ଦର୍କ୍ଷେତ୍ର (ପ୍ରକାଶ ପ୍ରକାଶନୀରେ) — 25.
 ନାନ୍ଦପ୍ରେସ୍ସାନନ୍ଦର୍କ୍ଷେତ୍ର ବାର୍ତ୍ତନିଶ୍ଵେତିଲ୍ଲାଙ୍କି — 77, 80,
 81, 82.
 ନାନ୍ଦପ୍ରେସ୍ସାନନ୍ଦର୍କ୍ଷେତ୍ର ମାଧ୍ୟମରେଣ୍ଟିଲ୍ଲାଙ୍କି — 189.
 ନାନ୍ଦିନୀ — 74.
 ନାନ୍ଦି ପିଲିର୍ଦ୍ଦ (ଅନୁଭବ ସାରଳାଲ୍ଲାଙ୍କି) — 166.
 ନାନ୍ଦି ଶ୍ରୀଲତାନ୍ତି — 74.
 ନାନ୍ଦିନୀ ମିଶନ୍ସିର୍କୁଲ୍ଯିଟି — 26.
 ନାନ୍ଦିନୀ ମିଶନ୍ସିର୍କୁଲ୍ଯିଟି — 183.
 ନାନ୍ଦିନୀ ପାତାଲୋପିନ୍ଦି — 182, 183.
 ନାନ୍ଦିନୀ ଫାନ୍ଦିଶ୍ରେଷ୍ଠଲିମିଟ୍ସ — 53, 54, 160,
 165.
 ନାନ୍ଦିନୀରେଣ୍ଟିଟା — 183.
 ନାନ୍ଦିନୀ ଶ୍ରେଷ୍ଠଲିମିଟ୍ସ — 57, 166, 176, 182,
 183.
 ନାନ୍ଦିନୀ ଶ୍ରେଷ୍ଠଲିମିଟ୍ସ — 183.
 ନାନ୍ଦିନୀ ଶ୍ରେଷ୍ଠଲିମିଟ୍ସ — 162.
 ନାନ୍ଦିନୀ ଶ୍ରେଷ୍ଠଲିମିଟ୍ସ — 75, 81.

- ନାନ୍ଦିନୀ ଶ୍ରେଷ୍ଠଲିମିଟ୍ସ — 81.
 ନାନ୍ଦିନୀ ଶ୍ରେଷ୍ଠଲିମିଟ୍ସ — 164.
 ନାନ୍ଦିନୀ ଶ୍ରେଷ୍ଠଲିମିଟ୍ସ — 17.
 ନାନ୍ଦିନୀ ଶ୍ରେଷ୍ଠଲିମିଟ୍ସ — 15.

 ନାନ୍ଦାର୍କଣ୍ଡେଶ୍ଵର (ଅନୁଭବାତ୍ମି) — 99.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପ୍ରକାଶନୀ — 81.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପ୍ରକାଶନୀ — 81, 84,
 91, 94, 95.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପ୍ରକାଶନୀ — 77, 78, 79, 80.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପ୍ରକାଶନୀ — 77, 78, 79.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି — 69.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପ୍ରକାଶନୀ — 18.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପ୍ରକାଶନୀ — 10, 23, 24, 25.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି — 21.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପ୍ରକାଶନୀ — 14, 26.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପ୍ରକାଶନୀ — 77.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପ୍ରକାଶନୀ — 21.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପ୍ରକାଶନୀ — 19, 38.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି III ପ୍ରକାଶନୀ — 183.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି — 75, 84.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପ୍ରକାଶନୀ — 66, 68, 69.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି — 55.

- ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି — 56.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି — 158.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି (ପ୍ରକାଶନୀ) — 168.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପାତାଲୋପିନ୍ଦି — 162.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପାତାଲୋପିନ୍ଦି — 20, 45, 46,
 57, 63, 68, 162, 166, 182.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପାତାଲୋପିନ୍ଦି — 77.

- ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପାତାଲୋପିନ୍ଦି — 56, 183.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପାତାଲୋପିନ୍ଦି — 38.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପାତାଲୋପିନ୍ଦି — 66, 75, 76, 156.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପାତାଲୋପିନ୍ଦି — 6, 7, 8, 9, 10.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପାତାଲୋପିନ୍ଦି — 10.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପାତାଲୋପିନ୍ଦି — 25.
 ନାନ୍ଦିନୀଲାଙ୍କି ପାତାଲୋପିନ୍ଦି — 30.

დამიტრი ჯანაშვილი — 12, 14, 15, 20,
58, 165.
დორუშევიძი — 21.

ვა — 9.
ვენატე წილაშვილი — 5, 24.
ვესურჯანლი — 67.
ვნდორნიკაშვილი აბელი — 178.
ვრეული შეფეხ — 21, 23, 63, 65, 78,
178, 182, 183.
ვევთიშვი პატრიარქი — 184.

ვადოვოზოვი — 16.
ვადა-უშეაველა — 24, 25.
ვარდან კოლონელიძე — 183.
ვახტანგ მეუკი — 21, 178, 182.
ვახახიშვილი — 68.

ზალჭევი — 69.
ზაქარია ჭიჭიანებე — 10.

მ. ბატონიშვილი — 20, 81.
თავალი ოჩიელი — 171.
თაშარი — 9.
თამარ დეღოფალი — 189.
თეო- კორდანა — 4, 20, 166, 170.
თემურაშ მეუკი — 21, 69, 181.
თინათინ დეღოფალი — 163, 165.
თოროლა — 69.

მ. ტერგვენევი — 21.
ირ. აბაშიძე — 26.
იაყობ გოგებაშვილი — 22, 23, 24.
ილა ჭავჭავაძე — 10, 23, 24, 25.
იასე ქეტიაშვილი — 54, 55.
იმამ-უელი ხანი (დავით მეუკი) — 62,
63, 174.
იოსებ ანდრონიკაშვილი — 81.

იოსებ ლალიშვილი — 4.
ინგილი აჯიბეგი — 95.
ისენდერ შენში — 56.
გიგანტული
გიგანტული

ქათალიკოსი ექვთიმე — 54, 176.
კასუმ-ბეგი — 69.
კადანატავაწი — 54, 72, 182, 186.
კარილი დანაური — 54.
კოვალენსი — 77.
კონტუროვი — 41.
კონსტანტინე ბატონიშვილი — 171.
კოხტა ბელადი — 62.
კრივინოსოვი — 80.
კუდამა — 188.

ლალაუაშა — 67, 68.
ლევან მეუკი — 56, 57, 163, 169.
ლევან ასათანი — 21, 22.
ლევან მანაცა — 13.
ლეონტიავი — 170.
ლუარსაბ ბოკაძე — 6.

მ. კოვალენსი — 93.
მათორი ცეკვაშა — 80.
მალარი — 62.
მამედ ველი-ოლი — 52.
მარაშეილი — 164.
მარტერსონი — 64.
მასული — 72.
მელქიშვილი — 174.
მელქიშელევა — 166.
მეუკი ალექსანდრე — 68, 170, 171.
მეუკი დაწი — 186.
მესედ-ხანი — 74, 76, 84.
მილონგრი ვოგაუ — 41.
მიხელ ჭავჭავაძე (მირზა ქეშიში) —
177.
მოღა ცეტოვი — 93.
მოსე ჯანაშვილი — 12, 14, 15, 16, 18,
20, 168, 175.

ମୁଦ୍ରଣକାରୀ — ୧୮.
ମୁଦ୍ରଣକାରୀ ଏବଂ ଅନ୍ତର୍ଜାଲ — ୭୫.

୬. ଶରୀରକାଳିକା — ୧୭.

୬. ପତ୍ରକାଳିକା — ୭.

ନାଗରିକ-ବ୍ୟାକ — ୭୬.

ନାଗରିକ-ଶବ୍ଦିକା — ୬୩.

ନାଶିର୍ଯ୍ୟକାଳିକା — ୧୭୦.

ନିଜକାଳିକା — ୫.

ନିଜକାଳିକା — ୨.

ନିନ୍ଦାକାଳିକା — ୨୩.

ନେତ୍ରକାଳିକା — ୬୨.

ପରାମର୍ଶକାଳିକା — ୭୬.

ପ୍ରତିକାଳିକା — ୧୮୧.

ପାଶ୍ଚାତ୍ୟକାଳିକା — ୮୪, ୮୫, ୮୭, ୨୧, ୨୫, ୨୬, ୨୭, ୧୫୫.

ପ୍ରେତକାଳିକା — ୨୧.

ପିଠୀକ କାଳିକା — ୫୩, ୧୬୦, ୧୬୫.

ପିଲ୍ଲା କାଳିକା — ୧୮୨.

ପିଲ୍ଲା କାଳିକା — ୧୫୩, ୧୬୮, ୧୮୨.

ପ୍ରସ୍ତରକାଳିକା — ୨୫.

ପ୍ରକାଶକାଳିକା ଏବଂ ପାଶ୍ଚାତ୍ୟକାଳିକା — ୫୫.

ପ୍ରକାଶକାଳିକା — ୬୨.

୩. ମିଥ୍ଯାକାଳିକା — ୧୧, ୨୬.

ସାହେଲାକାଳିକା — ୮୨.

ସାହେଲାକାଳିକା — ୮୭.

ସାହେଲାକାଳିକା — ୧୭୧.

ସାହେଲାକାଳିକା — ୧୭.

ସାହେଲାକାଳିକା — ୩୩.

ସାହେଲାକାଳିକା — ୮୭, ୧୯୭.

ତାଙ୍କ. ପାଦକାଳିକା — ୧୬୮.

ଶଲାକାଳିକା — ୭୦.

ଶୈଖକାଳିକା — ୫୨.

ଶୈଖକାଳିକା — ୨୦.

ଶାତକାଳିକା — ୧୭.

ଶିଳ୍ପକାଳିକା — ୫୩, ୧୬୪, ୧୭୨.

ଶାକାଳିକା — ୧୬୩.

ଶୁଦ୍ଧାକାଳିକା — ୧୬୩.

ଶାମିଲାକାଳିକା — ୬୦, ୭୫, ୭୬.

ଶାମିଲାକାଳିକା — ୧୭୪.

ଶାମ-ପାଦକାଳିକା — ୧୫, ୧୯, ୨୨, ୫୨, ୫୮, ୫୯, ୬୨, ୭୨, ୧୭୧, ୧୭୫, ୧୭୮.

ଶାମ-ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତକାଳିକା — ୬୯.

ଶାମକାଳିକା — ୧୮୮.

ଶୈରାଷ୍ଟ୍ର-ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତକାଳିକା — ୮୦.

ଶୈରାଷ୍ଟ୍ର-ଶାଶବଦିକା — ୮୬, ୮୭.

ଶିଳ୍ପ ଉତ୍ସବକାଳିକା — (ଶାକାଳିକାକାଳିକା) — ୧୩.

ଶିଳ୍ପକାଳିକା — ୧୮୩.

ଶିଳ୍ପକାଳିକା — ୧୮୩.

ଶିଳ୍ପକାଳିକା — ୬୨.

ଶିଳ୍ପକାଳିକା — ୭୮.

ଶିଳ୍ପକାଳିକା — ୭୪, ୮୧, ୮୨, ୮୩.

ଶାକାଳିକା — ୧୦୨

ଶାକାଳିକା — ୭୬.

ଶାକାଳିକା — ୧୭୦.

ଶାକାଳିକା — ୧୦.

ଶାକାଳିକା — ୨୫.

ଶାକାଳିକା — ୮୬, ୮୭.

ଶାକାଳିକା — ୯୩.

ଶାକାଳିକା — ୧୬୫.

ଶାକାଳିକା — ୨୦.



১৯৬০ পঃ ৩৬০

1. აქ უზესტობაა დაშევეტული. სართა იმ აზერბაიჯანულად ჩაითხი კი არ არის, არამედ ჩაითხანა. ჩაითხი — მეჩაიერა, რომელიც ემსახურება ჩაის მსმელებს.
 2. აქ საუბარია ს. ელისუსთან მდებარე მინერალურ წყლებზე. სწორი ფორმა აქ- ნება პატარ დარა.
 3. ალიგერლო ახლანდელი სახელია ისტორიული ქართული სოფლისა ქათმის ხევი.
 4. უნდა იყოს ქილისარია. ქილისა აზერბაიჯანულ ნიშანებს „კულტურის“ — კ. ა. კულტისის მდინარე.
 5. გოგირდოვანი წყაროები იმყოფება ქილისარისა და კატეხნის შესართავთან.
 6. არასწორად არის მითოსებული ცნობილი ისტორიების მოსეს კალანკატე- ვის გვარი.
 7. ნახჩია ისტორიულ წყაროებში ნახჩია ფორმით არის წარმოდგენილი. აყაღ. ი. კუკელიძე ნახჩის ჩამინთა ტოშად თვლილი.
 8. უნდა იყოს მარებელი.
 9. უნდა იყოს საფონჩი // საპონჩი.
 10. მოესეს კალანკატევი.
 11. უნდა იყოს მეშდი მეო.
 12. უნდა იყოს ფალადარო.
 13. უნდა იყოს ქაფანაქჩი.
 14. ხელსაბანი ჰურჭელი, რომელსაც აზერბაიჯანულ ეწოდება აღტარა, ქართული წუმწემა.
 15. უნდა იყოს ქათა და უესევლი.
 16. იხ. შენიშვნა 14.
 17. უნდა იყოს ფაჯახი.
 18. უნდა იყოს ამბარჩია.
 19. ზ. ერის სწორად აქვს მ. ჯანაშეილის მიერ დაშვებული ეს უზესტობა. ლევე- ბი ფერი ყალას ბაზოლაც ბათოლის ღვთისმმობლის ეკლესის უწინდე- ბენ, ხოლო რაც შეეხდა თორტას ფალას — მიწის ციხეს, იგი არის რო- ვორც კახის რაიონში, ასევე ზაქათალის რაიონის სოფელ მოსულში, აღაშინის პირას.
 20. სოფ. გილიუკი დაც იწოდება გუდაგად, რაც ასევე ვარდოვანს ნიშ- ნაც.
 21. უნდა იყოს კარტა შენი.

მიმღებადასი*

1. აღბანელთა კეალი საინგილოში. გამ. „დროება“, 1908, № 9.
2. ახალი წელი საინგილოში. ფურ. „საქართველოს მოამბე“, 1910, № 10.
3. ვადაგვარების ნიშნები საინგილოში. გამ. „ამირანი“, 1908, № № 98, 99.
4. ინგილოთა ყოფა-ცოვრება (ვთნივრაული წერილები). ფურ. „კრი“, 1910, № № 4, 5, 7, 16, 17, 20.
5. ინგილოთა ხასიათი და ჩვეულებანი. „ამირანი“, 1908, № № 128, 129.
6. კასტის საყდარზე (ამბავი). „საქართველო“, 1917, № 148.
7. მიერწყებული ქვეყანა. „საქართველო“, 1918, № 167.
8. საინგილო „საქართველო“, 1917, № 73.
9. საინგილო ფურ. „მნათობი“, 1941, № № 5—12.
10. საინგილო (წიგნი, გ. ქიქაშიძის ჩვეულებისთვის), 1947.
11. საინგილო. „საქართველო“, 1917, № 191.
12. საინგილოდან აუხაზეთამდის. „საქართველო“, 1917, № 126.
13. საინგილოს ვითარება. „საქართველო“, 1917, № 113.
14. საინგილოს მდგომარეობა. „საქართველო“, 1918, № 35.
15. სკოლების გაეროვნება სანაპიროებში. „საქართველო“, 1917, № 270.
16. ურთისილად ბატონები! „საქართველო“, 1915, № 82.
17. ფურანი ვევრმალავს ქართულ ლაპარაკს (ნამდვილი ამბავი ინგილოთა ცხოვრებიდან). გამ. „ამირანი“, 1908, № 51.
18. წერილები საინგილოდან. „საქართველო“, 1915, № 28.

* ბიბლიოგრაფიაში ვათავსებთ ზ. ედილის ქართულ პერიოდულ პრესაში საინგილოს შესახებ დაწერილ წერილებს. ბიბლიოგრაფიას სისრულის პრეტენზია არ ვარინა, რადგანაც ზ. ედილის შემოქმედება დღემდე სრულდასოდნად შეუსწავლელია.

ඡ ०६११ ර එ ඩ

ශ්‍රී ලංකා සංග්‍රහ මධ්‍ය පාලන අමාත්‍යාධාරී	3
I. බුද්ධියාදා දා පෙර පැවත්වා ඇතුළු අංශ	27
II. බැංච්‍රල් මූල්‍ය අංශ පැවත්වා ඇතුළු	52
III. උග්‍ර විශ්වාස සංග්‍රහ මධ්‍ය පාලන අංශ	66
IV. සාම්ප්‍රදායික මධ්‍ය පාලන අංශ	77
V. 1915 උග්‍ර විශ්වාස සංග්‍රහ මධ්‍ය පාලන අංශ	88
VI. කාලෝන් යුතු ප්‍රතිඵල පාලන අංශ	100
VII. පොදු පාලන අංශ	141
VIII. බැංච්‍රල් මූල්‍ය පාලන අංශ	160
IX. ආදායා පාලන අංශ දා විශ්වාස සංග්‍රහ මධ්‍ය පාලන අංශ	189
සාම්ප්‍රදායික පාලන අංශ	196
මේන්තු පාලන අංශ	204
මිනින්දො පාලන අංශ	206



Համարվելով հեղայինութիւն Յ. Հայաստանական
Տաթևական համայնքութիւն ո. Բնիքանուց
Ըստ Հայաստանական համայնքութիւն պ. Խոհանական
Կառավագիւն ը. Եղիշեան

Ներկա պահանջման գաղափարը 15.03.97.
Տաճախ պահանջման 60×84¹/16 բարով նախադաս
ուժական 13. Տաճախ. Տաճախ. Տաճախ 10,78.
Ծանոթություն 500. Շահագույն 373.
Ծանոթություն Տաճախ Տաճախ Տաճախ

Ենթադրություն առ Համարվելով հեղայինութիւն Յ. Հայաստանական
Տաթևական համայնքութիւն ո. Բնիքանուց Տաթևական
Համայնքութիւն պ. Խոհանական Կառավագիւն ը. Եղիշեան

Ենթադրություն առ Համարվելով հեղայինութիւն Յ. Հայաստանական
Տաթևական համայնքութիւն ո. Բնիքանուց Տաթևական
Համայնքութիւն պ. Խոհանական Կառավագիւն ը. Եղիշեան



Захария Эрмалозович Эдили

С А И Н Г И Л О

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси 1997

45.

07/75

